

# იოსებ ომაძე

## ჭადარდიდი რომანი

თბილისი, 2006 წ.  
Copyright: იოსებ ომაძე, 2006 წ.

**ISBN 99940-68-65-2**

### სარჩევი

|  |       |
|--|-------|
| კარი I. სოფელი .....   | 2     |
| კარი II. გაზაფხული .....                                       | 5     |
| კარი III. გამარჯობა, მამუკავ!                                  | 6     |
| ქარის სიმღერა .....  | 12    |
| ქარი .....   | 13    |
| კარი IV. მამუკა კალმახაური და მზევინარი .....                  | 13    |
| ვყიდი დღეს!  | 21    |
| ყანა-ბაღის სიმღერა .....                                       | 23    |
| კარი V. ზაფხული .....  | 23    |
| ბალახთა სიმღერა .....  | 24    |
| კარი VI. “ტურიკოს ოინები” .....                                | 25    |
| ცეცხლის სიმღერა .....  | 33    |
| კარი VII. გაბრიელ ადგომელაძე და<br>ნაზიბროლა ცოცხიაშვილი ..... | 34    |
| ხელი .....   | 36    |
| კარი VIII. თქვენი თვალით განახებთ!                             | 37    |
| კარი IX. ხუმარჯანაშვილები .....                                | 39    |
| კარი X. შოთა ქურუხაძე და ბაბო ბარისაშვილი .....                | 41    |
| კარი XI. “ედემსა” შინა...                                      | 43    |
| კარი XII. გოჯასპირ ქურუხაძე და დილავარდისა .....               | 44    |
| კარი XIII. მამუკა კალმახაური და ქაიხოსრო ტურიკაშვილი .....     | 47 // |
| სიტყვასთან თამაში .....  | 53    |
| მთების სიმღერა .....   | 53    |
| კარი XIV. ფლორენცია და ვენეცია .....                           | 54    |
| კარი XV. ნათელა ბუთურაული და ნოდარ გარგალაძე .....             | 55    |
| კარი XVI. დურმიშხან კვატაძე, ღომნა და ანუკა .....              | 57    |
| კარი XVII. გოგერძი კალმახაური და ბაბო ბარისაშვილი .....        | 60    |
| კარი XVIII. გოგია ციხურაშვილი და ნინიკა .....                  | 64    |
| კარი XIX. ტარიელ მუხაიძე და თამარ .....                        | 66    |
| კარი XX. მიხა მუხაიძე და ოლიმპიადა .....                       | 67    |
| კარი XXI. მაყვალა მუხაიძე და დემნა რაინაშვილი .....            | 69    |
| კარი XXII. ელგუჯა მუხაიძე, ნაზი და ბიქო .....                  | 70    |
| კარი XXIII. მიხა მუხაიძე და რობიზონ მექოგზიშვილი .....         | 71    |
| კარი XXIV. პანჩური .....                                       | 73    |
| მიწის სიმღერა .....  | 75    |
| კარი XXV. შოთა ქურუხაძე .....                                  | 75    |
| კარი XXVI. პამპულია და ულგაშა .....                            | 76    |
| კარი XXVII. ჭადარდიდს ბოშებმა დასცეს კარავი...                 | 78    |
| კარი XXVIII. შემოდგომა .....                                   | 79    |
| კარი XXIX. წყალდიდობა .....                                    | 79    |
| კარი XXX. ოთარ მექოგზიშვილი დაბრუნდა...                        | 80    |
| გზის სიმღერა .....   | 83    |
| კარი XXXI. ზამთარი .....                                       | 84    |
| ღრუბლიანი ცის მუსიკა .....                                     | 84    |
| კარი XXXII. შესანდობარი .....                                  | 85    |
| დღეთა ნადირობა ადამიანზე .....                                 | 86    |

|  |    |
|--|----|
| კარი XXXIII. გემშვიდობები, მამუკაგ!      | 87 |
| კარი XXXIV. ჭადარდიდს ისევ გაზაფხულია... | 93 |
| დროის სიმღერა                            | 93 |
| წუთისოფელი                               | 94 |
| კარი XXXV. საკართანო                     | 94 |

## კარი I. სოფელი

საყვარელო, გამარჯობა!..

როგორ ბრძანდები, ხომ კარგად?!

იმედია, ჩვენი შეხვედრა სასიამოვნო იქნება. მინდა, ერთი გრძელი ამბავი-კრიალოსანი ჩამოფ-მარცვლო წუთისოფლისა, გინდა – დიდი, ლამაზი, ფერადოვან-ყვავილოვანი თაიგული-თქმულება მოვწინა ანუ ფარდაგი-მონათხობი მოვქსოვ-მოვქარგო მრავალი ნაირ-ნაირი ამბავ-ხაბარისგან თუ ლირიკული წიაღსვლებისგან... სურვილით ვარ სავსე, როგორც თასი დვინით, რათა ათასგარ ლამაზ ხილვებსა და მოულონებულ სახეებს გავეთამაშო, გულით გავიხარო და მკითხველიც გა-გახალის! და თუმა დამაფიქრებელი ან სამწუხარო რამის მოყოლაც მომიწევს, რა გაეწყობა – ამქვეყნად ყველაფერი ხდება და არცოუ სასიამოვნო მოვლენასაც თვალი უნდა გავუსწოროთ... ქმედანა ხომ ჭრებია, მრავალი და მრავალფეროვანი აღამიანებითა და მოვლენებით დახუნ-ძლულ-დამშენებული და აღბათ ამითაც არის საინტერესო და მიმზიდველი.

მაშ, მისმინე:

სამყარო – უსასრულო, დასაბამისა და ბოლოს გარეშე...

თვალუწვდენებულ სამყაროში: სხვა უთვალავ დიდ-პატარა ციურ სხეულთა დარად ერთი თით-ქმის უჩინარი, პაწაწეინტერელა ცისფერი წერტილიც მოძრაობს – დედამიწა...

დედამიწაზე: ერთი ბერ ქვეყანა, მსოფლიოს რუკებზე რომ ძლივს მოძები; ისიც მიჰქის და ტრიალებს დედამიწის მარად ბრუნვსა აყოლილი – დღეცა და ლამეცა, დღეცა და ლამეცა...

დედამიწა დაუდალავად წრეს წრეზე (უფრო – ელიფსი!) უვლის მზის გარშემო და ამ და-ლოცვილ ქვეყანაში, უმეტეს სხვა მხარეთა დარად, ერთმანეთს ენაცვლებიან წელიწადის დრონი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი; ისევ და ისევ კელავ და მარად მეორდება: ტურფა გაზაფხული, მწველი ზაფხული, ბარაქიანი შემოდგომა, ცივი ზამთარი – კოველი მათვანი თავი-სებურად ლამაზი და მომხიბლავი...

და ამ პატარა, კურთხეული ქვეყნის ერთ-ერთ მყუდრო ხეობაში ერთი ჩვეულებრივი სოფელი მიყუდულა, – არც ისე დიდი, მაგრამ მთისთვის კი მოზრდილი ეთქმის, – ერთად ერთი ქუჩით და რამდენიმე ათეული შესახევით (რომლებიც ცალ მხარეს მთის ფერდობს ებჯინებიან, მეორე მხარეს კი – მდინარეს), ეზო-ურევებით, სახლებით, ბაღ-ბოსტნებით... სოფლის გარეთ: მცირე ყა-ნები: კარტოფილი, სიმინდი და ლობიო, პური და ქერი, ალაგ – საბორები. თუმცა, არა, სოფ-ლის სანახებში წესიერი საძოვრებისთვის აღილი საღაა – ცხვარ-თხასა და ხბო-ძროსას აძოვ-ბენ გზებისა და ღობეების გაყოლებით, მდინარის ჭალაში ან ფერდობებზე შეფენილ ტყეში ალაგ-ალაგ გამოქრთალ მცირე მდელოებზე...

ულამაზო სოფელი სად გაგრილა და, რაღა თქმა უნდა, ეს სოფელიც, შემოზღუდული ცალ მხარეს – ფოთლოვანი ტყით შემოსილი მთებით და მეორე მხარეს – გიგმაჟი მდინარით, სტუმ-რებისთვის დიდად სასიამოვნო მოსანახულებელი გახლავთ წელიწადის ნებისმიერ დროს, განსა-კუთრებით – გეოლოგებისთვის, მხატვრებისთვის, მოგზაურთათვის, დამსვენებელთათვის და სხვათა მრავალთათვის.

და ტრიალებს ეს სოფელიც მთელ დედამიწასთან ერთად, მიჰქის სივრცეში დაუსაბამოდ... თვით სოფელი კი ამას ვერ ამჩნევს, საბუთარი წვრილ-წვრილი, ხშირად – მსხვილიც, საფიჭ-რალ-საზრუნავი დღენიადაგ აწევს მხრებზე – ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, ბედის ბორბალიცა: ხალხი ოჯახებში საქმიანობს, დილაობით ერთიმეორეს ესალმება, მიდიო-მოდის, სოფელში თუ მის გარეთ სამუშაოდ ეშურება, ბავშვები სკოლისექნ გარბიან, წევალიანი დედაკაცები საქონელს სოფლის ზედა ან ქვედა ბოლოში მიდენიან, მენახირეთ აბარებენ, მწყემსები კი გაიყვანენ საბა-ლახოდ... ბრიგადიორებიც დაივლიან ყვირილითა და ხელების ქნევით ეზოებს და გადენიან სამუ-შაოდ გაცებსა და ქალებს, ზოგჯერ – ბავშვებსაც... მერე მთელი დღე შრომობს სოფელი, სადა-მოობით კი, გისაც რისი სურვილიცა აქვს და როგორც შეუძლია – ერთობა... ბალდები და ბეგრი მოზრდილიც კლუბში კინოს საყურებლად გარბიან, მოხუცი ქალები ჭიშკართან გამართულ ძელ-სკამებზე სხედან და ამგლელ-ჩამგლელთ ათვალიერებენ, თან ენას იუსანენ და წინდას ქსოვენ, ახალგაზრდა ქალები შიოს წყაროსთან იკრიბებიან სამასლათოდ; მოცლილი კაცები – სასადი-ლო “ედემში” უსხედან მაგიდებს და ხინკლისგან გაქონილი თითებით დგინო-არყის ჭიქებს ბლუ-ჯავენ, მოქარგულ სიტყვებს არ იშურებენ და სიმღერას თუ არ იტყვიან, წაიღილინებენ მაინცა... მერე ნელ-ნელა მოეფინება დაბინდულ არე-მიდამოს დგინისფერი დამე: მშვიდი, ლამაზად მოხა-ტული ვარსკვლავებიან-მთვარიანი ციო ან უფრო იშვიათად – დრუბლიან-ქარიანი, წვიმიანი ან

თოვლიანიცა (გააჩნია, წელიწადის რა დროა); იძინებს სოფელი, ისვენებს დიდ-პატარა, ხოლო გვიანი დამის იდუმალებას შეუვარებულები ან დაგვიანებული მგზავრები, იშვიათად კი – ავაზაპ-შაარავნი, თუ იხილავენ...

წინდაწინ ვიტყვი: ასეთი სოფელი სხვაც მრავალია – ამ ხეობაშიც და მის გარეთ ხომ ბეჭ-რად მეტია... ხალხი როგორიდა ცხოვრობს აქა? ქეყანა ჭრელია და, ცხადია, ამ სოფელშიც სხვადასხვა ჯურის და ყაიდის ადამიანებს შეხვდებით, მაგრამ საზოგადოდ, კეთილი, მხიარული და გამრჯე მკვიდრნი სახლობენ; სხვა მხრივ მათი აქ დარჩენა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან არცთუ სახარბიელო პირობებში უხდებათ ცხოვრების მმიმე ჰაპანის ზიდვა: სოფელს საკმარისი სახავ-სათესი მიწა არ გააჩნია, არც მკაცრი ზამთარი და ცხელი ზაფხული არის ამ მიდამოებისთვის უცხო; მომხდეულ მტერს ხომ იმდენჯერ გადაუქელავს და გადაუწვავს სოფელი, რომ მაგარი ხასიათისა უნდა ყოფილიყავი, ნახანძრალზე დაგეწყო თავიდან დაფუძნება და ბარში არ გადასახლებულიყავი... პო, შეიძლება ითქვას, დარიძი სოფელია, დიდი გარჯა სკირდებათ, რომ როგორმე თავი გაიტანონ. საქონელი და თხა-ცხვარი საკმარის შემოსავალს არ იძლევა, საკმარ პურულსაც ვერ მოიწევენ და იძულებულნი არიან, ათასგარი სხვა საქმიანობითაც დაკავდნენ: ტეგ-ველში კრეფენ და აბარებენ შინდს, ასეილს, კუნელს, სამურნალო ბალახებს და ანწლსაც კი, ხოლო პანტა-მაჟალოსა და ჰანკურ-ტექმლისგან არაეს ხდიან... ყველაზე მარჯვეთ ტყეში ახოები აქვთ გაკაფეული კარტოფილის დასათესად, ზოგიერთი ყოველ გაზაფხულს წყალდიდობის შემდეგ მდინარის ჰალაში შემორაგვავნ ხოლმე საყან-საბოსტნეს... არც არის გასაკვირი, რომ აქაური ახალგაზრდობის უმრავლესობა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გარბის ქალაქს სასწავლებლად ან სამუშაოს საძებნელად და უკან იშვიათად თუ ვინმე ბრუნდება. მაინც, სოფელი არ კვდება, რადაც უხილავი ფესვი მარადიულ ძალასა და გამძლეობას ანიჭებს მას... ისევ და ისევ: იბადებიან ჩეილნი და იზრდებიან აქაურ ჯანსად ჰაერზე, ყოველ დილას ჩადგება ცეცხლი სამზარეულოების ღუმელებში, ირექება ზარი სკოლაში, ისმის რაკარუები სამჭედლოდან, მიედინება შეკებში ნახირი საბალახოსკენ, სოფლის სახახებს ახალისებს ბალებსა თუ ყანებში სამუშაოდ გასულთა გადაძახილი, მარად ტრიალებს მდინარიდან გამოყვანილ რუებზე გამართული რამდენიმე წისქილის დოლაბები – ცხოვრების ბრუნვის დარად...

გვლავ ვიტყვი: პო, პო, დიახ, დიახ, კი, ბატონო, და შენი ჸირიმე, და შენ გენაცვალოს ჩემი თავი: დავთისა და კაცის მიერ დაგიწყებული ამ მყუდრო სოფლის ავებარგი მინდა, მოგითხრო, მგითხველო, – ავად თუ კარგად მისი მემატიანის საქმე უნდა ვიკისრო მცირე ხნით... პოდა, კისრით არა, კისერზე რა დატეცს, მაგრამ ზურგით კი მომიწევს, გზიდო ამ ეზო-ყურეებში დატრიალებული ცოდო-მადლის ტბილ-მწარე ტვირთის მცირე ნაწილი, – რამდენადაც და როგორც შეგძლებ ჩემი მოკრძალებული ძალ-დონითა; უფრო სწორედ, გულში გავიტარო, სულში ჩავიწნა და ნარჩევი სიტყვებით მოქარეულად მოგართვა, ვითარცა საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ტაბაკი თუ თარფი ძველებური, გინდა – ხონხა, გაწყობილი ამბავთა ნაირ-ნაირი კერძებითა, შეემაზული სიხარულისა თუ სეგდის ცრემლის ცხარე საწებლითა, დამშეგნებული ლაზათიანად მუცელგამოხერილი დოქებითა და სურებითა, რომელთა ქოხტად გამოყვანილ ტუზთაგან ჩამორაპ-რაკდება თლილ გამჭვირვალე ჭიქებში სურნელოვანი დვინის დარად ქარგ-კრიალოსნის ჭავლი-ამბავი მათობელა...

პოდა, რა ხეითოც გამოიბრწყინებს ამ ჩემი ნახლაფორთებიდან, კი დაინახავ შენი ბედნიერი თვალებით, მოთმინებით ადჭურვილო მოწევალე მეითხველო!

წაგრძელებული სოფელი მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყება ამ ადგილზე ოდნავ გაფართოებულ ხეობაში და ქვემი, შუა და ზემო უბნებად იყოფა. ყველაზე ძველია სამხრეთი, ქვემო უბანი, სოფელიც ამ ნახევარი საუკუნის წინ მხოლოდ ამ უბნით შემოისაზღვრებოდა; შემდგომ შორიახლო მდებარე მცირე სოფლები, უმეტესად მაღლა, მთათა ფერდობებზე გაშენებული, შეწუხებული მცირემიწანითი, უგზოობითა და სიდუხებით, ნელ-ნელა ქვევით ჩამოსახლდნენ, სადაც შეილებსაც შესაძლებლობა მიეცემოდა, სკოლაში ევლოთ. ასე იზრდებოდა სოფელი ჩრდილოეთისკენ და ახალი უბნებიც გაჩნდა. სოფელში ოცდაათამდე გვარის მატარებლები ცხოვრობენ, მათგან ძირძებია ათამდე: ადგომელაძე, ბუთურაული, კალმახაური, მეკოვზიშვილი, მუხაიძე, რაინაშვილი, ცხეურაშვილი, ცოცხიაშვილი, ჩიტაფაფაშვილი...

პო, რა პერია ამ დალოცვილ სოფელსა? ახალსოფელი, მაიკოსსოფელი, სოფელორა, სოფელხევი... კიდევ მრავალნაირად შეიძლებოდა, მოგვენათლა ეს სოფელი, მე კი ვარჩიე, ჭადარდი-დად მოვიხენიო.

ჩემი შეხედულებით, ჭადარდიდს სხვა სახელი ნაკლებ მოუხდებოდა: როგორც მოგახსენეთ, სოფელი ხომ თავად მთისოვის საკმაოდ დიდია, ას კომლამდე ცხოვრობს, მის ქვემო უბანში კი საბაზრო მოედანზე უზარმაზარი ჭადარი დგას. რამდენი საუკუნის განმავლობაში ამშენებს აქურობას ეს პატრიარქი, არავინ იცის; დედაქალაქიდან საგანგებოდ მრავალჯერ ჩამოსულან ბოტანიკები, მეტყველე-ინჟინერები, მხატვალები და სხვა ხელობის ხალხიცა, უფრო – ზაფხულობით; აღტაცებით მიუტყაპუნებიათ მის ნათელ, დაჭრელებულ ტანზე ხელისგულები, ზოგს – ლოფაც კი მიუხუტებიათ გრილი ქერქისთვის და ზეგით-ქვევით საქმიანად მიმღოლავი ჭიანჭველებისთვის გზა გაუმრუდებია... გარშემო რამდენჯერმე შემოგლის შემდეგ, საქმიანად საგულდაგულოდ გაუზომიათ და წიგნაკში ჩაუნიშნავთ ჭადრის უმსხვილესი ტანის გარშემოწერილობა, ხელიხელჩაკი-

დებულებსაც შეუკრავთ წრე (ათი თუ მეტი კაცი თუ ქალი დასჭირვებია ამ საქმეს), მაღლაც აუხედავთ დიდი ჭადრის დიდებულებით მონუსეულებს: ფოთოლთა მწვანე ზღვაში ჩაუძირავთ მზერა, ალაგ-ალაგ გამომკრთალი ცის ლურჯი ლაქებისთვის გაუშტერებიათ თვალი... და ბედნი-ერება უგრძნიათ!.. ოომ იხილეს საუკუნეებგამოვლილი და ჯერაც სიცოცხლის ჟინით აღვსილი და ძალ-ღონით სავსე ბუმბერაზი!.. შესაძლოა, ზოგიერთის სულს სევდის ნაზი ღრუბელიც მოუ-ფინება და გაიფიქრებს, ოომ მის შეილთაშვილებსა და კიდევ უფრო შორეულ შთამომავლებსაც შეეძლებათ ალბათ დიდი ჭადრის დიდებულებით დატებობა...

დიდი ჭადრის დაფორაჯებულ ტანზე, – შარშანდევლი რუხი კანი ალაგ-ალაგ აცვენილა და მოჩანს უფრო დიდი ფერის ახალგაზრდა კანიც, – მრავლად ნახავთ ამოკაწრულ თუ საღებავით მიწერილ “უგვდავების” მაძიებელთა სახელებსაც: “შალხაზ”, “მანანა”, “ლალი”, “ფირუზა”, “ტარიელ”, “კობა”, „შოთა”, „ბუხუტი“, „ქესანე“... პირადული განცდების განაცხადსაც: “ნატო, მიყვარ-სარ!!!”, „უსინდისოვ, ტყუილად გიცადე!!!“, „ლადიკო სულელია“ და მოკლე ლექსებსაც კი – ხშირად დაწერის თარიღის მითითებით. ოოცა რაიმე საქმეზე უნდათ ერთად წასვლა, განსაპუთოვ-ბით – თუ ლხინს აპირებენ სასაღილო ედემში”, ჯერ ჭადართან დათქვამენ შეხვედრის აღგილს. საზოგადოდ, „ჭადართან“ – არცთუ იშვიათად ისმის ეს სიტყვა ჭადარდიდელთა ყოველდღიურ საუბარში და არასდოროს არის საჭირო დაზუსტება, ოომელ ჭადარს გულისხმობენ, თუმცა სოფელში სხვა ჭადრებიც მრავლადაა.

შაბათ-კეირას დიდი ჭადრის ქეშ ბაზრობა იმართება, ირევა მიღეთის ხალხი; ნაცნობ-მეგობ-რები აქ იგებენ ქვეყნის ახალ ამბებს, თვალს წყალს ალევინებენ, ბჟობენ სოფლის ავ-კარგზე და ბედსა თუ უბედობაზე ამა ჭრელი წუთისოფლისა... ზოგჯერ გაზაფხულიდან შემოდგომამდე ბაზრობის შემდეგ ჭიდაობაშიც ერკინებიან ერთმანეთს აქაური და სხვა სოფლებიდან მოსული ჯელები ნახერხის სქელი ფენით საგანგებოდ დაფარულ წრიულ ასპარეზზე... ადრე აქ იმართვ-ბოდა სასოფლო ყრილობა, სასამართლო, დღეობა-დღესასწაულები; დიდი ზემიც ეწყობოდა წე-ლიწადში ორჯერ – ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე: ცეკვა-თამაშით, სიმღერით, შე-ჯიბრითა და, ბოლოში, გრძელი სუფრით...

დიდი ხნის წინათ კი, არცთუ იშვიათად, ეკლესის ზარის მომხმობ რეკვაზე დიდი ჭადრის ქეშ სასწრაფოდ იქრიბებოდნენ ჭადარდიდისა და ახლომახლო სოფლების გაუკაცები, – საყო-ველთაო განგაში ცხადდებოდა, – მომხდური მტრისგან თავდასაცავად გეგმს აწყობდნენ, თადა-რიგს იჭერდნენ...

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე გაფუებული უზარმაზარი გარჯით დიდი ჭადარი თით-ქმის მთლიანად ფარაგს ბაზრის წაგრძელებულ მოედანს; მოენის გაყოლებაზე ჩამწერივებულა: ცალ მხარეს – სადალაქო, სამეოთხევლო, სოფლის საბჭო, მილიციის და საექიმო პუნქტები, კლუბი; მეორე მხარეს – სახელოსნოები: თერმთა, სადურგლო, სამჭედლო, აგრეთვე – ფურნე, მაღაზიები, საწყობები, უარდულები... კლუბის წინ ყვავილნარია მოწყობილი და იქნე, დიდი მრგბალი ქვებით ამოუგანილი კედლიდან, ტყიანი ფერდობის ბოლოდან გამოყვანილი მსხვილი მიღიდან მოსხეფს ცივი, გემრიელი წყლის ნაკადი. აქ, შიოს წყაროსთან (რატომ პქვია ეს სახე-ლი – აღარავის ახსოვს), თითქმის მთელი სოფლის ქალები იკრიბებიან, რადგან, გასაკვირველი კია, მაგრამ ეს ერთადერთი წყალუხვი წყაროა მთელ ჭადარდიდში.

რამდენადაც წიგნს ეწყოდება „ჭადარდიდი“ ანუ სოფლის სახელი, უპრიანი იქნებოდა, დასაწყ-ისშივე მოგვეთავესებინა ამ სოფლისა და მისი შემოგარენის რუგა, რათა მეთხევლს გაადვილებოდა ადქმა და გააზრება აქ აღწერილი ამბებისა... მაგრამ დახე უბედურებას ანუ წყალდიდობას! მდინარე ჭადარდიდებები, ეს მოუსვენარი და დაუდეგარი ვაჟაბარი, დროდადრო წყალდიდობისას ვერ ეტევა ძალაპოტში და ხშირად იცელის აღილს, წყლის დაკლება-დაწილმის შემ-დეგ სხვაგარად მიიკლაქნება; სოფელი ხომ უმდინარეოდ გაძლებას ვერ შეძლებს, მაგრამ ჭადარ-დიდებები ხშირად უტევს კიდეც – ალაგ ჩამორეცხავს ნაპირს და ზოგ მოსახლეს აიძულებს, სხვა აღვილას გადაიტანოს საცხოვრისი... მიუხედავად იმისა, რომ ჭირს ჭადარდიდებების რუკაზე დატანა, ამჟამად მაინც გმუშაობ ჭადარდიდისა და მისი სანახების რუკის შედეგნაზე და განზრა-ხული მაქეს, დაგურთო იგი წიგნის შემდგომ გამოცემას, უკეთუ იგი განხორციელდა.

მანამდე კი შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჭადარდიდს მხოლოდ ერთი ქუჩა აქვს, რომელიც მთელ სიგრძეზე შუაზე პყოფს სოფელს; იგი ნაწილია მთელ ხეობაში გამავალი, ერთ დროს მოხრეშილი და ამჟამად საგმაოდ შელანდებული, საჯანჯღარო გზატკეცილისა. აქეთ-იქით ამ ქუ-ჩიდან განივად მიემართება შუება-ორღობები, რომლებიც ერთნი მდინარესთან თავდებიან, მეორე-ნი კი მიებჯინებიან მთის ტყიან, ციცაბო ფერდობს. ეს გრძელი ქუჩა სამხრეთით, ქვემო უბანს რომ ჩათავებს, შემდეგ ხიდზე გადადის და გზად გრძელდება. ხიდამდე, ხელმარცხნივ, ერთსარ-თულიანი სასოფლო ბიბლიოთეკა ყოფილი სკოლის შენობაში (ახალი, ორსართულიანი, დიდი სკოლა შუა უბანში ააშენეს ამ ოცი წლის წინათ); ხელმარჯვნივ კი, პატარა ნახევარკუნძული-ვით მიღამოზე, სასაღილო ედემი” ანუ, როგორც სოფლები ჩევულებრივ უწოდებენ, “რაბიზონას დუქანია” – ზედ პატარა ნახევარკუნძულის სულ წვერზე; დარჩენილი ორი მხრიდან სასაღი-ლოს აკრავს მკვიდრი მესრით შემორაგული მოდიდო მშვენიერი ბოსტანი და ბაღი...

ხიდზე თუ გადაიგლით და სამხრეთისეკენ გზას გაუშებებით, რამდენიმე ასეულ მეტრში, ხელმარცხნივ, ულად ამართული გორაკის წვერზე, რომელსაც აქაურები “ჯვარისმამას” უწოდე-

ბენ, აქა-იქ შეიმჩნევა ოდესლაც არსებული ქვითკირის გალავნის ნარჩენები; დგას სამრეკლო და გაუქმებული, კარ და ზარჩამოხსნილი, გაპარტახებული, უგუმბათო, წაგრძელებული მცირე საჭ-დარი-ბაზილიკა (მასში ზაფხულის ცხელ დღეებში საქონელი აფარებს თავს და ფუნის სუნითაა სავსე), რომელიც მოწყენილი გადმოსცერის სოფელსაც და ხეობასაც; მის გარშემო სოფლის სასაფლაოს ქვებია მიმოფანტული და აქა-იქ კვიპაროზები, მუხები და ჯაგრცხილებიც მდუმარედ დგანან, მარადისობის მწუხარე ხმას მიყურადებული. სასაფლაო კარგა ხანია, გალავნის ნარჩენებს გასცდა და გორაკის ფერდზე ნელ-ნელა ქვევით მოიწევს; ახალი საფლავები შემოსაზღვრულია შავად შედებილი რგინის მესრებით, სულ ახლებზე კი მხოლოდ ხის ჯვარია ჩარჭობილი და ზოგიერთზე ჯერ ბალახიც არ ამოწვერილა...

პო, კიდევ: ჭადარდიდხევი – მდინარე, რომელის მარცხენა ნაპირს არის გაყოლებული სოფელი; მოელი დღე ისმის მისი – დაუდეგარის, მჩქეფარესი, – განუწყვეტელი სიმღერა-ხმაური, განსაკუთრებით – დამე... მაისში, წყალდიდობისას კი, – ასევე, უფრო ნაკლებ, შემოდგომისას, – დღითაც ერთი წუთითაც არ ცხრება მისი ბორგა-ლრიალი; სოფლის ქემო უბნის თავში მას ხმას უერთებს, ოღონდ ნაკლები თავგამოდებით, მარცხენა შენაკადი – ორჩხომელასხევი... ჭადარდიდხევის ხშირი სტუმარია მოელი სოფელი – საბანაოდ, დასარეცხად, თუ სხვა მხრივ მოსახმარად წყლის ასაღებად, რადგან, როგორც მოგახსენეთ, მთელ ჭადარდიდში მხოლოდ ერთი წყალუხვი – შიოს წყაროა. ვინც მდინარესთან შედარებით ახლოს ცხოვრობს, მის წყალს სასმელადაც იყენებს, თუკი წყალდიდობით მეტისმეტად არ არის ამღვრებული.

## კარი II. გაზაფხული

საყვარელო, აპა, მოკუნტრუშდა ცელქი გაზაფხული – ლალი, კისკასი, მოკისკისე, ტანკენარი, პირმშენიერი ქალწული!

ოველის საბოლოოდ გაპარვას არ უცდის და ღონივრად ამოსკედება ქორფა ბალახი, უპირვევად – ღობეთა ძირებში და სხვა მყუდრო ადგილებში, გაფუვდებიან-დაიბერებიან და დასკედებიან კვირტები ალვებსა, ტირიფებსა, რცხილებსა თუ ჭადრებზე, აფეთქდებიან თეთრად ნუშები, ტყემლები; მათ მიჰყებიან ალუბლები, ბლები, გაშლები, კომშები...

გაზაფხულის პირველ თვეს, მოგეხსენებათ, ხშირად გიუ მარტსაც უწოდებენ, იმდენად თავქარიანი, ჭირვეული და ცვალებადი გუნებისა გახლავთ. ლურჯთვალება ცეტი მარტი ხან მზეს უცინის, კოხტა მწვანე კაბით ირთვება, ყველაფერს ეალერსება და ნიავი უწევს ხეთა თმებს, ფეხშიშველი გარბის და გარბის მოუთმებლად, ზამთარს მიერეკება – მზედაუკრავი შიშველი კანჭები ანათებენ... მერე უცებ თბილი წვიმის ცეკვა-ცემავით დაუვლის-გადაირბენს მთა-ველებს, ბოლოს კი პირველ ცისარტყელასაც დაიბენეს გულზე... ხან – ალერსიანია, მზრუნველი, ხანაც – ავი კაპასი დედინაცვალივით: ზამთრის გამონაცვალ თეთრ კაბას ჩაიცვამს, ანჩხლობს და ნიავებარობს... “გაგიყდა ეს ოჯახექორი!” – ქორლას აყრიან: ნაღდი თოვლის ნამქერს წამოუშენს... ხანაც – უცებ გაიცინებს მზის თბილი გამონათებით დრუბელთა გროვიდან, დაათბობს და დატებობს მიწასა და ჰაერს, ნუშისა და ატმის ყვავილთა თოვას მოჰყება...

ბობოქრად მოსკედება ტურფა გაზაფხული!

ძალამიცემული მზის ბრიალი თვალი სულ უფრო მწველი ხდება; ადიდებული ჭადარდიდხევი მქუხარე სიმღერით ასკედება ნაპირებს, თავებები მიაქანებს მდგრიე ტალღებს და მიათამაშებს მორდებული ნაპირებიდან მოტაცებულ ხეებს, მიაგორებს ქებს, დატბორილ ჭადრებში აქანავებს წყლიდან სანახევროდ ამოჩრილ, უკვე სიმწვანეშეპარულ ტირიფების, მურყნების, წნორების რტოებს...

დიდი ჭადარი გაზაფხულზე ოდნავ მოგვიანებით გამოიღვიებს და მაშინვე თვალგაფაციცუბული აპერატება, როგორ დუღს სიცოცხლე სოფელში, გარშემო როგორ იცვლება მთა-ველი.

დიდი ჭადარი ჯერ ნაზ მწვანედ შეიფოთლება, მედიდურად გადაჟურებს მთელ სოფელს, იმის აქეთ-იქითაც მისწვდება მწყურგალე მზერით, – მდინარის, ჭადარდიდხევის, გაღმაც, – მთათა ფერდობებზე შეფენილ რცხილა-წიფლის ტყეს (რომელიც ოდნავ გვიან ამწვანდება); იქაური ყევლაზე ხნიერი ხეები მას შეილთა შეილთა შეილებად თუ ერგებიან... დიდი ჭადრის გნებათა-დელგა კი მხოლოდ ნიავთან გასაუბრებით გამოიხატება: ხან უზრუნველად, უხმოდ ატოკებს ფოთლებს, ხან – ტოტებს ჟინიანად არხევს, რტოებს ერთმანეთს ახლის და ფოთლებს აშრიალებს... ეს “საუბარი” კი ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, გამაფრდება, ქარიშხლის დრიალს, მსხიოლი ტოტების ჭრიალს უერთდება; დიდი ჭადარი გაშმაგებით მროგავ ტოტებს (ხელებით ცეპვას!) ასავსავებს, რაც ცაში ჭექა-ჭეხილის განავარდებას უერთდება-ერითმება – ერთდოროულად მდერის და ავნების; ზეცას უწყობს ხმას ქარ-წვიმის შრიალი ფოთლებში და მძიმე წვეთების წეპუნი მიწაზე თუ შენობათა სახურავებზე... გვიან, ძალიან გვიან აღწევენ წვიმის წვეთები უზარმაზარი გარჯის გუმბათში, სანამ მიწას დაეპერებიან; ამიტომ, უამიხოდობა თუ მოუსწრებთ, გამელელ-გამოგლელნი დიდი ჭადრის ქებში იმყუდროვებენ გადაკარების მოლოდინში... და დიდი ჭადრის მოულოდნელი სტუმრები, დროებით ცხოვრების ყოველდღიური ტვირთის ზიდვისგან თავდასხილი, სულით დაშვიდებული, სულ არ ბრაზობენ, თუკი წვიმა გახანგრძლივდება...

მოთმინებით დგანან უეცარი აგრილებით შემცივნულნი, სულში კი მაინც სიხარული უდგივით: ნეტარებით უსმენენ წვიმის სიმღერას ჭაღრის ფოთლებში, გაბრწყინებული თვალებით გასცეკრიან წვიმის გამჭვირვალე ფარდით დაბურუსებულ-შეცვლილ გარემოს...

და როდესაც უცებ განათლება, წვიმა შეწყდება და პირდაბანილი, დამშვიდებულ-გამშვენიურებული გარემო სიამით უსმენს დიდი ჭაღრის რტოებს შეფარებული შაშვის ტკბილ კრიმან-ჭულს, საბაზრო მოედანი ხალისიანად მოფუსფუსე ადამიანებით კვლავ ჩეულებრივ ახმაურდება...

იხარეთ – გაზაფხულია, ტურფა გაზაფხული!

### კარი III. გამარჯობა, მამუკავ!

მამუკა კალმახაურის ოჯახი, როგორც ჭაღარდიდელთა დიდი უმრავლესობა, ხელმოკლედ ცხოვრობდა, მას კი უმარო, მშიერი ბავშვობა მაინც კეთილდად აგონძებოდა – ბედინერი იყო! ჭეშმარიტად ბედინერი, რადგან ჰქონდა ყველაზე დიდი სიმღიდორე, რითაც დაჯილდოებულია ყოველი ბავშვი – ოცნების უნარი! სიზმარშიც და ცხადშიც ხშირად აიტაცებდა და მაღლა ააფრენდა შინაგანად მოვარდინილი ჯაღოსნური ტალღა, რომელიც ხან ხის პენტეროზე აიყვანდა, ხან ხელში ფანქარს დაჭერინებდა და ქადალდზე უცნაურ ნახატებს გამოაყვანინებდა, ხან შემთხვევით ხელში მოხვედრილი სიმინდის ნაქურჩლისგან და ფერად-ფერადი მონარჩენი ნაჭრებისგან გოგონებისთვის დედოფალას შეაქმნებინებდა, ბიჭებს კი სათამაშო ურმებს გაუკეთებდა, თხილის ჯოხებს ჯაყვით ლამაზად დაუჭრელებდა...

არ აკლდა არც ბიჭების სხვა გართობა: მშვიდე-ისარი, ლახტი, ბურთაობა, ჩილიკა-ჯოხი, თევზაობა, მდინარეში ჭყუმპალაობა (ჭაღარდიდებევი – პირველი მეორები!) – ზაფხულში; ბუსართან პაპის ზლაპრების მოსმენა, „მყრალი“ შაირების გამოთქმა, ციგაობა, კაკანათის დაგება ჩიტებისთვის – ზამთარში... და, რა თქმა უნდა, ყველა დროს, ყოველთვის და ყველგან – მამუკას წიგნების კითხვა ყველაფერს ერჩივნა.

საქმესაც არ ცდებოდა: საქონლის საბალახოდ გადენა, შეშის მოტანა, პალ-ბოსტნის მოვლა, წისქილში საფქავის წაღება...

საოცარია: ორი გუნდი იყო ბავშვებისა: ერთი – უმრავლესნი – დღედალამ შრომობდა შეძლებისდაგვარად, ბავშვობა არც ჰქონდა სინამდვილეში, მეორე – მცირე გუნდი – გადაბმულად ერთობოდა-თამაშობდა... ან მამაძალლობდა!

სამარადუამოდ აღებუჭდა მამუკას გონებაში ერთი თითქოსდა ჩეულებრივი დღე: ქების სროლა მდინარის პირას – და შემოსწრებული გამებ მასწავლებლის შეგონება: “ბალღო, ქვა სასროლად კი არ გაუჩენია ღმერთსა, სასწავლადა!” – და სველი თითოთ დაუწერა სიპ ქვაზე პირველი ასო “ა”, მერე – მეორე ასო “ი”... შემდგომ უფროსმა ბიჭებმა წერა-კითხვაც ასწავლეს: სველ სილაზე – ჩინირით! საოცარად ესიამოვნა მის მიერ დაწერილი პირველი სიტყვის ხმამაღლა წაკითხვა, ათასჯერ მაინც გაიმეორა და მაინც ვერ გაძლა იმ მოვლენილი სიხარულისა და გაოცების ერთობლიობით, რომელიც წარმოიშვა მის სულში და არა და არ ნელღებოდა...

ადრევე გაუგო გემო სიტყვის უდერადობას და შინაგან ძალას, რომელიც გარემოს გამოძახილიც იყო, სახილევლთან აკავშირებდა და რადაც გრძნეული მაღლით აშორებდა კიდეც, სადღაც მაღლა, მარადიულ სიმარტოვესა და სიმყუდროვეში ააფრენდა გრძნობას და სულსაც სიამის ურუანტელით ავსებდა... ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთს უხამბდა სიტყვებს, რითმები თითქოსდა მისდა უნებურად იბადებოდნენ და ჯაღოქარივით შეეძლო, ბიჭების გასაკეირად, მათ მიერ დასახელებული ნებისმიერი სიტყვისთვის იმ წამშივე შეეხმატებილებინა მრავალი სხვა სიტყვა – ზოგიერთი რომ უხილავი ტკბილი გრძნობის ძაფით იყო დაკავშირებული ძირთან, თავდაპირველ დაძახილთან, სხევები კი – უჭიდავებოდნენ, შინაგანად ებრძოდნენ, წინააღმდეგობის მძაფრი ჭიდილის გნებით მუხტავდნენ... მაგრამ ეს ქიშპობაც რატომდაც სიამით აგსებდა!

შემდევ ბუნებრივად მოხდა სიტყვათა ნაკადის, – მოწესრიგებულის, გრძნობის დელვას აყოლილის, – ლექსის ფორმაში მოქცევა; ზოგჯერ თავისითავად ხდებოდა ეს, დაუძაბაგად, ზოგჯერ კი – მრავალი ცდისა და სიძნელის გადალახვის შემდეგ... და ორივე შემთხვევაში უხაროდა; უხაროდა თვით პროცესი, მისი მდინარების მოულოდნელი მიხვევ-მოხვევით, წინ სწავლით, ხშირად – სრული უარყოფით უპევ თითქოს მოძებნილისა, არცთუ იშვიათად – მიზნის მიუღწევლობის მტკიცნეული განცდაც, იმედგაცრუება საკუთარ ძალებში... ბოლოს, ყველა შემთხვევაში – გადატანილი “ბრძოლით” დიდი კმაყოფილება, სიამე და სიმშვიდეც კი, რომელიც ცოტა ხანში მიღწეული შედეგით უკმაყოფილებით მთავრდებოდა – უცებ დაინახავდა აღრე სატრაბახო ლექსის გამაღიზიანებელ ხინჯს – უმწიფრობასა და უსუსურობას; ასეც ხდებოდა – არცოუ იშვიათად...

დიდი გატაცება – წიგნების კითხვა! ყოველგვარის – თუნდაც ეს ყოფილიყო ღმერთმა უწყის საიდან აქ მოხვედრილი “ბულალტული აღრიცხვების საფუძვლები” ან “სადაზღვევო აგენტის ცნობარი”, ძველი კალენდრები, კლასიკოსთა ძველ დროს, ნახევარი საუგუნის წინათ გამოცემული, გაყვითლებული, დალაქავებული და თაგვების მიერ ნაპირებშემოღრდნილი წიგნები... და, რა-

და თქმა უნდა, ლექსები – აკაკი, ვაჟა და მრავალი კიდევ სხვა დიდი თუ მცირე პოეტის კრებულები, რომელთაც განძის მაძიებლის მსგავსი გაუნელებელი გნებით ემებდა ყველგან, ყველას-თან, ყოველთვის...

როცა მამუკას ოჯახის რიგი მოვიდოდა სოფლის ნახირის სამწყემსად, ყოველთვის მამუკა მიდენიდა საქონელს მთელი დღით – ადრე დილიდან საღამომდე. თუკი სხვებისთვის საშინალად გაიწეულებოდა ზაფხულის გრძელი დღე, მამუკა სულ არ გრძნობდა მოწყენილობას – ირგვლივ იმდენი რამ იყო საინტერესო... წაიღებდა რევულს და ფანქრით იხატავდა სხვადასხვა ხედებს, ხე-ბუჩქებს და ბალახებსაც კი... ყველაფერს განუმეორებელი იერი ჰქონდა: ერთი რცხილის ხე არ ჰგავდა მეორეს, არც რომელიმე მუხა მეორე მუხას – დაუსრულებლად შეეძლო, დაკვირვებოდა და ესატა, ესატა, ესატა... ესატა ძროხები, თხები, ჭადარდიდხევის ჭალა, ნაირგვარი ნაპირები... მდინარის პირას გაფანტული დიდ-პატარა ქვებიც კი სულ სხვადასხვანაირი იყო და მათი ჩახატვა არ მოსწყინდებოდა. დროდადრო მოულოდნელად ეწვეოდნენ ფრთიანი სტრიქონებიც, რომელთაც იქვე, ნახატის გვერდით, სასწრაფოდ წააწერდა, – ან თუნდაც მხოლოდ ორი-სამი სიტყვა ყოფილიყო – ლამაზი ხატი ან შედარება... “მუხაზე – ფითრი, ჩემს თავში – ფიქრი...” ზოგჯერ ერთ დღეში რამდენიმე ლექსის ჩანაფიქრი ემატებოდა რევულს, ჩანახატებზე რომ ადარაფერი ვთქვათ; შემდეგ შინ ჩაუჯდებოდა და ემატებოდა ერთ სტრიქონს მეორე, ახალ-ახალი ხატები ახალისებდონენ...

ასჯერ რომ ჰქონდა ნანახი თუნდაც რომელიმე ბუჩქი (ხე, მდელო, ნაკადული...), რომლის რაობაც თითქოს საბოლოოდ ჩამოყალიბდა საკუთარ თვალსა და გონიერაში, დამკვიდრდა აღქმაში, მასთან ასმეერთედ შეხვედრისას უცებ ამჩნევდა ახალ მსარეს ამ ბუჩქისა, არცოუ უმნიშვნელოს და გაძვირებული რჩებოდა: ნუთუ იმდენად დაუკვირვებელი იყო, რომ ადრე ეს ვერ შეამჩნია? ახარებდა და ახალისებდა ყოველი ახალი აღმოჩენა, არ სწყინდებოდა, ხარბი მზერით შეესრულა გარემო სამყარო... (შემდგომ ასე ემართებოდა ადამიანებთან ურთიერთობაშიც: აი, ცოლი ათასმეერთეჯერაც ჰყავს აწონილ-დაწონილი, შეფასებული და დაფასებულიც... და მაიც – თითქმის ყოველდღე რაღაცას ახალს აღმოაჩენდა მის ხასიათშიც, გარეგნობაშიც, ქცევაშიც... იქნება მიზეზი ისიც იყო, რომ დრო არ იდგა ადგილზე და ცელიდა გარშემო ყველაფერს; თვითონაც ხომ მუდმივად იცვლებოდა, მისი შეფასებაც განსხვავებული ხდებოდა და, რა თქმა უნდა, ადრე გაკეთებული “საბოლოო” დასკვნაც არ გამოდგებოდა მუდმივი...).

მამუკას ვამეს მასწავლებელი გამორჩეული ყურადღებით ეყყრობოდა: ხედავდა, რომ უყვარდა პოეზია – სულის სილამაზე და სიმალლე... ნორჩ პოეტს ალალებდა, აგულიანებდა: აძლევდა წასაკითხად ნაინ-ნაირ წიგნებს და არა მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობისა, არამედ ასევე სამეცნიერო-პოპულარულსაც თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესახებ; ჩუქნიდა ლამაზ დია ბარათებს და ალბათ აქედან დაიწყო მისი კოლექციონერობაც... აწერინებდა ლექსებს, ლიტერატურული წრის შეკრებებზე აკითხებდა, ათავსებდა სასკოლო კედლის გაზეთში; შემდეგ ჩამოყალიბდა კაზმული სიტყვერების წრე, რომელიც წელიწადში რამდენიმეჯერ უშვებდა ხელნაწერ ურნალს “დიდი ჭადარი”; ურნალში მამუკას მრავალი ლექსი და რამდენიმე პოემაც კი იყო გამოქვეყნებული... და, რაც მთავარია, ჩაუნერგა სურვილი, დაენახა ადამიანთა სულის სილამაზე და სითბო, გარემოს მომხიბელელობა, ასწავლა სიკეთის უშურველად გაცემის სიამე... და როგორ გულს აკლია მამუკას ახლა, მრავალი, მრავალი წლის შემდეგ, რომ ვერ უთხრა თავის დროზე მადლობა ამ არაჩვეულებრივ პიროვნებას, რომელიც არც არასდროს ითხოვდა ვინმესგან მადლიიერებას... მაგრამ ყურადღება და გულთბილი მოპყრობა ყველას სიამოვნებს, მით უმტევს – მოწაფისებან... მას კი ახლა მხოლოდ ის შეუძლია, რომ, როცა გაბრიელა მესაფლავესთან მიღის, ხშირად გაუხვევს ხოლმე მასწავლებლის საფლავისკენ, ჩამოჯდება მისი სამარადეუმო განსასხვებლის გვერდით და იმ მადლს გაიხსენებს, რომელიც ამ კაცმა ასე უშურველად დათესა მრავალი, მრავალი პატარა ადამიანის, მისი მოწაფებების გულში...

სკოლაში ზოგიერთი მასწავლებელი აუმსებდრდა მამუკას და, განსაკუთრებით, მის ლიტერატურის მასწავლებელს – ვამეხს: ისინი ხელნაწერ უურანლში მოთავსებული შაირების გმირებად იქცნენ... უსიამოვნო მითქმა-მოთქმა, საყვედურები, გაკილვაც, საჩიგარი დედამისთან! ეს პირველი მნიშვნელოვანი კონფლიქტი იყო მამუკას ცხოვრებაში და იგი დაიბნა... საერთოდ არ იყო მებრძოლი ბუჩქების, მხოლოდ ქაღალდის ფურცელთან კალმით ურთიერთობისას იყო ძალზე გაბუდული; თვითონ ჩეუბი ვინმესთან არასდროს წამოუწყია, თუნდაც ძალზე განაწყენებული ყოფილიყო, თუმცა სიმხდალესაც ვერავინ დასწამებდა... არ მოელოდა, თუ ეს უწყინარი შაირები უფროსთაგან ასეთ მძაფრ გამოახილს გამოიწვევდა. მამუკას სურდა, მოესპორ უურნალი, მაგრამ ვამეს მასწავლებელი წინ აღუდგა ამგვარი ნაბიჯის გადადგმას, მამუკას არწმუნებდა: “რატომ გინდა, მცირე წინაღობასაც კი უბრძოლველად თავი აარიდო, უკან დაიხიო? ასე არასდროს მოიქცე! როცა საბუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხარ, უნდა ბოლომდე გაიტანო კიდევ იგი, თუკი ეს მნიშვნელოვან საკითხს ეხება!” მარად მადლიერი იქნება ვამეს მასწავლებლისა, თუმცა, სამწუხაროდ, აშეარად გრძნობს: თვით მას აკლია ხასიათის სიმტკიცე და ყველთვის არ ჰყოფნის ვაჟაცობა, ბოლომდე მისდიოს მასწავლებლის შეგონებას... და მისი ჩაფიქრებული დიდი პოემაც, “ცა და მიწა”, რომელზედაც დღედაღმ ფიქრობს, გამეს მასწავლებლის ხსოვნის მიემდგრება... უნებურად მოფრენილი ხატებები, ფრთიანი სტრიქონები მიღმია არ ასვენებენ, უფრო – ძი-

ლის წინ... ცა და მიწა – მაღალი და დაბალი, მიწიერი და ზეციერი, ხელით შესახები და მიუწვდომელი, ოცნებისმიერი – როგორი თემაა, ფილოსოფიური და მას მრავალი დიდი პოეტი შეხებია, ყველას თავისებურად გაუზრებია და მამუკაც შეეცდება, მისი ნაფიქრი თავისთვალი იყოს, დაიპყროს საკუთარი მწვერვალი, თუნდაც იგი არც ისე მაღალი გამოდგეს...

მამუკას საერთოდ ბავშვობიდანვე უყვარდა სიმაღლე – მხოლოდ პოეზიისა კი არა. სწრაფა მაღლა, მაღლა!

უყვარდა მაღალი ხის კენწეროზე აძრომა და ხეს რომ თავზე მოექცეოდა, რა ხედები იშლებოდა მის თვალზინ! თითქოს ცად აფრენილი ჩიტი იყო და ზევიდან დაპყურებდა მუქ სახურავებს, გზათა ნათელ ზოლებს, ბალ-ბოსტენების მწვანე რთხუთხედებს, უსმენდა ეზოებში მოთამაშე ბალდების უვილ-ხივილს... ის მიწიდან მაღლა იყო აზიდული, მისი სულიც ამაღლებული, ატაცებული გახლდათ შინაგანი მღელგარებით, რომ ასე ფართოდ, დიდებულად გადაპყურებდა არემარეს... როცა ნიავი რომ აქეთ-იქით აქანებდა რტოს და სული სადღაც ქუსლებში ეპარებოდა, შიშისა და აღტაცებისგან სუნთქვა ეპაროდა; უნდოდა, ქვევით დაშეგბულიყო, მსხვილ ტოტზე – მჯარად, უსაფრთხოდ ეგრძნო თავი და, ამავე დროს, სურდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო ეს განუზომელი ნეტარება – ერთდროულად საფრთხისა და სიამის განცდა...

და, შიშის დასაძლევად თუ მოზღვავებული გრძნობების განსამუხტად, იწყებდა ლად სიმღრრას! გაპეიოდა ქარიგით უცაბედად მოვარდნილ სიტყვებს: „ქარო, ქარო, ნიაგქარო, დაუსტებინა, დაუბერე! აიქროლე, ჩაიქროლე, გული ტებილად ამიჩქროლე!“ მოფრენილი სიტყვები არ იყო მწყობრი, არც სრულად გამომხატველი მძლავრად მოვლენილი აღტაცებისა, მაგრამ ამას რა მნიშვნლობა ჰქონდა, მთავარი იყო, რომ შეეძლო, რაც უნდოდა, ის უვიორა სრულიად თავისუფლად, ბედნიერად ეგრძნო თავი, დაგროვილი გრძნობა ამგვარ სიმღრა-უვირილში დაეხარჯა...

ქვევიდან კი შეფუოთებული ეჯიჯდინებოდნენ:

– გიუ ხარ, შეილოსა, ნაღდი დაუზტვინე!.. რამ აგიყვანა სულ კენწეროზე, ძლიერ იკავებ თავსა! რა გადრიალებს, რომ ვერ გაგიძლოს ტოტმა და დაეძნეჭო ძირს, რაღას შვრები მაშინა?

ან კიდევ ერთი განუმეორებელი გრძნობით დამუხტგა – მთის წვერზე ასვლა: გადახედავ ამაყად გარემოს!.. შორს, შორს წევდება მზერა, უცხო მხარებს მშიერი თვალით ისრუტავ – გინდა, ყველგან ახლოს მიხვიდვ, ფეხი დააღგა იქაურობას, სხვა ხალხი ნახო, სხვა საუბარი გაიგონო, სხვა ხედები დააგემოვნო... შენი სული იტევს თუ მოიცავს მთელ ქვეუნიერებას – ოცნებებში მაინც!

კა, რამდენი ასეთი ნატერა – სხვაგან და სხვაგან განავარდებისა – დარჩა აუსრულებელი!

უცხო მხარე მხოლოდ ერთხელ ნახა, ჯარში ყოფნისას – რატომდაც შორეულ კოლის ნახევარებულზე ამოაყოფინეს თავი სამი წლით. ჯარის ნაწილიდან თითქმის არ გადიოდნენ და რა უნდა ენახა? ზაფხულში: თეთრი დამეგბი, დღეგდაღამ – უთვალავი აბეზარი კოდოს შემოსვევა, პაერში რომ ნისლივით ირეოდნენ; იშვიათად – ხმელეთში შორს შემოჭრილი პეტენგის ვიწრო და გრძელი უურის ცივ წევალში ბანაობა და ერთფეროვანი რუსი, ბრტყელი, დაბალი გარემო, მხოლოდ აქა-იქ რომ გამრავალფეროვნებულია ჯუჯა არყის ხეებით... ყურის წყლის ზედაპირის ვერცხლისფერი ციაგი... მზე მოედი დღე ტრიალებს ცის კაბადონზე და მხოლოდ შუაღამეზე ეშვება დაბლა, მაგრამ ჰორიზონტს არ მიეფარება, კვლავ მაღლა მიიწევს... ზამთარში: გაუსაძლისი ყინვა, გრძელი პოლარული ლამე და ქაბუქის ლრიალი ღუმელის საკამურში... ეს დაამახსოვრდა... ხალხი? სხვადასხვაგვარი, როგორც ყველგან... უხეშობა, ბილწიტებულია, მძიმე ფიზიკური შრომა მშენებლობაზე – მამუკა მაღალი კი იყო, მაგრამ მასზე ვერ იტყვოდი, ჯანიანიაო, ფიზიკურ დატვირთვებს ძნელდა ეგუუბოდა... იმდროინდელი ყოველდღიური ტანჯვა-წვალება ახლა აღარ ეჩვენება ისე აუტანლად, როგორც მაშინ...

მას შემდეგ შორს არსად უმოგზაურია, უმეტესად ქალაქს თუ ჩაგა, ისიც იშვიათად – რედაქციებში დატვირთვებული ლექსებისა და მოთხოვნების ამბავს გაიგებს (სულ აიმედებენ და, ბოლოს, არაფერს უბეჭდავენ!), წიგნის მაღაზიებს დაივლის, ოჯახისოფისაც სხვადასხვა წვრილმანს შეიძენს...

პო, ბავშვობაში ბედნიერი იყო – მცირე რამ პყოფნიდა, თუმცა ირგვლივ ჭადარდიდხევსა და მის შემოგარენს არ გასცილებია...

არ აკლდა მრავალი ახალი შთაბეჭდილება, ახალი განცდები – და იბადებოდნენ ახალი ლოქსები, ჩანახატები, ჩანაზერები, შემდგომ ამოუწურავ წყაროდ რომ იქცნებ შემოქმედებისთვის.

მერე თვითონაც მაღალი გაიზარდა, საკეირველი კია: მართალი რომ ითქვას, საკუთარი თავი მაძღარი არ ახსოვს, თითქმის სულ შიოდა – ბალდობაშიც, ჭაბუკობაშიც: მამა ადრე დაპკარგა და სიღარიბეში გაიზარდა... აწოწილი, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი; სახე – გრძელი, შავი ულვაშები – ქეხიანი მოზრდილი ცხვირის ჩრდილში... თაფლისფერი თვალები ყველას ბაგ-შეჭრად მიამიტურად და გამომცდელად უმზერს, მაგრამ უცებ, მოსაუბრისთვის მოულოდნებლად, კვიმატიანად იხუმრებს, თვითონაც სხვის ნათქვამზე მცირე რამეზეც კი გულიანად იღიმება... მხიარულ კაცად იცნობენ, მაგრამ არა შინ, რაზეც მრავალი საყვედური მიუღია ცოლისგან და დედისგანაც; შინ არც სიტყვაწყლიანობით გამოიჩევა და ამაზეც სულ ებუზღუნებიან, განსაკუთრებით – ცოლი: “რამ დაგემორუა? ერთს არ გამცემ პასუხს, თითქოს სულ სხვაგან ხარ, სადღაც სხვა საუფლოში, ნეტა რა ეშმაკებში დაბორიალობს შენი გონება?”...

ყმაწვილობაში და, განსაკუთრებით, ახლა – მარადი უკმაყოფილება: რასაც თითქოს ასე ცხადად ხედავს და განიცდის – ვერ ახერხდეს სრულად გადმოსცეს ლექსში; წვალობს, ხან აქვდან მიუღება, ხან – საწინააღმდეგო მხრიდან, დაუსრულებლად ახალ-ახალ ვარიანტებს არჩევს... ამაოდ! “არა, ძალიან სუსტი გამომდის...” ხევს, თავიდან იწყება... “ლირს კი ტვინის ჰყლება, რად სჭირდება ცხოვრებას ასახვა, როგორც წიგნებში წერენ, მას ხომ ისედაც ყველა მშეგნივრად ხედავს?.. ნუთუ მე გმოქრი, როგორც ჩიტი მგალობელი – გულწრფელად, მაგრამ სტიქიურად, გაუაზრებლად?.. ჩემი ნაგრძნობ-ნაფიქრალი – იქნებ შემთხვევითა და სრულიად უმნიშვნელო? თუმცა, როგორ შეიძლება, უმნიშვნელო იყოს ცხელი გულის ფეთქა, გრძნობის ურუანტელი – თუნდაც ერთი ადამიანისა?.. არა, ამდენი ზედმეტი ფიქრიც არაა საჭირო, მე თუ ეს “სიმღერა” მსიამოგნებს, გინდაც იგი უძრალო, ფერგით დარბი იყოს, შიგ ჩემი წრფელი გრძნობა მცირედად, როგორც შევძელი, მაინც ხომ არის ჩაწნული? ჩემს გულისხმას მივენდო, საკუთარი, თუნდაც პატარა სიმღერა ვთქა – ესაა მთავარი! და უნდა განვაგრძო სიმღერა, იმიტომ რომ მემღერება! და მეამება! სხვასაც თუ მოეწონება და გასიამოგნებ – ხომ კარგი, თუ არა და ვის რას დავუშავებ?”

მერე, თავისთავად, ბუნებრივად მოხდა, რომ პროზის წერაზეც გადავიდა – აქ შეუზღუდავად, უფრო ლალად გრძნობს თავს და სრულად შეუძლია, საკუთარი ნაფიქრ-ნაგრძნობის ფორმის ფალიბში ჩამოსხმა...

განსაკუთრებით ახლა, რაც ხანში შედის, უფრო და უფრო – ყველგან და ყველაფერში სილამაზეს ხედავს ან მოგონებები დაანახვებენ, განსაკუთრებით – ბაგშვობის მარად გაუხუნარი ხატებები: პაპა ტარიელა მუხამედი რომ ხარს ჭედავდა, ბრდფვიალა მზე სისხამ დილით რომ ამოდიოდა და საღამოს, დაღლილი, ლამაზად ჩადიოდა, მოვარიანი იღუმალი დამე მიიჯაჭვავდა მზერას, ბაგშვების უზრუნველი თამაში, წყიმა და ჭექა-ჭეხილი, თოვა და თოვლის ტირილი ნაირ-ნაირ სახილეელს სთავაზობდნენ თვალგასასახარად... გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ისევ გაზაფხული... ლამაზი გოგოს გაგოგმანება... ფრინველების ლალი ფრენა, ცხოველების მეტველი თვალები, ჭრელი ნახირის შეფენა მწვანე ფერდობზე, ხეებით დახრდილული ორლობე, მწიფე ალუბალს რომ მაცდურად გაღმოუენია ტოტები და გეპატიუება, მეწვიეო, ხეობის გაღმა-გამოღმა – ხუჭუჭა ტყე და ტყის ზევით – მაღალი, ლუში ფერის მოები... არეგლილი ცის გადალურჯებული წყალწმინდა მდინარის – ჭადარდიდხევის – დინება ამწვანებულ ნაპირებს შორის, ნაკადულის ენამოჩლექილი ლიკლიგი, თითქოს მობუზუნე დედა-მდინარეს ჩახუტების წინ ელაქუცებაო... ატეხილ ჭალაში – დინჯი ვერხების ვერცხლისფერი ჩურჩული... ყველა და ყველაფერი – საკუთარი იღუმალი ცხოვრებით ცხოვრობს, საკუთარ სიმღერას მდერის!

ახლაც – სიყვარულით აკვირდება ბუნებას: უყურებს შორეულ გოროზ მწვერვალებს, მთათა მხრებზე მოგდებულ ტექით მწვანე ნაბდებს... გრძნობს მზის აბრეშუმის გრძელი ხელების ნაზ ალერსს არემარეზე, შინაგანი მზერით ხედავს მდინარეთა გრილ სიღრმეებში მოსრიალე ვერცხლისგერდა თვეზებს, სველ ქვიშაზე გაშეშებულ, თითებგაფარჩეულ, თვალებდაკუსულ ბაყაუებს, ყვავილებით გადაპენტილ მინდვრებში მობზუილე ბუზ-ხოჭოების, პეპლების მოფარფატე ლაქების თამაშს...

ყმაწვილობაში – მასწავლებლისგან გაქეზებული – წერდა, წერდა, წერდა... ყველაფერზე, ყველაფერზე!..

ახლაც და ყმაწვილობაშიც – ყველაფერი აკვირვებს!.. მისი დევიზია: სილამაზე და პოეზია უნდა ემებო ყველგან და ყველაფერში, უპირველესად კი – უნდა დაინახო სილამაზე ერთი შეხედვით ყოვლად ჩვეულებრივში... აი, თუნდაც ჭადარდიდხევში დაჭერილი წვერი: თევზის ჩვენსავით ორი თვალი აქს, ერთი პირი, კბილები... ადამიანისგან განსხვავებით კი – ლაყუჩები, ფარვლები, ქერცლები, კუდი, საცურავი ბუშტი... და ორი წყვილი ულგაში! არსება, მოსული სხვა სამყაროდან, უფრო – ძალით ამოყვანილი, სხვა გარემოში მცხოვრები... სლიძინა სხეული, რომ ხელით ადვილად ვერ დაიჭირო... თუ კარგად რომ იცურაოს?.. და რის შესახებაც წერ, ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდე! კითხვა, კითხვა და კითხვა სულ სხვადასხვაგვარი წიგნების, ანცვიფრებ გარეშეთ შენი ყოვლისმცოდნეობით, მაგრამ შენ თვითოონ ხომ კარგად უწყი, რამდენად შორს არის შენი ცოდნა სრულყოფილებისგან... რაც მეტი იცი, მეტად გრძნობ საკუთარ უგიცობას... უნდოდა: სცოდნოდა ყველა მცენარის სახელი, ყველა შეხვედრილი უცნობი ყვავილი ჩახატა, შემდგომ ბოტანიკურ ატლასში მოეძებნა, სცოდნოდა ჭადარდიდხევის ხეობაში მობინადრე ყველა ნადირ-ფრინველის ცხოვრების ნირი... ბევრს კი კითხულობდა, მაგრამ წიგნებში ყველაფერი არ ეწერა და ბევრი რამ თვითოონ, დაბერივებით, შესწავლით უნდა გაეგო... ამოუწურავი მრავალუროვნება ერტყა ირგვლივ, მაგრამ ბუნებაზე უფრო ანცვიფრებდნენ ადამიანები – ყოველი მათგანი არ ჰგავდა მეორეს, დიდად განსხვავებული იყო, რთული იყო ჩასაწვდომად და მარად აკვირებდა მოულოდნებით გამოვლინებებით ხასიათისა თუ ქცევისა... შინაურებიც კი მისოვეის მნიშვნელოვანწილად გამოცანას წარმოადგენდნენ...

საიდუმლოება! აი, რა იზიდავდა მამუგას ბუნებაში – მკვდარშიც და ცოცხალშიც. თუმცა, როგორ შეიძლება, მკვდარი უწოდო თუნდაც მდინარისპირა ქვიშნარის, ალაგ-ალაგ რომ გაიყვება შედარებით დამდოვრებულ აღგილებს. ეს თითქოს უძრავი, გაშეშებული ქვიშნარი დაუგირებებული თვალისთვისაც კი მოძრავია: ყოველი წყალდიდობის შემდეგ სულ სხვაგვარი წარმოჩნდება,

ფრიად სახეშეცვლილი და მხოლოდ წყლის წალეკგას გადარჩენილი იალღუნისა თუ ქაცვის ბუჩქები არიან დარჩენილი ძეგლ ადგილზე, ალაგ კი – ახალი მინასილია, ალაგ – ქვიშის ნასახიც აღარ არის, იქ ახლა მდინარე ტალღებს ცელქად მიათამაშებს...

მამუკას ზმანებები, ხატებები, დაკვირვებები, ჩანახატები: ცხენებზე, მცენარეებზე, მამალზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, მდინარეზე, მდინარის პირას დაყრილ ქვებზე, ქარაფზე, რომელზეც ამოსულან ხები კლდოვან გამონაშვერებზე; შვეულ კედელზე ქანები ჩაწყობილან, ქვეით, ძირში დაგროვილა უსწორმასწორო ჩამონაშალი-ჩამონაფხვენი, რომელზეც ათასგარი ხებუჩქი დაბინა-გებულა; ფერდობზე: ალაგ – ეული ხე, ალაგ – ღვის მუქი მწვრნე ბუჩქნარი, ჩიტა-გაშლა, ყვავილები: გრძელკისერა მაჩიტა, შროშანი და ბუღულისკაბა... ასკილის დაბურღულ, ეპლიან ტოტებში – რომელიდაც ჩიტის კოხტად მოწული ბუდე გამოჩნდება გვიან შემოდგომაზე, როცა ფოთოლცვენა ჩაივლის; რამდენიმე გაყვითლებული ფოთოლი ბუდეშიც ჩაფრენილა-ჩაფგნილა... შემოდგომა ჭალაში – მართლაც ზღაპარია, ყველაფერი ყვითელ-ნარინჯისფრად ირთვება: ხვალო – ჭალის ვერსი, ქაცვის წვრილი, მუავე, სურნელოვანი ნაყოფით დახუნძლული ტოტები, მაყვლის ბარდებიდან ჭახჭახით გამოფრენილი შაშვი...

გიუმაჟი ჭადარდიდხევის ხეობა: ალაგ – ტყე ჩამორბის ციცაბო ფერდობზე და პირდაპირ მისდგომია მდინარეს, ალაგ – ქარაფვანი, კლდოვანი კედლებით შეზღუდული წყლის ნაკადი მოშეულის, ალაგ – გაშლილი ნაპირები, დანასილი, ფშანი, ჭალა, ალაგ – მცირე კუნძულები... წყლის დაუდგარი, დაუსრულებელი სრბოლა – მდინარებს, წინ მიისწრავის, ცოცხალია! ირგვლივ სხვა ყველაფერი გარინდებულა და მდინარის ნანას უსმენს – მთებიც, ხეებიც, ქვებიც, ნაპირებიც, ფლატებიც... მაღლა ცაში ღრუბლები ნელა მიღოდავენ... უნდა დაუგვირდე მათ მდოვრე გადაადგილებას, რომ მათი ცვალებადობა შეამჩნიო – მედიდურად მიცურავენ, ფორმათა დიდებული საზეიმო მსვლელობით ოვალს ატყვევებენ...

მდინარეც თვალს ატყვევებს – ცელქი თამაშით, სიცინცხლით, მოუსვენრობით, სიმღერით! მოუდლელად მოიმღერის: ხეობის კალთებს გასძახის, ნაპირებს ეკლურტულება, ქვებზე მალაქს გადადის შრიალ-დგაფუნით, ხანაც პატარას წაიჩანებერებს და მოჩუხჩუხებს, ქაფმოგდებული აგრძელებს გზას და ბუტბუტ-დუღუნით ერთნაირად თავდაჯერებულად და თავმომწონედ მისრიალებს მაღალ თუ დაბალ ნაპირებს შორის...

გარშემო ყველაფერი მდინარისკენ მიიღო ცხოველი, მწერი, ფრინველი, ადამიანი: სურთ, ჩაიხედონ მისი ზედაპირის სარკეში... მის მოლივლივე ზედაპირზე ღრუბელთა ანარეკლები ცეკვაგენ, ხეები ფეხს იდგამენ, ფლატები და კლდებიც კი იგრიხებიან და საკუთარი თავის კარიგატურას აგვირდებიან... გაშტერებულთ უგვირთ: “ეს მე ვარ?”

გელი, მინდორი, მდელო: ბადბა, ბაია, ნიახურა, ბაბუაწევერა – ბალახის ზურმუხებში ანათებენ მათი ყვავილები, მზის დარი ყვითელი თვალები; ვარდკაჭაჭა ლურჯი მიამიტი თვალებით შესცეკერის უღრუბლო ზეცას; უკარება, ღონივრად აზიდული, მჩხვლეტავი აბჯრით შემოსილი ნარის იასამინისფერ ყვავილ-გირგინს ესევიან პეტლები, ხოჭოები, ბუზები; ნაცარქათამას, ჯიჯლაყას, ძაღლის ქინძს და სხვებს, განურჩევლად ყველას, ყელზე ალერსიანად შემოხევევია ხვართქლა...

ტყისპირი: ბუჩქნარი, ზამთრის ბოლოს – თეთრყვავილა ჯგროდ ამოუშუნდება; ადრე გაზაფხულზე, ჯერ რომ თოვლიც ბოლომდე არ გაპარულა – ყოჩიგარდაც ცხოველხატულ ხალიჩად მოედება ტყისპირებს; ზაფხულში – მარწვევის მარცვლების სისხლისფერი ჩანაწვეთები მწვანე ბალახის ხავერდზე; ბუჩქნარში მძრომიალე ჭრელი კაჭაჭახის ჭახჭახის; დღის ბოლოს კი, როცა მზე დასალიერს ამშვენებს და თვალს თამაბად უსწორებ მის ბრწყინვალებას, ნაზად სტვენს უხილავი შაშვი – სადღაც მაღალი ხის კენწეროში; მისი გალობა საოცრად ამშვენებს და ხახს უსგამს გარშემო დაგანებულ სიმშეიდეს...

ტყე – მთელი სამყაროა... იდუმალი, საკუთარი განონებით მცხოვრები, გარეშეთათვის – საიდუმლოებებით დაყურსული... ზღაპრული... მიმზიდველი თავისი უჩვეულობითა და დაფარულობით... ტყის შიგნით, სიღრმეში: წიფლისა და რცხილის ნათელი ტანების ჯარი, ნიავი აჩურჩულებს ფოთლებს, ატყებს პაპას წვერებივით ტოტებიდან ჩამოკონწიალებულ რუს-მწვანე მდიგრებს; მზისგან ხეივებისგან მოფარებულ, მყუდრო ადგილებში – ლოდნარზე და ალაგ მიწაზეც – გაფენილა ზურმუხტა, რბილი ხავსი... ჩამოჯდები ზედ სიარულისგან გულაჩროლებული, ისვენებ, სულიც სიმშეიდეთა და სიამით გევსება; გარშემო ტყის მრავალფეროვან ცხოველებას აკვირდები და ყოველთვის რაღაცას ახალსა და მიმზიდველს აღმოაჩენ... ამოუწერავია ტყის საკვირველებანი!

მთები – დილით, შუადღეზე, საღამოს, დამე... მწვანედ მოხასხას ფერდობები, ალაგ – იშვიათი ბუჩქნარით დაწინწელულნი, ალაგ – ნაცრისფრად დაღარულნი; ზევით – მოღუშული კლდები გაღმოგეცერიან; მათ ძირებში, ნაშალში, – მცხუნვარე მზის სხივებით გალადებული უოლოს ბუჩქნარია, რომლის სტუმრობაც, უთვალავი ხოჭო-მწერის გარდა, უყვართ ადამიანებსაც და დათვებსაც... მთებს ზევით – ცა, უძირო, ლურჯი, გამჭვირვალე და ნაზი...

ელაკარაკება: ცას! დამეს! ხეებს! მდინარეს! შორეულ მთებს! ისინიც რაღაცას პასუხობენ მას – უხმო, უხილავი, მაგრამ გრძნობით გამობარი ნაგადი უსებს სულს... გრძნობის სისაგისით უნდა, მთელ ქვეწიერებას ჩაეხუტოს, ყველას და ყველაფერს მიეალერსოს... სტიქიონივით მოვარ-

დნილი აღალი სტრიქონები ლაღად გადმოიღვრება სუფთა ქაღალდზე... უდიდეს სიამეს გრძნობს - შედევრი დაიბადა.. მეორე-მესამე დღეს კი ციგი გონებით გადაიკითხავს აჯღაბაჯღად, ნაუცბა-თევად ნაწერს (უნდა, გადაწეროს-გამალაშინოს, ზოგ სიტყვას ძლივს არჩევს) და გული წყდება - როგორი უსუსური ყოფილა მისი კალამი, რა უფერული სტრიქონები გადაუტანია ქაღალდზე... მაინც ედიმება - ამ სტრიქონების გამომწვევი ლამაზი მოგონება ხომ დარჩა მასში!

კიდევ პარგი, ყოველთვის გულნაკლული არ რჩება და ზოგ ჩანაწერს თითქოს არა უშავს რა, ლირს შემდგომ დამუშავებად... ხანდახან რომელიმე ძველ უწიფარ ჩანაწერშიც უცებ აღმოაჩენს თემის ახლებურად გადმოცემის შესაძლებლობას, უფრო ღრმად ხედავს, უფრო მრავალეროვნად და შესაბამისი სიტყვებიც თავისთავად, დაუძაბაგად მოდიან და მწყობრად ლაგდებიან...

მისი წარმოსახვის სამყაროში იშვიათია წარსულის ზმანებები, შორეული, მიუწვდომელი სამყაროები თუ ქვეყნები - ის აქ არის, მთლიანად და სავსებით ამ ერთი ბეჭო ხეობაში ჭადარდიდ-ხევისა, ერთ მცირე სოფელში მისი მცირე ცხოვრებისეული ქარიშხალებითა და ვნებათა დუდილით... თუმცა, ორივე უეხით კი დგას ამ ცოდვილ და მაინც მშვენიერ მიწაზე, მაგრამ არც ოცნებას გაურბის - რა პოეტია ოცნების გარეშე!

თვითონაც უკვირს: სულ სხედასხვაგარი ჩანახატებია, თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი: ბუნების შესახებ - ლირიკული გრძნობით გამოტბარი, ადამიანებისადმი მიძღვნილი - მხიარული და ზოგჯერ - გამკილავიც... ბაგშვილიანები “მაგნე” ბიჭის სახელი პეტრებიანი გადარდნილი, რაღაც სახუმარო შაირებს გამოოქამდა; ზოგ-ზოგებს ეშინოდათ კიდეც მისი!

ყმაწვილობის გაუხენარი მოგონება: ერთ ზაფხულს ჩამოყიდნენ ქაღაქიდან მსახიობები, გამართეს დრამატული წარმოდგენა... მამუკა სულგანაბული მისხერებოდა მისთვის ახალ, ჯადოსნურ სამყაროს, სადაც მშვენიერი ქალწულები და მჟექარებებიანი გაუკაცები ებრძოდნენ სიცრუეს, ძალადობას, ბოროტებას და ცხარე ბრძოლაში სასტიკად ამარცხებდნენ... მღუღარე სული ყელს ებჯინებოდა და ჯერ განუცდელი, უცნაური სიამით ავსებულ სხეულს მოქმედება სწეუროდა - უნდოდა, ავარდნილიყო სცენაზე, დასტაკებოდა ყოველივე უსამართლობას, მოფერებოდა და ჩაგრულს, დაეცა სუსტი...

მამუკა მთელი კვირის განმავლობაში სიზმრებს ნახულობდა, რომელშიც ცოცხლდებოდნენ წარმოდგენის გმირები და სიამეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ამჯერად მთავარი მოქმედი პირი თვით მამუკა იყო... მეგობარ-ამსანაგებთანაც კარგა ხანს პეტრებიანი გადაპარაკოდ წარმოდგენისგან მიღებული შთაბეჭდილებები... ორი კვირის შემდეგ კი მოწაფეებმა სკოლის სასპორტო დაბაზში დადგეს საკუთარი სპექტაკლი მამუკას მიერ სახელდახელოდ დაწერილი პიერის მიხედვით. მამუკამ მიბაბა და ძოლომდე არც მიჰყვა ნანას წარმოდგენას: სახუმარო პიერსა გამოუყიდა - ამბის ქარგად გამოიყენა ნანახი, ოღონდ გადასხვაფერებულად, პერსონაჟებიც ჩაანაცვლა და სატირულად გამოიყენა სოფლის ნაცნობები. მოსწავლეთა წარმოდგენა სულ სიცილ-ხარსარში მიღიოდა, მაგრამ შემდეგ კი ზოგიერთები მამუკასა და მის მეგობრებს გალახვითაც კი ემუქრებოდნენ... შინ დედა წყდებოდნა: “ბალდო, ეს რა პეტრი, სასაცილოდა გაქცს საქმე? გადაგვაშენებენ მთელ ოჯახსა!”

რადიოს ყველა თეატრალურ გადაცემას გატაცებით უსმენდა, უამრავი პიერთა. თვითონაც კიდევ რამდენიმე პიერსა დაწერა, მაგრამ მათი ჭადარდიდის სკოლის სპორტდარბაზში და, მით უმეტეს, კლუბის სცენაზე გაცოცხლება აღარ მოხერხდა - აღარავინ ისურვა აუტკიებელი თავის ატკივება, რადგან ახალი პიერსები მხიარული კი იყო, მაგრამ ისევ და ისევ ვიღაცევიდაც თვალში არ მოუვიდოდათ... არც ავტორს გამოუდევია თავი: ძალაუნებურად მას ნაწარმოებებში სულ ნათესავ-მეგობრები თუ ნაცნობები გამოჰყავდა, თუმცა მეტ-ნაკლებად სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც ერთი-ორი მცირე დეტალითაც კი ყველანი იცნობდნენ და თუ უსიამოგნებას არ გადაეცერებოდა, წყენას მაინც ვერ ასცდებოდა... თუმცა ზოგი პიერსა ისეთიც დაწერა, რომ თვითონვე უკვირდა, საიდან მომაფიქრდაო - მსგავსი ამბავი არც გაეგონა, თანაც თითქოს თავისთავად, დაუძაბავად პეტრიდა მთლიანად ფანტაზიით შეთხეულს; სწორედ ამგვარი პიერების წერისას განიცდიდა მეტ აღმაფერნას - რამდენი მისთვისაც მოულოდნელი რამ იღვრებოდა მისი კალმის წერიდან და სულს სიამით უგვებდა; ამ დროს რომ ვინგეს დაენახა, როგორ დასთამაშებდა მის სახეს დიმილი, ნამდვილად იფიქრებდა - შექანებულა საწყალიო...

ყველაზე უფრო გული იმაზე წყდებოდა, რომ სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო: სკოლის დამთავრების შემდგომ ორ წელიწადს ამაოდ ცდილობდა უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაულტეტზე მოხედრას, შემდგომ ჯარში მოუწია სამი წლით წასვლა, იქიდან დაბრუნდა და - მამინაცვალი გარდაცვლილი დახვდა, ოჯახში მუშა მამაკაცი მხოლოდ ის დარჩა, ბევრად უმცროსი ნახევარმა ჯერ სკოლაში სწავლობდა; ყოველდღიურ საოჯახო საქმეებში ჩაება და, ცხადია, უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგანოთა გეგმაზომიერი შესწავლის თვის ვერა და ვერ იცლიდა... სულ ვარაულობდა: “წელს ვეღარა და მერმის კი აუცილებლად წერილი, დედის დაენიებული მოთხოვნით, “გაბედნიერდა” - მზევინარი ითხოვა...”

ამ ამბავსაც მოგითხოვთ, ოღონდ მანამდე მამუკას ერთ ლირიკულ ჩანახატს მოვიტან...

(მამუკა სახელდახელოდ გაბეთებულ ჩანაწერებს, მათ შორის, მრავალს - შემთხვევით ხელში მოხედრილ ფურცლებზეც, სათუთად ინახავს სკივრში, რომლის წარმეტვასაც ცოლი სულ

ცდილობს – ტყუილად იკავებო; შემდგომ მათგან ზოგიერთს – შედარებით დასრულებულს ან შინაგანი პოტენციალის მქონე ლექსს, ჩანახატსა თუ მოთხოვობას – შავად დაასრულებს, გადაწერს და დიდხანს აშალაშინებს, დაუსრულებლად შეაქვს შესწორებები, სანამ საბოლოო გადაწერდეს ერთ დიდ, საგანგებოდ შეკერილ საერთო ოკეულში-წიგნში, რომელსაც “ფიქრთა თოვას” უწოდებს; თუმცა იქ მოხვედრილ ნაწარმოებებსაც ზოგჯერ უბრუნდება, ახალ-ახალი შესწორებები შეაქვს, ზოგჯერ – ფრიად საფუძვლიანიც და იძულებული ხდება, სუფთა გვერდზე გადაწეროს... ეს რვეული საგანგებოდ აქვს გადამალული, რადგან შიგ მრავალი ადრინდელი შაირი თუ სალალობო ლექსიცაა და, ვინიცობაა, საყოველთაოდ გამჟღავნდეს, მამუკას მავანთაგან საყვედური და მუქარაც კი არ ასცდება; ასეთი რამდენიმე შემთხვევა მოუხდა და მას შემდეგ ფრთხოლობს).

## ქარის სიმღერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

ვის აინტერესებს ქარი?

ყველას!..

განსაკუთრებით?

მრავალს: მეტეოროლოგებსა და დამსვენებლებს, ექიმებსა და გულით ავაღმყოფებს, მიწის მუშებსა და მებადურებს, მეტვაურებსა და მოგბაურებს... და გამორჩეულად – პოეტებს!

აბა, პოეტებო, ჩამოვთვალოთ, რამდენნაირად მოიხსენიებით ხოლმე ქარს (ხან აძაგებთ, თუ ცეცენებაზე ბრძანდებით, უფრო კი – აქებთ, პოეტური ტალღით ატაცებულნი): ქარი, ბუქი, ქარბუქი, ქარტეხილი, ქარშოშინი, ხორშაკი, ბორია, ბორიო, ქარბორბალა, ბორბალქარი, კუდიანი ქარი, გრიგალი, ბენა, ქვენა, ბურგის ქარი, პირქარი, სამუმი, მისტრალი, ბორა, ტაიფუნი, ტორნადო... ქარაშოფი, ქარიშხალი, სიო, ნიავი, ნიავქარი, ბეფირი, ქარბორიო, გრიგალი, თოვლბუქი, მუსონი, პასაფი, ჰამსინი, ჰარმაგანი, ჰაბუბი...

არეულად ჩამოვთვალე, რამდენიმე ალბათ ვერ გავიხსენე!

მივცეთ სიტყვა ქარს – როგორ მღერის, რატომ მღერის?

ქარს მარგოს სიმღერა არ მიყვარს, სხვებსაც ავიყოლიებ: ნიავქარად ვჩურჩულებ რტოებში, სიოდე ვსისინებ შიშველ ტოტებში, გრიგალის ღრიალად ვცელებო საკამურებში, პირქარის შხეილად გესტურებით ყურებში და ბოგჯერ – ხელებს აგაფარებინებით ან ქუდს ჩამოგაფხატებინებით, რომ ჩემი სიმღერა არ გაწუხებდეთ...

მიყვარს თამაში: ვაბიბინებ ბალახებს, ავაგალდებ გბორ-ტბათა ზედაპირს, ავამღელვარებ ბლვებს, თუ გავბრამდი – გორებად, უგარმაგარ მთებად ვაქეცე; მათი მწყემსი ვარ – ავბილავ-დავტილავ ღრუბლებს, გავრეკავ-გავლენი ცხვრის ფარასავით და მოქანდაკეც ვარ – ვძერწავ მათგან საოცნებო ციხე-კოშკებს, დიდცხევირა, პირდალებულ სასაცილო აღამიანებს, გველეშაპებს, სხვადასხვა ცხოველებს, ციხე-კოშკებს...

მხიარული ვარ: მიყვარს ყველაფრის არევ-დარევა, თან ვესტვენ, ბოგჯერ – ვმდერი ან ვხარხარებ კიდეც, ხანაც – მთლად გავგიფედები და გავკივი, ვღრიალებ, შესამინებლად მგელივითაც ვყმუ...;

ალერსიანიც ვარ – ვკოცნი ტბის, გუბურის ბედას ბედამირს: წერილად დავუნაოჭებ სიცილში წყლის სარკეს... ხეებს ალერსიანად ვუვარცხნი ქოჩორს...

განსაკუთრებით მიყვ არს ხეებთან ღლაბუცი: ბაფხულში ხომ ავაცეკვებ ტოტებს, ვეჩურჩულები ფოთლებს, შემოდგომაზე – უფრო ხშირად ჭიდაობაზე გადავდივარ და დავბრუც ხეებს, რომლებსაც კი მოვერევი და, შესაძლოა, თუ მთლად გადავირიე, გაჯიუგებულთაგან ბოგიერთი წავაქციო კიდეც და ფესვები პაერში ამოვაშვერინო... ტოტებიდან მოვიგაცებ და გაგაფრენ ფოთლებს, მიწიდანაც ავხვეტავ და წამოვაფრენ: “კი, დაბერდით, გაყვითლდით და დაწითლდით, ბოგნიც გამოშრით და გაყავისფრდით კიდეც, მაგრამ ნუთე არ მოგენაგრათ პაერში ჩემთან ცელქობა და ბლლარმუნი? ახლა მეგსაც გამირდებით: ყირამალაც ამოვაგრიალებთ, დაგაგრიალებთ და თავბრუს დაგხვევთ, მერე ისე მაღლა აგიგაცებთ და შორს, შორს წარგიფაცებთ კიდეც, საბაც არც კი იონცნებდით მოხვედრას! ბოლოს, მოგაქეჩებთ ღობე-ყორებების ძირას, მოფარებულ აღდილებში – ბურბურა ბალახთან, ქაღალდის ნაფლეთებთან, და სხვა გატაცებულ მსუბუქი ყოფაქცევის საგნებთან ერთად”...

დიახ, მიყვარს ცელქობა! გვერდულად წაგაბარგმავებ ქათმებს, ავუშლი ბურბულს, სახლთაგან მოვიდაცებ სახურავებს, მივაწვენ უგემურად გამართულ ღობებებს; ადამიანებს კი: ხან – გელამუნებით სახეებზე, სასიამოვნოდ გიქიქინებთ და შეებას გვერით ბაფხულის დახუთულ სიცხეში, ხანაც – გავჯილები ხოლმე: ან კედელივით დაგიდგებით და წინ არ გიშვებთ, გასაქანს არ გაძლევთ, დამატებით კიდევ სახეში მფვერსა და ქვიშას გაყრით, ან ბურგში ხელს გკრავთ და ჯიკავ-ჯიკავით ძალით მიგარბენინებთ, ვითარცა გაჯიუგებულ ბაგშვებს...

იშვიათად – ქარბორბალად დავგრიალდები ცეტივით და მაშინ ყველაზე სახიფათო ვარ! ყველაფერს განურჩევლად ვისრუფავ შავად და ავად მბრუნავი ხარბ ხახაში, გადავუძახებ გაუმაძარ, უძირო

სტომაქში, ავიტაცებ მაღლა-მაღლა, ღრუბლებთან დაგამმობილებ, შემდეგ კი, უნდობანილი, ძალადაც-ლილი, შევეშვები – ჩამოყური და მიმოვფანტავ მიწაზე მოტაცებულ-ნაბურთალს...

დიახ, მიყვარს მსახიობივით გარდასახვა: ხან – ალერსით დაღლილი, ნელი, უდრტვინველი, სევდიანად მოსისინე ვარ; ხან – მშუოთვარე და უხეში, უტხი და ჯიუგი, შეილით გადავგლიჯინდები მთიდან – ხევში, ხევიდან – სოფელში, სოფლიდან – ველში, ველიდან – ტყეში, ტყიდან – მინდორში, მინდვრიდან – ქალაქის ქუჩებს დავურბებ... აგლეჯილ სახურავებს ვახურდავებ აფრიალებულ ფოთლებზე, უბოდიშოდ ვაღებს კარებს, ურდელგაყრილებსა და ჩაკეგილებს კი ყაჩანვარებ და შენგრევას ვლამობ... შრომაც შემიძლია: ვამუშავებ ქარის წისქილებს, ქარის ელექტროსადგურებს...

დაუდეგარი ვარ და მოუსვენარი; უჩემოდ ბუნება ვერ იარსებებს, თუნდაც ღრუბლებს ვინ წაიღ-წამოიღებს, ხეებზე ფოთლებს ვინ გააცოცხლებს და ააჩურჩულებს, კვამლსა და მტვერს ვინ გაფანგავს...

## ქ ა რ ი

– მიჰქრის ქალი, ქარი-ქალი:

თმაგაშლილი, გაჩეჩილი,  
ანწელი ქალი-ნაღვერდალი,  
ხან – სისინა, ხან – მკიანა...  
კაბის კალთას აფრიალებს,  
ღრუბლის ფარას გამორეკავს,  
მთებს მსწრაფლ გადააფრინდება,  
ველთ კვიცივით გადაირბენს...

– აბა, რას ამბობ, ქარი – კაცია:

დაბანცალებს, აწყდება აქეთ-იქით,  
ედება მთვრალივით ღობე-ყორეს  
და ბდავის თუ მდერის – ვერც გაიგებ!

## ქარი IV. მამუკა კალმახაური და მზევინარი

მზევინარი თუმცა დაბალი, მაგრამ თეთრ-ყირმიზი, პირმრგვალი, კეპლუცი გოგო იყო და ოც-დაათ წლამდე ისე მიაღწია, რომ რატომდაც მთხოვნელი არ გამოუწნდა და კინადამ დარჩა გაუთხოვარი. ბოლოს, მოველინა მშველელი: ერთმა მაჭანკალმა – თარსმა ტასომ! (მაშინ ტასოც ახალგაზრდა იყო) – გაურიგა მზევინარის კბილა მამუკა კალმახაური, სოფელში პატიოსხებითა და შრომისმოყვარეობით ცნობილი.

როგორც თვითონ ტასო ამბობდა, მას თემოები ამოუგდო დაბადების ღროს უხევირო ბებია-ქალმა (უფრო საფიქრელია – ბუნებით ასეთი დაიბადა) და დარჩა სამარადეამოდ კოჭლი – სიარულისას სულ აქეთ-იქით დაკვანჭილაობს.

ტასო თავს ოჩჩნს წვრილმანი გაჭრობით – მოხალული მზესუმზირის, კანფეტების, პაპიროსისა და სხვათა გაყიდვით; მთავარი საქმიანობა კი – მარჩიელობაა! ასევე, მარად წვავს და ხრუგავს უზომო ცნობისმოყვარეობა, სხვათა საქმეებში ცხვირის ჩაყოფის, დაფარული ამბების გამოჩერეკის დაუოკებელი სურვილი და გარშემო მყოფთავის ჭორ-მართლის განდობა – ეს არის მისი ცხოვრების მთავარი აზრი... სანდომიანიც კი ეთქმოდა, თეთრ, ჭორფლიან, სავსე მთგარესავით მრგვალ სახეზე, ზედა ტუჩის კუთხეში, მარცხნა მხარეს რომ არ პქონდეს ფურნის ჭიასავით დასკუბებული მუქი, ამობურცული, დიდი, შავი ხალი... წითური, ხეეული, ხშირი თმა რატომდაც თავისუფლად გაშვებული აქვს, მის ნებაზე და თავზე ბუჩქივით ადგას; დავარცხნისას კიდევ უფრო იჩქავს, თითქოს თავზე ხანძარი გასჩენიაო – ალბათ მოსწონს საყველ-თაო უურადღების მიპყრობა ამითაც. ყოველთვის მხიარულია, პირმრგვალი სახე – მარადუამ ქმაყოფილი და გადიმებული, ცოცხლად უბზინავს შავი, ოდნავ დანისლული თვალები... ამბებისა კი უფრო ცუდის თქმა იცის, ერთიც არ გამოეპარება და მთელ სოფელს მოპფენს – სულ დიმილით, თანაგრძობით, თითქოს მობორიშებით: “გოგიას ხბომ ფეხი მოიტეხა”; “საწყალ სიმონიკას სისხლიანი ბუასილი აქვს, არ იცოდი? ისე იტანჯება, ფეხსადგილში რომ მიდის, არ დაელაპარაკო, თუნდაც კარგი ამინდის შესახებ, თორემ მოგკლავს!”; “ღომას ავი თვალი აქვს, ბევრჯერ მაქვს დაცდილი; ამას წინათაც შემხვდა წყაროსთან და ნახევარ საათში წაგიქეცი, კინაღამ ფეხი მოვიტეხე”; “არსენა ჭუტალა იმ ბუდალტერიის ბებერ ვირთხასოან, ბებიკასოან დაძვრება – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო?”

მართალია, სიტყვით უკელგან უტარო კოგზივით უნდა ჩაეჩიროს, საქმით კი ტასოს თითქოს ცუდი არავისთვის გაუგეოთებია, თუმცა შემდგომ მამუკა სულ სწყველიდა იმ დღეს, როცა მაშვლის მომაბეზრებელ, აბეზარ შემოტევებს ვეღარ გაუძლო და ცალყბად მიუგო: “კარგი, შევხვდე-

ბი შენს ნაქებ ქალს, შევხედავ, გავესაუბრები, მაგრამ ვერაფერს დაგპირდები, წინდაწინ ვერ გეტვები, შევირთავ თუ არა”...

შეხვედა, ახედ-დახედა, გაესაუბრა (ადრეც მრავალგზის ჰყავდა ნანახი, მაგრამ უურადღება არასდროს მიუქცევია) – მზევინარი ისეთი მორიდებული ჩანდა... ჩუმი, უსიტყვო... დაბალი, ფუნ-თუშა... მრგვალი, თეთრი სახე, მრგვალი თვალები, რომლებიც თითქმის სულ დახრილი პქონდა და... უზარმაზარი მრგვალი საკურრევები!.. მოშვილდული წარბები ამოექნა, ძაფივით გაეწვრილებინა, თმა დიად, თითქმის ყვითლად პქონდა შეღებილი; ისედაც ქერა იყო და კიდევ უფრო გადი-ავება თმებისა რაში სჭირდებოდა? “გაი, შენს პატრონს!” – უნებურად გაიფიქრა მამუკამ. ამბო-ბენ, თვალები სარკეაო სულისა (ერთადერთი თვალები მოწონა ქალისა – დიდი, მომწვანო), ალბათ ამ კანონზომიერებიდან გამონაკლისი არც ისე იშვიათი უნდა იყოს – გულუბრყვილო მზერა ქალისთვის მხოლოდდა ნიღაბი იყო ალბათ, როგორც კარგა ხნის შემდეგ მიხვდა მამუკა... ისეთი მიკავებული ხმით ლაპარაკობდა, რომ ტასოს უხდებოდა მისი ნათესავის ხმამაღლა გამე-ორება, რათა მამუკას გაეგო “საცოლის” ნათესავი.

არავითარი გრძნობა არ გასჩენია – არც მოწონების და არც დაწუნების: ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალიშვილი ჩანდა; თუმცა, თვითონაც შესახედავად რომ არ იყო ყარამან ყანთელი, ესეც მშვენივრად იცოდა.

ალბათ ეს მაჭანკლობა უშედებოდა ჩაიგლიდა, მაგრამ მამუკას საძუთარი დედაც, გასასი, შე-უწნდა: გინდა თუ არა, ეგ ქალი ითხოვეო... მამუკას ვერაფრით გაეგო, რით მოხიბლა “სარძლომ”, რა დაინახა თუ შეიგრძნო მზევინარში ისეთი გამორჩეული და დასაფასებელი? ცოტა ხანს ყოფ-მანობდა, შემდგომ კი რამდენჯერ წყევლიდა საკუთარ წუთიერ სისუსტეს, როცა ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურ წნევს და – თითქმის საძუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ – დაჟუბულდა და-დის დაჟინებულ მოთხოვნას...

არ გასულა დიდი ხანი და დედამისმა და ცოლმა “საერთო ფრონტი” გახსნეს მამუკას წინა-აღმდეგ, დღენიადაგ ეჯიჯლინებიან: “შე ურჯულო, უპვე შვილები გყავს, ცოლსა და მოუც და-დასაც მიხედვა უნდა, რა დროს სისულელების ჯღაბნა? აღმა-დაღმა ხეტიალსაც შეეშვი, ოჯახში ეს ერთი კაცი ხარ, ათასი საქმეა გასაძეოებელი... სულ სხვებისთვის ხარ, საკუთარი ოჯახი შენთვის არ არსებობს...” საყვედურობენ: “სალალობო ლექსებს რომ წერ, საოცარია, ოჯახში რატომდა ხარ სულ დაღვრებილი, წარბშეერული? ხუმრობას ხომ ვერასდროს გაიგო-ნებს შენგან კაცი, მეტიც – ერთი ტკბილი სიტყვაც კი გენანება... კვირა ისე გაივლის, მხოლოდ ორ-სამ სიტყვას თუ მოგვიგდებ სამაღლოდ, კაცი ხარ შენ თუ გუდურა?”

ძალიან ცდილობდა, მაგრამ ცოლს ვერ გაუგო ვერაფერი... რა სურვილები პქონდა ცხოვრება-ში – გერიელად ჭამა-სმისა და კოხტად ჩაცმა-დახურვის გარდა?.. ცხადია, ადამიანს ესეც სჭირ-დება, მაგრამ სხვა? სხვა ადარაფერი უნდა გაინტერესებდეს, არაფერი გაღელვებდეს? არა, მთლად სამართლიანი არ არის მამუკას საყვედური – მზევინარს სჭირდა ერთი, ქალთაოვის და, საერთოდ, ადამიანთაოვის დამახასიათებელი თვისება – ცნობისმოყვარეობა! მამუკასაც, შესაძ-ლოა, ამ ცოფელში ყველაზე უფრო გამძაფრებული ცნობისმოყვარეობა ახასიათებდა, მაგრამ მზევინარის ცნობისმოყვარეობა სულ სხვაგარი იყო, სხვა ყაიდის ცნობისწადილი არ ასვენებდა! ტყუილად კი არ იყო თარსი თასოს განურელი მეგობარი. ერთი ეგ იყო, რომ, ტასოსგან გან-სხვავებით, მის ცოლს მარად შეწუხებული სახე პქონდა, სულ რაღაცით უქმაყოფილო იყო... არც ის ეტყობოდა, გარეგნულად მაინც, რომ დიდად მაღლიერების გრძნობით იყო აღვისლი დობი-ლის მიმართ, რომ ასე იღლივანად გაურიგა მამუკა: მზევინარი, დღეში რამდენჯერმე მაინც, ხმა-მაღლა, – მხოლოდ ქმრის გასაგონად კი არა, მეზობელთა მოსასმენადაც, – წყევლიდა იმ დღეს, როცა თანხმობა განაცხადა მამუკას ცოლობაზე!

და ცოლის ამგვარ გაწიმატებაზე მამუკას მწარედ ეცინებოდა...

მაინც, შინ რომ სულ ჯიჯლინებდა და საოცარი უნარი პქონდა, მამუკა ცუდ გუნებაზე დაეჭ-ნებინა – ისე, სულ არაფრისგან, უმიზეზოდ, ყოველთვის მოუქმებილა სასაყვედუროსა და საშა-როს, გარეთ სხვაგარი იყო – მარად გაღიმებულს ხედავდნენ, ის კი არ იცოდნენ, რა დაფარუ-ლი ბოლმა ტრიალებდა ამ პირმრგვალი, გაღიმებული სახის პატრონის გულში.

პოი, რა ველ-მინდვრის თავზე დატრიალებული ფრთაგაშლილი ქორის ფხიზედი და გამჭრი-ახი თვალი აღმოაჩნდა მზევინარს! მეზობლობაში და მის იქითაც ახლომახლო თაგვი ვერ გაფა-ჩუნდებოდა, ქათამი ვერ დადებდა კვერცხს და ძალილიც ვერ დაიყევებდა, მას რომ არ გაეგო, არ აეწო-დაეწონა, კუდი არ გამოება... და რატომდაც ამოჩემებული პქონდა, ყველაფერი მამუკას-თვის წვრილად უნდა ჩაეგაქლა, სულს უწუხებდა თავისი გაუთავებელი დაგირვებებით, ეჭვებით, დასკვნებით... დაგემოვნებით ქაქანებდა, მხიარულად უბზინავდნენ ცნობისმოყვარე თვალები და მაღლა აზიდული ამოქნილი წარბების რეალებიც თითქოს მოუთმენლობისგან კიდევ უფრო იზ-ნიქებოდნენ...

ადრე თუ გვიან მამუკას მოთმინების ძაფი უწყდებოდა:

– დამანებებ თავი, ქალო, აღარ მოგბეზრდა მეზობლების ლანდღვა? რას დამდევ სულ კუდში, ხომ ხედავ, არაფერს გაბასუბო! პო, გავიგე შენი წვრილად დაჟევილი, გავნათლდი, მეტი რა გენა? უპვე გამილაყდა ტვინი!

– მეც თავი მტკიგა.

- ამდენი ქაქანით აბა რა დაგემართებოდა... სველი ტილო წაიკარი!
- მერე რომ მომიჭერს? სისხლს მოძრაობა არ უნდა?
- მაშინ მოიძერი!
- თავი რომ მტკიფა?
- ვაკ, რას გადამეკიდე, ჩემგან რა გინდა? რომელი უქიმი მე მნახე... მე ჩემი სატკივარი და საფიქრალი მაქვა...
- ა, გულის ფრიალიც დამეწყო...
- მერე, ტყუილად ხარ წამლების გიუი? ნაირ-ნაირი გაქვს მომარაგებული და დალიკ, კოლექტიონერი ხომ არ ხარ ჩემსაგით?
- შენგან მშირს ეს უბედურება, გული სელით მიზირავს, შენ კი მატრიზავებ! აგერ ნახე, თუ შენზე ბევრად ადრე არ მომედოს ბოლო და ამისთვის დიდ ცოდვას დაიდებ, ღმერთი დაგსჯის...
- შენს პირს შაქარი, ასეც იქნება, იმიტომ, რომ მე ყველა აგადობისგან ერთი მშვენიერი წამალი ვიცი - არაუი! - იცინის მამუკა.
- უგულო კაცი ხარ, სხვა ყველა ფეხებზე გკიდია... - განაგრძნობს ბუზღუნს მზევინარი. - ერთ ტებილ სიტყვას არ გაიმეტებ... შენ რანაირი მწერალი ხარ? არაფერი გაინტერესებს... შენზე უკეთესს მე დავწერ!.. ბოლმით გასკერდები!
- ჯერ საკუთარ სახლს მიხედე... სულ მეზობლებში რომ დაწოწიალობ, საქმე გამოგელია? ბავშვები საცაა სკოლიდან მოვლენ, შენ კი კერძის გაკეთება ჯერ არ დაგიწყია, მშივრები უნდა დატოვო?
- მხოლოდ ჩემი თავში საცემია ყველაფერი? მე რა, ქალი არ ვარ? პო, მხოლოდ თქვენ, უმაღურებს, უნდა მოგემსახუროთ, მეტი არაფერი მჭირდება... ხმის გამცემიც არ მინდა? შენ რას მიკეთებ, ერთხელ შენც იკადებ, ბატონო, სადილის გაპეტება, გაანძრიე ხელი, თუ თავადიშვილობას ჩამოგართმევენ? რომ დაგიბადე, თითქოს მისჯილი მქონდა, თქვენი მოსამსახურე, მოახლე, მონა გაგმებდარიყავი სიცოცხლის ბოლომდე!
- მამუკა ბრაზიანად აკრაჭუნებდა კბილებს, არაფერს პასუხობდა ცოლის ჯუჯღუნს, მხოლოდ როცა მზევინარი არა და არ ჩერდებოდა და, საყვარელ სტიქიონში ლალად შეცურებული, გაუთავებლად ქაქანებდა, წუწუნებდა, საყვედურებით ავსებდა, ბოლოს, თავს ვეღარ იკავებდა, თუმცა მშვენიერად იცოდა, შეასუხება არ ლირდა...
- ნამუსი სულ დაკარგე? სანაცევროდ მე არ ვაკეთებდი და ახლაც ვაკეთებ კერძებს? ათას-გვარ საშინაო საქმეს შენ უძღვები თუ მე? ძროხასაც კი მე ვწევლი! ბავშვებისთვის ძუძუ არ მომიწოვებია, თორექმ... მაგათი ტრაწიანი საფეხნების რეცხვით ხელებზე კანი მქონდა გადამძერალი! ბავშვებისთვის ძუძუს მიცემის დროს მე რომ არ გამედვიძებინე, მშიერს ტოვებდი... ადარ გახსოვს? მთელი დამები არ მეძინა... ბავშვები მეცოლებოდა, თორექმ შენ რა შესაცოდი ხარ, კანში ვეღარ ეტევი, განძრევა გეზარება. ნახევარ დღეს წარბების ამოქნასა და ტუჩების ლებგას უნდები, ფუ! ჩუმად მაინც იყავო... უსაქმერი ხარ, სისულელების ჯღაბნაში დროს უაზროდ ჰკარგავო, მთელი დღე რომ მიღრენ, ბარემ ძაღლად დაბადებულიყავი - დაგაბამდი და ალიკაპს გაგიარებდი...
- ძაღლადაც გადამაქციე, ხომ?
- ქალო, ხუმრობა არ გესმის? ხომ სულ მსაყვედურობ, ძაღლადაც არ მაგდებო...
- მასხარა თავი გაბია!
- შენ მზევინარი ვინ დაგარქვა, ალბათ დიდი ხუმარა ვინმე ბრძანდებოდა... მოვარეც კი არ ხარ!..
- ნეტა ვინ დამწყევლა, რომ შენისთანა მათხოვარს გავყევი!..
- პო, კარგი, გაჩერდი!
- ვინ ხარ შენ, ხმის ამოღებასაც მიკრძალავ?
- ქალო, გინდა, გამაგიურ, ჭკუიდან გადავცდე, სულ მოლად გამოვტენდე, ან გსურს, სახლიდან გადავიკარგო?.. ნეტაც ვინ დამწყევლა ასე, რას მიბურღავ ტვინს გაუთავებლად, ადარ გამოგელია ეგ შეამი?.. ისე დამბესლავ, მთელი დღე ვეღარაფერს ვაკეთებ, მხოლოდ დაბოდმილი ვიგინები...
- მზევინარს სახე შეეცვლებოდა, კიდევ უფრო მოუამული უხდებოდა და ახლა საყვედურებში მოთქმა-ტირილსაც გამოურევდა...
- მამუკა საკუთარ თავს წყველიდა - ნეტა ენა რატომ არ გამიხმა ძირში, როგორ მიგქარე და დედაქაცს ჯაჯდანში ავყევიო... უფრო ხშირად არაფერს პასუხობდა ცოლის სიტყვებს - სიჩუმით სჯიდა... ზოგჯერ მთელი დღე ხმას არ ამოღებდა, მხოლოდ თუ მზევინარი რაიმეს შეკითხებოდა, ძალაუნებურად იძულებული იყო, მოკლედ მიეგდო “პო” ან “არა”... “წყენავ, სიჩუმით ნათქებორ, ოქრო ხარ აუწონავი?” - ეტყობა, ეს ხალხური სიბრძნე მზევინარს არასდროს გაეგონა; რომც სცოდნოდა, არაფერად ჩააგდებდა, მისთვის მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ის, რომ შესაძლებლობა პეტონდა სულის შემაწუხებლად ელაქლაქა, ელაქლაქა - გაუთავებლად, უაზროდ ეფხანა ენა...
- ახირებული თვისება პეტონდა: ამოიჩიმებდა მაგანს და ათას არსებულ თუ საგარაუდო ნაკლს აღმოუჩენდა, ლვარძლიანად თათხავდა; დასდევდა კუდში მამუკას და უინიანად იფხანდა ენას -

ერთ დღეს, მთელ კვირას და თვესაც კი... ხან თარს ტასოს ამოარჩევდა და მის სახელს წაღმა-უქულმა ატრიალებდა, ხან – კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლს დაადგამდა კბილს, უფრო ხშირად კი მეზობელი ქალების გათათხვა იტაცებდა. რ მოგეზრდებოდა ამოჩემებული ქალის დილიდან საღამომდე გათათხვა, ლაფში ამოსვრა, სულ ახალ-ახალი ცოდვებისა და ნაკლის აღმოჩენა.

მამუქა, რამდენადაც შეეძლო, ითმენდა... ერთგვარად განცვიფრებულიც იყო ცოლის ფანტაზიის სიმდიდრითა და ამოუწურაობით, ხანდახან აღტაცებულიც კი მისი წერილმანების გამოჩხერების და დასკვნების გაკეთების უნარით და შემდეგ ნანობდა კიდეც, რატომ სიტყვა-სიტყვით არ ჩავიწერე მოსმენილი ბრწყინვალე მონოლოგი, ნამდვილი შედევრი იყო!

მზევინარი ქმრის მიმართ იყო გასაოცრად ბრმა, ბრმა და ყრუ და ამ სიბრმავითა და სიყრუ-ით – სასტიკიც. ვერ ამჩნევდა, როგორ სტატუსი გულს – ვერ ხედავდა მასთან ყველაზე ახლო მყოფი ადამიანის შინაგან სანუკვარ მისწრაფებას, მისი ცხოვრების აზრს – შემოქმედის წვას. მის სულში ამღერებული სიტყვის გარეშე, ქაღალდზე დაწერილ-დაწერილი სიტყვიერი თაიგულის გარეშე, მამუქასთვის ცხოვრებას ფერ-ხორცი, სუნი და გემო მთლიანად გამოცლილი პქონდა, საერთოდ აზრს კარგავდა... და ეს მამუქას სასიცოცხლო ძარღვი, სიტყვასთან ალერსი თუ ჭიდილი, შინაგანი სულიერი განცდების სიტყვიერად „განსხეულების“ გრძენული, მიმზიდველი ძალა, ესოდენ თვალსაჩინო, აღვილად დასანახი, ცოლისთვის არ არსებობდა, თითქოს თვალზე ლიბრი აქვს გადაკრულიო... თუმცა, არა, როგორ შეიძლებოდა, გამოპარეოდა მის ქორის თვალს, მაგრამ თანაგრძნებისა და გაგების მაგივრად, მხოლოდ დაცინგას, თანაც დგარძლიან დაცინგას თუ აგრძნებინებს, და მხოლოდ აგრძნებინებს კი არა, აშკარად, ბოლომ გადმოანთხევს; ეს უფრო ემციური სიბრმავე და სიყრუეა, – რაც ჰყელაზე გულსატყენია და რასაც ვერაფრით აპატიებს....

სამი შვილი პყავთ და თითქოს სრულიად უცხო ქალთან ცხოვრობს – აგერ უპვე თითქმის ოცდაათი წელია...

ოჯახში ვერ უძლებს გული: თითქმის დღე არ გავა, რომ შინიდან გულგასიებული, აღრენილი არ გაგარდეს – სასადილო „ედემს“ მიაშურებს ან, უფრო ხშირად, – მესაფლავე გაბრიელასთან გასწევს...

მერე გადაუგლის ბრაზი და შვილები მოენატრება...

ბაგშეგები უყვარს – მხოლოდ საკუთარი კი არა, სხვებისაც. ჯერ შვილიშვილებს ვერ მოესწრო და მეზობლების პატარები ზურგით დაშვას, უკეთებს ათასგარ სათამაშოს, შეუძლია, თუ კი მოცლა აქვს, თვითონაც მათთან ერთად მთელი დღე ითამაშოს; უყვარს მათთვის ნაკადულზე პატარა წისქვილების გამართვა, ფრანის გაქეთება და ნიაგზე პარეზი აშვება... როცა ველოსიპედი იყიდა, ასეირნებდა ბაგშეგებს და ცოლმა ხომ კინაღამ შეჭამა, რატომ უწვინოდ ფლანგავ სისულელებზე ფულსო, დროის ყადრი მაინც იცოდეო... იმაზეც ეჯიჯლინება, გაჭირვებულ მეზობლებს შეშას თუ ჩამოუტანს ტყიდან ან დაუწეხავს მარტოხელა მოხუცებს...

ელიმება, როცა ეუბნებიან: ბედნიერი კაცი, ხარ, ბედმა გაგიღიმა, რომ ასეთი კარგი ცოლი შეგვდაო, მზე და მოვარესავით შეაბერდებით ერთმანეთსო... ერთად კი არიან, მაგრამ თითოვ-ულს მაინც საკუთარი ორბიტა აქვს და ალბათ ასეა ყოველთვის ადამიანებში, მაგრამ არც ძალიან უნდა დაშორდნენ ერთმანეთს... მაგრამ როგორ გინდა, ახლოს იყო ადამიანთან, რომელიც ვერაფერს უგებს, სულ საყვედურებით ავსებს და იმასაც კი აბრალებს ხოლმე, რა გააწყალა გული წემამ, აღარ უნდა გადაიღოსო... ამგვარ აბსურდულ ჩივილზე გულში კი ეცინება, მაგრამ ძალიან მწარედ...

ფიქრი აბეზარი ბუზიკით ბზუის თავში: „ზევინარი? გულის მოსაფხანად გაგწირავს – ისეთ რამეს გეტყვის, მთელი დღით კი არა, ერთი კვირით მოგწამდავს. არაკუნებს ენას, ოღონდ რამე მწარე თქვას და ენა ატარტალოს, – არას დაგიდევს, რას როშავს... ზოგჯერ ისეთ რამეს დააბრახუნებს, რქები ამოგივა... საიდან ამდენი დვარძლი? ერთ კარგ ამბავს არ გეტყვის, ვინმეს საქაბარი ერთი სიტყვა არ დასცდება. რაც მე მაგან სისხლი გამიშრო და გული გამისივა თავისი მოწამლული ენით, საკირველია, ცოცხალი როგორ ვარ... არ დაგინდობს: “შენ რა კაცი ხარ, შე “ჩუხლია” შენა!” რესული რა იცის, შენ “ჩუხლო”, მჩვრის ტიგინა ხარო, – გადაასხვაფერა, დაამახინჯა, – ამით ორმაგად მირტყამს... საოცარია, არაფერი გამოეპარება მეზობლებში რა ხდება, ყოველი წერილმანი თითქოს ხელისგულზე უდევს... არც ადამიანის შეცნობა უჭირს, ზოგჯერ ისეთ დამახასიათებელ ნიშანს გეტყვის, გაგვირვებისგან პირს დააღვე – საიდან, როგორ ამოიცნოო... და ამასთანავე გაუნათლებელია – მის ხელში წიგნის ან გაზეთის დანახვა სასწაული იქნებოდა, ქვეყნიერებაზე რა ხდება, წარმოდგენა არ აქვს, მეზობელთა ეზოსა და ჭადარდიდის იქით ველარაფერს ხედავს... რადიოს თავისი ტეკივილს უწოდებს, მე კი ყოველდღე უპანასენელი ცნობები რომ არ მოვისმიო, სულიერად გამოცარიელებული, გაჩანაგებული ვარ, თითქოს უპარიელ, უსიცოცხლო კუნძულზე გავირიეთ... ჩემი ნაფიქრ-ნაწერი, ჩემი სულის ნაწილი – მისთვის სისულეელება და მეტი არაფერი... რად გინდა ეს წიგნები, მტკრის ბუდე, მოაშორე აქედანო... მიკვირს, რატომ სიამოგნებს ასე საკუთარი მეუღლის დაცინება... „ფეხსალაგის პოეტი ხარ! დროს უჭად ულანგავ და ქაღალდსაც ტყუილად აუუჭებ...“ რადა მას გადავეყარა, ბედი არ გინდა? დედაჩემს რა გუთხარი, გამაბედნიერა!.. თუმცა... სხვას ნურაფერს გადააბრალებ, როცა თვითონ

გამოდექი ლენჩი და უნებისყოფო... როცა შევატყვე, არ გამოდგებოდა დირსეულ მეწყვილედ, მაშინვე უნდა დავშორებოდი, მე კი... არ ვიცი, ნუთუ ასეთი ჩლუნგი ვარ, ასეთი შტერი, რომ დროზე ვერ ვუშველე თავს? სულ ვითმენდი, ვითმენდი... რის იმედი მქონდა? სასწაულის? ხომ ცხადი იყო თავიდანევე, რომ არცერთი არ შევიცვლებოდით, ამის მოლოდინი სასწაული იქნებოდა, მე საერთოდ არ მჯერა სასწაულების და რადა ამ შემთხვევაში ვიწამე? თუ მართლა იმდენად ჩერჩეტი ვარ, როგორც მზევინარის მიერ ჩემი შემქობიდან შეიძლება, დაასკვნას კაცმა?..”

საკუთარი თავი აიძულა და მიაჩია, რომ არ დაეგდო უური, მის მეტისმეტად ხმამაღალ ლაპარაკს აღიქვამდა მხოლოდ როგორც ხმაურს... როგორც ცოცხალ ადამიანს კი არა, როგორც ნივთს, ისე აღიქვამდა ცოლს, ოღონდ - მოლაპარაკე საგანს, რომელიც უთაგბოლოდ ბუუტურბდა რაღაცას დილიდან საღამომდე: ლაქლაქებდა, ლაქლაქებდა გამაღიზიანებლად, აუტანლად... თავს ძლიგს იგავებდა, რომ რაღაც მწარე არ ეპასუსა - უხეშად ჩაეგმინდებინა ხმა... გრძნობდა, რომ იბოლმებოდა, ნერვები უმგე დაწყვეტაზე ჰქონდა და მისი ხმის გაგონებაც კი აუტანელი ხდებოდა მისოთვის; აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რაზე ლაპარაკობდა ცოლი - კარგისა თუ ცუდის შესახებ, საქმეზე თუ მხოლოდ ენას იფხანდა... მამუკამ სიტყვის ძალა კი იცოდა, პოეტი იყო, მაგრამ არ ეგონა, თუ ასეთი ძალა ექნებოდა ცოლის წარმოქმულ თითოეულ ბეგრას, თუ ასეთ აუტანელ ტკიფილს მიაყენებდა - თითქოს თავში რაღაც აფეთქდებოდა თითოეულ ბეგრაზე, ხანაც თითქოს ნემსს ურჭობდნენ ტგინის სიღრმეში... მამუკა საღმე გადაკარგვაზე ფიქრობდა... რამდენჯერ გაუჩნდა სურვილი - მაშინვე წასულიყო, გასცლოდა აქაურობას, ამ მარად გამადიზიანებელ ურთიერთობას, სულიერი სიმშეიდე მოეპოვებინა... მისი შეხედვაც კი უძნელდებოდა; ცოლის მომაბეზრებლად მრგვალი, უკმაყოფილოდ ჩამჟავებული სახე, მომწვანო თვალები, ოდესლაც რომ მოსწონდა - ახლა გაღიზიანებას უფრო ამძაფრებლად... გაეცლებოდა, რომ აღარ მოესმინა ეს მომაბეზრებელი, ნერვების მომშლელი ხმა, მაგრამ საღაც კი წავიდოდა, ცოლი უკან მისდევდა, როგორც ჩრდილი... უკვირდა: ნუთუ ამდენად ყრუ და ბრმა იყო მზევინარი, რომ ვერ ამჩნევდა, როგორ აღიზიანებდა მისი ქცევა? ფეხსალაგშიც კი რომ ჩაიკეტებოდა, კარებთან დაუდარაჯდებოდა და გაუთავებლად ქაქანებდა...

“შევინარს რომ უსმინო, ყველა შტერია, ყველა სულელია, ყველა ურეეს, ყველა ცდება, ყველა მიპარავს... ყველა, ყველა, ყველა - მის გარდა! ამიტომ: ყველას შურს მისი!.. მისი სილამაზისა, მისი განათლებისა, მისი სიბრძნისა, მისი ცხოვრებაში წარმატებისა, მისი გამარჯვებისა!.. გული ეწურებათ, ჯავრით სკდებიან, ბოლმით სივდებიან, ბრაზით კბილებს აკრაჭუნებენ, შურით ნალეველა უსივდებათ!..”

- ქალო, მთელ ქვეყნიერებას რომ აგინებ, ერთი ვინმე მაინც არ გამოდგა შენი მოსაწონი? რანაირი დევთისმოსავი ხარ, მარხეას რომ არ იცავ, ეგ არაფერი, მაგრამ ათი მცნება რა არის, ალბათ არც გაგიგია...

- თვითონ ხარ ულმერო, შენ რა ჭეუა მოგეკითხება!  
- კარგი, ბატონო, დაგუშვათ, მე არ ვარ რელიგიური, მაგრამ შენ რომ თავს იქლავ, დმერთი მწამსო, რატომ ერთი მცნება მაინც ვერ გაითავისე - ”გიყვარდეს მოყვასი შენი!”

- ჴო, შენ მხოლოდ ჩემი დამცირება შეგიძლია! თვითონ არავინ გიყვარს, წადი და შენს მეგობარ გაბრიელს წაჟაოთხე შენი ლექსები! ან მიხას... გამოსკდით არაყით, მეტი არაფრის შხო მოუცია თქევთვის დმერთს! კარგი მმაკაცები გყავს, ლოთები და უსაქმურები, აწყობილი აქვთ საქმე შენსავით, ვაი თქვენს პატრონს! გადააშენე იქით, არ დამანახო აქ მოსულები, თორემ ვიკივლებ და მთელ სოფელში შეგარცხენ!..

- როდის გიტალახებენ კარის ზღურბლს? რაც შენ გითხოვ, აქაურობას სათოვეზე აღარ ეპარებიან, ლამის ყველა მეგობარ-ამხანაგი დაგეპარგე!

თუკი ვინმე რაიმე საქმეზე მოვიდოდა მამუკასთან, მზევინარი სტუმარს ტკბილად კი გაუდიობდა, მაგრამ მაშინვე დაპკრავდა ფეხს და სახლიდან გადაიკარგებოდა კარგა ხნით... მამუკას ნათესავებმაც მშევნივრად შეატყვეს მზევინარს სუშტურიანობა და ამოიკვეთეს ფეხი მისი სახლიდან...

ცოლის სუშტურიანობა ზოგჯერ იმაშიც ვლინდებოდა, რომ უცებ მოუვლიდა ქმრის მიმართ უცნაური მზრუნველობაც: “ტყეში ფრთხილად იყავი, ხე არ დაგეცეს!” ან: “დათვთან შეხევდრას უფრთხილდი”; “ხეალ მენახირედ რომ წახეალ, ხარმა არ გირქინოს!”; “ბევრს ნუ წერ, თვალებს გაუფრთხილდი!”

მამუკა ამ დროს მხოლოდ მწარე დიმილით უსმენდა ხოლმე, ზოგჯერ კი თავს ვერ შეიკავებდა და შეეცურებოდა:

- ერთი ეს მითხარ, ყოველგვარი ხიფათისეგან თავდაცვას მასწავლი, შენი ტვინის გამლაყებული ქაქანისგან რა წამალი არსებობს, რა ხერხი გიხმარო?

- უიმე, რა საზიზდარი ხარ, ასე რომ არ მიყვარდე, რა გეშველებოდა! - სიყვარულის ბუშტი გაუსკდებოდა მზევინარს და მამუკასთვის ამგვარი ზღვარგადასული დათაფლული სიტყვები ჩვეულ ჯიჯლინზე კიდევ უარესი იყო.

მამუკა სულ ელოდა, რომ ეს ჩვეულებრივი მდინარება დღეებისა უცებ შებრუნდებოდა, რაღაც ისეთი მოხდებოდა, რომელიც მის ცხოვრებას ძირფესენად შეცვლიდა - გააცისკროგნებდა, გაამშევნიერებდა... უნდოდა, სადღაც შორს წასულიყო, უცხო ადგილები ენახა, სხვა ადამია-

ნები გაეცნო, განეცადა ახლის შეცნობის სიხარული... ამგვარი მომდოლინე ადამიანები ცოტანი არიან; უმრავლესობა დღიდან დღემდე ერთფეროვან ცხოვრებას ეწევა და არავითარ სურვილს გამოთქვამს და არც თითო გაატოვებს, რომ რაღაც შეცვალოს, სიახლეს ეზაროს – არა! ურჩევნიათ ერთი, კარგა ხნის წინ გაპალული გზით სიარული, – დაუსრულებელი სიარული წრეზე, – ბოლო ამოსუნთქვამდე... სინამდვილეში თვითონაც სწორედ ხომ ასეთი არის?.. და თუ მაიც რაღაც სიახლე ხდება მის ცხოვრებაში, ხდება მისდა უნებურად – იძადებიან ბავშვები, იზრდებიან... დღიდან დღემდე შრომის ჭაპანშია შემძლი, ნელ-ნელა ბერდება... საერთოდ, ოჯახი მოთმინებაზე აგებული, საძირკვლად უზომო მოთმინება უდევს, თუ არადა – დაინგრევა. მამუკა არ იყო ისეთი კაცი, რომ ოჯახი დაენგრია, სანაქებო ჭირთა თმენის უნარი აღმოაჩნდა... სხვების მსგავსად ყოველდღიურობის მონაა, ერთისა და იმავეს, ცხოვრების საჭიროებით შემოფარგლულს, გერ სცილდება, მაგრამ არც მთლიანად ურიგდება ბედს: შინაგანად სულ სხვა ცხოვრებით სულ-დგმულობს – შემოქმედება არის მისი მარადი წყურვილი, მარადი განახლებისა და წინ, შეუცნობელისენ, ახლისეკნ სწრაფვის წყარო... ამის გარეშე რა გააძლებინებდა წუთისოფლის ტრიალში!.. ოცნება! წარმოსახვა!.. ბევრთათვის მიუწვდომელ სიკრცეში, სიმაღლეში აფრენა და უცრად მოვლენილ ხილვებთან ერთად განავარდება – გარშემო რომ ვეღარაფერს ამჩნევს და შესაძლოა, ცოლმა სამჯერ ჰკითხოს რაღაც, მას კი არაფერი ესმოდეს, სანამ გაბრაზებული ხმა გამოაფიზლებდეს: „ისევ ეშმაკებში გადაგარდი, სადღაც მოუსავლეთში, დმერთმა გადაგრია! მე რალას მერჩოდა, რა დაგუშავე ისეთი! რაღაც მე შემხვდი, შე უბედურ დღეზე გაჩენილო, რატომ დამსაჯა!..“ აგრძელებს, აგრძელებს, აგრძელებს, სიტყვის მასალა შემოელევა თუ ბოლმის მარაგი – მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს, საკუთარ თავს იცოდებს, მოთქვამს, მამუკას ათას ცოდვას აპიდებს: ის უქნარაცაა, ბეღოვლათიც, ჩიტირებიაც, უმაქნისიც...“

– ვინ დამწყეველა ნეტავი, რომ შენისთანა უხევიროს გაყევე! აგვ, შეხედე, სხვისი ცოლები როგორი გაფაშფაშებულნი დადიან, არც საჭმელ-სასმელი აპლიათ, არც ჩასაცმელ-დასახურავზე უსაყვედურებენ ქმარს... არ სჭირდებათ წამდაუწუმ შეხსენება, რომ შინ ქალი ჰყავთ, რომელსაც მოვლა სჭირდება, მოფერება... ჩემისთანა ქალი ვერ უნდა შეიშნოი? სხვას ვის ჰყავს ჩემისთანა გამორჩეული ცოლი – ხელისგულზე უნდა მატარებდე, ფერებით სულ სულს უნდა მიბერავდე... რაღაცას ჯდაბი გაუთავებლად, დამეც კი ფერიანივით წამოვარდები, რომ რაღაც დასიზმრებული სისულელე ჩაიწერო... ნორმალურ კაცს ჰგავსარ შენ? შენ გოჯა ქურუხაბე გჯობია... მამალი მგელივით გარშემო უვლის საკუთარ სახლ-კარს, დღესა და დამეს ასწორებს, რომ საკუთარ ოჯახს რამე შესძინოს... ხმას არ იღებ, არაფერი გაქეს სათქმელი!.. მანასე ხაბაზი... ბედი არა მქონია, რამდენი კაცი მეძლეოდა... სიმონა დალაქი, შოფერი დანიელა... ნახე, რა სახლი წამოჭიმა, მისი ცოლი დღეში სამჯერ იცვლის კაბას... როგორი მიმწოდები ვიყავი, ალალი, მიამიტი, სიკეთით სავსე... თუ ნიჭი მაკლდა? მასწავლებელი სულ მე მაქებდა, მიძახებდა დაფასთან, სიამოვნებდა ჩემი მონაცოლი... ჰოდა, ჩაგუგარდი უცოლდებული კრაგი მგელს დაფხენილ ხახაში... ნეტა მეტი ჰერუ გამომექინა! სხვა სოფლებიდან რამდენი მაკითხავდა, დაბიდნაც კი იყო ერთი-ორი, ჩასაფრებული იყვნენ, ჩემი მოტაცება უნდოდათ... რა გოგო ვიყავი! ახლა რომ შემხვდებიან, ვედარა მცნობენ, უკვირთ, – ეს შენა ხარო? შენს ხელში აჩრდილიდა ვარ ადრინდელი მზევინარისა... გამომწოვეთ უგელაფერი ობობებივით, მხოლოდ ჩონჩხი დაგრჩი, შეხედე, ქალს გგაგარ მე?.. აი, ასეთად მაქციე!..

– ქალო, რა ხანია, ორმოცდაათს გადასცილდი და დღედადამ ისევ სარკეში იცქირები... ებ ფერუმარილით სახის უზომო შეგლესვა რადა ჯანდაბაა? გული მერევა...“

– ჸო, ებეც ამიკრძალე, ყველაფერში დამჩაგრე...“

– ვერ ხედავ, კანში რომ ვეღარ ეტევი? რა გიგავს დაჩაგრულს? – პასუხობს მამუკა ცოლს და მერე საკუთარ თავს ლანბლავს – რატომ აგყევი ლაპარაკშიო... სიტყვაში ვერ მოუგებ, ბოლოს ყოველოვის ის რჩება მართალი...“

ამგვარი ცოლის გადამკიდეს – ზოგჯერ მოელი ქვეჭნიურება ეჯავრებოდა, ყველაზე და ყველაფერზე იყო აღრენილი, ვეღარაფერს აკეთებდა და მძულვარების ბურთი მეტრდში რომ ვეღარ ეტევიდა, გავეშებული გარეთ გაგარდებოდა, კუდის ქიცინით მისულ მაღლებული კი ანგარიშმიუცემლად ფეხს მოუქნებდა... ეზოს ჭიშკარს გაიჯახუნებდა და გამალებული მიდიოდა, თითქმის გარბოდა – შორს, შორს აქედან! – და სულიდან ამოხეთქილი ხმამაღლი გინებით იოხებდა ამყრალებულ სულს...“

მიგიდოდა მდინარეესთან – მის გულითად მეგობართან, მოსაუბრესთან, შოთაგონების წყაროსთან... ჩამოჯდებოდა ჭადარდიდხევის ნაპირზე სი ქაზე, ამოიოხერებდა, დააცემდებოდა ტალღების თამაშს... ყურში დამამშვიდებლად იღვრებოდა წყლის ჭყლაპუნი, დუდუნი, ჩქაფჩქაფი... საოცრად სიამოვნებდა მდინარის თითქოს ერთფეროვანი, მოსაწყენი სიმდერა, ჩიტების ხალისიანი ჭიდჭიები, შორიდან მოდენილი ბავშვების ურიამულის ხმა და ძაღლის გაუთავებელი დაგლაგოც კი...“

თანდათან უწყნარდებოდა ადუდებული სული, უამდებოდა და ახლა ეცოდებოდა მზევინარი; საკუთარ თავს ადანაშაულებდა, რომ არ უნდოდა, გაეგო ცოლისა – ის ხომ სულ სხვა ადამიანი იყო, სხვა ინტერესები ჰქონდა... რა ქალის ბრალი იყო, თუ ფიქრებით ვერ სცილდებოდა ოჯახის, სახლის, ეზოს ფარგლებს... აგად თუ კარგად ხომ უძლვება ათასგარ საოჯახო საქმეს... “დღეს

თუ ეყოფათ გუშინდელი გაკეთებული ლობიო?.. მელიამ ორი ქათამი გალალა, რა ეშველება?.. გოგო გააგზავნა კოოპერატივის მაღაზიაში მარილზე და ასე რატომ შეაგვიანდა დაბრუნება?.. პურის უქიმილი გვითავდება, ნეტავ დამებარებინა, მაღაზიაში გაეგო, როდის მოიტანე... მთელი ტომარაა საყიდელი, ამდენის ფული კი სად ვიშოვო?.. მამუქა ამგვარ რამეზე არ ფიქრობს, უპა სამჯერ გუთხარი და სულ მპირდება, მეტი არაფერი... ბიჭმა თავს რამე არ მოსწოს – ბაბო კარგი გოგო ჩანს, მაგრამ გოდერძის არ გაჰყება..."

ცოლი სულ მიწიერ ამბებს დასტრიალებს ფიქრით და საქმით, ის კი, როგორც სხვებიც საჭედურობენ, დაფრინავს სადღაც მაღლა და როცა ცოლის გაუთავებული ლაქლაქი თავს მოაბეზრებს, შეუღრენს ხოლმე: "არ გეყოფა სულ ფულზე წუწუნი, სხვა ამქეყნად არაფერი არსებობს? ან ყველას რომ ჭორაგ, ერთი შენი მოწონებული რატომ არავინ გამოჩნდა? ცოტა ხანს გაჩუმდი, თავი ნუ ამატებივე!" სულ ნატრობს: "ნეტავ ბედნიერება მეწვიოს და ეს ქალი დამუჯჯდებოდეს! უცნაური ნიჭი აქვს – თავისი უშნო ლაპარაკით ცუდ გუნებაზე დაგაეყნოს..."

მდინარიდან შინ დაბრუნებული, თავს დამნაშავედ გრძნობდა, უნდოდა, მისულიყო და შესარიგებელი ალერსიანი სიტყვები ეთქა ცოლისთვის, ხელი მოეხვია, მეტადზე მიეკრა, მაგრამ... რაღაც უხილავი ძალა აჩერებდა, გერაფრით ერეოდა თავს, რომ საერთოდ ხმა ამოედო... შეხედგაც კი არ შევძლო... ცოლს ალბათ როგორი ცივი და უგრძნობელ პირვენებად მიაჩნდა, სინამდგილეში კი რაოდენი სიყვარულისა და სითბოს გრძნობა იყო დაბუდებული მის არსებაში, მაგრამ ვერაფრით ამჟღავნებდა...

ამ დროს კი მზევინარი ისევ დერდავდა და დერდავდა, აღარ დაადგებოდა საშველი მის როშგას...

– მათხოვრად მაქციე, თვიოთნაც მათხოვარო... ერთი სახლი არ მაღირსე, კაცი ხარ შენ? შეხედე, ხალხი მეორე და მესამე სახლს იშენებს... რობიზონამ სასახლე წამოჰიმა... გოგია ციხურაშეიმა... გოჯამ... ყველამ შენ გაჯობა! განათლებულობაზე რომ დებ თავს, წიგნის კაცი გარო, მთელი ბიბლიოთება გამიხსენი აქა, რად გინდა? რა უძედურებაა ამდენი წიგნები, წაბრძანდი ოლიმპიადასთან და ეს შენი წიგნებიც წაიღე – ყველგან წიგნები ყრია, სუნთქვა აღარ გვინდა? შეგვამე ამ შენი ატლასებით, ლექსიკონებით, ალბორმებით – რაში გარგია? ხოსრომ, მოსულმა კაცმა, უნიფერს რომ მოვიდა ამ სოფელში, შენ უნდა გაჯობოს? ნახე, როგორ ცხოვრობს, ბიჭს ახალი სასახლეც წამოჰიმა! შენ კი ბედოვლათი ხარ და ბედოვლათად დარჩები... ერთი სახლის აშენებაზე ცოდვილობ, ვინ ცხოვრობს ასე, ოც წელიწადზე მეტი, ნახევრად აშენებულ სახლში მათხოვარივით?..

– ტურიკოს მადარებ? გინდა, მეც ქურდობითა და მამაძალლობით გავკეთდე? ან რომელი თავადის ქალბატონი შენ ბრძანდები, შენი მოწონებული რომ ვერაფრით გამიერებია? მიბრძანდი, ქალბატონო, შენს ძველებურ, ბრწყინვალე სასახლეში, ვინ გიშლის, იქ ხარ მიჩვეული ცხოვრუბა! ცხრა სული რომ ბანიან მიწურში, ერთ ოთახში ცხოვრობდით, ის დრო მოგენატრა?

ეშინოდა, ისევ არ წამოველო სულში სიძულვილსა და რისხვას და დროულად პოულობდა გამოსავალს – გადიოდა მეორე ოთახში, მიხურავდა კარს და მიეგდებოდა საწოლზე... აქამდეც აღწევდა ქალის ხმა – მოსაუბრე აღარავინ ჰყავდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ლაპარაკს... უნდოდა, ამ ხმისგან განთავისუფლებულიყო, ათასი საფიქრალი აწუხებდა, მაგრამ არაფრით გამოსიოდა... წამოხტებოდა, გამოაღებდა ფანჯარას და პატარა ბიჭივით გადაძერებოდა ეზოში, მოხრილი მიძურწებოდა ბალში, რომ ვინძეს არ შეემჩნია და ჩვეულ გზას დაადგებოდა – გაბრიელის საცხოვრისისეკენ... იქ, სასაფლაოს გვერდით, მარადიულ სიმყედროვეში, რომელიც იშვიათად თუ დაირღვეოდა მაგანის დაკრძალვის დღეს, უბრალო საუბარში და არყის ჭიქის მონაცემების იმშეიდებდა სულს... გაბრიელიც უბრალო კაცია, ცხოვრებისგან დაჩაგრული და გზიდან სადღაც უდაბნოში გარიყელი, მაგრამ, რაც მთავარია, წუწუნი არ სჩვევია, და, თუმცა ბეგრი ლაპარაკი მასაც უყვარს, რატომდაც მისი ქაქანი არ აღიზიანებს – პირიქით, მადლობელიც კია მისი, რომ არ მოითხოვს, საპასუხოდ რაღაც თქვას, მის საუბარს აჟყევს... სრული ურთიერთგაება: ერთი – ლაპარაკით იქცევს თავს, იურვებს გაძალლებულ ცხოვრებას, მარად მარტო ყოფნის სიმწარეს, მეორე – მოთმინებით უსმენს და არც უსმენს, რადგან უფრო სხვა რამეზე ფიქრს განაგრძობს... ეს ოხერი, ფიქრი არასდროს სცილდება, ეს არის მისი ცხოვრების მარადითანაგზავრი, ესაა მისი სიტგბოც, სიხარულიც და ჭმუნების, დარდის საბაბიც... ძალზე ხშირად უხერხულობის მიზეზიც ხდება, როცა, უცებ გამოფხილებული, გაკვირვებულ მოსაუბრეს არ იცის, რა უპასუხოს... მზევინარი თითქოს მიეჩინა კიდეც, რომ ქმარი სხვა სამყაროში იმყოფება და მისი არ ესმის, მხოლოდ დვარძლიანად მაინც ჩაილაპარაკებს, – რა შავ დღეზე კუოფილვარ გაჩენილი, რომ ამ შექანებულს გავჟევი ცოლადო...

რამდენჯერმე შაირები ცოლსაც გამოუთქა ექსპრომტად და მის გაცოფებას რომ უყურებდა, ცოტა გულს მოეშვებოდა... თან გრძნობდა, რომ მთლად კარგად არ ექცეოდა ცოლს და მაშინვე სინდისის ქენჯნა შეუჩნდებოდა, უნდოდა, მოფერებოდა, რაღაცნაირად შეერბილებინა მისი ქმედებით გამოწვეული ტკივილი, მაგრამ... მაგრამ ვერაფრით აიძულებდა თავს, ამგვარი ნაბიჯი გადაედგა, რაღაც მარად ასსოვდა მისი ტუჩებიდან გადმოფრქვეული ყოველდღიური დაცინვა, დამცირება, ათასგარი სისულელე...

“მხოლოდ ვიტან... ვიტან... ძალიან, ძალიან შეგვცდები, არ მიგაქციო უურადღება, თითქოს ის სულ არ არსებობს, ჩემი სამყაროს მიღმა არის... მთელ დღეს ისე გავატარებ, ერთ სიტყვას არ ვეტყვი; თუ რამეს შემეტეთხება, მხოლოდ მაშინ გავცემ პასუხს, ისიც ცალყბად, მეტი არაფერი, რომ უბრალოდ მოვიცილო თავიდან... რაც შეიძლება ნაკლები ურთიერთობა – გარეგნულადაც კი... იქნებ ამგვარი მოქმედება ჩემგან ვინმემ უსამართლობად, მეტიც – სისასტიკედ მიიჩნიოს, გულება კაცად მომნათლოს, მაგრამ... თავს ზევით ძალა რომ არ არის? განა თვითონ ვე არ ვერძნობ, რომ ასე წლობით გაგრძელდეს, არ შეიძლება, არ არის ნორმალური მოვლენა, მაგრამ...”

ხანდახან ცოლს მაინც გაეხუმრება ხოლმე, როცა სულზე ლოდი ნაკლებ აწევს.

– მე თეპლესთან ვერ მივალ, ვერ დაგვლაპარაკები! – უუნება მზევინარი.

– მერე, შე ქალო, სიმღერით უთხარი! – პასუხობს მამუგა; გრძნობს, უგემური ხუმრობა გამოუდის, მაგრამ ცოლთან ესეც რომ მოახერხსა, საკვირველია.

ცოლი გაკვირვებული შეხედავს, ამრეზით ბრიცავს ტუჩებს მრგვალ სახეზე, რაც საოცრად არ უხდება...

მამუგა მზერას აცილებს და საკუთარ თავს მერამდენედ ლანძღავს, რატომ ამოვილე ხმაო; დიდებანს გაჰყვება სულის ფსევრზე მიმეგ ნალექი...

და მაინც: ყოველი დილა, ყოველი ახალი დღე – საბაბია დღესასწაულისთვის, რომელსაც ცხოვრების მდინარება პქება!

მამუგას ძალიან უყვარს ჭადარდიდხევი: მისი ჭადები, რიყნარი, აჩემებული საბანაო ადგილი: სილიანი ნაპირი და მერე – მორევი... ამიტომაც, როცა მთის მირში, ბიბლიოთეკის ზემოთ აშენებული მამაპაპისეული სახლი ერთ განსაკუთრებით უხვწიმიან გაზაფხულს დაძრულმა მეწყერმა დაანგრია, გადაწყვიტა, ახალი სახლი მდინარის პირას აეშენებინა... ამისთვის ქვემო უბნიდან ზემო უბანში მოუწია გადაბარება.

გული სწყდება, რომ, როგორც ბუნებას აკვირდებოდა, ისეთივე უურადღებით არ აკვირდებოდა ადამიანებს... ისინი კი არსებობდნენ მის გვერდით, რაღაცას ჩირთიფირთობდნენ...

პოეტი და ლამე – ფიქრობს...

“კოსმოსი, უსასრულობა... გარსეკვლავების ცივი ციმციმი... სიღრმე და უკიდეგანობა... და – ადამიანი... დედამიწა მიპქრის მარტომარტო სივრცეში და შენ, ერთი ბეწო ნამცეცი – ტრიალებ დედამიწასთან ერთად, ტრიალებ მზის გარშემო – ამაზე არ ფიქრობ, არც გრძნობ ამას, ზოგჯერ, როცა ცას ახედავ, იძირები ნაღველის სიღრმეში, უაზროდ გეხვენება საკუთარი თავის არსებობა... რომ გიყვარს ვიღაცა, ვიღაცა გმულს... ცოლის წუწუნი: ქურუხაძეთა ლორებმა კიდევ ერთხელ გააოხრეს შენი ბოსტანი და ამის გამო კინაღამ დახოცეს ერთმანეთი მზევინარმა და ვარღომ... მერე მზევინარი შენც დაგეტაკება: სახლს ადარ ვზივო, წესიერი ღობე მაინც ვერ უნდა გააქეროო? სასაცილოა თუ სატირალი?.. რამდენი ასეთი წერილმანი ჭია დღენიადაგ გიღრის სულს და გიწამდავს ცხოვრებას, რომელიც წესითა და რიგით უურადღების ლირსად არ უნდა ჩაგეთვალა... მიღის ცხოვრება, დღე დღეს მისდევს, ყველაფერი ნელ-ნელა იცვლება გარშემო, იცვლები შენც, მაგრამ ამას ვერ ამჩნევ... მხოლოდ, როცა კარგა ხნის უნახავ ნათესავს ან მეგობარს შეხვდები, ხვდები, რატომ გიცევს გადავირვებით, მერე გეუბნება, ძლივს გიცანიო... შენც მათსავით შეცვლილხარ!..

სულ ცდილობ, წარმოიდგინო, რა იქნება შენს შემდეგ... სიბერის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გაწუხებს ამგვარი ფიქრები და, ერთი მხრივ, უაზრობად გეჩვენება ამგვარი ფიქრები, მეორე მხრივ – თვალი გიშტერდება: ამგვარი რამ არ მოხდება, შეუძლებელია! კი, ყოველ წამს ვიღაცა კვდება, აი, დღესაც მოულოდნელად წაგიდა პამულია, მაგრამ ამას ერთგურად გულგრილად ხედები – შენ ეს არასდროს დაგემართება, როგორ შეიძლება, არ არსებოდეს?!. ეს წარმოუდგენელია!.. ამგვარი რამ ყველას შეიძლება დაემართოს, მაგრამ შენ არა – ეს შენ არ გეხება!”

მამუგას ჰგონია, იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ: ყველას სულში ძერება, ხვდება მათ დაფარულ ზრახვებს, ფიქრებს, – ერთობა ამით, – ირონიულად იღიმება... უფრო ბუნებაზე დაკვირვება იზიდავს, მის უკიდეგანო მრავალფეროვნებასა და ამოუწურაობაში ჩაძირვა, თუმცა – ადამიანიც ხომ ბუნების ნაწილია... აი, ადამიანი კი ხშირად შეგნებულად სცოდავს, სხვას ტკივილს აყენებს, რატომ?..

დექსი თუ მოთხოვობა-ჩანახატი თავისთავად იბადება მასში – რასაც კი დაინახავს, შეიგრძნობს, გაისხენებს, წარმოიდგენს, ყველაფერზე საიდანდაც მოვლენილი სხივები გადმოდინდება; ზოგჯერ მეტ-ნაკლებად დალაგებული, მწყობრი სტრიქონები ლაგდება, ზოგჯერ ქარსური, ცალკეული ხატები ჩანს, მაგრამ შემდეგ ორი-სამი დღე გაივლის და იწყებს გარანდვას... მესამედაც მიუბრუნდება, მეოთხეჯერაც და მეტჯერაც, თუკი დაღვინება აკლია; ამიტომ ზოგ ჩანაწერს რამდენიმე წლის შემდეგაც კი დაბრუნებია...

მისი ცოლის გამოხდომებიც ყოფილა დექსის შეთხვის საბაბი: წყენა! წყევლა! წუწუნი!

საკუთარი განცდები: სხვათა აღვრთოვანება რაიმეთი, მოლოდინი, ოცნება, მოგონება... ხილგა: მდინარის, მოებისა, წვიმიანი დღისა, ლამაზი ქალიშვილისა, მწვანე მდელოზე შეფენილი

ჭრელი ნახირისა... საბუთარი სულის სიღრმეებში წვდომა (ამონარიდი მამუკა კალმახალაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”):

რა უბადრუკი ვარ! რა უსასოო, უჩინარი, უძალო! იმიგომ კი არა, ცხოვრება მაქეს მძიმე, არა, იმი-ტომ, რომ ყოველთვის ვერ მყოფის ვაჟებისა, პირდაპირ ვთქვა სიმართლე, გამოვესარჩდო სამარ-თლიანობას, დავიცვა დაჩაგრული და ბედშავი... ან გაჭირვებულ მავანს ბამთარში კერა გავუთბო, მეო-რეს – სახლი ავეშენო (შე ბეზავო და ბედშავო, საკუთარ სახლს თითქმის ოცი წელიწადია, აშენებ და დღესაც ბევრი აკლია დასრულებას!), თუმცა, მეორე წუთს გავიფიქრებ: ამქვეყნად იმდენი უბედურება ტრიალებს, იმდენი ძალადობა და სისასტიკეა, რომ შენ, ერთი სუსტი კაცი, როგორ გადაეფარები ყვე-ლას, მგლედ როგორ დაედები... ამიგომ ყოველმა უნდა გამოიჩინოს ფხა, არ დააჩაგვრინოს თავი! მაგ-რამ უბედურებაც ისაა, რომ ყველა არ არის იმდენად ძლიერი, რომ დაიცვას თუნდაც მხოლოდ საკუთა-რი თავი, სხვამზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

ადამიანის სულში ავიც ბუდობს და კარგიც, მარადი ბრძოლაა ბნელსა და ნათელს შორის. ავი ეუბ-ნება: “ყველაფრის უფლება გაქეს და რაც მოგესურვილება, გააკეთე, უკან ნუ დაიხევ, რადგან თვალის სულ ერთი დახამხამებაა მთელი სიცოცხლე და რაგომ უნდა თქვა უარი სიამოვნებაზე, თუნდაც წუთი-ერზე?” ეეთილი კი: “ცუდი რამ გაფიქრებინა? მერე ხომ ინანებ, სინდისის ქენჯნა არ მოგასვენებს, თუკი სხვას რაიმეს დაუშავებ?” ათასწლეულების განმავლობაში ადამიანთა სამოგადოებამ თუ სამოგადოე-ბებმა შეიმუშავეს და დააწესეს წნევის დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, როგორიცაა უგულებელ-ყოფა არ ეგვიპის... არა კაც ჰქლა, არ იმრუშო, არ იპარო და მრავალი სხვა – ჯანსაღი სულის პიროვნე-ბის ჩამოყალიბებას ემსახურება, უამისოდ სამოგადოება ვერ იარსებებს... მგლების ხროვაშიც კი არსე-ბობს კანონები, რომელთა დაცვაც უბრუნველყოფს მგელთა, როგორც სახეობის სიცოცხლისუნარიანო-ბას, მისი ჯიშ-ჯილდაგის გადარჩენას... მით უმეტეს, გონიერი არსება, ადამიანი, არ უნდა ჩაგრავდეს სხვას... მაგრამ მეორენი გვეუბნებიან, რომ სახეობის გადარჩენის წინაპირობაა ინდივიდთა შორის ბრძოლა, კონკურენცია – უნდა გადარჩეს უფრო ძლიერი და ეს საჭიროა მთლიანად სამოგადოების წინსვლისთვისო... სად არის ჭეშმარიტება? ყველა საკუთარი არშინით ბომაცს, საკუთარი თარგით ჭრის და კერაცს, მერე კი აფარებს საკუთრივ მორგებულ ცხოვრებისეულ განსაცმლეს – ამიგომა ცხოვრება როგორიც და მოუწყობელი... მეორეს მხრივ კი – ყველა რომ ერთნაირი განსაცმლით დადიოდეს, ეს ცხოვრება რა ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა...

არა, ჯობს, ამგვარ ფილოსოფოსობას შევეშვა, ყველამ თავის მამიდას მოუაროს, მე კი ალბათ ის უნდა ვაკეთო, რაც ყველაზე უფრო მიზიდაც და მასში შევბასაც ვპოვებ და ლხენასაც – პატარა ლად, ლირიკულ ჩანახაფში დავიხარჯო, ან თუნდაც – სევდიანი ლექსის დაწერით კაეშანი განვიქარვო და სილამაზის ტყვეობის სიტყოთ განვიცადო... ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება ხომ სიამოვნების მიღებაა და ყველა თავისებურად ცდილობს ამ მიზნის მიღწევას... ღვინო-არაყი... ქალები... ეშიანი სუფ-რა... სიმღერა და ცეკვა, ტაშ-ფანდური... გინდაც – სხვების წინაშე სხვათა ცხოვრების წარმოჩენა-თამა-ში... ყველაფერი კარგია, მე კი ლექსის გამოთქმას არაფერი მირჩევნია...

აგერ ეს ჩემი დღევანდელი ნაცოდვილარიც, მე მგონი, გემოთ ნათქვამს ეხმიანება.

## გ ყ ი დ ი დ დ ე ს !

– ვყიდი დღეს,  
აი, ამ დღევანდელ დილას –  
უშნოდ მოქამულს, მოღრუბლელს, ქარიანს...  
დიახ, ვყიდი!  
უგემური დღეა –  
აღარც გასეირნება მოგინდება,  
ჯერ კიდევ გაუფოთლავხეებიან ბაღში,  
აღარც მეგობართან წასასვლელად მიგიწევს გული,  
და არც ლხინი მოგენაგრება ამხანაგებთან ერთად...  
დაჯდები, წაიკითხავ რამდენიმე ფურცელს –  
ყველა წიგნი უმარილო გეჩვენება,  
უღიძლამო გადაცემებია ტელევიზორშიც –  
ნაძალადევად იღიმებიან დიქტორები,  
მუსიკაც თვლებას თუ მოგვრის...  
შენც რომ წაუძინო?  
ფურცელის გამარისა! მაშ დამე რისთვის არის გაჩენილი?  
არა, ეს დღე უეჭველად გაყიდვის დირსია –  
ვყიდი, ხალხო! იაფად შეველევი!..  
– რას ამბობ, კაცო, დღის გაყიდვა როგორ შეიძლება?  
ეგ როგორ იფიქრე, შე უაბროვ, შენა!

თუნდაც – დღევანდელი დღისა,  
ან თუნდაც – ამ დღებე ბეგრად უარესისაც კი!  
ყოველი დღე – სიმღიღრეა!  
სიმღიღრეა, განეზომელი და აუწონავი,  
ოლონდ უბედურება ისაა,  
შენ არ იცი მისი ჭეშმარიფი ფასი!  
შეიცან მისი ლირსება და მოიხმარე!  
მხოლოდ შენბეა დამოკიდებული მისი შეფასება!  
და დაფასება!  
და შენ გინდა, ის გაყიდო?..  
თუნდაც მიღიონად?  
აი, ეს დღე – სამუდამოდ დაკარგო,  
ამოშალო შენი ცხოვრებიდან?  
უგუნურო!..  
კარგად დაფიქრდი!..  
დღის განმავლობაში რამდენი ფიქრი მოგეძალება,  
რამდენი აბრი აბგუილდება თავში,  
რამდენ რასმე ნახავ თვალგასახარს!  
რამდენ ადამიანს გაუდიმებ,  
რამდენს ეტყვი გამარჯობას!  
რამდენ საქმეს მოათავებ ან თუნდაც დაიწყებ  
(შრომას ხომ არ გაურიბიარ?), –  
თუნდაც შინიდან არ გახვიდე  
და ფანჯარაშიც კი არ გაიხედო!  
გინდაც შინ მარგო იყო,  
არავინ გყავდეს დამლაპარაკებელი, –  
რამდენ რამეს გაიხსენებ,  
რამდენ ვინმეს წარმოდგენით გაესაუბრები  
ან თუნდაც გაეპაექრები!  
მაშ, გაახილე თვალები!  
გაიმახვილე გონება  
და დააფასე ეს დღე!  
დააფასე ყოველი სხვა დღეც!..

**რად უნდა შევლეოდი ამ დღეს, ეს ლექსი ხომ მაინც დამაწერინა!**

წერა ყოველთვის შემიძლია, ამ ნაცრისფერ დღესაც კი!

კიდევ მრავალი სხვაც მიზიდავს, თუნდაც მარკების შეგროვება, წიგნების უკიდეგანო, საოცარ, უმდიდრეს მრავალფეროვანებაში ჩაფლდა... დღედადამ შემიძლია კითხვა... ამ დროს სხვა არაფერი არსებობს ჩემთვის, გარდა მწერლის მიერ შექმნილი სამყაროსი და უკვირთ ხოლმე, რაგომ ვღიბიანდები, როცა კითხვას მომწყვეტენ... კიდევ უფრო ვანჩხლდები, თუკი ლექსის ფრთიანი სტრიქონი მეწვევა უცებ და მას, გგრძნობ, მოჰყვება სხვა სტრიქონები, აიკინძება ძვირფას მძივებად – და უეცრად ცივი ქარის დაქროლებასავით შემოიჭრება შენს სულში ცოლის ჯაჯდანი: “რას დაფრინავ ცაში, წადი, საქონელს მიხედე! ან ფიჩხი მაინც მოიგანე ცყიდან, უსაქმოდ რომ დაყუდებულხარ და ცაში ვარსკვლავებს ითვლი, თანაც დღისით – ვერ ხედავ, დუმელი რა ხანია, ჩაქრა!” საოცარია, ჩემი ცოლისგანაც ზოგჯერ მესმის ფრთიანი სტრიქონი... მისი შექედულებით, მართლა უსაქმური ვარ, დროს სისულელებშე ვხარჯავ...

სულ დაბდვერილი დავდივარ, სულში კი უმეტესად სიხარული ბუდობს – მიხარია, რომ ხვალაც დღე გათენდება! ხვალ მივდივარ ძროხების სამწყებასად – ჩემი რიგი მოვიდა სიფლის ნახირის საძოვარზე გადენისა და მთელი დღე მარგო ვიქნები! მიყვარს საქონლის ძოვება და გარემოს თვალიერება – არ მომწყინდება! მიუხედავად იმისა, რომ, აუც! ალბათ ვერც დავთვლი, მერამდენედ ვიქცევი მწყებასად! და შემეძლება, დავტკებ მრავალგზის და მრავალგვარად, თუნდაც ძროხათა სხვადასხვაობით. წაბლა, თოვლა, ნისლა, ჭრელა... – მხოლოდ მათი სახელებიც კი რა ცხოველხატულია! თუ დარი იქნა, უნდა დაგხაცო ფერადოვნად გაშლილი მწვანე ფერდობებ, ან ჭალაში გაფანტული, ან მდინარის პირას ჩასული და წყალს დაწაფებულინი...

გარშემო, ირგვლივ და ყოველ მხარეს: ყველაზე დიდი საოცრება – სიცოცხლე! ბუნების ძარღვის ფეთქვა, მისი უჯრედების გასაოცარი სიმრავლე და მრავალფეროვნება, სიცოცხლის ყოველი გამოვლინების უნიანი უძლეველობა...

ჩაგვდები ბალახებში და ხან ტყე-ველ-მინდორს გახედავ, – რა ლამაზია ეს მთები, რა გორობი და უკარება ჩანან და რა ნაბი ფერები მოსავთ!.. ხანაც – მიწაზე მიმდინარე წყნარ ცხოვრებას ვაკვირდები: ჭიანჭველების საქმიან ფუსფუსს, აბეგარი ბეგების ბზუილს, ხოჭოების ღოღიალს ბალახთა ღეროებებ,

ჭიათურას გარინდებულ ნახევარსფეროს, უცებ რომ წელი, ალბათ ადამიანთათვის უხილავი, ტკაცანით გამლის ფრთებს და გაფრინდება, ფუტკრების საქმიანი ბუბუნით გადაფრენას ყვავილიდან ყვავილზე, პეპლების ერთი შეხედვით უბრუნველ ფარფაცს, გარინდებული ობიბას ჩასაფრებას ქსელის შუაში; ვუს-მენ კალიების წინწრის, ტოროლის წერიალ-გალობას, ნაკადულის უდარდელ ლიკლიქს...

ჰო, ძალიან მიყვარს ბაღ-ბოსტანიმიც საქმიანობა, რაღაცის აშენება, თუნდაც საქათმე იყოს. სახლის შენებას ხომ გადავუვი - ამდენი წელია, ვჯახიორობ და ჯერაც უამრავი რამ დარჩა გასაკეთებელი: სულ ვაპირებ, უპირველესად კარგ კიბეს გავაკეთებ-მეთქი, თორემ უკვე მართლა მომბეჭრდა ცოლის სამართლიანი საყვედური - სადამდე უნდა ვიწვალო ამ უბადრუკად შეკოწიწებულ კიბებე გულის ხეთ-ქვით ძრომიალით, სანამ კისერს არ მოვიტეხავო?...

## ყანა-ბაღის სიმდერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

როცა მანქანით მივემგბავრები, გმიდან ვხედავ: შემოღობილი ებო-ყურე – სახლით, სამზადით, საქათმით, ნალიით, ძალის ბუღრუგანათი... გომურს დაუდია შავი ხახა... ჭის თავშე თწინარს აუშვია უსაშეელოდ გრძელი კისერი... სახლს ქუდად დაუხურავს კრამიგის წითელი ქუდი...

ეზოში დადიან ქათმები, ძალი მიწოდილა დიდი თუთის ჩრდილში... გამოხუნებულკაბიანი დედაკაცი თოკვე ჰეჭენს სარეცხს... დარბიან ბავშვები... შაოსანი მოხუცი ქალი მიმჯდარა სახლის ბლურბლებე და კალთაში რაღაცას არჩევს, მის გვერდით მოკალათებული ჭრელი კაფა კი გაფაციცებული მიშტერებია თუთის ხეზე ბეღებულების ტოტიდან ტოტებე გადაფრენას...

რა შორეულია ჩემთვის ამ უცხო სამყაროს, ამ სოფლის ებოს, ამ უცხო ადამიანების საქმიანობა და რა ახლობელია, მშობლიურიც!

ვფიქრობ: რამდენი ასეთი, ან ამის მსგავსი სოფლის ებოა საქართველოში... ყველგან – სიმყუდროვე, მამლის ყივილი, დედაკაცების ფუსფუსი, ბავშვების ერთამული...

როცა გამრჯვე მეურნე მღიმარი შეკურებს მისი ნაჯაფი ხელებისა და გონის ნატოფს – კოხტა ბაღს, შემოღვმაბე დახუნძლულს გულის გასახარი ნაყოფებით, ან გაბაფხულბე ყვავილებით აფეთქებული პაგარძლების – ნუშის, ალებლის, ტყემლის, ვაშლის, მსხლის... – ტურფა რიგებს, ან თუნდაც გამთარში: თითოეულ ფოთოლგაბარცულ ხეს, მიმველს, მოწყენილს, მომლოდინეს – სიმდერით ეგსება გული და სიამით სული, განა ეჭვი შეგეპარება?

გლეხის მოდგინა რომ ვარ, ცხადად მეტყობა: იშვიათ სიამოვნებას მგვრის მიწაში ჩიჩქნა, – ბარვა, თესვა, თოხნა, ხეხილის ჩაყრა, ნარგავის გახარება... დაკეირვება, როგორ იმზდება მცენარე, როგორ ყვავილობს, ნაყოფს გამოიღებს... ყველაფერი საოცრებაა! რაღა წერა და რაღა ბაღის მოვლა! ერთნაირი გათაცებით ვირჯები! და მოუთმენლობა მიპყრობს, როცა ხელს მიშლის რაიმე, ერთი სული მაქვს, როდის მოვიცლი საყვარელი საქმისთვის! ჩემს შეიღებს ვერაფრით გაუგიათ, რაგომ ასე დაუინებით მსურს, ვიხილო ბადი შეა გამთარში – რა დაგრჩენია ახლა იქო, გაკვირვებული მეკითხებიან... გული დამრჩა, გული! მინდა, დაგხელო, გავიარ-გამოვიარო, გაშიშვლებული ხების ნაღვლიან სიმდერას მოვუსმინო, მათ ხორკლიან, გათოშილ ტანს ხელით შეეხო, მაღლა ავიხელო – ტოტები რომ გამთრის ბაც ცაბე გრაფიკულ სერათის ხაგავენ... მოვკრი გამხმარ ტოტს... შემოვუბარავ ძირებს... გავამაგრებ ღობეს... იქნებ უკვე ღობის ძირში ნაზი იები მიუჟუნებენ თვალებს... მერე გახხედავ სივრცეს – ოთხივე მხარეს... ვუსმენ ქარის ნელ შრიალს გაფიჩხულ ტოტებში, ტოტები ირჩევიან – ცეკვავენ და მდერიან...

## კარი V. ზაფხული

“საყვარელო, ხილვაი სამოთხისაი (ანუ ბაღისა) ბაფხულის სავსე არნ ყოვლითა საწადელითა და გულის სათქმელითა კაცთათა, რამეთუ განაცხორობნ თვალთა ხილვაი ყვავილთა მისთა სიმეწადელისაი და თანაწარმაგალთა დაბაფოვნებნ ხილვაი მისი და მრავალფერებია ყვავილთა მისთაი, და რამეთუ აღავსებნ საყნოსელთა სულნელებაი მისი და განამხიარულებნ გონებასა ყნოსაი მისი და ტკბილად გემოვან ჰყოფნ პირისა გემოისხილვაი ნაყოფთა მისთაი და განანათლებნ გონებასა საშეებელი (ანუ ლეხინი) სანოვაგეთა მისთაი”...

ასე პოეტურად იწყებს იოანე მოსხი, VII საუკუნის მწერალი, ბიზანტიურ მწერლობაში ნოველის ჟანრის ფუძემდებელი, – ზოგიერთ მეცნიერთა ვარაუდით, იგი წარმოშობით მოსხი (მესხი) ანუ ქართველი იყო, – ნოველათა კრებულს “ლიმონარი” ანუ ქართულად “მდელო” (ქართულ ვერსიაში ეწოდება “სამოთხე” ანუ თანამედროვე ქართულით – “ბაღი”; არაბულ ვერსიაში – “ბუსთანი”).

მართლაც, სამოთხე, გინდა ბაღი, ჩემთვის უპირველესად ზაფხულია და “ჭადარდიდის” ეს კარი ასე მინდა, დავიწყო:

საყვარელო, აპა, მოგოგმანდა ზაფხული – მკერდსაგსე, ჩათქირებული, კეთილად მდიმარე, ალერსიანი, ტურფა ქალბატონი!

მზე გამეტებით აცხუნებს, ვნებიანად გალერსება ელგარე სხივებით ორგვლივ ყოველივეს – მთა-გორებს, მინდორ-ველებს, ჭადარდიდსაც და ჭადარდიდხევის ხეობასაც...

ზაფხულის ხეატია – ყველაფერმა მოიწყინა: მხრებჩამოყრილი ხეები, საცოდავად მიმკედარი მდინარე, – წყალმილეული, სანახევროდ დამშრალი, დასაწყლებული, – ჭადარდიდხევი ზანტად მიღორდავს გაშიშვლებულ, გაზრდილ ლოდებს შორის; ბოლოქანქალა მოუსვენრად დახტის ქიოდან ქაბზე, აქეთ-იქით ცემიტად ატრიალებს პატარა კოხტა თაგს; პეპლები ნააირის სველ, ნადირურინველთა ნაფხურებიან სილაზე ჯგროდ მოდენილად, დამსხდარან, გატრუნულან, ისევენებენ... ალაგ – საქონლის ნაჩლიქარში შერჩენილ გამწვანებულ წყალში თაგპომბალები უნდილად, უთავბოლოდ დასხმარტალებენ აღმა-დაღმა...

მდინარეც თითქოს ისვენებს – ისე ვეღარ ხმაურობს, ძლივს ითქვამს სულს და მაინც კი არ ბუზუნებს, წყალმილეული, სანახევროდ ბოდიშობს: “რა გქნა, მე თაგმედარმა, წყალმცირობა მჭირს და ძალა მაკლია; აგერ წისევილისკენ მიმავალ რუს თაგსაც დამნაშავესაგით თვალს ვარიდებ, დარცხევნილი ჩავული – ვერ ვაგსებ”... საბანაოდ მოდენილი ბავშვების ჟივილ-ხივილიც თითქოს ჩამცხრალა – მხოლოდა ჩაწოლას თუ მოახერხებენ უწინდელ ღრმა მორევებში; სამაგიეროდ, უჩვეულოდ თბილია წყალი, თევზებს უჭირთ სუნთქვა და აღმახებს ხომ განსაღუთოვანით – აღმა აუგვნენ მდინარეს, სათავისკენ, უფრო გრილი წყლისკენ...

ბეღურები გუნდად მოფრინდებიან, აფართხალებენ-აფართქუნებენ ფრთებს მცირე გუბებში; განთიადისას მიაღვებიან ფრთხილი შვლები დაბალ ნაპირს, წინა ფეხებით ჩადგებიან წყალთხელში, წიგრძელებენ კისრებს, მოუთმებლად დაიხერებიან წყლის მთრთოლავი ზედაპირისკენ და დაწაფებიან მაცოცხლებელ სითხეს.

იალდუნები, ფშატები თითქოს მოიბუზენ, მაგრამ იხტიარს მაინც არ იტეხენ, – ღრმად მიღიან მათი ფეხები ქვიშა-სილიან ნიადაგში; ქაცვის ეკლიანი ხებურქებიც მოწყენილი დასცემარიან თითქმის დამშრალ ფშანებს წვრილად დასხმული ნაყოფებით-მძივებით, შემოდგომაზე რომ თბილად ჩაყვითლდებიან და ჩიტებს საზამთროდ გახახებენ.

მაყვლის ნაყოფი უფრო დამტებარა, არ აშინებს სიცხე და გვალვა; დასევია ბზიერი და ქელი, ფუტები და ქრაზანა, კალიაც კი და სხვა უთვალავი მწერი მრავალგვარი, აგრეთვე – ნადირურინველიც, ვისაც პირის გემო გააჩნია... უპირველესად კი – ჭადარდიდელნი: მდინარის ჭალის მაყვლინაში აქა-იქ ჭიატობს ქალთა ჭრელი თავსაფრები და ფერად-ფერადი კაბები, ისმის ბაგ-შვების მხიარული გადამახილი; როცა შუაღლებები მწყემსი საქონელს ჩადენის ნახირს წყლის პირად დასარწყლულებლად და მოსასვენებლად, ისინიც გაისველებენ ხოლმე პირს სურნელოვანი გემრიელი ნაყოფით... საქონელი ჭალის ვერხების ჩრდილში მიყრილა, უნდილად იცოხნება და ბუზანკალებისგან გაბზრუებული, ისევ და ისევ თავს იქნებს და კუდს გამწარებული მოიქნევს...

ლილიდან მოწმენდილია უმანერ ცა, მერე უცებ წამოუქროლებს, წამოუქერავს ნიაგი, სულ უფრო ძლიერდება და მაღლ ნამდვილ ქარად იქცევა; საიდანდაც თითქოს ჯადოსნური ჯოხის დაქნევით გამოცვივდებიან ცელები ღრუბლები, დაიგორგლებიან, სწრაფად ჩამუქდებიან; ქარიც იმდლავრებს, ახეტავს მიწიდან გამხმარ ფოთლებს, მტკერს აიტაცებს ჰაერში...

უცებ დაიგრუხუნებს და მისი გრიალი ჯერაც მიგორავს და მიგორავს, ახალ-ახალ ჭექა-ჭუსილს უერთდება, როცა მოულოდნელად მძლავრად დასცებებს წვიმა, ირგვლივ ჩამონელდება და მხოლოდ უწყვეტი გაელვებები წამით გაანათებენ წვიმის ფარდას, აქანავებულ სველ რტოებს, თავფეხიანად გაწუწულ ადამიანებს, შენსავით თავშესაფარისკენ რომ მირბიან და წამდაუწუმ ფეხი უცდებათ უკე დამბალ ნიადაგზე, დგაფუნით გადაივლიან გზაზე უცებ გაჩენილ მდგრიე გუბეებსა და ნაკადულებს...

როცა მიაღწევ თავშესაფარს, სწორედ მაშინ უცებ შეწყდება წყლის ნიადვრის თავდასხმა მიწაზე, ქარიც ჩადგება, ჩამომდგარ სიჩუმეში მხოლოდ შორეული გრგვინვა თუ ისმის – უპა გადაინაცვლა წვიმის ფრონტმა – და ჩამოწრეტილი წვეთები წენარად წანწერებენ...

გაცისეროვნებულ, პირდაბანილ ცაზე მზის მხიარული თვალი გამოიხედავს-გამოაბრწყინებს, სხივები აციალდებიან უთვალავ წვეთებზე-მარგალიტებზე; გაგრილებულ გმაყოფილ მიწას ორთქლის ოხშივარი ასდის, იცინის და სულ მაღლა კი – გულიანად მდერის დიდებული ცისარტყელა!..

უხარია ბუნებას, ყველა სულდგმულს და ყველაზე მეტად კი გახალისებულია მტკერჩამობანილი, ზურმუხებისფრად ახასხასებული ხებურქები და ბალახები...

დაწყნარებულ, გასუფთავებულ პაერში ისმის ჩიტების მხიარული ჭიკჭიკი, ისევ საქმიანად ზუზუნებენ ფუტერები, ცელები დაფარფატებენ პეპლები, ერთმანეთს გადასძახებენ ეზოებში გამოფენილი გოგო-ბიჭები...

## ბალახთა სიმღერა

(მამუკია კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

სოფლის ორდობეებში გალახი გამქრალი; ღობეთა ძირებში გაღაღებულა ჭინჭარი, მაღლა მიძვრება ხეართქლა; ბილიკებს ადეგნებულან მრავალძარღვა, ცისფრალ თვალებგაბრწყინებული ვარდკაჭაჭა, დიდფოთლება ღოლო და ოროვანდი; თავს იწონებს მაღალი, ყვითლად ყვავილებაგიზგიზებული ბალა, ბალახთა ჯარის მოკრძალებული ჯარისკაცები, რომლებიც ყვავილთა სიღიღით თუ ფერადოვნებით ვერ დაიკვეხნიან – წიწმაცურა, მრავალძარღვა, ჭანგა, კოინდარი... – კორდის მწვანე ხალიჩას ხომ ჰქმნიან...

ბალახთა სიმღერა – ნაბია, წყნარი... ვერც გაიგონებ, თუ არ ჩაჯდები ბალახებში და ყურს მიუგდებ ნიავით ათამაშებული ბალახების ნაბ ღილის, რომელიც უერთდება მოწინწრიხე კალიების, მოლიკლიკე ნაკადულის, მოუკიფებელ ჩიტუნების ხმებს... ერთიან ჰარმონიაშია ბალახები – მიწაზე გართხმული ბურმუხტისერი ხალიჩა მასზე დახატული ნაირფერი ყვავილებით... უბალახოდ ერთ წამს ვერ წარმოიდგენ ვერც სოფელს და ვერც მინდორ-ველს, ვერც მთასა და ვერც ბარს...

მიღიხარ ნება-ნება და უცებ ცხვირწინიდან წამოგიწრინდება ჩიტი... დაიხრები და ხედავ: მაღალ ბალახებში – ლამაზად მოწნული მომცრო ბულე, ბუდეში ნათელი, დაჭორფლილი კენჭები აწყვია – კვერცხები...

და გარშემო ისმის:

ცელის სიმღერა...

მწყემსის ღიღინი...

ჩიტების ქურუტულ-ჭიკეიკი...

ფუტკრის თუ ხოჭო-ბუზის ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენის სიმღერა...

ხვლიკის ელვასავით წამიერი გასხმარგალების მუსიკა...

გველის მომნუსხავი სრიალის მუსიკა...

## კარი VI. “ტურიკოს ოინები”

სოფელ ჭადარდიდის გოგო-ბიჭები ყოველ საღამოს იქრიბებოდნენ დიდი ჭადრის ვარჯის ქეეშ (თუ, რა თქმა უნდა, წიგმა და თქეში არ იყო) – და იმართებოდა თამაში, ცეკვა-სიმღერა, ზოგჯერ – ჭიდაობაც, გულის სწორის არჩევა... ბევრს აძგერებია გული საოცნებო თვალთა შუქის გამოპრწყინებაზე, ენა დაბმია და წინასწარ ათასჯერ მომზადებული სიტყვები დაგიწყვებია...

დიდ ჭადარს ხშირად აკრავდენენ ქადალდზე დაწერილ განცხადებებს – აქ უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგჯერ ნახავდით მცირე შავარშიიან სამგლოვიარო განცხადებასაც, თუმცა, რა თქმა უნდა, მავანის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი სოფელს მაშინვე მოედებოდა, მაგრამ ასეთი წესი ჰქონდათ: აუცილებლად დიდ ჭადარზე უნდა გაეკრათ ამგვარი ქადალდი – გულის ამაჩეუებელი სიტყვებით და მრგვირხასულეთა გრძელი ჩამოხათვალით... ან უკეთეს ადგილს სად ნახავდი, რათა შეგეტყობინებინა მთელი სოფლისთვის, რა კინოვილმის ნახვა შეიძლებოდა საღამოს სოფლის ქლუბში; ამას კი დიდი ზომის ქადალდზე მტკაველიანი, აჯღაბაჯღა ასოებით ატყობინებდნენ დაინტერესებულ პირთ. კინოფირი ფოსტის მანქანით მოჰქონდათ რაიონული ცენტრიდან და ორცა საღამოსპირს ეს მანქანა გამოჩნდებოდა, მოუთმენელი ბაგშეგები ყიუინით აედევნებოდნენ: “დღეს რა კინო მოიტანეთ?”, ბიჭები კი აუცილებლად დაამატებდნენ: “ომზეა?” ქალიშვილების წაქეზებით გოგონები ყვირილით ეკითხებოდნენ: “ინდურია?” სოფლის ყველა ასაკის ქალს ინდურ მუსიკალურ მელოდრამაზე სული მისდიოდა, ქალიშვილებს კიდევ განსაკუთრებით სურდათ, თვალი მოეკრათ მაინც ბეჭან კინომექანიკოსისთვის, რომელიც თავს გამოჰყოდა კაბინის ფანჯრიდან და გაღიმებული პასუხობდა: “ინდურია, ინდური, ორსერიიანი!” ეს ბიჭი – შავტუხა, შავქოჩიანი, შავულვაშა ჯეელი, ლიმილით რომ გამოაჩენდა ჩაწიწიკებულ ბროლივით კბილებს, ბევრ გაუთხოვარ გოგოს უკროობდა ძილს...

ზაფხულის ერთ გრძელ დღეს კი, შუადღეზე, დიდი ჭადრის ტანზე ხელით ლამაზად ნაწერი უჩვეულო განცხადება გამოჩნდა:

## “მეგობრებო!!!”

ამა წლის 23 ივლისს, საღამოს 8 საათშე, სოფლის კლუბში, მამუკა კალმახაურის სალადობო პიესის მიხედვით გაიმართება მხიარული ორმოქმედებიანი წარმოდგენა “ტურიკოს ოინები”.

### მონაწილეობები:

ტურიკო კუჭუკულმართი – მამუკა კალმახაური;  
 ოხრაკა – ელგუჯა მუხაიძე;  
 ვახრაკა – კესანე მუხაიძე;  
 როკაპი – ხათელა ბუთურაული;  
 კოპალა – ნოდარ გარგალაძე;  
 პირცეცხლი – გიგლა ბუთურაული;  
 ბრეცია – გოდერძი კალმახაური.

### იმდ უ უშ შემ უფე

წარმოდგენის გამართვამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი, სოფლისთვის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას გულის ფანცქალით მოელოდა მთელი სოფელი. და არავინ იცოდა, რომ “ტურიკოს ოინების” წარმოდგენის შემდგომ კიდევ რამდენიმე ფრიად მნიშვნელობანი მოვლენა მოხდებოდა...

აფიშის გაცერის შემდეგ პირველსავე საღამოს ჩეგულებრივზე მეტი ახალგაზრდა შეიკრიბა ჭადარქეშ. ზაფხულში დასასვენებლად ქალაქიდან მშობლიურ სოფელში დაბრუნებული ცნობილი მოჭიდავე შოთა ქურუხაძე ახლაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სითამამითაც და გარეგნობითაც: ახოვან ახალგაზრდას თხელი პერანგი უცეპა და კოხტაობდა განიერი ბეჭებითა და დაკუნთული მელავებით; შეჯგუფულ ახალგაზრდებზე თითქმის მთელი თავით აზიდულიყო და მხოლოდ მისი მეგბი ოდნავ თუ ჩამორჩებოდნენ სიმაღლით – ნაბოლარა მმის, ზაურის, გარდა, რომელიც ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისა იყო. შოთას ვაჟაცური, შავარემანი სახე არა ერთ და ორ ქალიშვილს ტკბილად მოეგდინებოდა სიზმრებში, ერთხელ კი სოფელში ჩამოსულმა კინოგადამლებმა ჯგუფმა ის მაშინვე შეამჩნია, გამოარჩია შეჯგუფულ ახალგაზრდებში, რომლებიც ცნობისმოყვარეობამ მიიზიდა სასაფლაოზე, ძველ ეკლესიასთან (აქ იდებდნენ ერთ-ერთ ეპიზოდს) და მაშინვე არა მხოლოდ მასობრივ სცენებში მონაწილეობისთვის მიწვიეს დანარჩენი მისი ამხანაგებივით, არამედ რაღაც ეპიზოდური როლიც კი შეასრულებინეს...

– შოთა, ძველი მსახიობი ხარ და შენ რატომ არ გერგო რომელიმე როლი? – გაექილიკა ბესა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხოსრო ტურიკაშვილის ვაჟი.

– შენა, ბიჭო, ტურიკაშვილი ხარ, შენ უფრო არ შეგეფერებოდა? – წაუთაქა ვითომ ხუმრობით, მაგრამ სინამდვილეში ფრიად მტკიცნეულად, შოთამ ბესას ძეფაში. – გოდერძი კიდევა შენზე უკეთესად იხტენავებს სცენაზე, მამამისმა როლი მისთვის იმიტომ გაიმეტა!

პიესის ავტორისა და მთავარი როლის მომაგალი შემსრულებლის მამუკა კალმახაურის კოჭლი ვაჟი, გოდერძი, რაღაცის შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ მისმა მეგობარმა, ელგუჯა მუხაიძემ, ხელი მოჰკიდა, იქაურობას მოარიდა და ჩურჩულით ურჩია, რეგგენს თავს ნუ გაუყადრებო, თუმცა მერე თვითონგე ვედარ მოითმინა და შოთას უთხრა:

– მამუკა ან გოდერძი რა შენი დასაცინია?

პასუხად შოთამ გაიცინა და ჭადრის ტანზე გაკრული აფიშა ჩამოხია:

– აქ მოსვლისთვის მოიცალეთ? წადით, შვილებო, იმაიმუნეთ და იხტუნავეთ, რეპეტიციას ნუ აცდენთ!

– ბიჭო, ხელები გექავება? – ახლა გოდერძიმ პერითხა. იგი მართლაც იშვიათად იცლიდა ჭადარქეშ მისასვლელად – საქმეს გამოულევლად გამონახავდა, დაუზარელი ახალგაზრდა იყო.

– მე თუ ხელები მექავება, შენ და შენს მმაკაცს ყებები გექავებათ! – ისევ გამომწვევად გაიცინა შოთამ და მიწაზე დაგდებულ აფიშის ნაფხრეწს ფეხი გაჟერა. – მამაშენის და თქეენი მასხარაობა თუ კლუბში ჩატარდება, იმასაც ვნახავ!.. შენა, ბიჭო გოდერძი, კარგი ბრეცია იქნები, მთელი სიცოცხლე მაგ როლს ასრულებდი!

ერთხმად აროხორხდნენ შოთას უმცროსი ძმები: ანზორ, ბარნაბა, ბიძინა და ზაურ; ეს უცანასენელი ყველაზე ხმამაღლა ჭიხვინებდა და ქაღალდის ნაკუწებს ფეხსაცმლის წვერით აბურთავებდა.

გაწევგამოწევა ალბათ ჩეუბითაც დაგვირგვინდებოდა, რომ არ ჩარეულიყვნენ დანარჩენი ახალგაზრდები, რომლებსაც დიდ ჯაფად დაუჯდათ მეტოქეთა გაშველება.

ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში დილით გაკრულ წარმოდგენის აფიშას შუადღეზე გედარ იხილავდით, უკეთ ჩამოხეული იყო – მმებ ქურუხაძებში ნაბოლარას, ზაურს, არ ეზარებოდა ამ ქეთილი საქმის შესრულება. დიდ ჭადართან ყოველთვის უამრავი ხალხი ირეოდა, მაგრამ ბიჭისთვის ხმის გაცემას ვერავინ ბედავდა – იცოდნენ, იქვე, მოფარებულში, ჩასაფრებულნი იყენენ მისი ჩეუბს მონატრებული უფროსი ძმები. აფიშაში აღარც სოფლის კლუბი იყო დასახელებული წარმოდგენის გამართვის აღგილად და ხმა დაირჩა, მამუკას კლუბის სცენას აღარ აძლევენ, ტყუილად ხეანცალებს კალმახაური, მისი წამოწყება ჩაფლავდათ; ამის მიუხედავად, ყოველ დილით აფიშა ისევ და ისევ ჩნდებოდა დიდი ჭადრის ტანზე...

ბოლო აფიშა 23 იგლის გამოჩნდა, დილაადრიან, და რამდენიმე ახალგაზრდა დარაჯად იდგა, რათა ის კვლავ არ ჩამოეხიათ; წარმოდგენის ადგილი ამჯერად მითითებული იყო – ნაზიძროლა ცოცხიაშვილის სახლი.

უნდა მოგახსენოთ, ომ აფიშაზე ნაზიძროლას სახლის გამოჩნამ სოფელი ორად გაყო: ერთი ნაწილი გაეკირვებას გამოთქმამდა, დამტვარ სახლში რა წარმოდგენა უნდა გაიმართოს, ხომ არ დაგვცინიანო, მეორე ნაწილი კი დაუფარავად ხარხარებდა – მამუკა მასხორის გუნებაზე კი იყო დამდგარი, მაგრამ მაინც არ გვეგონა, თუ ასე ჯიქურ გაუტევდა და დაუკრეფავში გადავიდოდა.

ამ დროს კი ამ მართლა ნახანძრალ სახლში, სადაც მხოლოდ აგურის კედლებიდა იყო გადარჩენილი, მამუკას დასახმარებლად მისული ხალხი ტრალებდა: გაიტანეს ჩამონგრეული სახურავის დამტვრეული კრამიტი და ნახანძრალი ნაგავი, ჰგვიძნენ, წმენდნენ მიწის იატაკს, სახლებიდან წამოდგულ სკამებს დგამდნენ, ხუროს, გაბრიელის, ხელმძღვანელობით სცენისთვის ახალ ფიცარნაგს აგებდნენ... ერთ დროს გაბრიელი ამ სახლში ცხოვრობდა – ნაზიძროლა ცოცხიაშვილის მეუღლე იყო – და ახლა ძალიან ემნელებოდა აქ მოსვლა, მაგრამ მის მეგობარს, მამუკას, უარი ვერ უთხრა დახმარებაზე.

და თუმცა ჭადარდიდებევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იაკოფა ჩიტაფაფაშვილმა და კოლმეურნეობის „გზა ნათელი მომავლისებრ“ თავმჯდომარე ქაიხოსრო ტურიკაშვილმა წარმოდგენისთვის კლუბის სცენის მიცემაზე მეგახე უარი სტაცეს მამუკას, აგრეთვე სხვა მრავალი დიდ-პატარა სიძნელისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, წარმოდგენა მაინც გაიმართებოდა.

დიას, მოწყალეო მკითხველო, ნაზიძროლა ცოცხიაშვილის ნახანძრალ სახლში ყრილი ზალა ანუ მოზრდილი ოთახი, ომელიც ამჯერად მაყურებელთა დარბაზის მაგივრობას სწევდა, დათქმულ დროს – 23 იგლის – საღამოსპირს ნელ-ნელა ხალხით ანუ სეირის მომლოდინეთა სახეებით გაივსო. ერთგარი პორტრეტთა გამოფენა მოეწყო, ოდონდ მხატვრების მიერ რუდულნებითა და მოთმინებით კეთილსინდისიერად შესრულებული ტილოების მაგივრად აქ ახლა ბუნების მიერ უსაზღვრო ფახტაზით, მხატვრისთვის მიუღწეველი სისრულითა და ბუნებრიობით, წარმოუდგენელი სრულყოფილებით შექმნილი ადამიანები ისხდნენ, პიროვნებები: ქალები და კაცები, ბაგშევები და მოუცები – ყველანი მომლოდინენი, ცნობისმოყვარე თვალებით რამდენიმე ზეწრისგან შეკერილი ფარდისებრ მოუთმენლად მზირალი, აქეთ-იქით თავის ტრიალით ნაცნობ-მეგობრების მძებნელი, მოყაყანენი და მოცინარნი; დიას, მხატვრის უუნჯისგან უძვდავყოფილთაგან განსხვავებით, ცოცხალნი, დროსა და სივრცეში ცვალებადნი, გრძნობებითა და გნებებით დაუურსულნი – ამეამად საღალობო წარმოდგენის ხილვას მოწყურებულნი, სიამითა და სიხალისით სახეგანათებულნი, მომდიმარენი და ერთმანეთთან სამასლაათოდ მომართულნი...

მაგრამ არა, აგერ წინა რიგში, საგანგებოდ გამორჩეული რამდენიმე სავარძელი რომ დაუდგამთ, შიგ ჩასვენებული პატივცემული გაგანი, მოუთმენლობითა და მოლოდინით სცენის სახელდახელოდ შეკრიწებულ ფარდას რომ მისხერებიან, არც ერთმანეთს ელაპარაკებიან, არც აუგუგებულ ხალხს ათვალიერებენ, – სკამზე ცქმუტავენ... ესენი გახლავან...

პო, ჯერ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ: როცა სამხატვრო გამოფენას დავივლი, სურათების ხილვის გარდა, არანაკლებ მიტაცებს ხოლმე დამთვალიერებელთა სახის მზერა, მათი განწყობილების ჭრეტა.

ბოდიშს მოვიხდი მკითხველის წინაშე, რომ სამი-ოთხი დაბლვერილი პერსონაჟით ვიწყებ „ტურიკოს ონების“ სანახავად მოსულთა გაცნობას; მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, სხვა დროს როდის მომეცემა ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა – რომანის უმრავლესი პერსონაჟების ერთად თავმოყრისა და მათი მკითხველისთვის წარდგენისა, კალმის ერთი-ორი სწრაფი მოძრაობით მაგანის სახის მოხაზვისა; იმედი მაქსი, მომავალში საშუალება მომეცემა, ზოგიერთი მათგანი სიტყვითა თუ საქმით გამოვაჭრო ამ ჩემს ნაცოდვილარში და ახლანდელ კონტურულ ნახატს მეტ-ნაკლებად ფერ-ხორცი შეგასხა და უფრო ახლოს გაგაცნოთ.

მაშ, რაღამც წინა რიგში მსხდომი მაყურებლებით დავიწყებ, ბარემ გაგაგრძელებ.

ზოგიერთი პიროვნების აქ გამოჩენა მამუკასთვის სრულიად მოულოდნელი იყო...

შინიდან საგანგებოდ მათი ნაპატივები საჯდომებისთვის წამოდებულ რბილ დიგანზე სხედან ჭადარდიდის კოლმეურნეობის „გზა ნათელი მომავლისებრ“ თავმჯდომარე ბატონი ქაიხოსრო ტურიკაშვილი, მისი მეუღლე, ქალბატონი ტერეზა და მათი შეილები – 18 წლის ბესა და 20 წლის ტურფა. გულადილად მოგახსენებით: ტურფა მშვენიერი ქალიშვილია, არაფრით არის დასაწუნი, მაგრამ დედამისი, ქალბატონი ტერეზა, ბევრად ლამაზი ქალია, – როგორც ძევლ რომანებში იტყოდნენ, სავსე მოვარესავით ანათებს და სიტურფით აშგარად ჩაგრავს გვერდით მჯდომ ქალიშვილს, თუმცა მასზე ბევრად სადად აცვია და არც ისეთი ძეირფასი და თვალში საცემი საურეები უკეთია. ტურფა ჯერ კიდევ სულ მთლად ბაგშვი იყო, რომ ქალბატონმა ტერეზამ მოელ სოფელს უურები გამოუჭედა: „ჩემი ქალიშვილი საოცრად ნიჭიერია, რადაც განსაცვიფრებელ ლექსებს წერს! რა ხმა აქვს, როგორ მდერის და ცეკვავს – ნამდვილად ან გამოჩენილი პოეტი იქნება, ან დიდი მსახიობი!“ როცა ქალბატონ ტერეზას უთხრეს, ბაგშვი მამუკასთან მიიყვანე, მასეთი რამები გაეგება და კეთილ რჩევას მოგცმს, ტურფასთვისაც სასარგებლო იქნება მასთან ურთიერთობაო, კინაღამ გაგიუდა: „რას ამბობთ, ლექსებს მოპარავს!“ მამუკამ მოახერხა და „ტუ-

რიკოს ოინების” მომზადებისას ტურფას გაესაუბრა, წარმოდგენაში მონაწილეობა შესთავაზა; ქალიშვილი სიხარულით დათანხმდა, მაგრამ... როცა ეს ამბავი ხოსროს ყურამდე მიყიდა, ქალიშვილი სასტიკად გაჯორა და გადაჭრით აუკრძალა არამკუთ ფიქრი წარმოდგენაში მონაწილეობაზე, არამედ რეპეტიციებზე დასწრებაც კი... დიახ, რაც შეეხება ტურიკაშვილთა ოჯახის თავ-კაცს, ბატონი ქაიხოსრო სოფელ ჭადარდიდის, ამ პატარა სახელმწიფოს, ხონთქარია და მისი საკადრისი სახელი ხომ უნდა ერქვას? როგორც ხედავთ, შესაფერისი სახელიც გამოვუძებნე... იგი ამ არაჩევულებრიც დღესაც ჩვეულებრივ გამოწყობილა: აცვია მუქი, მოწმონა-რუსი კიტული, ამავე ფერის გალიფე შარგალი მშვენივრად შეკერილ და მშვენივრად გაკრიალებულ, შავად მბრწყინავ საუკეთესო რბილ ჩემებში აქვს ჩატანებული, ხოლო ისევ და ისევ მოწმონა-რუსი ფერის საჩეხიანი, ნახევრად სამხედრო ყაიდის ქუდი ამჯერად მუხლზე უსვენია და ამიტომ მისი მელოტი თავი გაბუღიალებული ხუთასსანთლიანი ელექტრონათურის შუქზე, რომელიც ჭალის მოგალეობას ასრულებს, ჩემებზე არანაკლებ ბრწყინავს. მისი თითქოს ქვისგან უხეშად გამოკვეთილი, სწორნაკვთებიანი სახე, როგორც ყოველთვის, ერთდროულად ქმაყოფილებასაც გამოხატავს, რომ დააფასა და მობრძანდა წარმოდგენის სანახავად და საკუთარი პიროვნების მნიშვნელობასაც ხაზს უსვამს – დროდადრო დინჯად ახველებს: აბა, ჟე, რაფას უყურებთ, ასეთი დიდი პიროვნება მოვბრძანდი და ჩემს ძირფას დროს გაუფრთხილდით, დროზე დაიწყეთ თქვენი ნაცოლებილარის ჩენებაო. მამისგან განსხვავებით, ბესა ტურიკაშვილი ბოლოქანქალასავით მოუსვენობს, აქეთ-იქით ატრიალებს თავს, თვალებს აცეცებს – ამფსონებს ემებს: მათთან ყოვნა ურჩევნია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მამისეული დიგანის მიტოვება ემნელება – დისგან განსხვავებით, უფერული გარეგნობა აქვს და ჯერჯერობით ქვეყნის გასაკირველი კი არა, ოდნავ მაინც უურადღების მიმტცევი, სოფლის კალობაზეც კი, ჯერ არაფერი გაუკეთებია, რომ რაღაც წონა მაინც მისცეს საკუთარ პიროვნებას...

ტურიკაშვილების დივანის მარჯვნივ და მარცხნივ, ასევე შინიდან წამოდებულ რბილ სკამებზე სხედან ჭადარდიდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იაკოფა ჩიტაფაფაშვილი და კოლმეურნეობის “გზა ნათელი მომავლისკენ” პარტიული ბიუროს მდივანი მელიტონაშვილი; ეს პატივცემულნი გამანი ბატონ ქაიხოსრო ტურიკაშვილთან შედარებით იმდენად უმნიშვნელონი ჩანან, რომ მათ შესახებ სიტყვის გაგრძელება არ ლირს.

მათ უკან შეძლებისდაგვარად სწორ რიგებად გამწერივებულია სულ სხვადასხვა სახის, წარმოშობისა და ასაკის სკამები; მათ შორის ოთხი გრძელი “საქელებო” ძელსკამია, ათამდე ტაბურეტიც გამოერია და ამაზე ცოტა მეტი – ზურგიანი სკამი იწონებს ნაირგვარობით თავს, უმეტესობა – მორყეული, ჭრიჭინა და რამდენიმე კი – ერთგვარად სახიფათოც კი არის მათი პარდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად ანუ დასაჯდომად; მით უმეტეს, რომ მაყურებელი ბევრად მეტი მოვიდა, ვიდრე დასაჯდომი ადგილი დახვდათ და ამიტომ ზოგიერთ სკამზე ორ-ორი ადამიანიც გახლავთ მოკალათებული. ამგვარი რამ მართლა საშიშია, რადგან სკამებზე ჯიკა-ჯიკავით, დღაბუცითა და სიცილ-კისკისით წევილ-წევილად მსხლომი ახალგაზრდების მოუსვენარ წრიალს სრულიად სადი სკამიც მნელად გაუძლებს; ამიტომ დროდადრო ისმის რომელიმ მათგანის განწირული გაჭრიალება, შემდეგ – ბრაგვანი, წაქცეულთა და გარშემო მყოფ ქმაწვილ ქალთა თუ ვაჟთა კივილ-შერეული სიცილი, უფროსთა ყასიდად ბუზღუნი...

განსაკუთრებით გამოირჩევიან მმები ქურუხაძეები – შოთა, ანზორ, ბარნაბა, ბიძინა და ზაურ. რა თქმა უნდა, მათ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთების შეძენა ფიქრადაც არ მოხვდიათ (თუმცა, ბილეთები ძალიან იაფი იყო და მათი გაყიდვა უფრო მაყურებელთა რაოდენობის გასაგებად უნდოდათ), არც სკამების მოტანაზე შეუწუხებიათ თავი და ახლა ცდილობენ, სკამიან ქალიშვილებს ჩაუსხდნენ კალთაში, რასაც მოჰყვება წიგილ-კიგილი, ლანდღვა, სიცილი და უკმაყოფილო წამოძახილები.

სრულიად განცალკევებულად დამჯდარა კედელთან შინიდან წამოდებულ საყვარელ სამფეხა სკამზე მიხა მუხაიძე; სოფლის მჭედელი შედარებით დაბლა კი ზის, მაგრამ მაინც თვალში საცემად გამოირჩება, იმდენად მოსული ტანისა გახლავთ. ეგ რაღამ მრიყვანა ნეტავი, ალბათ შეიღების, ელგუჯასა და ქესანეს, თამაშის სანახავად. გართობა იმდენად არ იზიდავს და კინოსურათის საყურებლადაც კი ქლუბში მხოლოდ მაშინ მიდის, თუ ფილმი ომს შეეხება (ცოლს, ოლიმპიადას, წინდაწინ არაფერს ეტყვის: ოლიმპიადას ეჯავრება ფილმები ომის შესახებ); ერთ ჭიქა არაყს გადაჭრავს, შუბლზე განუყრელ კახურ ქუდს ჩამოიფხატავს და ეზოდან უკანა კარით გაუჩინარება; ჩაბეჭდებულ დარბაზში უჩუმრად შევა, როცა სურათის ჩენების უკენება უკენ დაწერბულია, დაიღგამს შინიდან წამოდებულ, საკუთარი ხელით გაპეტებულ სამფეხა სკამს და სულგანაბული უცქერის ეკრანზე დატრიალებულ ამბებს. დორდადრო წყაროდ ამოიხვნეშებს ხოლმე, ალბათ ფრონტიდან წარმოყოლილი ძველი იარები ახსნებენ თავს, განსაკუთრებით კი – თავში ჩარჩენილი ტყვია, რომელიც საველე ქირუგმა მაშინ ვერ გარისკა, რომ ამოედო, მერე ჭრილობა შეუხორცდა და ეს უცხო სხეული, სიკვდილის მოციქული, არის და არის დღემდე მის თავში მუდმივ ბინადრად... არ აწუხებს მაინცდამაინც, კარგ ამინდში მაინც, და, მართალი თუ გინდათ მოგახსენოთ, საკუთარი ცოლი უფრო მეტად უშლის ხოლმე ნერვებს – იმ ტყვიისგან განსხვავებით, ავდარშიც და დარშიც – და კინოშიც ამიტომ მარტო მიდის. ცოლი უჯიჯღინება ხოლმე: “თავში ტყვია გაქვს ჩარჩენილი და კიდევ ომი და უბედურება გინდა ნახო?”

თვით ოლიმპიადა არც ერთ კინოსურათს არ ტოვებს უნახავს (როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ოზე ფილმებს არ წყალობს) და ის დღე, როდესაც კლუბში ფილმს არ უჩვენებენ, მის-თვის უფერულია, დაკარგულია; ცხადია, “ტურიკოს ონებსაც” არაფრით დააკლდებოდა – მეგობარ ქალბატონებში ჩამჯდარა და აქვთ ამ პატივცემულ მანდილოსნებს ერთმანეთში გაცხარებული საუბარი... ეჭვიც არ მეპარება, რომ სოფლის ფრიად საინტერესო ამბებს გავიგებდი მათი მოსმენისგან, მით უშეტეს, რომ ჭადარდიდის მემეტიანის როლი ვიკისრე, მაგრამ ამჯერად, ჯობს, განვაგრძო წარმოდგენის სანახავად მოსულ მაყურებელთა შემდგომი თვალიერება, რადგან ფარდის გახსნამდე სულ ცოტა დრო რჩება: აგრე ერთგან ფარდის მოგალეობის შემსრულებელი ზე-წარი შეირხა – ეტყობა, იმ ადგილას გახვრეტილია პატარა ჭუჭრუტანა (ალბათ საქმაოდ ძევლი ზეწარი გაიმტება მისმა პატრონმა ფარდად!) და მასზე თვალმიციებული ვიდაც, ალბათ წარმოდგენის მონაწილე, იქიდან მოუთმენლად ათვალიერებს მაყურებლებს (ჩვენისა არ იყოს!).

ჰო, ეს დარბაზის ჩუმად მჭვრეტელი მამუკა კალმახაური გახლავთ – “ტურიკოს ონებნის” დამწერი, წარმოდგენის დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელიც; ახლა კი ისიც მაყურებელია, ოლონდ – მაყურებლებისა. აინტერესებს, ვინ მობრძანდა წარმოდგენის სანახავად...

მუხაიძების ოჯახი სრულად არ არის წარმოდგენილი. ტარიელი, მიხას მამა, თუმცა 80 წელს არის გადაცილებული, მაგრამ ჯანიანია, არც მხედველობისა თუ სმენის უკარობას უზივის, ჰოდა, მაინც არ მობრძანდა, ბრძანა: “საცა დარო დამთხეული იქნება, მე იქ რა მინდა? ფეხს არ დაგადგამ!” დარიკო გახლავთ ტარიელას მეულლე, მიხას დედინაცვალი და ადგილი მისახვედრია, რომ ცოლ-ქმარს შორის სიამტებილობა არ სუფევს... მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე სხვა დროს დაწვრილებით მოგახსენებოთ, ახლა კი მხოლოდ დავძენ, რომ მათი ვაჟი, მამის მოსახელე ტარიელი ანუ მოფერებით ტარო, მიხას 40 წლის ნახევარმა, რომელიც მუშაობს ქალაქს ერთ-ერთ მშენებლობაზე, საგანგებოდ ჩამოვიდა “ტურიკოს ონების” სანახავად და თან ჩამოიყვანა მეულლე ნუცა და 17 წლის ვაჟიშვილი კიოლა. მამუკას ცოლი მზევინარი ნუცას გვერდით ზის და კაჭაჭივით შეუსვენებლად რატრატებს, ხოლო მეულლე, მამუკა, და ვაჟი, გოდერძი, ამჟამად დარბაზში არ გახლავან, რადგან წარმოდგენაში არიან დასაქმებულნი. “მზევინარი მაინც რამ მოიყვანა? სულ მეჯიჯლინებოდა: “ჱო, ჯერ გადაპყევი სისულელეების ჩამახას, ახლა ეგეც არ იგმარე და სულ მთლად გამოჩერჩეტდი – წარმოდგენა უნდა გავაკეთოო! ვაი, შენს თავს უბედურს!..” მერე კი, სწორედ დღეს, დილიდანვე აწრიალდა, უნდა წამოვიდე, გულიანად უნდა ვიციონ შენს ნაცოდვილარზეო... დაიწყო გამოპრანჭება, მაგრამ დახე ბედის უსინდისობას – თვითონ დარჩა დასაცინი: გერცერთი კაბა ვერ მოირგო! “სულ სტირი, აჩრდილს დაგემსგავსე, შენს ხელში დამაჭლეულე და ეგე, როგორ გასივებულხარ, გოლორსა პევებარ!” “ჱო, დამცინე, დამცინე, შენგან მეტი არაფერი მახსოვს! შენს ხელში მათხოვარს დაგემსგავსე...” “ამ კაბას ვთომ რა უჭირს?” “ეს მუქია, არ მიხდება, პანაშვიდე კი მოვდივარ!” “მე მეგონა, ჩემს პანაშვიდე ე მოდიოდი!” “მართლა სატირლად მაქეს საქმე, ოცდაათ წელიწადში ერთი წესიერი კაბა არ მაღირსე!” “რაც შენ ფერულმარილში, პომადაში და თმის საღებავში გაქეს დახარჯული, აქამდე ამ სახლს დავამთავრებდი!” “შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ!.. შენს ჯინაზე მაინც წამოგალ!..”

ახდა მამუკას ოცნება – რამდენიმე წუთში წარმოდგენა დაიწყება და აქ შეკრებილთ დროუბით მაინც დაავიწყებს ყოველდღიურ წერილმან თუ მსხვილმან, სულის ამფორიაქებელ და ზოგჯერ დამთრგუნველ ფიქრებს, დაამშვიდებს, გაართობს და იქნებ დააფიქროს კიდეც... თუმცა ყველა ნამდვილად ვერ დარჩება ქმაყოფილი; აგრე ხოსრო ტურიკაშვილი რომ გაჭიმულა, თითქოს გიორგი სააბაძე იყოს და ბედაურზე იჯდეს ბრძოლის წინ მხედრობის წინაშე... ვნახოთ, ვნახოთ, როგორ ალიქამს მისი უბრწყინვლესობა მამუკას ნახლაფორთებს... აგრე სოფსაბჭოს თაგმჯდომარე და პარტბიუროს მდივანიც მობრძანებულა... წმინდა სამება... რამ მოიყვანა ისინი აქ? სისხლი გაუშრეს, ასჯერ დაამცირეს – ერთმაც, მეორემაც, მესამემაც, თითქოს სიამოგნებდათ იმის ყურება, როგორ აპამპულებდნენ – შემოქმედ კაცს, პოეტს, დრამატურგს, ხელოვანს, სპექტაკლისთვის კლუბის სცენის დათმობის თხოვნით რომ იყო მისული მათონა; არაფრად აგდებდნენ, ალბათ გულში დასცინობნენ კიდეც მის უილაჯობას, თვით კი დიდ სიამოვნებას ნახულობდნენ საკუთარი უბირატესობის განცდით, გრძნობით, რომ ამ კოდოს, ჭიალუას, რომელსაც მათი გაბიაბრუება ჩაედო გულში, აგრძნობინებდნენ, ვინც იყო ამ სოფელში ბატონი და პატრონიც... “თამაში მოგინდა, გენაცვალე? ჱოდა, გაჩვენებოთ კიდეც თამაშასა! ასჯერ მოდი, ირბინე, იწანწალე, მაინც არაფერი გამოგიგა, თავხედო!” “ მაგრამ “თავხედმა” ხომ მაინც მოახერხა თქვენი წინააღმდეგობის დაძლევა! და ახლა მობრძანებულხართ, არ ითაგილეთ თქვენგან ათვალწუნებულისა და დაჩაგრულის შრომის ნაყოფი დააგემოვნოთ... რამ მოგიყვანათ? ალბათ შიშმა – ხომ არაფერს გვიხიმანებს ეს დამთხვეული გიუპოეტა, მისგან ყოველგვარი უსიამოვნებაა მოსალოდნელი და, ჯობს, თვით, თვალნათლივ დავრწმუნდეთ, რა ჩაიფიქრა მაგ უპეტურმაო... თითქოს გაბდენმილები სხედხართ, მაგრამ, ვატყობ, თქვენს მედიდურ და ბატონებულ მიხრა-მოხა-ში მოუსვენობა ქონავს... ნამდვილი წარმოდგენის დაწყებამდე თქვენი სიფათების თვალიერებაც წარმოდგენაა, თუმცა დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს – მერჩივნა სხვა მაყურებლებივთ სიხარულით, უზეულო მოგლენის წინათვრმნობით და სიამის მოლოდინით იყოთ ატაცებულნი, მაგრამ

ეს უკვე ჩემზე აღარაა დამოკიდებული... მე კი, რაც შემეძლო, ძალისხმევა არ დაგაკელი, რათა ჩემი ოცნება სინამდვილედ მექცია... დიდი, დიდი ხნის ოცნება..."

მამუკას სულ ასხოვდა, მის ბავშვობაში რომ ჩამოვიდნენ ერთ ზაფხულს ქალაქელი სტუმრები, ერთ-ერთი თეატრის მსახიობები და წარმოდგენა გამართეს ჭადარდიდის სკოლის სპორტულ დარბაზში... მერე ლექსებს კითხულობდნენ, ზოგიერთი მსახიობი მღეროდა კიდეც... მამუკა მაშინ სკოლის მოსწავლე იყო, მეცხრე ქლასი დამთავრა და სტუმრებს ფეხებში ებლანდებოდა - ცნობისმოყვარე ქმარვილს ყველაფერი იზიდავდა: როგორ ემზადებოდნენ წარმოდგენისთვის მსახიობები, როგორ ეწყობოდა სცენა... თვითონაც დაუზარლად ეხმარებოდა ათასგვარი წვრილმანის მოგარებაში - სულ სირბილით ასრულებდა მორიგ დაგაბლებას... სამაგიროდ, დასის ხელმძღვანელმა მამუკას უფლება მისცა, წარმოდგენის დროს კულისებიდან ეცეირა წარმოდგენისთვის; ისიც ენახა, როგორ ემზადებოდნენ მსახიობები სცენაზე გასასვლელად, როგორ კარნახობდა მათ სუფლიორი და ბევრი სხვა რამეც...

და იმ დროიდან მოყოლებული, სულ უნდოდა, თვითონაც გაეკეთებინა, მათ მსგავსად გაუმართა წარმოდგენა, ოღონდ სხვანაირად, თაგისებურად... სურვილი ჰქონდა, წარმოდგინა გალეჭისილი ზღაპარი, ალაგ - სიმღერითაც დამშევნებული, რომელიც ერთნაირად გაიტაცებდა, მოხიბლავდა დიდებსაც და პატარებსაც... აუცილებლად მხიარული წარმოდგენა უნდა ყოფილიყო, თანაც ბევრი სიტუაციითა და მრავალი პერსონაჟით; და ეს ამბები და პერსონაჟები, თუმცა საკმაოდ გადასხვაფერებული და სახელშეცვლილნი, უნდა ცენორ მაყურებლებს - გულგრილად კი არ აღევათ სცენაზე მომხდარი, არამედ გულთან ახლოს მიეტანათ, იქნებ აქტიურად გამოხმაურებოდნენ კიდეც და სცენის მოქმედებაში თვითონაც უშუალოდ ჩართულიყვნენ...

ხშირად უფიქრია: მას რომ პატრონი ჰყოლოდა... იქნებ მსახიობიც კი გამოსულიყო, ან რეჟისორი, ან დრამატურგი... იტაცებდა ეს საქმე - ტიპაჟები, მოქმედ პირთა ურთიერთობა, გადაჯაჭვული ვნებები და მოქმედებანი, რთული ურთიერთობანი, ამასთანავე - სცენიურად გამახვილებული, მძაფრად კონცენტრირებული დროსა და სივრცეში... ალბათ უფრო სატირული მიდგომა იზიდავდა, ვიდრე ყოფილი დრამა, ლირიკული უშუალობა თუ ბევრი ზრახვების დახლართული კვანძი... ბევრს კითხულობდა თეატრის შესახებ, პიესების კრებულებს... როცა ბიბლიოთეკის გამგედ ოლიმპიადა დანიშნეს, - რაიონული ცენტრიდან ჩამოვიდა, - განცვიურებული დარჩა: გაიგო, რომ მამუკას ბიბლიოთეკის ყველა წიგნი ჰქონდა წაკითხული, ხოლო ზოგიერთი, განსაკუთრებით - ხელოვნების შესახებ, რამდენჯერმეც კი... აეთილი ქალი იყო ოლიმპიადა, ქალაქს მიმავალ ნაცნობებს აბარებდა, მამუკასთვის ჩამოვტანათ ესა თუ ის წიგნი და ხშირად ამისთვის საჭირო ფულსაც საკუთარი ჯიბიდან აძლევდა... ახლა კი ოლიმპიადა ქმრისგან, მიხა მჭედლისგან, განცალევებით ზის, - ამ ორმა კარგმა ადამიანმა რატომ ვერ გაუგო ერთმანეთს?

რობიზონას აქ რადა უნდა? ალბათ, იმდენად იშვიათი ხილია სოფლისთვის წარმოდგენა, რომ მან, მარად დაკავებულმა, ცდუნებას ვერ გაუძლო... თუ ცოლმა აიძულა წამოსვლა, რომელიც გერეზე უზის შვილებთან ერთად? ჰო, თუ ყველაფერი ეკოილად დასრულდა, სასადილო "ედემში" იქიიფებენ, ასე - ათამდე კაცი; სასადილოს გამგე რობიზონა უნდა ნამუსზე შეაგდოს: "ჩემს წარმოდგენაზე ხომ ისიამოვნე, ახლა ჩვენ გვასიამოვნე და ნაღდი ხინკალი მოგვიმზადე: გინდა - კარგი ჭედილასი, გინდა - საქონლისა და ლორის ჩჩეული ნაჭრებისაგან... ოღონდ ნაწლავები, ტყავი და სხვა ნაყარნულები არ გაურიო, როგორც ჩვენთვის, სოფლელთათვის, მომზადებულ ხინკალს უშვრები, - უცხო, საპატიოცემულო სტუმრებად ჩაგვთვალე".

მები ქურუხაძეები... "ვერიდებოდი ღოლოსა, შემხვდა სოფლისა ბოლოსა"... მამუკას გული ცუდს უგრძნობს, რაღაც ჭირად და ოხრობად მოეთრნენ...

ეგე, თარსი ტასოც მობრძანებულა, ნაღდად დაითარსებიან...

ბაბო ბარისაშვილი... მარტო, განცალევებით რატომ ზის? ბიჭებიდანაც არავინ ეპარება, შოთა ქურუხაძეც კი... მოგარესავით ანათებს, მასეთი გოგო მეორე არ არის სოფელში... საკვირველია, ამდენ ხანს არ გათხოვილა... მზევინარმა საიდან გამოჩხრიკა ნეტავ ეს ამბავი, მგონი, გოდერძი არ უნდა იყოს გულგრილი მის მიმართო... უკვე შეუწუხა გული მამუკას - არ მინდა, რძლი აქ მომიყვანოს, წაგიდენენ საცა უნდათ, მოსევნება მჭირდება; სამი შვილი გავზარდე და მეუოფა, შვილიშვილების თავი მე არ მექნებაო. ტყუილად ბობორის და წინასწარ გულს იხეთქს: ბაბო ყველაფერით კარგი გოგოა, ლამაზიც და გოდერძის ბევრად უკეთესს ამოირჩევს ალბათ... მაგრამ ცოლს უაზროდ ლაპარაკი და ენის ფხანა ყველაფერს ურჩევინა, დღესაც დილიდანვე თავი წასჭამა ლაქლაქით... ჯერ საყვედურობდა: შემიკალი ხელში ამ შენი წარმოდგენით, შვილებიც გადამირიეთ; საქმე გამოველია თუ ამ სიბერის უამს საბოლოოდ გამოჩურჩუტდი და ბავშვობაში გადავარდი ამხელა კაცი, რა პიესის წერა და მერე მისი დადგმა აგიტყვდაო... მოელი დღე ხერხავდა, საღამოსპირს კი გადაწყვიტა, მეც მინდა წამოვიდე, დაგესწრო შენს ნაჯახის გნახავდა, ერთი, რა ხვითო დაბადეო...

აგერ მამუკას ნათლული, გიგა შოფერი ფეხმძიმე ცოლს, ლალაის, თვალებში შესციცინებს; ვინ იყიქრებდა, ეგ დათვივით ბიჭი ასეთი მოსიყვარულე ქმარი იქნებოდა... მართლა დათვესა ჰგავს, ცოტა გრიმს წაისეამს, ტყაპუქს გადაიცვამს და ნაღდი დათვია! მამუკა ახლა ნანობს: "ტურიკოს ოინებში" პერსონაჟად შეეძლო დათვიც გამოყენა... მაგრამ ხოსრო მისცემდა კი გიგას თამაშის უფლებას?

გოგოლა და ჩიორა გვერდიგვერდ ჩამომჯდარან, აქეთ-იქიდან მათი ქალიშვილები უსხედან, ალბათ – ვენეცია და ფლორენცია, ვაჲ, რამდენი ხანია, ისინი არ უნახავს... დედები მობერებულან, ქალიშვილები კი ლამაზ ყვავილებს პგვანან... რომელია ვენეცია და რომელი ფლორენცია? ახლა ველარ არ კვევს... ოციოდე წლის წინ, როდესაც ისინი მთლად ნორჩები იყვნენ, მამუკა ხშირად დადიოდა მათთან – ერთ სახლშიც და მეორეშიც. ბავშვების მამა მეზღვაური იყო, – ოთარ მეტოვზი შეილი, – მის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწერილ წერილებზე ლამაზი უცხოური მარკები იყო დაკრული, სწორედ მათი ეშხით დაიარებოდა მათთან მამუკა და გვარიანი კოლექციაც შეაგროვა...

ბიჭოს, გვიკადრეს! გვიკადრეს ჩენმა გამორჩეულმა სტუმრებმა! მობრძანებულან ძირფასი დამსვენებლები: ახუმა ხუმარჯანაშვილი, მისი ცოლი – ხანუმა, მათი შვილები – ჯიმი და ჯული... მოახლე არ წამოუყვანიათ, ალბათ შინ რომ დაბრუნდებიან, ვახშამი და ცხელი ჩა უნდა დაახვედროს... თუ ყვავა? ცოლ-ქმარი აქაც თავიანთი სახელგანთქმული უცხოური ხალათებით შემოსილი მოსულან, თითქოს აბაზანიდან ახლახან გამოვიდნენ ცხელი შხაპის მიღების შემდეგ... ჩირადაც არ აგდებენ აქაურებს, ველურებს სწორედ რომ ლომებით, გველეშაპებით და ქრიზანტემებით მოხატული ფერადოვანი ხალათებით უნდა გამოცხადო, გააოგნო და დათრგუნო... გოგო კი როგორ გაშიშვლებულა, თითქოს პლაზზე იყოს... ვაი, თქვენს პატრონს, ერთი გამეპანლურებინა გემრიელად გარეთ მთელი ოჯახი... თუნდაც იმიტომ, რომ მონასავით უსიტყვე მოახლე გოგო არ წამოიყვანეს, ის ხომ ახალგაზრდაა, მთელი დღე მათ ემსახურება – პერძებს უკავებს, ურცხავს, ალბათ საწოლებსაც კი უსწორებს და ვითომ მათზე ნაკლებ სჭირდება გართობა? ესენი ხომ მთელი დღე გართობის მეტს არაფერს აკეთებენ... შოთა ქურუხაძე ერთხანს ჯულისთან ტრიალებდა, მაგრამ, ეტყობა, ქალიშვილის მშობლებისა მაინც მოერიდა და სხვა მსხვერპლის არჩევა გადაწყვიტა...

აგერ ყველაზე დარბაისელი და ყველაზე მაღლიერი მაყურებლები – მასწავლებლები: გიორგი, სოფიო, რუზიზანი, ფიზგულტურის მასწავლებელი იმედა ყველიაშვილი...

მათ უგან – მაყვალა, მიხა მუხაიძის ქალიშვილი, ახლახან გამოუშვიათ ციხიდან, გვერდზე საქმრო უზის – დემნა... კარგი ბიჭია დემნა, სამხედრო ფორმაშია ჯერაც გამოწყობილი...

მამუკას მოუწია მაყურებელთა თვალიერების შეწყვეტა, შეშფოთდა: შეატყო, დარბაზში რაღაც ცუდი ამბავი დატრიალდა, რომელიც წარმოდგენას ჩაშლით ემუქრებოდა; უნდა სასწრაფოდ დარბაზში ჩასულიყო და რაღაც ეფონა.

ძმები ქურუხაძეები (ხუთი იყვნენ!) მეტისმეტს სჩადიოდნენ, განსაკუთრებით – შოთა. ეს უკანასენელი ახლა უშნოდ ელლაბუცებოდა მაყვალა მუხაიძეს, არაფრად აგდებდა, რომ ქალიშვილი დემნასთან ერთად იყო მოსული, მოშორებით კი მამამისი, მიხა იჯდა... ვაჲი მაყვალას კალთაში ჩაჯდომას ლამობდა, მერე კი მმებს ნიშანი მისცა და მათ დემნას ხელები გაუკავეს, შოთამ კი გოგო შებოჭა და ძალით აკოცა ტუჩებში. მაყვალამ გაიბრძოლა, ხელის განთავისუფლება მოხერხა და შოთას ლოყაში გაულაწუნა, ბარნაბას კი წიხლით გაუმასპინძლდა. ძმებმა ეს არად ჩაგდეს, ისევ მიეტანენ გოგოს, მაგრამ მაყვალა უცებ დაიხარა და ბებუთი ამოიღო საიდან დაც... ეტყობა, იატაკზე პქონდა დადებული.

ქურუხაძეები აქეთ-იქით გაიფანტნენ, ატყდა წაქცეული სკამების ხრიგინი...

სახეზე ალმურმოდებული მაყვალა ახლა თვითონ იწევდა შოთასკენ, მაგრამ დემნამ ხელი მოხვია და ხევწა-მუდარით ისევ სკამზე დასხვა.

შოთამ და მისმა ძმებმა მაინც ვერ მოისვენეს და ამჯერად დებს, ვენეციასა და ფლორენციას შეუწინენ და ააწივლეს.

მიხა მუხაიძეს, როგორც რომანებში წერენ, მოთმინების ძაფი გაუწყდა, წამოდგა და დაუყვირა ძმებს:

– დანებეთ თავი, თქვე ძალლიშვილებო!

გაკვირვებულმა შოთამ მოხედა, იუკადრისა შენიშვნა და მიხასკენ, მამის ტოლა კაცისკენ, გაიქაჩა, გერავინ დააკავა; ძმებიც უგან მიცყვნენ დასახმარებლად – საერთოდ, ჩეგვა პქონდათ, მგლის ხროვასავით ერთად ემოქმედათ...

მიხა მჭედელი 50 წელს კარგა გგარიანად გადაცილებულია, ასაკით ორჯერ და მეტადაც ჭარბობს შოთას, მაგრამ ჯანიან მომხდურს რომ დაავლო მკლავებში ხელები მარწუხებივით, გადაუწია, გადაუგრიხა და კინაღამ გადაუმტკრია... იატაკზე დახეთქებული შოთას ბლავილი, – „მომკლა, მე მაგისიო...“ – მგონი, ეზოშიც გაიგონეს.

ახალგაზრდობისას მიხა მუხაიძე მთელ ხეობაში მაგარ დამრტყმელ ბიჭად ითვლებოდა; გინც კი ჩხუბი აუტეხა, ყველას ცხვირ-პირი დაულეწა, ვედარავინ ბედავდა მასთან ყოჩობას. რამდენ ჯერმე სხვა სოფლებიდან და ქალაქიდანაც კი საგანგებოდ ჩამოიყვანეს შესაჯიბრებლად ძერგები ბიჭები და ისინიც ყველანი შერცხვენილი გაბრუნდნენ უგან. ჭადარდიდში კი, იმის მაგიგრად, რომ ეამაყათ, აი, როგორი გაშააცი გვეყავს (მით უმეტეს, რომ მიხას უმიზეზოდ არასდროს არავინ დაუბრიყვებია და პირიქით – ბევრჯერ დაუცავს უსამართლოდ დაჩაგრული), გაბრაზდნენ – ეგ როგორ უნდა დარჩეს გაულახავიო; შეიკრიბა ათამდე დაბოლმილი ბიჭი, გვიან საღამოს დაუხედნენ ორლობებში სამჭედლოდან შინ მარტოდ მიმგადას... არცერთს დასწუყიტა გული – ყველას ყბები მოუნგრია, მაგრად დათეთქვა და ფორთხვით გაუშვა. ერთი კვირის თავზე, როცა ნა-

ცემნი ცოტა მოფერიანდნენ, მიხას კაცი მიუგზავნეს: სადამოს ისევ შეხვედრას სთავაზობდნენ, ოლონდ ამჯერად დიდ ჭადართან, შესარიგებლად – მერე სასადილოში ეპატიუებოდნენ... შეიყარნენ, ერთმანეთი გადაპკოცნეს და შევიდნენ პურის საჭმელად დუქანში (მაშინ სხვა დუქანი იყო, – იქვე, საბაზრო მოედანზე, – რობიზონაშ სახელგანთქმული სასადილო “ედემი” მოგვიანებით ააშენა).

მიხა მჭედელი ახლა ხანში კი შევიდა, მაგრამ ჯერჯერობით ძალ-ღონეს არ უჩივის; დასაჭედ ხარ რქებში ხელებს რომ ჩავლებს, ქედს მოუგრესს და მარტო წამოაქცევს... ბუნებით იშვიათი რბილი ხასიათის მქონეს, ზედმეტ სიტყვას სოფელში მაინც ვერავინ უბედავს; იციან, თუ გაბრაზდება – მტრისას!

ახლა კი შოთას ძმები მიუხსნენ მიხას – ისევ ატყდა სკამების ხრიგინი და ქალების კივილ-წიგილი...

მიხამ სამფეხა სკამს დაავლო ხელი:

– გეეთრიეთ აქედანა, თორემ დაგხოცავთ, თქვენი გამომცემლის... – და სკამი ისეთი გამეტებით მოიქნია, რომელიმე ძმას რომ მოხვედროდა, იქვე სულ გააფრთხობინებდა. ფიზკულტურის ზორბა მასწავლებელმაც, ყოფილმა მძიმე წონის მოჰიდავემ, იმედა ყველიაშვილმაც ბოხი ხმა შეაწია:

– აბა, ვის მოენატრა ფანჯრიდან გაფრენა?! – წამოღდა და ქურუხაძეებს შეუბლებირა; მიხას სიმაღლისა და სიგანისა არ იყო, მაგრამ არც ბევრი აკლდა.

ქურუხაძეებიდან – ზოგმა კარებში გაასწრო და ზოგმაც ფანჯრიდან გადახტომით უშველა თავს... შოთამ მიწის იატაკზე ფორთხვა-ფორთხვით მიაღწია ფანჯარამდე და მერე მანაც ეზოში ისეუპა.

მამუკამ გაიფიქრა: “საინტერესოა, ძმები ქურუხაძეები თუ დაპატიუებენ მიხას რობიზონას სასადილოში შესარიგებლად?”.

თუ კიდევ იყო ერთო-ორი არევ-დარევის მოსურნე ყმაწვილი, შოთას ამფსონები, ისინიც დაშოშინდნენ და წარმოდგენის დაწყებას ხელს ადარაფერი უშლილა. მხოლოდ ბავშვების გნიასი არ ცხრებოდა, განსაკუთრებით დღმანს დის შეილიშვილი ანუკა ანცობდა.

მაყურებლები გამხიარულდნენ – გაუთვალისწინებელი სანახაობა იხილეს, წინ მეორე სანახაობა ელოდათ. მხოლოდ მაყვალა ისევ ბრაზიანად აკვესებდა თვალებს; გვერდზე ახლა მამამისი უჯდა და მის დაწყნარებას ცდილობდა, მეორე მხრიდან კი დემნას ქქონდა ქალის ხელი ჩაბლუჯული და ეალერსებოდა.

ნაზიბროლა ცოცხიაშვილის დამწვარი უსახურავო სახლის გავერანებული ფანჯრებიდან დარბაზში დამის სასიამოვნო გრილი პაერი აღწევდა.

ჩააქრეს სინათლე, ჩამოხსნეს ფარდა და განათებულ სცენაზე პირველი გამოვიდა ტურიკო – მამუკა ძალმახაურს სახეზე რატომდაც მელიის ნიღაბი ჰქონდა აფარებული (ალბათ იგარაუდეს, შელა და ტურა რამ გაყოო, ან, უფრო საიტქრებელია, ტურის ნიღაბი ვერ იშოვეს); ტანო ეცვა საკისფერი ნახევრად სამხედრო ტანსაცმელი, ეხურა ასეთივე ფერის საჩეხიანი ქუდი; გალიფე შარვალი ჩემებში ჰქონდა დატანებული. რადგან საკმარის გამხდარი იყო, ეტყობა, “გასასუქებლად” ტანსაცმელში ბლომად ჭინჭი და მატყლი ჰქონდა ჩაჩურთული.

ქაიხოსრო ტურიკაშვილი მოუსვენრად აწრიალდა დივაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაყურებლების გამოძახილს დააკვირდა, – აშერად მას ამსგავსებდნენ ტურიკოს, – თუმცა ნახევრად სიბირეში ბევრი ვერაფერი დანახა, მოწონების სიცილი კი გარკვევით გაიგონა...

წარმოდგენის აღწერას დაწვრილებით არ შევუდგებით, მამუკა კალმახაურის მიერ დაწერილი სატირული პიესის მოკლე შინაარსი კი ასეთი გახლდათ:

ერთმა წუნკალმა კუშუკუდმართმა ტურიკომ, რომელმაც ყველას უფროსობა დაიჩემა, მთელი ტყე შეაწუხა; მე ვარ აქ ყველაფრის ბატონ-პატრონიო, გაიძახის, აღარ მოედო ბოლო მის მიერ ქურდობას, სუსტა დაჩაგვრას და ძალით წართმევას წვითა და დაგვით მოპოვებული სარჩო-საბადებლიისა... ღორმუცელა ტურიკოს ერთგულად ემსახურებიან ოხრაპა და გახრაპა – მის ბრძნებებს ასრულებენ და, თუკი საშუალებას დაინახავენ, თვითონაც კარგად ითბობენ ხელს სხვათა ხარჯზე... ივიშვიშე და იჩივლე რამდენიც გინდა – ვინ არის გამეითხავი... როკაპია მოსამართლე და მის შეყვარებულ კოპალასთან გროტე, რომელიც ვითომ წესრიგს იცავს, ისე ჭრის და პერაგს, როგორც ტურიკოს ესიამოვნება... ყველა კმაყოფილია, გემრიელად ჭამენ და ტებილად სგამენ, – რაღა უნდათ კიდევ მეტი, – თან მღერიან და ცეკვავენ – “ჩენია ეს ქვეყანა!” “გასაუყენებელია!” – კმაყოფილი გაიძახის კუშუკუდმართი ტურიკო; “ვახ, რა კარგია!” – ხშირ-ხშირად იმეორებს ვახრაპა და “ოხ, რა მშვენიერია!” – მაშინვე აჟყვება ოხრაპა. მაგრამ გამოვარდება გოლაც გიუ, თავზე ხელაღებული ბრეცია: მყრალ შაირებს გამოუთქამს ძლიერთა ამა ტყისა და დაურიდებლად საჯაროდ პეიცხავს! მაგ ერთ გადარეულს კი ადგილად მოუგლიან მაგრამ, დასკ, ეგ დდინბაღლი პირცეცხლი რომ შეამხანავებია! საცა ბრეცია საქვეწნოდ დაურიდებლად გაჟეივის თავის შაირებს, პირცეცხლი კიდევა ხან ფანჯრუს ააყოლებს, ხან დავლურს დაუცლის მხიარულადა – სულ ერთად დაბორიალობენ ეგ წაწყმედილები! ტყის ხალხიც რომ სიამოვნებით უშეგენს მთ მანგვა-გრახეასა? ხელ, შეიძლება, თვითონაც აჟყვენ ამ ამრეგებსა და მაშინ რაღა ეშველებათ ტურიკოსა და მის დამქაშებს? არა, უეჭველად უნდა დააშორონ ერთმანეთს ბრეცია

და პირცეცხლი, რამენაირად შუღლი უნდა ჩამოაგდონ მათ შორის... პრანჭია როკაპი უნდა მიუგზავნონ – ერთსაც გაეარშიყება, მეორესაც თვალებს აუქუჟუნებს – მეტი კი არ უნდათ სულელ კაცებს, მაშინვე ერთმანეთზე გაიწევენ! მაგრამ აქ ვახრაკა ჩაერაკა და ტურიკოს ოინებს ხელს უშლის – მას პირცეცხლი შეკვარებია და...

მაყურებლები ხმამაღლა იცინოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ისმოდა მხიარული წამოძახილები; თვითონ ამბავი იყო უწევეულო – უცნობიც და, ამავე დროს, თითქოს ერთგვარად ნაცნობიც, თუმცა გადასხვაცერებული; ისიც ახალისებდათ, რომ იმ ადამიანებს, მსახიობებს, რომლებთანაც თითქმის ყოველდღე შეეძლოთ ჩვეულებრივად შეხვედრა, ახლა სულ სხვაგარად და სხვა მდგომარეობაში ხედავდნენ.

აღშეოთვებულ ხოსროს ლამის თვლები გადმოუცვივდა ბუდეებიდან; აქეთ-იქით დაბოლმილი იყურებოდა, ახორხოცებულ დარბაზს გადახედავდა და გინება ყელში ეჩხირებოდა... ბოლოს, წაუწერჩულა ტერეზას:

– ვიცნობ მაგ მამუკას, ვიფიქრე, რაღაცას იმამაძაღლებს-მეთქი და არც შეემცდარგარ! ცხვირში მძრად ამოვადენ, ვინ არის მაგის დასაცინი? – მერე ბესასეენ მიბრუნდა: – შვილო, გადი გარეთა და შოთას უთხარ, ძაან დაგაგვიანდა-თქო, გაიგე? მეტი არაფერი უთხრა, იმან იცის, რაც უნდა ქნას, მარტო ეს უთხარი, გაიგე? ძაან დაგაგვიანდა-თქო! აბა, დროზე!

ხოსრომ ცოტა მოიცავდა, მოუსევნრად აწრიალდა, მერე ვერ მოითმინა, წამოხტა დივანიდან და იყვირა:

– გააჩერეთ ეგ სისაძაგლე!

დარბაზში ახორქოლდნენ და როცა ბატონმა ქაიხოსრომ ისევ მოითხოვა წარმოდგენის შეწჯებაზა დარბაზში მყოფი უქმაყოფილოდ აზუზუნდნენ, თან მოულოდნელად მათ მხარი დაუჭირა გველეშაპებითა და ლომებით მოხატული ხალათით შემოსილმა დამსვენებელმა პახუმა ხუმარჯანაშვილმა; ისიც წამოხტა და ხოსროს დაუკვირა:

– შენ თვითონ გაჩერდი, გვაცალე წარმოდგენის ყურება!

ხოსრო გაპირებული მოტრიალდა – ეგღა აკლდა! – და პასუხად ისე მძლავრად იღრიალა, რომ ბოლოში ხმა ჩაეხლითა და ხელება აუტყდა:

– შენ ვინდა გდისარ აქა!

– მაშინ ნახავ, ვინცა ვარ, როცა მოვახსნევინებ შენს თავს და საცობივით გავარდები თანამდებობიდან!

ასეთ შემოტევას ბატონი ხოსრო არ მოელოდა – სოფელში ვიდაც მეტისმეტად თავხედი გამოჩნდა, ვინც მის წინააღმდეგ ხმამაღლა სიტყვის დაძრა გაბედა! დაბრუნებული იყურებოდა აქეთ-იქით; ცოლი, ტერეზა, შეშინებული ექაჩებოდა ფრენჩებ, დაჯექიო, თან იაკოფა ჩიტაფაფაშვილი და მელიტონ ლიტონაშვილიც ჩურჩებულით ურჩევდნენ იმასვე – გაფითორებული დამორჩილდა მათ ნებას, მერე კი ხელებ-ხელებით ცხვირსახოცი ამოილო, ჯერ პირი მოიწმიდა, შემდეგ აცრემლებულ თვალებზე მიიფარა... თავში უროსავით სცემდა ერთი აზრი: უბჭებლად უნდა მოაცილოს ეს ხუმარჯანაშვილებია თუ ვიდაც ჯანდაბა ჭადარდიდს და ამას შოთა ქურუხაძეზე უკეთ ვერავინ შესძლებს... (ის კი არ იცოდა ბატონმა ქაიხოსრომ, რომ შოთა ჯული ხუმარჯანაშვილს ეპურეულებოდა და, ცხადია, სიტყვიერად დაჟყაბულდებოდა, მაგრამ საქმით მისი დავალების შემსრულებელი არ იყო).

წუთიერი შეფერხების შემდეგ წარმოდგენა მეტი სიხალისით გაგრძელდა; დარბაზში დროდადრო აფეთქებული სიცილი და ტაში სულ უფრო ახურებდნენ მსახიობებს.

როცა სცენაზე პირცეცხლი და ვახრაკა სასიყვარულო დუეტს მღეროდნენ და თან ცეკვაზდნენ, ამ დროს დარბაზში დია ფანჯრიდან რადაც შემოაგდეს, შემდეგ – მეორე ფანჯრიდანაც...

ზედიზედ ორჯერ იძულება და დარბაზი ბოლოითა და საოცრად მყრალი სუნით აიგსო. სინათლე მაშინვე აანთეს, მაგრამ დამდგარ ბუდში ერთმანეთსაც ძლივს ხედავდენენ. სკამებს ცეცხლი მოედო...

ქაიხოსრო თავბედს იწყევლიდა, რატომ დარბაზი დროზე ადრე არ დაგტოვე ჩემს ცოლშვილთან ერთადო, ახლა კი ამტყდარ წიგილ-კივილსა და ჭედგაში კარისეენ გადწევა ძლიერ ჭირდა; ახალგაზრდები სიცილ-გნიასით პირდაპირ ფანჯრებიდან ხტებოდნენ ეზოში...

ისედაც სანახევროდ გატიალებული იყო ნაზიბოლლა ცოცხიშვილის სახლი და მეორედ გაჩენილი ხანძრის შემდეგ საბოლოოდ დაიწვა იატაკის ნარჩენებიც და სცენისთვის დაგებული ფიცარნაგიცა და ფარდაც, დიდი წევა-დაგვით შეგროვებული რეგიზიტიც...

მინდა, ცოტა ხნით გადავუხვიო ამბის შარაგზიდან და ზევით მოთხოვობილის ყველაზე აქტიურ მონაწილეს, ცეცხლს, მივცე სიტყვა, უფრო სწორე მოვიტერი მოვიტანო...

## ცეცხლის სიმღერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

**ცეცხლი ვარ და ყოველთვის მშია!**  
ხარბი ვარ, გაუმაძლარი!

თუკი მოთვინიერებული ვარ, მაშინ უფრო ალერსიანს მიხილავთ, მომფერებელს, მზრუნველსა და კეთილს! გაიხსენეთ გამთარში აგუბგუზებული ბუხრის თბილად მომზირალი თვალი ან კერიაზე შემოღმულ თუჯის ქვაბში რომ ლობით ბუყბუყებს და ორგვლივ მადის აღმძვრელ სურნელს აფრქვევს – მგონი, კმარა, მეტი მაგალითის მოტანა ზედმეტია! უეჭველად დამეთანხმებით: უჩემოდ ადამიანი არ ვარგა!

თუ რაღაც სამანი არ გადამეღობა, საშიშიც ვარ, ღორმუცელა, ვერაფერი მაკავებს – მიწისა და წყლის გარდა! განსაკუთრებით ხე მიყვარს! უფრო სწორედ, ხის მასალა: ხუთი, ათი და მეტი წლისა, ბოლომდე გამომშრალი – მოუთმენლად ჩავასობ ხოლმე ჩემს ალის მსუნაგ ეშვებს და გემრიელად ჩავახრამუნებ, ტკაცატკუცითა და ნაპერწლების აქეთ-იქით მხიარული ფანგვით; ავარდება ყომრალი კვამლი მაღლა-მაღლა, რომ შორიდანაც დაინახონ ჩემი ვაჟაცობა: იჩქარეთ, მოდით, ამაზე უკეთესი სახილველი არის ქვეყნად განა? თუ გვივათ, გაყინული ხელისგულები მომიშვირეთ, თვალიც გაახარეთ, გულიც გაამხიარულეთ! მე კეთილი ვარ, გაგათბობთ, მაგრამ ჩემთან ძალის ნაცნობობასაც არ გირჩევთ!

**ცეცხლი ვარ, ცეცხლი, მურვგალე და ბოგჯერ დაუნდობულიც – ჩემთან ხუმრობა არ გაბედოთ!**

თუმცა, მე ძალგე მხიარულიც ვარ, ხშირად უბომო გაფაცება ვიცი და მინდა, ჩემი ბლვარგადასული აცეტება სხვასაც გადავდო! ცეცხავ, თავბრუდამსვევად ვგრიალებ, სწრაფად ვიგრიახები და მივილგვი: უფრო – მაღლა-მაღლა, ხან კი – გვერდითაც, – წითელი ხელებით ჩავაფრინდები, ალის ენებით ვნებინად ვლოკავ კველაფერს, რასაც კი მივწვდები, მერე ჩავესკვნები, ვითარცა ტრფობით გათანგული და ჩემებურად ვეალერსები – ვფერფლაც!

თან ვმდერი ჩემებურად, – ბოგნი მას უფრო ყმუილს უწოდებენ, – ღორლადრო გავისერი-გავატკაცუნებ კიდეც ნაპერწლების ოქროს ცევნით, როგორც ღდესასწაულებები გაისმის ხოლმე! დიახ, მე ღდესასწაულიც ვარ, ტყეილად კი არ გამორიბიან თავქუდმოგლევილნი ჩემს სანახავად! არ ვიცი თავშეეგვება, ჩემთვის უცხოა ბომიერება, წრეგადასული მხიარულება მიფაცებს, როგორც ყველა ღდესასწაულს ჩევევია!

სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ მდგომარეობაში ვიმყოფები: ხან – ღაღი, თავისუფალი გახლავარ, უფრო ხშირად – შებოჭილ-დამორჩილებული, თითქოს საბლიოთ დაჭრილი ავი ძაღლი ვიყო...

ყველაზე ხშირად ჩემი ადგილსამყოფელია: ღუმელი, ბუხარი, კოცონი, ჩიბუხი, ელვა, ხანძარი...

დამწყელებულსა და ღამორჩილებულს მამუშავებენ კიდეც: თრთქლის, შიღაწვის, ცურბო, სარაკებო ძრავები...

**ყველგან – ვერ ვძლებ უსიმღეროდ!**

**და ყველგან – სხვადასხვაგვარად ვმდერი!**

თუ თავისუფალი ვარ – მხიარულად, ღაღად გამომყავს ჰანგი, შიგადაშიგ შეშის შიშინ-ტკაცატკუცით ვამკობ და ვახალისებ, ხან – შებოჭილი ვარ (სხვადასხვა ძრავაში) და, აღშოთებულ-გაგულისებული, მოგედულად ბანს ვეძალები, რომელშიც შეფარული მუქარაც შეიძლება მოისმინო...

სხვები: ჩემი ხილებისას მხიარულებიც მინახავს, გახარებულები და კმაყოფილები, მინახავს შეშინებულებიცა და შეძრწენებულებიც...

კიდევ ერთხელ გახსენებთ: მე ბუნების ერთ-ერთი გამორჩეული სფიქონი ვარ და ჩემთან მორიდებითა და პატივისცემით მოპყრობას გირჩევთ, თორემ სიამოვნებისა და სარგებლის მაგივრად, სანახებულ დაგრჩებათ საქმე!

### კარი VII. გაბრიელ ადგომელაძე და ნაზიბროლა ცოცხიაშვილი

წინათ იმ ნახანძრად სახლში, სადაც “ტურიკოს ოინები” წარმოადგინეს, ნაზიბროლა ცოცხიაშვილი და გაბრიელ ადგომელაძე ცხოვრობდნენ შვილებთან ერთად.

გაბრიელი ამჟამად სოფლის მესაფლავე გახლდათ, შრომაში გასამრჯელოს არასდროს იღებდა. როცა მისი ხელობის საჭიროება გაჩნდებოდა, მაგანს დაუბარებდნენ: “წადი მიქელ-გაბრიელი მოიყვა!” მართლაც, მეტისმეტად გამხდარი, თითქმის ცარიელი ჩონჩხი იყო მესაფლავე – ძვალი და ტყავი, თან ძალიან მაღალი, ღროზე ადრე სულ ერთიანად თმაგათეთრებული.

ჯეელობიდანგე დურგლად მუშაობდა და ჭადარდიდში ფრიად დაფასებული კაცი იყო – ოქროს ხელი პქონდა: მოედ სოფელს ის უკეთებდა მაგიდებს, სკამებს, კარ-ფანჯრებს, ტახტებს, საწოლებსა და კარადებს, უშალაშინებდა იატაკისა და ლამფის ფიცრებს... შორს ჩვენგან და – გაღმა ნაპირზე გასულთათვის შეკრავდა მშვენიერ სასახლესაც...

პირველ ცოლს, ელისონს, გასცილდა, უფრო სწორედ, ქალი გაექცა და სასამართლოში უჩიფლა, განკორწინება მოითხოვა: ქმარს ფიზიკური უფრო ნახავდი, უფრო – ნასვამი ეთქმოდა, ერთი ჭიქა ჰყოფნიდა დასათრობად; ფიცხი იყო და როცა ცოლი აუშარდებოდა ლოთობისა თუ სხვა რამის გამო, ვერ იგავებდა თავს, აგინებდა და ზოგჯერ ამითაც არ კმაყოფილდებოდა – ხელსაც წაუთაქებდა... საერთოდ, ცოლთან ურთიერთგაებას ვერ მიაღწია და ამას არც ცდილა – მის-თვის საერთოდ უცხო იყო რამის გამორკვევის, საკუთარი შეცდომის აღმოჩენის სურვილი... ალა-ლი ქაცი იყო, გულუბრყვილო, პირდაპირი და ხშირად – უხეშიც, ადამიანებითან ურთიერთობაში დიპლომატობისა არაფერი გაეგებოდა.

განქორწინების შემდგომ საკუთარი ხელით აშენებული დიდი სახლი ყოფილ ცოლსა და შეი-დი წლის გაუიშვილს დაუტოვა... ელისომ სახლი და ქარმიდამ სასწრაფოდ გაყიდა, ქალაქს შეილიანად გადასახლდა; იქ მალევე გათხოვდა, ვიდაც მილიციონერს გაჟყვა.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სანამ ფული პქონდა გაბრიელს, მმაკაცები ბუზივით ეხ-ვინენ, ახლა კი, გარდა მამუქა კალმახაურისა, ახლოსაც არავინ ეპარებოდა... უსახლეკაროდ დარჩენილმა გაბრიელმაც ქალაქს მიაშურა, მშენებლობაზე დურგლად დაიწყო მუშაობა.

ყოფილი ცოლი გაბრიელს ხელს უშლიდა შეხვედრას. ამის გამო გაბრიელი ძალი-ან ბრაზობდა და, ნასვამა, ელისოს რამდენჯერმე გალახვაც კი დაუპირა... გაბრიელი იძულებული იყო, შეილის სანახავად მისთვის სერლაში მიეკითხა ხოლმე; ატყობდა – დედამისი ამხედრებდა ვაჟს მამის წინააღმდეგ. ერთხელ სერლაში შეხვდა ელისოს შემთხვევით და ერთი ამბავი აუტეხა, მასწავლებლების წინაშე აგინა... მერე საცემადაც გაიწია, ნაცოლარი აკივლდა... გაბრიელი გააკავეს, გამოუძახეს მილიციაში და დაადებინეს ხელწერილი, რომ ნაცოლარს ხელს არ ახლებდა. გაბრიელი კბილებს აკრაჭუნებდა, იქაც კი იქაჩებოდა ელისოს გასალახად; ერთი დღე-ღამით ჩააყედეს საკანში დასაშოშინებლად და დასაფიქრებლად...

ერთი თვის შემდეგ, საღამოს, გაბრიელი შინ ბრუნდებოდა მშენებლობიდან, ტრამვაიში აგიდა და რას ხედავს: გამოპრანჭული ელისო და მილიციონერი, მისი ახალი ქმარი, გვერდიგვერდ სხვ-დან და ჭუბჭუბებენ...

მილიციონერი ზორბა, მსხვილეისერა კაცი იყო, ხარივით აბრიალებდა დიდრონ თვალებს, – წამოხტა და გაბრიელს დაემუქრა: “შე ასეთო და ისეთო, ჩემს ცოლს თავი დაანებე, თორემ ჩემ-თან გექნება საქმე, სხვანაირად დაგელაპარაკები! მე ხუმრობა არ მიყვარს, იცოდე!” – მოზრდი-ლი მუშტიც უჩვენა.

გაბრიელმა ვეღარ მოითმინა, ჯიბიდან შალაშინის დანა ამოილო – შინ მიჟონდა გასალუსად...

მილიციონერს ახლა კი ეცვალა ფერი, ელისო აგივლდა...

ამ კვილმა კიდევ უფრო თუ აღაგზნო გაბრიელი, დაერია ცოლ-ქმარს და, გამძვინვარებულ-მა, მათ რამდენიმე ჭრილობა მიაჟენა...

მილიციაში გაბრიელს მორიდებით ესაუბრებოდნენ...

მიუსაჯეს ხუთი წლით პატიმრობა.

კოლონიაში წენარად იქცეოდა, ვადაზე ადრე გამოუშეს და ისევ დაიწყო მუშაობა.

მალე გაურიგეს ერთი განათხოვარი ქალი – ცუცა; შეხედა – მისი დასაწუნი ნამდვილად არ იყო და გაბრიელმაც ითხოვა. აღრე ქალი ათი წელი იყო გათხოვილი, შეილი არა და არ ეძლე-ოდა... როცა არაგითარმა მკურნალობამ არ გაჲრა, ქმარი გასცილდა. ეტყობა, პირველი ქმრის მი-ზეზით არ ეყოლა ცუცას შეილი, თორემ გაბრიელთან უცებ დაფეხმიმდა და ერთ წელიწადში შეილიც შეეძინათ – ბიჭი, რომელსაც აკაკი დაარქეს. ჯერ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, შემდეგ გაბრიელმა წლობით ნაგროვები ფული გამოიტანა შემნახველი საღაროდან, ცოტაც დისგან ისესხა და იყიდა პატარა სახლი გარეუბანში თავისი მომცრო ეზოთი... სახლი არაფრად ვარგოდა, მაგრამ გაბრიელს საკუთარი ხელობის იმედი პქონდა, ყველაფერს ჩემი ხელით განვა-ხელებო... ალიზის სახლი მოლიანად დაანგრია, მოზრიდა აგური, ცემენტი, სილა და ქვიშა და და-იწყო ახალი ეკდლების ამოვება. მეზობელმა, ვინე ტრისტანმა, ორსართულიანი დიდი სახლი-სა და შევენიერი ბაღის პატრონმა, საღალაც რომ ფულიან აღგილზე მუშაობდა, უთხრა, ამ მხა-რეს ფანჯარას ნუ გაჲქეთებ, არ მსიამოვნებს, როცა ჩემს ეზოში იჰყიტებიანო. გაბრიელმა ტრისტანის სიტყვები იუკადრისა – აენო, აგინა: შენი საქმე არ გახლავს, ფანჯარას საით გაგა-დეთებ, შენი დედა ასე და ისეო, საცემადაც გაიწია. დამფრთხალმა ტრისტანმა უბნის ინსპექ-ტორთან უჩივლა: შარიანი ვიდაცა არის, სულ მემუქრება და ამ ბოლო დროს კი მოკვლასაც მი-პირებსო. გაბრიელი რამდენჯერმე დაიბარეს სასაუბროდ, საქმის გასარევევად – არ მიყიდა, იმის ასე და ისეო, გაიძახოდა მეზობლის მისამართით. ერთხელაც თვით უბნის ინსპექტორი ეწვია, – ასეგალონ ბორბალაძე, – მაღალი, სერიოზული კაცი. შეატყო, ფიცხი კაცი იყო გაბრიელი, თან ამ სადაც საკითხში – მართალი, მისი წარსულიც იცოდა და თავაზიანად ელაპარაკებოდა; და-უყვაგა და მოსთხოვა მშენებლობის ნებართვა წარმოედგინა. გაბრიელმა ახლა ასეგალონს შეუტი-ა: შენ ვინ გეკითხება, სახლი ჩემია, მე ვიყიდე და რასაც მინდა, იმას ვიზამო. თურმე არ პქონია გაბრიელს სახლის ყიდვის საბუთი გაფორმებული და ამაზე მოსდეს შარი: დაანგრიე აშენებული აედელი, თორემ სასამართლოში გიჩივლებოთ... გაბრიელი ისევ მუშტებზე იურებოდა, მაგრამ, როცა შეატყო, საქმე ცუდად მიდიოდა, თავის სიძეს, დის ქმარს, მიადგა რჩევისთვის. სიძემ უთხ-

რა: “კაცო, გაბრიელ, ყველას ნუ ერქინები; ხომ იცი, კანონი – კანონია და ახლა სხვა რა გზა გაქვს, შენც უნდა დამორჩილდე”

დაიწყეს ჩალიზი სახლის აგების ნებართვის ასაღებად. სიძემ გავლენიანი ნაცნობები შეაწუხა, ატყდა ტელეფონების რეგა, საქმის გაჩარხვა... უბნის ინსპექტორმა ასკალონ ბორბალაძემ გაუწყალა გული – სასამართლოს გადაგცემ, თუ კედელი არ დააგრიეო, კეირაში ორ-სამჯერ მაინც აკითხავდა. გაბრიელი მიხედა: მეზობელს ქრთამი ჰქონდა მიცემული ასკალონისთვის – ყოფა უტირე მაგასო... ახლა გაბრიელმაც გამოიღო ხელი და ფული ჩასჩარა ჯიბეში ასკალონს – სახლი ხომ გავაფორმე უპევ და მშენებლობის ნებართვასაც გაგაშანშალებ, ცოტა ხანს მაცალე და სხვა პატივისცემაც ჩემზე იყოსო. რამდენიმე თვეს მართლაც დაისვენა გაბრიელმა ასკალონის ვიზიტებისგან, სანამ ისევ არ მისცა ქრთამი ტრისტანმა უბნის ინსპექტორს... მალე ამ უკანასკნელმა ისევ აუტლახა კარი და გაბრიელი იძულებული გახდა, კვლავ გაეკრა ჯიბეს ხელი...

ამასობაში ცუცას სერიოზული სენი გამოაჩნდა – ნივთიერებათა ცელა მოეშალა; პირველი ქმრის ხელში უნაყოფობას პორმონული პრეპარატების ჭარბი ღოზებით მკურნალობდნენ წლების განმავლობაში... დაუსივდა ხელ-ფეხი, ასტეგიდა სახსრები, გაუჭირდა მოძრაობა და თითქმის სულ ლოგინში იწვა... გაბრიელს დასალევად სადღარა ეცალა: უვლიდა პატარა ბიჭსაც, მეუძლევსაც, დარბოდა სამსახურშიც – მშენებლობაზე, მიღლიციაშიც, სახლმშართველობაშიც... წელებზე ფეხებს იდგამდა, მაგრამ მაინც სულ გაჭედილში იყო, ბოლოს კი მოლად წაუხდა საქმე – ფეხმძიმე ცუცა მეორე ბავშვის მშობიარობას გადაჰყა, ახალშობილიც დაიღუპა.

გაბრიელმა დაუმოავრებელი სახლი გაყიდა, წლინახევრის პატარა ბიჭი – კაკო – დროებით დასთან დატოვა და ჭადარდიდს დაბრუნდა; ქვემო უბანში სოფლის განაპირას მამუკასა და მიხას დახმარებით ფიცრებისგან ხუსულა მოაცოლებილა და იქ დაბინავდა...

ერთ წელიწადში ორმოცი წლის გაბრიელი მესამედ დაქორწინდა – მარტოხელა, ოცდაათი წლის ნაზიბროლა ცოცხიაშვილი შეირთო მაჟანეკალ თარსი ტასოს დახმარებით და ცოლის ბინაში გადაბარგდა – ისევ ქვემო უბანში, ოღონდ საბაზრო მოედანთან ახლოს.

ერთ წელიწადში ტყუპი ქალ-გაუი შეეძინათ. როგორც იქნა, გაბრიელს დალაგებული ცხოვრების საშუალება მიეცა და პატარა კაკოს წამოყვანა უნდოდა დისგან, მაგრამ ნაზიბროლა ქმრის განზრახვას სასტიკად აღუდგა წინ – ის ბიჭი რომ ჩემს სახლში დავინახო, არ ვიცი, რას ვიზამო.

გაბრიელს არც ამჯერად გაუმართლა: ნაზიბროლა გაუწონასწორებელი ხასიათისა აღმოჩნდა, ოჯახში ყველას უმნიშვნელო საბაბით, და უფრო ხშირად კი – უმიზეზოდაც, ქწეუბებოდა, გულს იფხანდა; თითის ტოლა ბავშებს უმნიშვნელო რამის გამო უმოწყალოდ სცემდა... გაბრიელი ხომ ბუნებით ფიცხი იყო, მაგრამ ამჯერად ცდილობდა, თავშეკავება გამოეჩინა; ხშირად ცოლის მხრიდან შეტევას არ პასუხობდა, ატყობდა, რომ ფუჭი ცდა იქნებოდა და უარეს შედეგს კი მოიტანდა...

– სოფელს ერთი გიუ ქეკლუცა არ ეყოფოდა, შენ რადამ გადაგრია? – უუბნებოდა გაბრიელი, როცა ყელში ამოუვიდოდა ცოლის ხუშტურები და სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავდა, შინიდან გარბოდა; ხშირად რამდენიმე დღითაც დაიკარგებოდა, დამეს ადრე აშენებულ ხუსულაში ათევდა; შემდეგ ბავშები შეეცოლებოდა აშარი ქალის ხელში და შინ ბრუნდებოდა.

გაბრიელმა სმას უმატა...

ერთხელ დილიდანვე ანხსლობდა ნაზიბროლა, და ბოლოს, როცა ქალი ყოველგვარ საზღვარს გადავიდა, გაბრიელმა ვეღარ მოითმინა და უყვირა:

– მეყოფა, რაც ამდენ ხანს მაწამე!... შენთან მე გეღარ გავძლებ, სამუდამოდ მივდივარ! – და გაიჯახუნა კარი.

გააფორებულმა ნაზიბროლამ ჯერ ჭურჭელი დაამტვრია, მერე სკამები და სხვა საოჯახო საგნები ფანჯრიდან ეზოში გადაყარა, ბოლოს – ცეცხლი წაუკიდა სახლს და გაიქცა, გადაიკარგდა...

სანამ აგიზგიზებულმა სახლმა მეზობლების ყურადღება მიიპყრო, ლოგინის ქვეშ შემძღრალმა შეშინებულმა ბავშებმა მიმე დამწერლობა მიიღეს. ისინი სასწრაფოდ რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მათ ვეღარ უშველეს...

ნაზიბროლას რამდენიმე დღის შემდეგ მიაკვლიეს ტყეში – ტანსაცმელშემოფლეთილს, აღგზებულს; ძლივს შეკოშეს, წამოიყვანეს სოფელში, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვნეს...

გაბრიელს დამწერი სახლის აღდგენა არც უფიქრია, სასაფლაოზე დაბინავდა – ჯერ შვილების საფლავებს უვლიდა, დამეს კი სოფლის განაპირას ადრე აშენებულ ხუსულაში ათევდა; მერე საბოლოოდ გადასახლდა სასაფლაოს გერედით – ამქეუნად ყველაზე წენარ, უშფოთველ ადგილას... ახლო გამდინარე ჭადარდიდებების მარადი შეუილიც არ ურღევედა მყუდროებას. სასაფლაოს დობესთან ფიცრებისგან ახალი ბუდრუგანა შეაკრწია – უკვე მერამდენე საცხოვრისს იშენებდა...

გაბრიელმა უხაქმოდ დიდხანს გერ გამდო, გერ მოისევნა – იქნებ გმერდით ბუდრუგანას ფარდულივით მიუშენა და შიგ საღურგლო გამართა, დილიდან საღამომდე შრომობდა. სოფლებითა-

გან ვიღაცამ დაასმინა – უნებართვო სარეწაო საქმიანობას ეწევაო (რატომდაც თარს ტასოზე პქონდა ეჭვი) და რაიონის ფინანსური განყოფილებიდან აკითხავდნენ ფინანსური ინსპექტორები – გადასახადს აწერდნენ, შემდგომ კი გადაუხდელობის გამო აჯარიმებდნენ. გაბრიელი ვერაფრით გადაიხდიდა ჯარიმასაც – უსასყიდლოდ მუშაობდა, მხოლოდ ცოტაოდენ ფქვილს, ყველს და მისთანანს თუ მიუტანდნენ ზოგჯერ გასამრჯელოდ. დაპატიმრებას უპირებდნენ, მაგრამ ქაიხოსრომ მადლი ჰქნა, გამოაშვებინა – სოფელი უგაბრიელოდ ვერ ძლევდა. ისიც გაითვალისწინა ხოსრომ, რომ ახალი სახლის აშენებას აპირებდა ვაჟიშვილისთვის და კარგი დურგლის შორიდან მოყვანა იაფი არ დაუჯდებოდა...

საღამოობით გაბრიელს ბუდრუგანაში ხშირად სტუმრობდა მისი ყრმობის მეგობარი მამუკა კალმახაური, ერთად სვამდნენ არაყს და ხანგრძლივ საუბრებში ვერ ამჩნევდნენ დროის მდინარებას. სულიერად აქ ისვენებდა მამუკა, უკითხავდა ხოლმე მეგობარს საკუთარ მოთხოვებსა თუ ლექსებს... მამუკასთვის მნიშვნელობა არ პქონდა, რამდენად გამგები და ჰეშმარიტი დამფასებელი იყო გაბრიელი მისი ნაწარმოებებისა, მთავარი ის იყო, რომ მეგობარი მოთმინებით უსმენდა, არასდროს ეტყოდა, რა სისულეებში ხარჯავ ფუჭად დროს, მაგას ჯობს, ნაღდ საქმეს ეწიოო... მამუკას მსმენელი სწყუროდა, ხმამაღლა კითხვის დროს ცხადად ხედავდა, რა ხინჯი პქონდა ნაწარმოებს, როგორ შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება, ხშირად კი გაბრიელიც ფასეულ შენიშვნას აძლევდა, რაც თითქოს ესოდენ მოულოდნებლი უნდა ყოფილიყო გაუნათლებელი დურგლისგან; ჩანდა, მას მხოლოდ ოქროს ხელი არ პქონდა...

### ს ე ლ ი (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

ხელი – ყოვლის შემქმნელი,  
ხელი – ხეალის წამშლელი!  
ხელი – ბევლელი,  
ხელი – მხსნელი,  
ხელი – ცომის მზელი,  
ხელი – მჭამელი,  
ხელი – მჭედელი,  
ხელი – მწყალობელი,  
ხელი – მწყალებელი,  
ხელი – ძარღვიანი, ხმელი,  
ხელი – ყანის მშველი,  
ხელი – ლექსის მწერი,  
ხელი – ჩუქურთმის მჭრელი,  
ხელი – საფლავის მთხრელი,  
ხელი – ხეთი სანთელი:  
ველი –  
გაფანტოს ბნელი!

### პარი VIII. თქვენი თვალით განახვებთ!

როცა “ტურიკოს ოინები” დამთავრდა თუ ჩაფლავდა, მაყურებელთა უმრავლესობა ნაწყენი დარჩა – მხიარული ამბავის ბოლომდე ხილვა სურდათ... მშები ქურუსაძები და მათი მეგობრები კი ფრიად მხიარულები და კმაყოფილები ჩანდნენ წარმოდგენის ჩააფუშვით – კარგი დრო გაატარეს! შინ წასვლაზე ჯერხანობით არ ფიქრობდნენ, ნაზიბროლა ცოცხიაშვილის სახლის ეზოში შეკრებილნი, ბჭობდნენ დარბაზში მომხდარის შესახებ...

– მოგეწონათ, ბიჭებო? – მერამდენედ კმაყოფილი კითხულობდა შოთა; კარგ ხასიათზე იყო, თუმცა კი მოუწია მიწის იატაქზე გაშელართვა მიხას ძალისმიერი ილეთის შემდეგ. – ხომ მაგარი შიში ვაჭამეთ ხალხსა! ცოტა დაგვიანდა “ბომბის” სროლა, ანზორამ დროზე ვერ გამართა.

– მაინცდამაინც ყველაზე საინტერესო ადგილზე უნდა შემოეგდო ბომბი?.. – უკმაყოფილო იყო ბესა ტურიკაშვილი, – ნეტა ბოლომდე გეგნახა, გაბევებო, რითი დამთავრდებოდა ყველაფერი.

– ბრიყვი ხარ, შეიღოსა! მამაშენს პეითხე, ის ჩაგიკაპლავს დაწვრილებითა! – იცინის შოთა და გაფიცხებული აგრძელებს: – ეგ რა არი! მე შემიძლია ისეთი წარმოდგენა გაგიმართოთ, სიზმარშიც რომ არ მოგლანდებიათ!.. თანაც ნამდვილი!

– რა ნამდვილი?  
– განახოთ? მაგარი წარმოდგენა იქნება, თქვენს თვალშინ მოხდება ყველაფერი... გინდათ?  
– მიდი, აბა! – ეშეში ჩავარდნენ ბიჭები.  
– არა, ასე არ გამოვა... – თავს იფასებს შოთა. – ჯერ დაგნაძლევდეთ! თქვენი თვალით განახვებთ!

— მერე, ლირს ოო შენი მაიმუნობა ამდენად? მამუკას ეჯიბრები? სასაცილოა...  
 — მამუკას გაჯობებ კიდევაცა!  
 — რადაცას მასხარაობ!  
 — მასხარა თავი გაბია!  
 — რადაც უშნოდ იღმიტები...  
 — რას გმასხარაობ, ბიჭო, ჯერ დავნაძლევდეთ! ერთი კარგი პურმარილი იქისრეთ რობიზონას დუქანში!

— მაგრა გაუტიე, აი!  
 — არა გჯერათ?  
 — გვანახვე და დავიჯერებთ!  
 — ჰო, კარგი, აი, ახლავე, ნახევარ საათში...  
 — ნუ გაგიწვრილე გული! მაინც, რას აპირებ?  
 — ბაბოს მოგაჯდები!..  
 — თუ ხუმარჯანაშვილების ჯულის? ხომ არ გეშლება?  
 — ჯული, თუ გინდათ, სხვა დროს იყოს, დღეს ბაბოს ჯერია!  
 — ვისი, ბიჭო, ექთან ბაბოსი?  
 — ჰო, ექთან ბაბოსი!  
 — ტყეულია!.. გვაპამულავებ!.. მეტისმეტი მოგდის!.. — იძახდნენ გახარებული თუ გულნატენი ბიჭები და არ იცოდნენ, რა უხაროდათ თუ სწყინდათ ერთდროულად. — მიჟეარავ, შოთავ, ბაბოსნაირი წესიერი გოგო მეორე არ მოიძებნება სოფელში!  
 — მაშ, თქვენი თვალებით განახვებთ!.. დაჲკათ ხელი! თუ არა და, მე ვკისრულობ სამოც ხინგალს რობიზონასთან თავისი არყითა! დღესვე ერთი გემრიელად მოვილხინოთ!  
 — ჰო, კარგი, სამოცი რას გვეყოფა, ასზე ყაბულსა ხარ?  
 — ასი იყოს!

ახალგაზრდები სათითაოდ უტყაპუნებდნენ მარჯვენას შოთას ხელისგულს ნაძლევის დასტურად. მხოლოდ გოგერდი კალმახაური იღგა შორიახლოს, სხვა ბიჭებთან, შოთას ჯგუფთან არ მისულა და ბაბოს სახელის სესხებაზე ყურები ცქიიტა...

— თქვენ ახლა წადით ჯვარისმამაზე, იქ ყველაზე დიდი საფლავის ლოდი რომაა, ვიდაც ლიპარიტ ამილახვრიშვილისა, მარმარილოსი... ხომ იცით, იქა... — აგრძელებდა შოთა. — ახლოს არ მოხვიდეთ, ვირისთავებო, თორემ უგელაუერი ჩამეშლება. წადით, წადით, დროზე ჩასაფრდით... საყდარში ჯობს, იქიდან კარგად გამოჩნდება, ნახევარ საათში დაიწყება ახალი წარმოდგენა. წყნარად იყავით, კისრებსაც ძალიან ნუ დაიგრძელებთ, თორემ დაგაჭრით თავებს!..

შოთა სწრაფად განშორდა მეგობრებს, დანარჩენები კი ლაპარაკლაპარაკით ჯგროდ დაიძრნენ ძეელი ეკლესიისენ. გზა-გზა სულ ხუმრობდნენ, მუქთა პურმარილი გავჩარჩეთო; არავის სჯეროდა, თუ შოთა დანაბირებს აასრულებდა — საერთოდ, შოთა ბრექია იყო, უყვარდა ბაქიბუქი, თვალებში ნაცრის შეყრა...

ბაბო ბარისაშვილი ჭადარდიდის ამბულატორიაში მუშაობდა ექიმის თანაშემწედ. საყურებს, გულქანდებს, სამაჯურებს და მისთანანს არ ხმარობდა; როცა მიზეზს ეკითხებოდნენ, პასუხობდა — არ მიხდებაო. სინამდვილეში — ძვირფასს ვერ ყიდულობდა, შეძლება არ ჰქონდა, საერთოდ კი მართლაც ერთგვარად გულგრილი იყო სამგაულების მიმართ... კაცმა რომ თქვას, არც სჭირდებოდა! იმდენად ლამაზი იყო, სხვა სოფლებიდანაც საგანგებოდ მოდიოდნენ ბიჭები მის სანახავად: ოქროსფერი თმები და ისეთი თეთრი პირისკანი ჰქონდა, პირდაპირ ანათებდა! გაარშიგებას კი არა, მის ცისფერ თვალებში პირისპირ შეხედგასაც კი ბიჭები ვერ ბედავდნენ; თუკი სოფელში ვინმეს რაღაც გაეკაწრებოდა, მაშინევ ბაბოსთან გარბოდა შესახევებად, უფრო კი — ბაბოს სანახავად... რამდენჯერმე ბაბოს მოტაცებასაც უპირებდნენ, ცხადია, სხვა სოფლები ბიჭები, თორემ ჭადარდიდში შოთას ყველა გაფრთხილებული ჰყავდა — მაგ გოგოს ვინც ახლოს გაჯერება, ვაი იმისი ბრალიო... ხეობაში სახელგაგარდნილი შოთას მუქარამ სხვაგანაც გააღწია და ქალიშვილი აღარ შეუწუხებიათ... ბაბო სათვალეს ატარებდა, რაც მის ყოველთვის სერიოზულ, ერთგვარად მკაცრ იერსაც კი, კიდევ უფრო მიუკარებელს წარმოაჩენდა... და უცებ — შოთა ბიჭებს რაღაც წარმოუდგენელ, დაუჯერებელ ამბავს პპირდება!

შოთას ნათქამით ყველაზე უფრო გოდერდი იყო დაეჭვებული, ამასთანავე — შეშფოთებულიც... ბიჭებს შეუმჩნევლად უკან აედევნა და როცა ისინი სასაფლაოს რეინის ჭიშკარში შევიდნენ, თვითონ განზე უტია და სის მესერზე მოხერხებულად გადამგრა, მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ფეხი ბავშვიბიდანვე სანახევროდ გამხმარი ჰქონდა და კოჭლობდა. ფრთხილად, ფორთხვით მიიწევდა იმ ადგილისენ, სადაც, შოთას, დანაგვეხნის მიხედვით, ახალი წარმოდგენა უნდა გაემართა...

გული უსიამოგნოდ უჩქროლავდა რადაცის ცუდის მოლოდინში... იმედი იმისა, რომ ბაბო როდისმე შეიყვარებდა, გოდერდის არ ჰქონდა, უფრო სწორედ, სადღაც გულის კუნძულში სულ მცირე იმედის ნაპერწკალი მაინც ბუტტავდა... მაგრამ, ამის მიუხედავად, საოცარ ტკივილს აყენებდა თუნდაც გაფიქრება იმისა, რომ... რომ წარმოუდგენელ რასმე ჩაიდენდა შოთა და ბაბოს აკადრებდა საქვეყნოდ თავის მოჭრას... არა, ეს არ მოხდებოდა, შეუძლებელი იყო, ბაბო დათან-

ხმებოდა, ისეთი პიროვნების თავხედურ ნებას დაჟყოლოდა, როგორიც შოთა იყო... შოთა ქურუსაძე, მთელ სოფელში ცნობილი მუსუსი, ხან ვის აეტორდიალებოდა, ხან – ვის და წესიერო გოგო მასთან გვერდით გავლასაც მოერიდებოდა, არამცთუ დამით უდაბურ ადგილას წაყოლას დათანხმდებოდა... არა, ბაბო თავმოყვარე გოგოა, თაგს როგორ გაუყადრებს შოთასნაირს, ალბათ შოთამ იხუმრა და ბიჭები სასაფლაოზე წამოიყვანა, თვითონ კი ალბათ ახლა რობიზონას დუქანში ზის ხოსროს სუფრაზე და იქ მყოფთ ართობს მისი მოგონილი გაპამპულების მოყოლით... შეეძლო, უფრო შესაფერისი რამ მოეგონებინა და სხვისი სახელის არად ჩაგდება, ლაფში ამოსვრა არ ეკადრა... თუმცა, შოთასგან კეთილშობილებას რატომ ელის, ის რატომდა იკადრა, რომ ქაიხოსროს გაურიგდა და, სასადილოში დაპატიუების საფასურად, მამუჯას “ტურიკოს ოინების” წარმოდგენა ჩაშალდა... შოთა იმდენად უტიფარია, ამ ამბის დაფარვა არც უცდია, პირიქით, ეტყობა, სიამოვნებდა კიდეც, რომ მისი ეშმაკობის შესახებ ყველამ გაიგო – გამვლელ-გამომვლელს სიცილ-ხარხარით დაწვრილებით უამბობდა საკუთარი “გმირობის” ამბავს... აღრე თუ გვიან შოთა ცხვირს მაინც წაიტეს, ჯანდაბამდის გზა ქეონია, მაგრამ ბაბოს რადას ერჩის, თავი გაანებოს...

ცოტა ხანში სავსე მთვარის შუქზე ჩურჩულით მომავალი შოთა და ბაბო გამოჩნდნენ. შოთას შინ გაევლო და პიჯაკი წამოედო, რომელიც ახლა ბაბოს მხრებზე ჰქონდა მოხურული; შოთას ხელი ჰქონდა მოხეული გოგოსთვის, დროდადრო აჩერებდა, ჩაიხუტებდა და ხახგრძლივად ჰქონდიდა.

გოდერძის ეჩვენებოდა, რომ სიზმარში იყო... თვალები დახუჭა... არა, ვერ წარმოედგინა, რომ შოთა დანაქადნებს შეასრულებდა. კი, კარგად იცნობდა მის ხასიათს, მრავალი სისამაგლე თვითონაც უწვნევია მისგან, ბევრად მეტი – გაგონილი ჰქონდა და რადა უნდა გაცვირვებოდა, მაგრამ... მაგრამ არ უნდოდა დაეჯვერებინა, რომ მისი თავხედობა, არაკაცობა ყოველგვარ საზღვარს გადალახავდა... ბაბო? იმას რადა დაემართა?.. აქ რატომ წამოპყვა? ჩახუტებულები მოდიან... ნუ-თუ მართლა მისცემს უფლებას... არა, ამას ბაბო არ იზამს... გული ტავილით შეეკუმშა... არ სჯერა და მოკალი თუ გინდა... თუ სიყვარულმა დააბრმავა, იმდენად მაღალი ოცნების კოშკი ააშენა, რომ იქიდან ვერ ხედავს, ქვევით რა ხდება, რა მიწიერი ვნებები ბობოქობენ?.. რატომ ჰგონია, ბაბო უმწიდესობის განსახიერება?.. აგრე თვითონ, საკუთარი თვალით არ ხედავს, როგორ მოდიან ჩახუტებულები, როგორ ლოშნის შოთა ბაბოს? ფუი... არა, იქით აღარ გაიხედავს... რატომ უკვირს, თუ შოთა მართლაც შეასრულებს დანაქადნებს? რატომ აქვს ბედი ასეთ ნაძირალას? ნეტავ შეეძლოს, ცხვირ-პირი დაუნაყოს... მაგრამ ამით ბაბოს გულს ალბათ ვერ მოიგებს, პირიქით... ზოგიერთ ქალს მოსწონს ძლიერი მამაკაცები, თავხედობასაც აპატიებენ, უხეშობასაც... ნუ-თუ ბაბოც ასეთია? თუმცა... არავის აქვს ულება, სხვებს ჰქუა დაარიგოს, ყოველი თავისუფალია და საკუთარ ცხოვრებას ისე წარმართავს, როგორც თვითონ სურს... ბაბო მაინც სხვანაირი ეგონა... ნუ-თუ ისე დააბრმავა შოთას გარეგნობამ, რომ ვერ ამჩნევს მის გონებრივ შეზღუდულობას, მისი უტიფრობა გულს არ ურგეს? მოელი ჭადარდიდის გოგოები და ქალებიც დაინახავენ შოთას თუ არა, მაშინვე საჩქაროდ განერიდებიან, მის თვალთაგან მოშორებას ლამობენ...

შოთა ქურუსაძემ სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე წაიყვანეს ქალაქს – ამ დროს რაიონის ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში; ადგილობრივ შეჯიბრებებში კი გამოდიოდა, მაგრამ უცოდინარობას ამჟღავნებდა ილეთების ცოდნისა, რასაც ტექნიკას უწოდებენ, ასევე – სტრატეგიისა თუ ტაქტიკისა, და მხოლოდ საოცარი ჯან-ღონის წყალობით აკრავდა ყველა მოწინააღმდეგებს ბეჭებზე. მისი გამორჩეული ფიზიკური მონაცემები თვალში საცემი იყო და იმავე წელს ჩარიცხეს ფიზიკულტურის ინსტიტუტში. დაიწყო ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, ერთხმად აღიარებდნენ – სპორტულ სარბიელზე დიდი წარმატება ელოდა; სულ მაღლ რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატიც გახდა. ზაფხულში წაიყვანეს ზღვის კურორტზე, ქობულეთში, ერთოვიან სპორტულ შეკრებაზე. იქ პლაზზე დამსვენებელ გოგოს მაგნიტოფონი მოპარა... დაიჭირეს, გამოიყვანეს ნაკრების შემადგენლობიდან. მოკლე ხანში მაინც გამოუშეს ციხიდან – სპორტული სამყაროს გავლენიანი პირები ჩაერიგენ საქმის გარჩევაში და სასამართლომ პირობითი საჯელი აქმარა... დაადგებინეს ხელწერილი, რომ მსგავი შემთხვევა აღარ განმეორდებოდა და ადადგინეს ინსტიტუტში, ისევ დააწყებინეს ვარჯიში...

ამ ზაფხულს შოთა ჭადარდიდში ატარებს, ალბათ ეშინიათ შეერებაზე წაყვანისა, ისევ რაიმეზე არ წაიმტკვიოს ფეხიო. აქაც არ ისგენებს და ქალებს დასდევს. ერთ ოჯახს მიწებებულივით არ სცილდება – უცნაური, ბრექია დამსვენებლები რომ არიან ჩამოსული ქალაქიდან: პახუმა ხუმარჯანაშვილი, მისი ცოლი ხანუმა და მათი შეილები – ჯიმი და ჯული; ცოლ-ქმარი შინ და გარეთ მოელი დღე დაიარებიან დიდი ვერადი ყვავილებით, დრაკონებითა და ვენებით მოხატული ჩინური თუ იაპონური აბრეშუმის ხალათებით შემოსილი... ამბობენ, შოთა ეკურგურება ხანუმასაც და მის ქალიშვილსაც, ჯულის, და ორიგეს – წარმატებითო...

ეტყობა, ახლა სწორედ ამის შესახებ ცხარედ მსჯელობენ შოთა და ბაბო; ბიჭი რაღაცას უმტკიცებს გოგოს და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ჰქონის და ჰქოცნის...

ამბავში ნათლის მოსაფენად, ამ საჩოთირო ამბავს მოელედ მოგითხოვთ...

## კარი IX. ხუმარჯანაშვილები

ამ ზაფხულს ჭადარდიდს ბლომად ჩამოვიდნენ დამსვენებლები – ქალაქს მაცხოვრებელი ჭადარდიდელნიც და უცხონიც, რომლებიც აქაურობამ მიიზიდა სოფლური სიწყნარით, სუფთა, გრილი ჰაერითა და გარემოს სილამზით. სტუმრები გამოიჩინებიან უზრუნველი, ჯერ მზედაუძრავი სახეებით და მოღური, უფრო ხშირად – სპორტული, ტანსაცმლით. ერთი ოჯახი განსაკუთრებით განსხვავებულია – შეძლებულები ჩანან, გაფუფულები, გულზვიადები, თავს არავის უყადრებენ: ცოლ-ქმარი – პახუმ ხუმარჯანაშვილი და ხანუმა – და მათი უკვე მოზრდილი შვილები, ქალ-ვაჟი – ჯიმი და ჯული, სტუდენტები?

გინ გახლავთ ბატონი პახუმ ხუმარჯანაშვილი?  
სოფლელთა აზრით, უდაოდ დიდი კაცია, ალბათ ფრიად მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს, რისი დასტურიც გახლავთ თუნდაც ის, რომ წამოყვანილი ჰყავთ შინამოსამახურე გოგო – ლიზიკო, თუმცა ელამი, და ცოტა კოჭლიც, მაგრამ ჯანმრთელი და ყოჩადი: ადრე დილიდან გვიან საღამომდე დაუდალავად ემსახურება ოთხ ადამიანს – აკეთებს გემრიელ კერძებს, რეცხავს და აუთოვებს, ხვეტავს და ყოველ მზიან დღეს ამზეურებს ქვეშაგებს...

ცოლ-ქმარს ორივეს სულ პაპიროსი აქვთ პირში გაჩრიდილი; მზის შავ, დიდშუშეებიან სათვალეებს მხოლოდ ძილის დროს იშორებენ; მთელი დღე აბრეშუმის ლამაზი, ფერად-ფერადი ხალთები აცვიათ, კაცს: წინ – დრაკონით და ზურგზე – ფარშევანგით მოხატული ან წინ – ლომით და ზურგზე – გადაჯვარედინებული მოღუნული მახვილებით; ქალს კი: ხან – დიდი, ლამაზი ქრიზანთოების ყვავილებით დამშვენებული, ხან – სამოთხის ჩიტებით... აი ასეთი ძვირფასი, აბრეშუმის მბზინავი ხალათებით დაბრძანდებიან შინ თუ გარეთ. პახუმის მეუღლე დიასახლისი გახლავთ. თვალებმოხატულ, ჩამომადებულ ხანუმას ისედაც ამპარტავნული იერი აქეს და თან წარბები ისე ამოუქნია, რომ ზევით აზიდული ბოლოები ქედმაღლობას კიდევ უფრო ამბაფრებს. ხანუმას მხოლოდ ერთი რამ აწუხებს ფრიად – სახეზე ნააღრევად გაუჩნდა ნაოჭები და მოელი მისი ენერგია ამ სამწუხარო მოვლენასთან გმირულ ბრძოლას ხმარდება: სახეზე ისვამს დიდი ძალისხმევის შედეგად ნაშოვნ ნაირ-ნაირ უცხოურ ძვირფას საცხებს, იფენს კიტრის ნაფცექენს, ძილის წინ იკეთებს მაწვინის “ნიღაბს”... საკვირველია, “ტურიკოს ოინების” სანახავად რომ წაბრძანდა – სიცილი ხომ ნაოჭებს აჩენს!

საკვირველი ისიც არის, რომ ხუმარჯანაშვილები, ამასთანავე, გამოირჩევიან საოცარი, შეიძლება ითქვას, ბაგშვური უშუალობით. დილით ბატონი პახუმა და მისი ვაჟი, პატივცემული ჯიმი ნიფხვის ამარა, უეხშიშველნი გამოტანტალებიან აიგანზე და მეორე სართულიდან პირდაპირ ეზოში შარდავენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო შორს გასტყორცის ჭავლს... ქვევით მოსიარულე სახლის პატრონებს ბუზადაც არ აგდებენ... თუ შემთხვევით ან განზრას ვინმეს ამ დროს გაწუწავენ, ხორხოცით იკლებენ იქაურობას, თან ხუმრობენ: “დღეს ცხელი დღე იქნება, გაგრილება კარგია!”...

ქალიშვილი, ჯული, – მაღალი გოგო, მკერდსავსე, გავასქელი, – სამი დღე რომ მკაცრ დიგ-ტას იცავს, მეოთხე დღეს, მგელივით მოშივებული, იმდენს მიირთმევს, რომ წინა დროის “ნაშრომი” წყალში ჟერება... მთელი დღე სულ იღლიაში ამორტილი დაქვს რომელილაც ინგლისური საბაგშვო წიგნი, – ინგლისურს სწავლობას! – მაგრამ ზაფხულის განმავლობაში პირველ გერაფრით გასცდა. შინ და გარეთ ერთობ შილიფად ჩაცმული დაბრძანდება, სიგარეტს ფრიად ელეგანტურად გამეტებით აფულებს და სოფელში მოკლე შარვლით სეირნობისას აგიუქს სოფლის ჯელებს სავსე ბარძავების სითორით – როგორც ატეხილი ძაღლები, ისე დასდევს უკან მთელი ბრძო გაუქებისა... პაცებს გამომწვევად უდიმის და აქ-იქ ხელის მოსმას და კოცნასაც კი კისეისით ვითომ უშლის და არც უშლის... ბიჭები ლამის ერთმანეთს ცხვირ-პირს ალექსავენ მისი გულისთვის...

ბოლოს და ბოლოს, შოთა ქურუხაძემ დააშოშმინა ყველანი – ჯული ადვილად “დაითრია” და ძალაუნებურად დანარჩენები შეეშვნენ გოგოსთან ღლაბუცს. სწორედ ჯულისთან მეტისმეტად ახლო ურთიერთობის გამო საყველურობდა ბაბო შოთას...

ბარემ ხუმარჯანაშვილებთან დაკავშირებულ ცოტა გვიანდელ რამდენიმე ამბავსაც გავიხსენებ.

ერთ ცხელ დღეს ეს პატივცემული ოჯახი მდინარეზე საბანაოდ მიდიოდა, ვიწრო ორდობეში გადაეყარნენ ჭადარდიდელ ბიჭებს და გამომწვევებად არ დაუთმეს გასავლელად ადგილი... გაიმართა გაწევგამოწევა და “ველურმა” სოფლელებმა ჩვენი ცხვირაბზეკილი მამა და ვაჟი გემრიელად დაბეჭეს, ქალბატონი და გოგო კი დაინდეს, ძიგილაობაში მხოლოდ მისრის-მოსრისეს...

მოვარდა შოთა ქურუხაძე ვითომ საშველად, მაგრამ დააგვიანა, პახუმა და ჯიმი უკვე მდინარის პირად იბანდნენ ცხვირიდან წამსედარ სისხლს.

გაბრაზებულმა პახუმ ხუმარჯანაშვილმა იჩივლა, რაიონული ცენტრიდან ჩამოვიდა გამომძიებელიც; საქმეში ჩაერია შოთა და, ქაიხოსროს დახმარებითაც, ეს საქმე ჩაიფარცხა – დასრულდა “ედემში” გაშლილი სუფრით; “მომრიგებელმა” შოთამ ჩვეულებას არ უდალატა, მით უმეტეს,

მუქთა პურ-დვინოზე იყო დაპატიჟებული – უზომოდ დათვრა, ატეხა ჩხუბი და კინადამ გამომძიებელს ახალი საქმე გაუჩინა...

როგორც მოგახსენეთ, ბატონი პახუმა, ეტყობა, ფრიად საქმიანი კაცი გახლავთ და, შესაბამისად – შეძლებული ოჯახის პატრონი, პოდა, ახლაც, ჭადარდიდში ერთი შეხედვით უზრუნველად დასვენებისას, საქმესაც არ ივიწყებდა. ჯერ იყო და რამდენიმე გლეხს გაურიგდა (რა თქმა უნდა, წინასწარ ქაიხოსრო ტურიკაშვილთან მოლაპარაკება და „საქმის ჩაწყობა“ არ დაგიწყებია) – წაბლისა და კაკლის ხევის დამზადება და გასაღება წამოიწყო... მაგრამ მხოლოდ წამოიწყო და გეღარ გააგრძელა: მამუკა კალმახაურმა რესპუბლიკურ გაზეთში მამხილებელი წერილი დროულად აფრინა და ქალაქიდან კომისია ჩამოვიდა ხის ძეირფასი ჯიშების დანაშაულებრივი ჭრის შესასწავლად... ქაიხოსრო ტურიკაშვილმა მოახერხა დაუსჯელად გამოძრომა – რაიმე საბუთზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ხოლო ბატონ პახუმას აქცი შეუდგინეს და მსხვილი ჯარიმის გადახდა დააგისრეს.

ხუმარჯანაშვილების ოჯახი იმულებით დიეტაზე გადავიდა... რატომლაც ეს მდგომარეობა არ გახარებიათ არა მხოლოდ პახუმასა და ჯიმის, არამედ გახდომაზე მეოცნებე ქალბატონებსაც – სანუმასა და ჯულის. ახლა მაინც ხომ არ მიაძახებდნენ ქაცები ქუჩაში გოგმანით მიმავალ ქალბატონ ხანუმას, მაგალითად, ამგვარად: „ვაჲ, ქალო, რამდენა საჯდომის დაათრევ!“ ერთ ცოტა უფრო უხეშ სიტყვასაც ხმარობდნენ, რომელსაც, ცხადია, აქ ვერ გავიმეორებ.

სასწრავოდ საჭირო გახდა ახალი საარსებო წყაროს გაჩენა და ბატონმა პახუმ ხუმარჯანაშვილმა განაგრძო სოფელში წანწალი, ამჯერად ჭადარდიდელთ თავს გეოლოგიის პროფესორად აცნობდა; საქმიანი იერით გაივლიდა-გამოივლიდა მავანის ეზოში და არწმუნებდა – ბედი გქონია, მეგობარო, სწორედ შენთან არის საუკეთესო ადგილი, ჭაბურღილს გაგიყვანა და იმდენი წყალი გექნება, სარწყავადაც გეყოფაო... გულუბრყვილო გლეხი, გახარებული, მხოლოდ ლიმილით არ ასაჩქერებდა ბატონ პახუმას, სუფრას გაუშლიდა... და, თუმცა თვითონ ხელმოქლედ ცხოვრობდა, ასეთი საშვილიშვილო საქმისთვის ნათესავ-მეზობლისგან ფულის სესხებაც დირდა, რათა ბე მიეცათ მათი კეთილისმყოფელისთვის.

მალე პახუმამ ისე მოაწყო საქმე, რომ ჭადარდიდელნი ერთმანეთს ართმევდნენ ძვირფას სტუმარს, იქნებ პირველად ჩემს ეზოში „დაარტყას ბურღიო“...

ერთხელ ბატონმა პახუმ ხუმარჯანაშვილმა მამუკას სახლთან შეაჩერა ნაბიჯი, ფიქრობა, დირდა თუ არა ამ, როგორც ჩანდა, ჯერაც დაუმოავრებელ სახლში სტუმრობა, მაგრამ ჯულიმ, რომელიც ამ დღეს თან ახლდა, თვალი ვერ მოსწევიტა ეზოს ვარდნარს.

– უი, დედა, რა ლამაზია! – წამოიძახა ღობესთან მიმდგარმა ქალიშვილმა, შავად შეღებილ წამწამებს აფახულებდა.

მამუკა რაღაცას საქმიანობდა ეზოში, ღობესთან მივიდა:

– თქენ გაზაფხულზე უნდა ნახოთ, ბეგრად მეტი ჯიში ყვავილობს.

პახუმმა იფიქრა, რახან შეგჩერდით, ბარებ აქაც გცდი ბეღსო:

– გამარჯობა! – რიხიანად მიესალმა მამუკას. – შეიძლება, შემოვიდეთ?

– გაგიმარჯოს! – სალამი არ დაუგვიანა მამაუკამ და ჰკითხა: – თქენ ვინ ბრძანდებით?

– არ მიცნობთ? – გაუმენიდა პახუმას, – მე პახუმ ხუმარჯანაშვილი გახლავართ!

– მშენივრად ვიცი, ესი ხილვის ბედნიერება მხედა წილად, მე სხვა რამ გაითხეთ: თქენ ვინ ბრძანდებით, რა ხელობის კაცი, რას საქმიანობთ?

– არ გაგიგიათ? მე გეოლოგიის პროფესორი გახლავართ!

– ძალიან სასიამოვნოა, რა გნებავთ? – ცოტა კი ეუხერხულა, უხეშად გამომდისო, მაგრამ მაინც შეეგითხა მამუკა.

– მე წყლის ამოყვანა შემიძლია!.. სათანადო შესწავლის შემდგომ დავარტყამო ბურღს და... ჭას ძალიან დრმად ვერ ამოთხო, ბურღი ამ მხრივ შეუცვლელია... თან ბევრად იაფიც დაგიჯდებათ...

– თქენ გინდათ თქვათ, რომ პიდროგეოლოგი ბრძანდებით? მაშინ უნდა იცოდეთ და გაითვალისწინოთ, რომ მდინარესთან ახლოსაა ჩემი ეზო და მცირე სიღრმის ჭაშიც ამოვა წყალი, ჭაბურღილის გაყვანა არაფრად მჭირდება... ამას გარდა, მდინარე ორ ნაბიჯზეა და წყლის უძმარისობას ისედაც არ ვუჩივთ... კიდევ ვიტყვი: ძალიან სასიამოვნო თქვენი გაცნობა, ბატონ პროფესორო! ორმაგად სასიამოვნო იქნება, თუ იმასაც მოგვახსენებთ, სად მოღვაწეობთ, რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ბრძანდებით?

ბატონმა პახუმიამ პახუმის დაუგვიანა, ბოლოს უგემურად ამოღერდა:

– მე აქ, როგორც კერძო პირი, ისე ვარ...

– აჲა, კერძო პირი ბრძანდებით... კეთილი... მაინც სად მუშაობთ? – არ ეშვებოდა მამუკა, თან ლიმილით აკეირდებოდა პახუმას დაბნეულ სახეს.

– მე ხომ გითხარით, კერძო პირი ვარ...

– და კაკლის ხევბსაც, როგორც კერძო პირმა, ისე დაადგით თვალი? უფრო სწორედ – ნაჯანი მოუმარჯვეთ?

ბატონმა პახუმ ხუმარჯანაშვილმა, წარუმატებელი სტუმრობით გულაცრუებულმა და საგმოდ დამფრთხალმა მამუკას სიტყვებითა და მღიმარი სახით, საჩქაროდ ხელი მოჰკიდა ქალიშ-

ვილს, რომელიც ამ საუბრის დროს მათ არ უსმენდა და უფრო ღობის გადაღმა ეზოში გაშენებულ მშენებელ გარდნარს ათვალიერებდა, მასპინძელს არ გამომშევიღობდია:

— წამოდი, წამოდი, შვილო, საქმე ბევრი გვაქს, დროს ნუ დაგვარგავთ...

კიდევ რა გადაუდებელი საქმე პქონდა ბატონ პახუმს, ამის გამორჩევას ჩვენ აღარ გამოვეკიდებით, საქმარისია აღვიშნოთ, რომ მეორე დღეს ხუმარჯანაშეილები დაემშეიღობინენ ჭადარდიდს — იმის მიუხედავად, რომ ქალბატონი ხანუმა და ჯული წინააღმდეგი იყვნენ...

ჩვენ კი, ჯობს, შოთასა და ბაბოს ამბავს მივუძრუნდთ.

## კარი X. შოთა ქურუსაძე და ბაბო ბარისაშვილი

შოთა და ბაბო შემოვიდნენ ჭიშგარში, ეპლესისეკენ მიმავალი აღმართის მეტი წილი აიარეს და გვერდზე გაუხვიეს... შეჩერდნენ, შოთამ ბაბოს მხრებზე მოხვეული პიჯაკი გამოართვა და ძირს გაფინა...

სავსე მთვარე გულგრილად იცემირებოდა ციდან, შემდეგ, თითქოს გელარ გაუძლო ქვეყნის სიმუხუთლესა და სიავესო, ეული ლრუბლის ფოთლა ჩამოიფარა სახეზე და ირგვლივ ჟველაფერი წყვდიადმა მოიცავა.

ერთი ალბათ ძილგამერთალი თუ ანგარიშშეშლილი მამლის ხრინწიანი ყივილი იჭრებოდა გარემოს უშტოთებელ სიმუხუდროვეში; მხოლოდ ჭადარდიდებევი ჩვეულად მიშეულდა შორიახლოს და რამდენიმე ძალიც დაგვარებდა დოროდადრო — უანგარიშოდ, უაზორდა.

ღამე... იდუმალი დროა, როცა ჩვენ თითქოს არ ვართ, არ ვარსებობთ... უმეტეს წილად ბნელი საქმეები სწორედ ამ დროს ხდება...

მთვარემ ისევ გამოიხედა, კვლავ გულგრილად დასცექერის მიდამოს და არაფერი უკვირს — ამქვეყნად რადა არ უნახავს...

გოდერძი თვალს არიდებს “იმ ადგილს”, თან მისდა უნებურად თვალი მაინც გაურბის იქიობენ — აქ, ამ სასაფლაოზე, მისი ცხოვრება დასრულდა? არა, მაგრამ გარკვეული ნაწილი კი — ნამდვილად...

მერე ისმოდა შოთას კმაყოფილი ხითხითი, ბაბო კი რაღაცას ჩუმად ეკამათებოდა თუ ემუდარებოდა.

— ხომ დამპირდი! ხომ დამპირდი! — ოდნავ ხმას აუმალლა ბაბომ.

— ებრე მე ბევრ გინმეს დაგპირდი! — ღრეული უპასუხა შოთამ. — ხომ გითხარი, ჯერ არ მცალია, შეჯიბრებითვის უნდა მოვემზადო...

— შე უსინდისო!

— უსინდისო რათა?! თუ მართალი გინდა გითხრა, მე ისეთ ქალს ცოლად არ მოვიყვან, ქორწილამდე რომ კაცს დაუწება, გაიგე? თანაც მერამდენედა!.. ჰიპი-ჰი..

ამ დროს საყდარში ტაში დასცხეს... გილაცამ დაუსტვინა...

ელდანაცემი ბაბო წამოხტა, კაბა გაისწორა და დაიმალი საფლავის ლოდს უკან... ტანსაცმელი სწრაფად მოიწესრიგა, მოიკუნტა და თავი ჩარგო მუხლებში.

— ეს რა პქენი, შოთავ, ეს რა პქენი! — ჩუმი ზლუქუნით იმეორებდა...

მერე უცებ წამოხტა და ქვევით სირბილით დაეშვა. სანამ ჭიშკარამდე მიაღწევდა, ერთი-ორჯერ წაიფორხილა და წაიქცა კიდეც, გავარდა გზაზე და ტირილ-ტირილით გაიქცა.

გოდერძი პირდაპირ ლობეზე გადაძერდა და ქალს უკან აედევნა.

სინდისი ქენჯიდა, რომ დროზე არ ჩაერია, მაგრამ... როგორ წარმოიდგენდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო...

ბიჭები საყდრის ჩრდილიდან გამოვიდნენ, გაღიმებულ შოთას გარს შემოერტყნენ; მხარზე ხელს უტაცუნებდნენ, ხუმრობით ხელი პკრეს კიდეც, კინაღამ საფლავზე წააქციეს.

— ნელა, თქვე ოხრებო, არ დამამარცხოთ! — ტანსაცმელს იფერთხავდა შოთა. — ესეც ასე! ახლა თქვენა შინ წადით, ფული მოკრიფეთ და რობიზონას დუქანში მოდით, ახლავე გავანალდოთ ნაძლევი, ბან მოწყვრდა!..

ბიჭები ხორხოცით გამოეშურნენ სოფლისეკენ.

ბაბო კი შეკავებული ტირილით ძალიან ჩქარა მიდიოდა, დორდადრო — თითქმის გარბოდა და გოდერძის უჭირდა, მას მისდევნებოდა. ნეტავ საით მიიღტვის ასე თავგამოდებით, რაიმე საშინელების ჩაღენა ხომ არ აქს გადაწევილი?.. გოდერძი მთელი ძალ-ძონით ცლილობდა, დიდად არ ჩამორჩენოდა გოგოს, მაგრამ ბოლოს, მაინც დაეკარგა, როცა ბაბო მარცხნივ გადავიდა გზიდან და მურყნარის ბუჩქებში გაუჩინარდა...

მდინარისებულ გადაუხვია!

გოდერძის შეეშინდა, თავი არ დაიხრისო, გადაწყვიტა, წყალში გადაგეშები და ბაბოს გადავარჩენო...

როცა აქლოშინებული გოდერძი ნაპირს მიუახლოვდა, დაინახა: მდინარეში მუხლებამდე შეული გარინდებული ბაბო, თავჩაქინდრული, მოლივლივე წყალს დასცექროდა...

მდინარე აქ შედარებით მდოვრედ მიეღინებოდა გაშლილ ჭალაში და არც ისე ღრმა იყო; ოდნავ ქვევით ჩარდებოდა მდინარე, ჩქერებზე იქმნებოდა, შემდეგ რამდენიმე ათეული მეტრს გაივლიდა და მარჯვენა ნაპირის მაღალ კლდესთან დრმა მორევს აჩენდა, მთელი სოფლის ბიჭების საყვარელ საბანაო ადგილს.

ბუჩქს ამოფარებული გაოფლიანებული გოდერძი, სულშეგუბებული, ჩუმად უცქეროდა ქალს, ვერ გადაეწყვიტა, დაეყვირა მისთვის თუ ჯერ მოეცადა...

მაგრამ ბაბო მხოლოდ დაიხარა, ჯერ სახეზე შეისხა წყალი, შემდეგ – მხრებზე, მკერდზე...

თავფეხიანად ჩაწვა წყალში, ცოტა ხანს გარინდებული იყო, მინდობილად მიჰყებოდა მდინარებას, მერე თავი წამოყო, წამოდგა, ამოგიდა ნაპირზე და ქაზე ჩამოჯდა.

დიღხანს ზის ასე გაუნდრევლად, გარინდებული, თაგდასრილი, ხელუხამოყრილი... მუხლებს ჩასცერის თუ წყლის მდინარებას აყოლებს მღელვარე გრძნობებს? რას ფიქრობს?

წყალი ჭყლაპუნობს, მთვარის ნათელი ქალის სველ, ოქროსფერ თმებს ეალერსება; მდინარის ზედაპირზე ათამაშებული სხივები და გაღმა ნაპირის მუქი ჭალიდან ბაყაყების ყიყინი ერთგვარ უშფოთველ სურათს ჰქმნის...

გოდერძის უნდოდა, მისულიყო ქალთან, მაგრამ ერთი რამ აკავებდა: რა უნდა ეთქვა მის-თვის? თანაგრძნობისა თუ დაყვავების სიტყვებს შეიძლება მოყვანილი, უარყოფითი შედეგი გა-მოელო, ისედაც აფორიაქებული ბაბო კიდევ უფრო აეღელვებინა...

ბაბო წამოდგა, ნელ-ნელა, თაგჩაქინდრული, ნაპირ-ნაპირ აღმა წაგიდა, წყალი წევთ-წევთად ჩამოედინებოდა სველი კაბიდან, გხა-გხა მუქ ქვალს ტოვებდა... გავიდა გზაზე, რომლითაც სოფ-ლელი ჭალიდან სამშენებლო ქვიშა-სილას ეზიდებოდნენ მანქანებით...

არა, ძლიერი გოგოა ბაბო!..

გოდერძიმ სახლამდე მაინც მიაცილა ჩუმად.

## კარი XI. "ედემსა" შინა...

როცა შოთა და მისი ამფსონები ლაზლანდარობა-სიცილით შევარდნენ რობიზონას სასადი-ლოში "ედემი", იქ უკვე გაშლილი იყო სხვა სუფრა – სოფელ ჭადარდიდის კოლმეურნეობა "გხა ნათელი მომავლისებრ" გამგეობის თავმჯდომარე ქაიხოსრო ტურიკაშვილი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იაკოფა ჩიტაფაფაშვილი და პარტიული კომიტეტის მდივანი მელიტონ ლიტონაშ-ვილი რაღაც წამოწყებაში წარმატებას თუ გამარჯვებას აღნიშნავდნენ – იქნებ "ტურიკოს ოი-ნების" წარმოდგენის ჩაშლასაც, თუმცა, უსაბაბოდაც აქაურობის ხშირი სტუმრები იყვნენ.

– აი, შე მამაბაღლო, რა მშეგენივრად ჰქენ საქმე და! შენი ვალი მაქეს, ახლავე გაგისწოდები! – წამოიძახა შოთას დანახვისას ხოსრომ და რობიზონას ხელი დაუქნია: – აბა, ამ ბიჭებს ჩემს ხარჯზე გაუმასპინძლდი!

რობიზონამ ბიჭები ხოსროს კამპანიასთან კი არა, ცალქე მაგიდასთან დასხა – მდინარეზე გადამდგარი აივის შორეულ კუთხეში.

სანამ ბიჭებისთვის ხინკალს გააქოთებდნენ, ხოსრომ ბოხი ხმით შესძახა შოთას, მოკაპული საჩვენებელი თითოთ თავისთან მიიწვია:

– ყმაწვილო, ერთი აქ მობრძანდი ცოტა ხნითა! – და მაშინვე მის მაგიდასთან მისულ შო-თას საუბარი გაუბა: – დაჯექ და კარგად მისმინე... თან ხინკალი და მწვადი მიირთვი... მოწყურუ-ბული იქნები და გინდა არაყი დააყოლე, გინდა – ლუდი... ბიჯო, ხუმარჯანაშვილებს ხომ იც-ნობ?

– რომელსა? – ბანზე აუგდო სიტყვა შოთამ, არ მოელოდა საუბრის ამგვარ დაწყებას, თან ერთი კათხა ცივი ლუდი სულმოუთქმელად გამოსცალა და ხინკალს დასწვდა.

– ვითომ არავის იცნობ? დღედადამ მათსა ხარ, მთელი სოფელი იმას ლაპარაკობს, იმ გო-გოს რა თაფლი სცხია ისეთო... ცოლად ხომ არ მოგყავს?

– ცოლად კი არა, ისა... – აგდებულად აიქნია ხელი შოთამ, ცხელ-ცხელი მწვადით პირს ითუთქავდა.

– რას უწენებ? კარგი, შენი საქმისა თვითონ იცი, ერთი ეს მითხარი, მამამისი პახუმა რა კა-ცია? გოგოს არაფერი უთქვამს? სად მუშაბდს... ვინ არის საერთოდ...

შოთა მიხვდა, რამაც შეაშფოთა მოსაუბრე – წარმოდგენის დროს რომ პახუმა ხოსროს და-გ-მუქრა...

– რა ვიცი, აბა, რომელიდაც სამინისტროში განყოფილების გამგე უნდა იყოს... ისე, გემრიუ-ლი ჭამა-სმა და კარგი ცხოვრება რომ უყვარს, ზედევ ეტყობა, რათ უნდა ბევრი ლაპარაკი...

– პოდა, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო... წადი ახლა და აქ მოიყვა, ხინკალზე დაპატიჟე... რაც გინდა, ის უთხარი, ოღონდ უარი არ ათქმებიონ, გაიგე?.. ახლავე!

შოთას არც ხოსროს ამ თხოვნის შესრულებაზე შეეძლო უარის თქმა, დაჲყაბულდა; მწვადს მიეძალა, კიღევ ერთი კათხა ლუდი დააყოლდა და მხოლოდ შემდეგ წაგიდა.

ნახევარ საათში რობიზონამ საკუთარი ხელით მიართვი ბიჭებს ოხშივარაგარდნილი ცხელ-ცხელი ხინკლით სავსე ლანგარი და ორი ბოლოი არაყი. ბიჭები მაშინვე ხინკალს ეცნენ, ერთმა-

ნეთს ასწრებდნენ, პირის დათუთქვას არად აგდებდნენ – ასეთი გემრიელი ხინკალი ბიჭებს არასდროს ეჭამათ, არადა, კვირაში ორჯერ მაინც იყვნენ “ედემის” სტუმრები.

ცოტა ხანში შოთაც დაბრუნდა, თან მოჟყვნენ პახუმა და მისი ვაჟი – ჯიმი; უფროს ხუმარჯანაშვილს ამჯერად განუყრელი ხალათი კი არა, პიჯაკი ეცვა; ფრიად სერიოზული სახით შემოვიდა სასადილოში და ყველას თავის დაკერით მიესალმა.

ხოსრო წამოხტა, პატივსაცემი სტუმარი მოწიწებით სუფრასთან მიიწვია. პახუმამ დირსეულად კიდევ ერთხელ დაუკრა თავი – ამჯერად ხოსროს – და დინჯად დაჯდა შემოთავაზებულ სკამზე. შოთა და ჯიმი ბიჭების სუფრისებრ გაემართნენ – იქ უპა მეორე ხინკლიანი ლანგარი მიიტანეს.

ხოსრომ ტაში შემოპრა და მაშინვე მაგიდაზე გაჩნდა ახალი, ცხელ-ცხელი მწვადიცა და ხინკალიც. ბატონ პახუმას თავპატიუ არ დაუწყია, გემრიელად მიირთმევდა ყველაფერს, ლუდ-საც აყოლებდა, ოღონდ რობიზონას, რომელიც სუფრას თავს დასტრიალებდა, კონიაკი ხომ არ გექნებათო, პეითხა. რა თქმა უნდა, სტუმრის თხოვნა მაშინვე შესრულდა. ბატონმა ქაიხოსრომ შემოსწორებული სტუმარი აღლეგრძელა, შემდეგ ისიც დაურთო, ჩვენი ახლო გაცნობის სურვილით გართ აღვისლი ყველანი, ამ სუფრაზე მსხდომნი... ასეთი რჩეული სტუმარი სოფელს ემუშება და თუები რაიმე სურვილი გაქვთ, ჩვენი თავი გენაცვალოთ, ყოველმხრივ ვეცდებით, გასიამოვნოთ... ბატონმა პახუმაც, ვითარცა განათლებულ და ზრდილ ადამიანს შეჰვერის, მადლობა მოახსენა იქ მყოფთ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის და მისი ოჯახი ფრიად კმაყოფილია ჭადარ-დიდში ყოფნით... ბოლოს კი მოულოდნელად იქითხა:

– ვინ არის ეგ თქვენი გამოზავნილი ყმაწვილი, მგონი, შოთა პევია, ხომ? ჩემს გოგოს ეტორლიალება...

– სიძედ გინდა? – გაიცინა ხოსრომ. – მაგარი ბიჭია, მოჭიდავე, ამ ხეობაში მასეთს მეორეს ვერ ნახავ. ნაკრებში ვარჯიშობს, აგერ ნახავ, მოკლე ხანში მაგის სახელი მოელ ქვეყანას მოვდება!

– თუ მასეთი კარგია, შენს გოგოს ვერ მისცემ? – უპასუხა ”შენობითვე“ პახუმამ.

– ჯერ რა ეწერება, სწავლა ურჩებნია.

– ჩემსას რა, სწავლა აწყენს? – ეწყინა პახუმას და წარბებიც კი შეჭმუხნა...

მაგრამ ბატონმა ქაიხოსრომ ისევ და ისევ ჩამოუსხა ის საუცხოო სასმელი “ენისელი” ბატონ პახუმას და მოქარგულ სადღეგრძელოებსაც არ აკლებდა, ასე რომ, კარგად შეთვრნენ ყველანი, განასაძუთორებით – პახუმ სტუმარჯანაშვილი; ყველაფერი კეთილად დასრულდა და, ბოლოს, გამომშეიღობებისას, “გახტანგურადაც” დალიეს...

როცა ხოსრომ და მისმა მეგობრებმა დაამთავრეს პურისჭამა, საკმაოდ შეჭიბეჭიბულ ბატონ პახუმას შვილი შეუდგა მხარში და ისე გავიდნენ გარეთ. წასვლის წინ ბატონ ქაიხოსროს არ დავიწყებია შოთა ქურუხაძესთან განცალკევებით მეორედ, ამჯერად ხანმოკლე საუბარი; მიხვდით ალბათ, მორიგი დაგალება მისცა – იმ ოხერ ხუმარჯანაშვილებს ჩივილი და დაბეზღვება სჩვევიათ; უფრო დაუახლოვდი, გამაგებინე მაგათი ამბავი, თუ რამეს დააპირებენ და ხინკლაობას არც მერე მოგაკლებო...

შემდგომშო, როგორც აღრე აღვნიშნე, ბატონ ქაიხოსროსა და ბატონ პახუმას საერთო “საქმეც” გაუწიდათ – ხეტყის დამზადება.

ეშეში შესულმა ბიჭებმა და შოთა ქურუხაძემეკი შუაღამეს იქითაც განაგრძეს ქეიფი, ხოსროს გასტუმრებულ დანახარჯს ორი იმდენი კიდევ დაამატეს: მიირთვეს ხოსროს ხაშლამა, ღორის მწვადები, ხაჭაპურები, სვეს და სვეს საუცხოო კახური ლვინო, რომელიც მანამდე აქ არც გაესინჯათ; ამჯერად საპატიო სტუმრებად ითვლებოდნენ – ქაიხოსროს ხათრით!. სიმდერა არც ერთს ეხერხებოლა, მაგრამ მათი ღრიალი ალბათ სოფლის მეორე კიდეში ესმოდათ დილივარდისასა და გოჯასპირს; იმდენი იცვევეს და იბუქნავეს, კინალამ აივნის ხის სქელი იატაკი არ ჩამტვრიეს და ჩაცვივდნენ მდინარეში... გამოსავათებულ დამკვრელებს ცალთვალა იაშა მეგარმონესა და მედოლე მსუქან არშაკას სულ გაპარვაზე ეჭირათ თვალი, მაგრამ ამაოდ... არც რობიზონას თხოვნამ გაჭრა, ღროზე ჩამორიგდით სახლებშიო, ლამის დაათენდათ თავზე. პატარა ჩხებიც გამოურიეს რომელიდაც დაგიწყებული წყენის გამო და შოთამ ბესა ტურიკაშვილი მდინარეში გადაუძახა, მერე თვითონაც გადახტა გახურებული შუბლის გასაგრილებლად...

ბოლოს, როგორც იქნა, წამოშალნენ. ახალი დანახარჯი, შოთას გარდა, მის მმებსაც არ გადაუხდიათ; ამაზე ცოტა წაკინგლაგდნენ... მაგაზე ნუ იდარდებთ, ბიჭებოო, – აპატია ქურუხაძეებს რობიზონამ დანაკლისი, – ოღონდ დროზე მომცილდით აქედანო.

ჭკვიანი კაცი იყო რობიზონა, გამოცდილებით იცოდა: ჩხების შეეძლო, მეტი ზარალი მოეტანა მისთვის. სხვა ღორისაც ქეიფის შემდეგ მმებ ქურუხაძეებს ბევრჯერ არც არაფერი გადაუხდიათ და ამ ბოლო ღორის კი უარესსაც შერებიან – რამდენჯერ ვითომ ძალიან დამთვრალებს ჩხები აუტებიათ და იქაურობა დაულევწიათ კიდეც... ათას დავიდარაბაბაგამოვლილ რობიზონას რა გამოეპარება: იცის, რატონ და ვისი დაგალებით და წაქეზებით აეთებენ ამას ქურუხაძეები, – “უდემს” დამფრთხალი მუშტარი მოაკლდება და რობიზონა იძულებული იქნება, იქაურობას გაეცალოს, – დიდად მომეტებიან სასალილოს ქორის თვალი დაბლება ბატონმა ქაიხოსრომ და სანამ ხელში არ ჩაიგდებს მსუქან ლუქმას, სოფლის “თავგაცი” ვერ მოისვენებს...

\* \* \*

მთელ სოფელს მოეფინა სასაფლაოზე მომხდარი ამბავი...

ბაბო სირცხვილით გარეთ ვეღარ გამოდიოდა. მერე ჩუმად წავიდა თავის სოფელში – მდინარის აღმა, ხუთ კილომეტრში, მთის ძირში შეყუული პატარა სოფლიდან, ციხისუბნიდან, იყო.

შოთა? სირცხვილის, და მით უმეტეს – სინანულისა, არაფერი შეტყობია – ძველებურად ყინჩად დადიოდა სოფელში და შემხვედრი კაცების შეხუმრებას და ქალების გამკილავ მზერას ერთნაირი, გამარჯვებულის ამაყი ღიმილით პასუხობდა.

მხოლოდ მამამისმა, გოჯასპირ ქურუხაძემ შეახურა:

– ჭებას მოეგა, ბიჭო, ერთხელაც იქნება, ცოდვა გიწევს! დროზე ითხოვე ცოლი და დაშოშმინდი!..

დედამისი კი, დილაგარდისა, როგორც ყოველთვის, ახლაც შეილს გამოექომაგა:

– ძალიანაც კარგი! ბიჭი ბიჭი უნდა იყოს, დედალი კი არა! ვენაცვალე შოთას ვაჟკაცობასა!

## კარი XII. გოჯასპირ ქურუხაძე და დილაგარდისა

არავინ იცოდა, საიდან და რატომ ჩამოეთესლა თითქმის ოცდათი წლის წინათ ჭადარდიდში გოჯასპირ ქურუხაძე, მისი გვარის ოჯახი ამ და მეზობელ ხეობებშიც არ გაეგონათ. ბევრჯერ შეკითხებინ მისი წარმომავლობის შესახებ, მაგრამ არასდროს გაუცია დალაგებული პასუხი... დაბალ-დაბალი, ჯმუხი, სამი კაცის ღონის პატრონი იყო; შავი, აჯდაბაჯდად გაბურდული წერულგაში მთელ სახეს უფარავდა, მხოლოდ მოზრდილი ცხვირი მოუჩანდა და წვრილი თვალები ელავდნენ სადღაც სიღრმეში. ტანხეც მეტისმეტად ბამჯგვლიანი გახლდათ – ხშირი ბალნით იყო შემოსილი არა მხოლოდ მისი მეტრი, არამედ მხრებიც და ზურგიც კი. ამბობენ, კაცის ბანჯგლიანობა ბედნიერების მომტანიაო; რამდენად გამართლდება ეს შეხედულება გოჯასპირ ქურუხაძის შემთხვევაში, ამას შემდგომ დავინახავთ, ერთ ამბავს კი ახლავე მოგახსენებთ. ერთხელ ზამთარში გოჯა შინ გათოშილი დაბრუნდა, წელზევით გაშიშვლებული, ფეხებს ტაშტში ითბოლავდა და ზურგით ეფიცენტოდა დუმელს და უცებ ცეცხლი მოექიდა... ცოლმა იმარჯვა და გასანელებლად იქვე მდგარი მთელი ვეღრო ცივი წევალი გადასხა თავზე...

იქნებ მეოთხელმა ეს სალადობო პასაჟი სიმბოლოებით გატაცებად ჩამითვალოს, დასკვნა კი ასეთია: ცეცხლოთან მეტისმეტად ახლო მიჩრება საშიშია! განსაკუთრებით – დიდად გაბანჯგლულოთვის, თუნდაც ბალნის ხშირი საფარეველი მართლაც ბედნიერების მომტანი იყოს!

დიახ, გოჯას ცოლი, დილაგარდისა, მარჯვე ქალი იყო; ქმარზე საგრძნობლად მაღალს, დიდიდი, ჭროლა თვალები პეტონდა და გამჭოლი მზერით შეეძლო, ადამიანში უსიამოვნო ერუოლა გამოეწვია. როცა ათასში ერთხელ მეზობელი შეაღებდა მათი ძევით შემორაგული ეზოს ნის ჭრიალა კარს, მისალმებამდე თხოვნით იწყებდა:

– ამ შენ აეთილ ქოფაქს ვერ მოაშორებ? – თან გულში ფიქრობდა: “ამათ ქოფაკი რადათ უნდათ ნეტავ, დილაგარდისა არ ეყოფათ?!”; მერე კი, როცა ძაღლის დაბაბამდნენ, რა საქმითსვისაც უნდა ყოფილიყო მისული, მეორე თხოვნასაც მიაყოლებდა: – ვარდო, შენი ჭირიმე, არ გამიბრაზე რ!

თუმცა, ქურუხაძეებთან სტუმრობა მეტისმეტად იშევიათი მოგლენა გახლდათ, მხოლოდ თარსი ტასო კი რატომდაც თვეში ერთხელ მაინც მიღიოდა – ვითომ ბიჭებისთვის სარძლოებს სთავაზობდა; დაუპატიუებელი სტუმარი თითქმის მთელი დღე რჩებოდა, რატრატებდა და რატრატებდა, მთელი სოფლის ჭორებს ჩამოფქავდა, თვითონაც ათას რასმე გამოიკითხავდა, სახლ-გარის ყველა კუნძულს ბარგანაობით დაივლიდა... სადილსაც ქურუხაძეებთან ერთად მიირთმევდა და აინუნშიც არ აგდებდა დილაგარდისას ბრაზით აკვესებული თვალების რისხვას.

პო-პო, რა ავი ქალის სახელი პეტონდა გავარდნილი დილაგარდისას! სულ ჩახმახშეულებული იყო, მოთუხოვით მარად აღგ ხნებული, შვილებსაც კი ქმრის წინააღმდეგ ამხედრებდა:

– მიდი, უთხარი მაგ თაგმეკვდარსა, ნაგავი ხარ-თქო!

გოჯასპირი განგებ იყრუებდა თავს, მაგრამ ზოგჯერ ვერ მოითმენდა და შეუტევდა ცოლს:

– ქალო, დააგენე ეგ მყრალი ენა, თორემ გისვრი ფანჯარაში! – ცოლს სახელით არასდროს მიმართავდა, მხოლოდ: “ქალო!”, ხშირად ამბობდა, მე შინ თრი ქოფაკი მყავსო, მეორეში დილაგარდისას გულისხმობდა.

მაღალი ქალი იყო, ტანსრული, მარად წარბშეერული; იმისი მჭექარე ხმა ლამის სოფლის მეორე ბოლოში ისმოდა!

გოჯასპირს, რომელსაც ყველანი გოჯას უწოდებდნენ, უგეე შუახნისაც ეთქმოდა, როცა სოფელში გამოჩნდა. რატომდაც განცალკევებით, სოფლის ზემო უბნის ბოლო სახლებიდანაც ასიოდე მეტრის მოშორებით, მდინარის პირას, ამაღლებულ ფლატეზე, მოზრდილ აღგილს ძევის ღობე შემოავლო, შუაში ჩადგა რაღაც ხუსულის მსგავსი, ნაკარნუფარით შეკოწიწებული, ერთი წლის შემდეგ კი მთის მიყრუებული პატარა სოფლიდან ცოლიც მოიყვანა – თავისაზე ბევრად

ახალგაზრდა, ზორბა, ორბისთვალება. ერთმანეთის მიყოლებით ხუთი ვაჟი აჩუქა გოჯას ვარდომ: შოთა, ანზორ, ბარნაბა, ბიძინა და ზაურ.

ოჯახის ზრდასთან ერთად გოჯა სახლსაც აფართოებდა; სადაც კი რასმე მოიხელოებდა, – ფიცარს, ბოძს, თუნუქის ფურცელს, მავთულს, უანგიან ლურსმანსაც კი, – უველავერს ჩუმად შინისექნ გააცუნცულებდა. უგელამ იცოდა მისი ხელმრუდობის ამბავი, მაგრამ გოჯა იმდენად მოხერხებული იყო, ერთხელაც ვერ დაიჭირეს. ცოლი მაინც უქმაყოფილოდ ეჯიჯლინებოდა, უგერგილოს ეძახდა და არ ასვენებდა, აიძულებდა, დღედადამ ეწანწალა რაიმეს გამორჩენის იმულით. ცოლიც ხშირ-ხშირად ჩამოივლიდა სოფელს და ნათხოვრობდა ჩაქუჩის თუ ნაჯახს, ძალა ყინს თუ წერაქებს და ათას სხვა წერილმანსაც, ნასესხებს უკან არასდროს აბრუნებდა და, ცხადია, ბევრ ოჯახში სათხოვნელად მისულს, უკან უარით გამოაბუნულებდნენ. დიახ, თითქმის უველასთან პირშვად იყო და თითქოს აღარ მიესვლებოდა, მაგრამ დილავარდისა ისევ და ისევ უტიფრად მიადგებოდა ხოლმე რომელიმე ოჯახს, რომლისგანაც უკვე რამდენჯერმე ხელცარიელი გაისტუმრეს – აბეზარი ბუზივით არ ასვენებდა... მარად თხოულობდა კიდევ “სესხად”: ერთ ჭიქა ბრინჯას, ერთ კოვზ მარილს, რამდენიმე ნატეს შაქარს... მეზობლები მაინც ხშირად უმართავდნენ ხელს – იქნებ უფრო ფასეული რამ არ მოგვპარონ ქურუსაძეებმა და ჯანდაბას, წვრილმანს არ დაფუჭეროთო... თან მოსამადლიერებლად ატანდნენ საჩუქრად ნახმარ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, გადასაგდებად განწირულ თუ უხმარ ნივთებს...

ამასობაში ბიჭები იზრდებოდნენ, თანდათან იზრდებოდა გოჯას სახლიც – ემატებოდა მინაშენს მინაშენი და ეს, ყოველგვარი გეგმისა და გააზრების გარეშე, სტიქიურად მზარდი შენობა ტყეში ქურდულად მოჭრილი ხეებით, მდინარის პირას გამონარიყი მორებით, ნაპარავი ფიცრებითა და უნუქის ხაჭრებით შეკოწიწებული, მართლაც უცნაური სანახავი გახლდათ.

ოჯახიც უცნაური იყო. ჯოგასაპირის აქ დაფუძნებიდან, როგორც მოგახსენეთ, ოც წელზე მეტი გავიდა და მცირე ბოსტანიც კი არ პქონდათ, ბაღის გაშენებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მხოლოდ შემთხვევით ამოსული და გაზრდილი მამალი თუთის ხე იდგა ეზოს შუაგულში. უდარდელად აშრიალებდა მწვანედ აქოჩრილ ვარჯს და დაჭურებდა ზევიდან ეზოში მორბენალი ბაგშების ურიამულს. ოჯახის დიასახლისიც მასავით უდარდელი იყო, კერძის შესაკმაზი მწვანილისთვისაც კი დილავარდისა რომელიმე მეზობელთან სათხოვრად ან თვითონ მიეიღოდა, ან, უმეტეს შემთხვევაში, გააქცუნებდა ხოლმე ერთ-ერთ ვაჟს “საშოვარზე”; ბიჭიც არ იწუხებოდა თავს დამამცირებელი თხოვნით და პირდაპირ მეზობლის ბოსტანს ესტუმრებოდა... წვრილწვრილ ქურდობაში ხუთივე ბიჭი იმდენად გაიწაფა, რომ ოჯახი არც ხილ-ბოსტნეულის უქმარისობას გრძნობდა, არც – კაქლის, გოგრის, თაფლის, ჭყინტი სიმინდის, ასევე – ქათმისა და გოჭისაც; სადამოსპირს გზააბნეულ თხას, ცხვარს თუ ხბოსაც არ ტოვებდნენ უცურადებოდ და ლია ცის ქვეშ დამის გათენებას “გადაარჩენდნენ”... გაზაფხულობით მოზრდილი ეზოს ერთ ძუთხეში ცოტა კარტოფილს თუ დათესავდნენ, რაიონის ცენტრში იაფად იყიდდნენ ხუთიოდე გოჭს, რამდენიმე დღით შესაჩვენდა დაბამდნენ, მერე კი ღობის გადაღმბა გაუშვებდნენ და სრულ თავისუფლებას ანიჭებდნენ შემოღებომის მიწურულამდე ან ბევრად გვიანობამდეც – სანამ არ მოთვალი. ყველა ღორს ძველი კატორდელივით უშნო დამდა პქონდა ამოშანთული გვერდზე – დიდი ასო “გ” – და კაი დედმამიშვილი იყო ვინმე და ამ ღრუტუნებისთვის თუნდაც ხმამაღლი სიტყვა ეგადრებინა, არამცოუ კენჭი ესროლა ან წერპლა დაეკრა. არადა, გოჯას ღორებს აპლებული პყავდათ სოფელი – პატრონებივით საოცარი ნიჭი აღმოაჩნდებოდათ ხოლმე სხვათა ბოსტნების დაღაშეგვისა, დიდად დაოსტატებულნი იყვნენ ღობემესრების გარღვევაში და ფრიად სახელგანთქმულნიც. თუკი რომელიმე ბაღ-ბოსტნიდან ისმოღა პატრონის წყევლა-კრულვა ღორების პატრონთა ჯიშ-ჯილაგის მისამართით, ასე აოხრდეს და ღმერთმა არ გაახაროს, როგორც ჩემი ბოსტანი მოსპეს და გაანადგურესო, შეიძლებოდა დაბეჯითებით გვევარაუდა, რომ ამის მიზეზი სწორედ გოჯას ღორების მორიგი გმირობა გახლდათ. აბა, რა ქნას პატივცემულმა პირუტყვმა, ის ხომ ღორია, სანაქებო მადა აქვს და, თუ პატრონს ღვთის ანაბარა ჰყავს მიგდებული, დღეში ერთხელაც კი არაფერს აჭმევს, საბუთარ თავზე თვითონვე აღარ იზრუნოს?.. მხოლოდ “გოჯას მინდორზე” ბაღახის მოვებითა და მირხვენების ამოჩიქნით მუცელს ვერ ამოიყორავდნენ. დიახ, მოზრდილ მინდორს, მოქცეულს ქურუსაძეთა საცხოვრისსა და სოფელს შორის, სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდა მოსახლეობა. სოფელის ნაძრას ადგილად გადაიქცა გოჯას მინდორი, განსაკუთრებით მწყემსთავთვის და, საძოვართა სიმცირის მიუხედავდ, აქ ნახირის ძოვებას ერიდებოდნენ. მიზეზი მარტივი იყო: იცოდნენ – წუთით რომ თვალი მოეცილებინათ საქონლისთვის, დადარაჯებულ ქურუსაძეთაგან ერთ-ერთი მაშინვე სტატურად “ააორთქლებდ” ხბოს, ან, თუ მოიხელოებდა, ძროხასაც კი... წამიერად შედენიდა ეზოში, მერე – ფიცრულში; იქ დაესეოდნენ შინ მყოფთაგან ყეველანი, დაკლავდნენ და ნახევარ საათში მოტაცებული საქონელი “გამქრალი” იყო. დანაკლისი გინდაც შეემჩნია მწყემსს, ქურუსაძეთა ეზოში ვინ გაბედავდა შესველას: გარდოს რომ თავი დავანებოთ, უზარმაზარი, ხბოს ხელა ნაგაზი დღედადამ აშვებული იყო და ბოხი ხმით პყეფდა – რას აჭმევდნენ ნეტავი, თვითონ რომ სულ სამათხოვროდ პქონდათ საქმე? თუმცა, ძაღლი რაც უფრო მშიერია, მით ავია...

ისე კი დილავარდისა ფრიად გერძებს ამზადებდა; ხშირად შეიღლებს საჭმელს რომ ურიგებდა, ხელში ნახშირი გჭირა და მათ შებლზე ჯვარს უსვამდა, რათა სცოდნოდა, რომელს

მისცა და ოომელს არა – ბიჭები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ძიგილაობდნენ, ზედმეტის წაგლუჯას ლამობდნენ. ერთხელ უფროსმა ბიჭმა – შოთამ – იცულდუტა, ჩუმად მოიწინდა ნახშირი შუბლიდან და მეორედ ჩადგა რიგში, მაგრამ ოინი ჩაუმწარდა – ნაქურდალი მოსარშული სიმინდი რომ არ ეყოთ, მიხვდნენ და გოჯამ გემოზე მიბერტყა... ისე კი ბიჭები მშივრები არასდროს იყვნენ და მოზერებივით მუტრუპები დაიზარდნენ; სახითაც რომ დედას დაემგანენ – დიდონ ჭროდა თვალებს აბრიალებდნენ, კეთიანი ცხვირები ძალიან უხდებოდათ, გაუკაცურ იერს აძლევადათ. დიას, სამზარეულოში ტრიალი იყო ვარდოს საყვარელი საქმიანობა, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვით გულის მოფხანას არ ჩავთვლით – მისი ლანძღვა-გინებაში გავარჯიშებული ხმა ლამის მთელ ჭადარდიდს ეფინგოდა ხოლმე და ისე შეჩერებული იყვნენ სოფლელები, ეს ჭექა-ქუხილი მთელ დღეს ჩვეულ უონად გასდევდა და ურადღებას აღარავინ აქცევდა.

ზოგჯერ კი დილაგარდისა თაფლივით დადგებოდა და ქმარსა და შვილებს ენის მოხდევით ელაპარაკებოდა, ყველას საკოცნელად ეტანებოდა. უფრო ხშირად კი ყოველ წვრილმანს შეეძლო, წონასწორობიდან გამოეყვანა და მერე მთელი დღე დარძლიანად ანთხევდა გესლს.

გოჯა ამ ღროს ხმას არ სცემდა ცოლს და დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ საყვედურებს გაცლებოდა ხოლმე – სახლიდან გარბოდა, უფრო ხშირად – ტყეში, ტყიურივით ცხოვრობდა, რადგან მეგობარ-ამხანაგები არ ჰყავდა და სოფელში არ უყარდა გასვლა, მხოლოდ აუცილებელ საქმეზე, მაგალითად, ტყეიაწამლის და თამბაქოს საყიდლად თუ ნახავდი კოოპერატივის მაღაზიაში. ხშირად დაღიოდა სათვზაოდ, სულ უფრო შორს აჟვებოდა ჭადარდიდებეს აღმა: სოფლელები ჩიოდნენ, რაც გოჯასპირი დაესახლა მდინარის პირად, შიგ თევზი გაწყდათ; ტყეშიც დაწანწალებდა თოფით, მგალობელ ჩიტებსაც არ ინდობდა.

როცა გოჯასპირი ჭადარდიდს დაფუძნდა, დაემუქრნებაში არ შემოხვალ, გაგასამართლებები როგორც უსაქმეურს და გადაგასახლებენ. გოჯასპირი კი “მოარჯულეს”, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად – კოლმეურნეობაში ერთი დღეც არ უმუშავია, არც – ცოლს. როგორც მრავალ შვილიანი დედა, ვარდო იღებდა დახმარებას, ოჯახს ჰქონდა საგადასახადო შედაგათებიც, თუმცა არასდროს არავითარი გადასახადი არ გადაუხდიათ.

წერილმანი ქურდბაცაცობის გარდა, სოფელს გოჯასპირისგან ცუდი არაფერი ახსოვდა; პირიქით, როცა ოომელიმე მეზობელს ელექტროდენი გამოერთვებოდა, გოჯას მიმართავდნენ და სახმარებლად და ისიც უარით არავის ისტუმრებდა: ჩაიცვამდა რეზინის მაღალყელიან ჩექმებს, რომელსაც თევზაობის დროს იყენებდა, დაიჭერდა ხელში რეზინის ხელთაომანებს, ბრტყელტუჩას და დაუზარდად გაემართებოდა მეზობლის საშველად. ბოძებზე აძრომაში კი ეს არცოუახლგაზრდა კაცი ფრიად დახელოვნებული გახლდათ. ელექტროდენის საფასურის ამერეფი სულ ტყუილად უტალახიანებდა კარს, ერთხელაც ვერ გადაახდევინა დანახარჯის საფასური; მილიციონაც ბევრჯერ დამუქრნება გოჯასპირს, თითქმის ყოველ ორ-სამ თვეში ჩაუჭრიდნენ ხოლმე საზე, მაგრამ ინკასატორი და მისი მხლებლები თვალს მიეფარებოდნენ თუ არა, ნახევარ საათში ხაზი უკეთ აღლებილი იყო. ეს „ომი“ წლების მანძილზე გრძელდებოდა და მას ბოლო არ უჩანდა. ქურუხსაძებეს ცუდი დრო მხოლოდ მაშინ დაუდგათ, როცა გოჯასპირი ციხეში ჩასვეს; ეს ცალკე ამბავია და შემდგომ გიამბობთ...

### კარი XIII. მამუკა კალმახაური და ქაიხოსრო ტურიკაშვილი

საღამოსპირს ჭადარდიდისკენ მიმავალ გზაზე მცირე აღმართში მიბლუის ავტომანქანა “ვოლგა”, – თეთრი ფერის, – ტყუილად კი არ მისცა ბატონმა ქაიხოსრომ ყიდვისას მაღაზიაში ზედმეტი 1000 მანეთი ფერის ასარჩევად! მიირწევა მანქანა, უკან ნაცრისფერ ბუქს აეკნებს მტგრიან გზაზე. საგარმლის საზურგეზე ნებიერად გადაწოლილა მისი ზორბა მფლობელი, ჭადარდიდის კოლმეურნეობის “გზა ნათელი მომავლისკენ” თაგვედრომარე, ბატონი ქაიხოსრო ტურიკაშვილი; ერთი ეგაბა, ჯერ კიდევ ცხელა – სუფთად გაპარსულ სახეზე ოფლის წვეთები უბზინავს, მალიმალ ისვამს მჩვრად ქცეულ ცხეირსახოცს ცხვირზე, ულგაშზე, კისერზე, მელოტზე; მოღური ჰალსტუხი თავისუფლად სუნთქვს უშლის, მაგრამ მის მოხსნას არც ფიქრობს... გიგა შოფერიც მოსული ტანისაა, დათვსა ჰგავს; შავი ულგაში უფარავს პირს, ხშირი ბალანი მოსდებია მსხვილ მძლავებს, მუქ ბუჩქად მოუჩანს გაღელილი მძლავრი მკერდიდან; თაგზე, “უფროსისგან” განსხვავებით, ჯაგარა, მოქლევდ შეკრეჭილი თმა თითქმის წარბებამდე უწევს. ისიც ოფლად არის განვითქმდი, დაბალ შუბლს წამდაუწევ იმშრალებს სახელოთი...

წინ გამოჩნდა მიმღოღავი მუქი წერტილი – ვიღაც ფეხებს მიაფრატუნებს; მხარზე თოხი გაუდვია, ალბათ ყანიდან შინ ბრუნდება, დაღლილი.

როცა “ვოლგა” მამუკა კალმახაურს წამოეწია, ბატონმა ქაიხოსრომ მძლოლს მანქანა გააჩერებინა.

მამუკაც გაჩერდა, მანქანას მოხედა. მაგის კაცი არ არის ხოსრო, რომ პატივი დასდოს და შინ მისაყვანად გაუჩერდოს ავტომობილი: “ჩემო მამუკა, მთელი დღის თოხის ყაყუნით დაფლილი იქნები და სახლამდე დარჩენილ ორნახევარ კილომეტრს ფეხით აღარ ივლი, ჩემი მანქანით მოგაბრძანებ შინო”... მამუკა გრძნობს, აქ სხვა მიზეზია: ერთი კვირის წინ სოფელს მოვიდა სატი-

რულ-პუმორისტულ უურნალ “ნიანგის” ნომერი, რომელშიც სოფლის თავები მათ შორის უპირველესად – ჭადარდიდის კოლმეურნეობა “გზა ნათელი მომავლისქენ” თავმჯდომარე, ბატონი ქაიხოსრო ტურიკაშვილი, მშეგნივრად იყვნენ დახასიათებულნი, ვითარცა დიდად მოამაგენი საბუთარი ჯიბისა და კუჭისა, რა თქმა უნდა, სოფლელთა ხარჯზე; მათი ხრიდებიც იყო დაწვრილებით ჩამოთვლილი... კრიტიკული კორესპონდენცია ფსევდონიმით, მგელიქა ჭადარდიდელის სახელით იყო ხელმოწერილი, მაგრამ მთელი სოფელი მაშინვე მიხვდა, ვინც იყო ამ წერილის დამწერი.

– ძაან იბრიქები, მამუკავ, აი! – მოღუშული ბატონი ქაიხოსრო კარს აღებს და მანქანიდან გადაუსვლელად ეუბნება.

მამუქა ლიმილით აჩენს თეორ კბილებს:

– გამარჯობა, როგორ ბრძანდები? – პასუხი რომ ვერ მიიღო, გააგრძელა: – ხოსროვ, აბა, შენს მეტი ვინ ამბობს ამასა? ვინმეს უფროსი ვარ და დამიჩაგრია?

– განა დამავიწყდა შენი გათამაშებული ოინბაზობა, ახლა კიდევა გაზეთშიც საქვეყნოდ გამომაჭერე ხომ? ჩემთან ხუმრობას ბედავ, დიდი კაცი გგონია თავი! – თვალებს უქაჩავს ბატონი ქაიხოსრო.

– არ გაგიგია? ქალალდი მომიგიდა: მომავალი კვირიდან შაპის კარზე დიდგაზირად მნიშნავნ! – გაიცინა მამუკამ, აღარ დაუწყო დაზუსტება, რომ წერილი უურნალში იყო გამოქვეყნებული და არა გაზეთში. – მაშ, რა გეგონა, დიახაც, მაღალთან მაღალი ვარ და დაბალთან დაბალი!

– მაშ მე დაბალი გგონივარ, არა?! – კიდევ უფრო მოიქუფრა ბატონი ქაიხოსრო, შეუბდვირა:

– რად მიყურებ გგრე?

– მაინც როგორა?

– რა გაცინებს, კბილებს რასა კრეჭ?!

– მომწონეარ და იმიტომა!

– მოგწონგარ?.. – ბატონი ქაიხოსრო, ცოტა არ იყოს, დააბნია მამუკას სიტყვებმა.

– ჰო, ხოსროვ, შენი გაბრაზება მომწონს, გიხდება, ხომ იცი, კიდევ გაბრაზედი რა!

– შენა გიუი ხარ, გიუპოეტა გვაქლდა სოფელში სწორედ! ამა ქვეყნისა არა ხარ, ღრუბლებში დაფრინავ... უმაქნისო, დამცინი კიდეცა? ჭევიანად იყავ, შე ნაბიჭვარო, ჩემთან ეგეთი რამები არ გაგიგა! შენ მარტო გიგა გეყოფა, ცოცხლად გადაგყლაპავი! – ადუღებული ბატონი ქაიხოსრო შოფერს მიუტრიალდა: – მიდი ერთი, დაელაპარაკე!

გიგა შოფერი, მოზევრივით მუტრუკი, ზლაზვნით გადმოვიდა მანქანიდან და მამუკას კენ უნდილად გაემართა...

გიგა მამუკას მონათლულია.

გიგას ცოლი – ლალი – ორი წლის მოყვანილი ჰყავს; ცოლმა უკვე მოასწრო ტყუპი ბიჭების დაბალება და ახლა ისევ ფეხმიმებდა. გიგას ჩხუბი და აუალმაყალი აღრეც არასდროს იზიდაგდა და ახლა ხომ განსაკუთრებით გაურბის. მაღალი არ ეთქმის, სიგანე კი ისეთი აქვს, დამის სიმაღლეს გაუტოლდეს; სქელი კისრის გამო თავი პირდაპირ მხრებზე ჩანს მიბმული თუ ზედ დადგმული.

კარგა ხანს გიგა გულგაწყალებული იყო: ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ყოველ ნაბიჯზე იმას ეკითხებოდა, რატომ დოროზე არ დაქორწილდებიო, ასეთი კაი ბიჭი ხარ, უარს ვინ გეტყვის ქალზეო...

ერთხელ ქალაქს იყო რაღაც საქმეზე (მაშინ სატყირო მანქანაზე მუშაობდა) და, როცა სოფელში ბრუნდებოდა, გზაზე, ჭადარდიდხევის ხეობის გადასახვევზე, ერთმა ყაყაჩოსაგით წითელკაბიანმა ქალიშვილმა ხელი აუწია:

– წამიყვანე, შენს სოფლამდე მაინცა!

– წაგიყვან, უეჭველად წაგიყვან; ეგეო გოგოს, საღაც მიბრძანებს, იქ წაგიყვან! – გაუღიმა გიგამ და კაბინის კარი გაუღო. – მაინც, საიდან იცი, საღამდე მიგდივარ?

ჩაისგა გოგო კაბინაში, გზაში საუბრობდნენ. გაიგო დაწვრილებით ამ ქალიშვილის ამბავი, – ლალი რქმევია; თურმე ჭადარდიდხევის ხეობის ერთი ზედა სოფლიდან იყო, სკოლა ახალი დამთავრებული პქონია, გორში გათხოვილ უფროს დასთან სტუმრობდა. პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩაუბარებია, მაგრამ ქულები დაჟკლებია, ვერ ჩარიცხულა და ახლა შინ ბრუნდებოდა. სხვა დროს გიგა არ დაინტერესდებოდა მაინცდამაინც, მაგრამ ახლა გოგო თვალში მოუვიდა, ხშირ-ხშირად შეხედავდა... ჯიშიანი ჩანდა: მაღალი და ტანსრული იყო, ბრაქიანი მკერდი კაბაში ვერ ეტეოდა; შავ თვალებს რომ შეანათებდა, გიგა თვალს არიდებდა და ისევ გზას მიაჩერდებოდა...

შევიდნენ ჭადარდიდში. გიგამ უთხა, კარგი გოგო ჩანხარ, ბარემ შენს სოფელში აგიყვან, მაგრამ ბენზინი იქამდე არ მეყოფა, უნდა ჩავასხა, ცოტა ხნით ერთ ადგილას მივიდეთო. ლალის სხვა რაღა გზა პქონდა, დაჟკლებულდა.

გიგამ გააჩერა საკუთარი სახლის წინ მანქანა, ჩამოვიდა, გააღო ფართოდ ჭიშკარი, შეაგორა მანქანა ეზოში, ჭიშკარი საგულდაგულოდ დაბეტა, მერე ხანგრძლივად დაბაბიანია და დეგის ხმით დაიყვირა (თვითონ ტანად დათვასა პგავდა):

— ხალხო!.. გამაინედეთ გარეთა, ხომ არ ამამწყდარხართ!.. ერთი ნახეთ, რა პატარძალი მოგიყვანეთ!.. ქალი კი არა, ნატერისთვალია!

მთებმა მთავაცის ძალის აქეთ-იქედან ბანი მისცეს, გიგას შინაურები ეზოში გამოეფინენ, მზემაც ღრუბლებიდან ცნობისმოყვარედ გამოიჭყიტა...

ლალი შეცბა, გადმოხტა კაბინიდან და უნდოდა, გაქცეულიყო, მაგრამ ვინ გაუშვებდა!..

აუგარდა ტირილი...

— გოგონა, რა გატირებს? — დაუყვავა ლალის გიგას მამამ ნოშრევანმა. — ნუ გეშინია, აქ უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს!

ლალიმ მადლიერი თვალები მიაშუქა.

— ჰო, ეგრე, გნაცვალე... გინდა, ერთ ამბავს გეტყვი? მომისმინე... ერთი ქალი მეხუთედ გათხოვდა. “რა გატირებს, ქალო, რამ შეგაშინაო”, — უთხრეს. “მე რაღა შემაშინებს, მაგრამ ეგრე არის წესად და იმიტომ ვეირიო...” შენ მერამდენედ თხოვდები?

როგორც პოეტები იტყოდნენ, ლალის ტუჩებზე ნაზი ღიმილის ვარდი გაიფურჩქნა...

ერთხელ რაღაც საქმეზე მივიდა მამუქა კალმახაური გიგასთან და მისდა უნებურად ცოლქმრის აღერსს შეესწრო...

შეშურდა გიგა შოფრისა!

ლალი ქმარს პერცილა:

— უნდა შეგჭამო!

— ვინა ხარ შენ, ქალო, ეგეთი გაუმაძლარი?

— მე მგელი ვარ, მშიერი მგელი, უნდა შეგახრამუნო!..

— ჰო, კარგი, ოლონდ უცებ ხუ გადამყლაპავ!.. ნელ-ნელა, ნელ-ნელა... ნაზად, ნაზად...

— რა გეშევლებოდა უტემოდ, ბიჭო!.. ვინ გაგაბრაზებდა ჩემზე უკეთ, ბიჭო!.. ვინ მოგფხანდა ასე კარგად ზურგის, ბიჭო!.. ვინ მოგეფერებოდა ასე ტებილად, ბიჭო!.. მე ძალლი ვარ, ქოფაკი, ღრ-რ!.. უნდა გიგბინო აი აქ, კისერში, ნაზად, ნაზად... ჟკ, რა თბილი ხარ, ბიჭო, რა გემრიელი ტუჩები გაქვს, ბიჭო, რა ღონიერი მკლავები გაქვს, რა ტკიპასავით მომეკარი, ერთ არსებად გადავიქციო, ბიჭო!..

მამუქა ჩუმად უკანე გამობრუნდა, არ უნდოდა, ოჯახური სიამტკბილობა დაერწვია...

გზად მამუქა შურით არა, მაგრამ მაინც გულისტეივილით ფიქრობდა: “ამ ბანჯგვლიან დათვს ჩემზე ბევრად უაეთესი ბედი ჰქონია, თუმცა საჭის ტრიალის მეტი არაფერი იცის, სკოლაც კი არ დაამთავრა... ისე კი კარგი ბიჭია ჩემი ნათლული... უველას აქებ ბედნიერების უფლება... მაგრამ, ეტყობა, არც ამ ერთი შეხედვით ბედნიერ ოჯახშია ყველაფერი დალაგებული... გიგას გაუთხოვარი და — მამზე ათი წლით უფროსი, გუგულა — და ლალი რატომდაც მაინცდამაინც ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს... საკვირველია, ორივე თითქოს რბილი ხასიათისაა, არც სიკეთე აქლიათ და რა ვერ გაიყვეს?”

გიგა ჩუმად აძლევდა ხოლმე ფულს დას, გუგულას: “აა, მიეცი ლალის, უთხარი, კაბა იყოდოს ან სხვა რამე” — იქნებ მათ შორის ეკთილი დამოედებულება დამყარდესო...

ბუბულა გამოართმევდა ფულს და მოწყალედ “ჩუქნიდა” ლალის...

ლალი ნაჩუქარ ფულს გიგას აძლევდა — მოიხმარეო...

სწორედ ეს გიგა შოფრერი ახლა თავდახრილი მიემართებოდა მამუქასკენ; სახეში არ უყურებდა, გზას დასცეკერდა.

მამუქას შეეცოდა გიგა, მხრიდან თოხი ჩამოიღო და ხოსროს გასაგონად ყასიდად დაუყვირა:

— შენ რაღა აგქავებია, ხომ არ გინდა, თავი გაგიხეოქო?

შეფიქრიანებული გიგა შეჩერდა, ერთი შეხედა ნათლიას, შემდეგ აეფა მოიფხანა და ბურტეუნით გაბრუნდა ჟაბა.

— აი, შე დაბდურო, მაგ ღობემძვრალამ შეგაშინა? — ეგბერა შოფერს ბატონი ქაიხოსრო.

— ჩემთან რა გინდა? — ხელები გაასავსავა გიგამ. — მე მაგასთან საქმე არა მაქვს, აგე, დგას და გიცდის! მიდი, გადადი!

გაცოფებულმა ბატონმა ქაიხოსრომ კარი მოიჯახუნა და გიგას დაუყვირა:

— დაქოქ!

მანქანა ბდეულით მოწყდა ადგილიდან...

მამუქამ თვალი გააყოლა, გაედიმა, შემდეგ თოხი მხარზე გაიდო და ისევ გზას გაუყვა.

მიდის და გამომშრალ, მტგრიან გზას დაცყურებს.... მისი ფიქრი ხან წინ გაიჭრება, შინ გადაახტუნებს, ოჯახში, ხან — ჟაბან, ცხოვრების განვლილ გზას გასცეკერის, ზომავს და წონის... არა, წინ მაინცდამაინც არ ეჩქარება, უფრო სწორედ, სრულებით არ ეჩქარება და ხოსროს მართლაც რომ შესცოდებოდა და შეეთავაზებინა, მანქანით წაგიყვანა, დაღლილი ხარ და ხუთ წუთში შინ იქნებიო, უთუოდ ჟარს ეტყოდა... ის კი არა, იქნებ განგებ იხანგრძლივებს გზას კიდეც, რათა უფრო გვიან მივიდეს შინ... მე შენ გეტყვი, მზეგინარი, გახარებული, მაშინეუ შეფრთხიალდება მის დანახვაზე: “ახლავე, ახლავე, შენ გენაცვალე, აგერ ცხელი წყალი მოგიმზადე, ჯერ ათი წუთით წამოწექი და დაისვენე... ახლა სწრაფად დაიბანე ხელ-პირი, მე დაგისხამ წყალს, ბარემ წელამდე გადაიბანე ოფლი, მერე — უგებიც ჩაყარე ნელობილ წყლიან ტაშტში... მერე სუფრის მოუსხდეთ ერთად, გემრიელად გისადილოთ და გიგახშმოთ კიდეცა... შენი საყვარელი ხინკალი

ბლომად გავაკეთე, ვიცოდი, ამ დროს მოხვიდოდი, ახლახან ამოვყარე და ჯერ ქაფქაფაა... ჯერ ეს ერთი არაუი დაურტყი! თუ ლუდი გირჩევნია? გოდერძის საგანგებოდ ამოვატანინე კოპერატივიდან... ბოდიში, დიდი ბოდიში, ომ საგზალი არ გაგატანე დილითა, არც სამხარი გამოგიგზავნე ბავშვის ხელით შუადღეზე... თან ტკილად ვისაუბროთ..."

მამუკას მწარედ ედიმება და უნებურად გვერდზე აფურთხებს...

დღეს კიდევ არა უშაგს, ზაფხულიდა და დადამებამდე შორია, სადილ-გახშამი თუ არ დახვდება, ერთ-ორ გვერცხს მოტაფავს ხელად, ერთ ნაკერ ყველსაც წატანს, ცხელ ჩაის დაყოლებს და მეტი არც სხვა რამ უნდა... ისც ხშირად მომხდარა, რომ, მაგალითად, გვიან შემოდგომაზე ტყეში შეშის ჩამოსატანად დილაბინდში წასული, გვიან სადამოს ბრუნდები შინ - დადლილ-დაქანცული, მთელი დღის მშიერ-მწყურგალი... და შინ გვხვდება უწვევულო სიჩუმე - ყველანი სადღაც გაკრეფილან... კი, ბატონო, შვილები გასართობად წავიდნენ - კინოს ნახავენ, მერე ერთად შეიყრებიან, ხუმრობენ, ლალობენ... ცოლი სადღა დაიკარგა? მაგიდაზე აერძი მაინც იდგეს გამზადებული, პურიც კი არ არის, რომ წაილონხოს კაცმა... წამოწვები ლოგინზე გაუხდელად, დალლილ ხელ-ფეხს ასვენებს...

უკვე სიბეჭდეში შემოვა მზევინარი, აანთებს სინათლეს და პირველად კუთხეში მიდგმულ გალათს ახდის გადაფარებულ გაზეოთს:

- ეს რა ნაგავი მოგიტანია?

- მანჭებალა, ვითომ პირველადა ხედავ!

- არ დაგვწამლო, სადაც გინდა, იქ წაიდე!

- ქალო, მთელი დღე ნაჯახს ვიქნევდი, მერე ურემზე დავტვირთე და თხუთმეტი კილომეტრი უეხით გამოვიარე, ცხელი კერძი მაინც დაგეხვედრებინა გამზადებული! პური მაინც გამოგეცხოვან ან არადა კომპერატივიდან ამოგეტანათ!

- ეგე, სოკოს მოსაკრეფად ხომ მოიცალე, ახლა შენ თვითონ გარეცხე და გაამზადე, მე მაგას ხელს არ ვხელებ!

- მკვდარიგით დაღლილი ვარ, ქალო, და ისევ მე უნდა მოვუარო? ნამჟსი აღარ გაქს? გამზადებულს კი გემრიელად მიირთმევ! სად იყავი მთელი დღე, ისევ მეზობლებში იფხანდი ენას?

- მე ქე მაინც ხალხში ვიყავი გასული, ადამიანებს ველაპარაკებოდი, შენ კი ნამდვილი ტყისკაცი გახდი, დილიდან საღამომდე ტყე-ლრეში დაწოწიალო!

- უუი, შენი გამომცემლის... - შეიგინები, დავლებ ხელს ქურთუპს და კარებს გამოიჯახუნებ - რობიზონას "ედემში" გაუთავებელ ლაქლაქს მაინც არ მოგართმევენ ცხელი ხინკლის ნაცვლად...

ახლაც ხომ არ გაუხვიოს "ედემისქენ"? ჯერ ერთ ჭირს გადაეყარა გზაზე და შინ კიდევა მარადი კბილის ტკივილი ელის - საყვარელი ცოლი მზევინარი... ისიც რომ ხოსროსავით საყვედურობს! უმაქნისი ხარ, შენი მტირალა ლექსები ვის რა ჭირად უნდა, ამხელა კაცს ქაღალდის საჯალაბნად გცალია? რადა მზევინარი და რადა ხოსრო ტურიკაშვილი... მაინც რა ჭირად გადაეყარა დაღლილ-დაქანცული... აფსუსი არ არის, ქაიხოსრო ერქას? შესახედავად თითქოს კაცსა პგავს, მაგრამ სახელად მას ტურიკო უფრო შეეფერებოდა, გვარიც რომ ხელს უწყობს... თუ მელაა? არა, წუნკალი ტურიკო, ჭადარდიდში ზემო სოფლიდან ჩამოთესლებული... ეს პატარა სოუელი - ციხისუბანი - მდინარის აღმა მდებარეობს, ჭადარდიდიდან ხუთი კილომეტრითაა დაშორებული. იქ მხოლოდ დაწყებითი სეილა იყო და ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ ხოსრო ჭადარდიდის საშუალო სეილის მეხუთე კლასში მოვიდა. ზამთარში დიდოოვლელისას სახლიდან შორი გზის გავლა ბავშვისთვის ჭირდა და ხოსრო მამუკას მამინაცვალთან დადგა ბინად, მხოლოდ დასეგნების დღეებისთვის ბრუნდებოდა შინ, მშობლიურ სოფელში. ხოსრო დატაკი, უბირი ოჯახიდან იყო, მის გარდა კიდევ თეთხი შეილი მყავდათ მის მშობლებს და მამუკას მამა არაფერს ახდევინებდა ხოსროს მდგმურობისთვის; ის კი არა, დღეში სამჯერ კერძსაც უწილადებდნენ, ვითარცა საკუთარი ოჯახის წევრს. ხანდახან ტურიკოს მამა თუ მიუტანდათ ხოლმე ერთ თავ უკელს, ერთ ქილა ერბოს ან თაფლს... მოკრძალებული ბიჭი იყო ხოსრო, ხმას ერ ამოაღებინებდი... ახლა რომ გაბლენილი დადის და ყველას ბოხი ხმით ელაპარაკება, მაშინ უფროსის-თვის თვალებში პირდაპირ შეხედვისა რცხვენოდა. დღეს თვით გახდა "უფროსი", ერ იცნობ, ისე შეიცვალა ნირი! ყოყლოჩინა გახდა, ბრექია, ამაყობს, რომ რაიონში ყველა იცნობს, ყველა ეგრეთწოდებული "ხელმძღვანელი მუშაკი" მისი მმაკაცია: ზოგის შეილის ნათლიაა, ზოგს თვითონ მოანათვლინა შეილები... ნუთუ მთელ სოფელში კოლმეურნეობის თაგმჯდომარედ უკეთესი ვერავინ მოძებნეს? დიდი ნიჭ-უნარით ხოსრო არასდროს ბრწყინავდა... კარგად ახსოვს მამუკას: რამდენჯერ ხოსროს მამა მისულა მასწავლებლებთან ძღვენით - კლასიდან კლასში ძლივს გადაფორთხებოდა ხოლმე ბატონი ქაიხოსრო! ბეჭითი კი იყო, მაგრამ უჭირდა სწავლა, ბოლო კლასშიც კი გამართულად ერ კითხულობდა, ტურებს აცმაცუნებდა. მამუკა ორი კლასით წინ იყო და თითქმის ყოველდღე ხოსროს ამეცადინებდა, უხსნიდა მაგალითებს შინაური დაგალებებიდან... მამუკამ საშუალო სეილის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელება უსახსრობის გამო ველარ შეძლო და კოლმეურნეობაში დაწყე მუშაობა მჭედლის შეგირდად მისი უფროსი მუგობრის, მიხას, მამასთან, ტარიელასთან. მიხაც უფრო ადრე შეგირდობდა საკუთარ მამასთან, მერე და მერე კარგი მჭედელი დადგა, მამუკამ კი გული ვერ დაუდო, თან იმდენი ჯანიც არ

მოსდევდა – მძიმე სამუშაო იყო – და ისევ თოხი და ბარი აიღო ხელში... უფრო კი ხელში კალამი ეჭირა და მოძალებულ სახეებს, სტრიქონებს ქადალდზე მიუჩენდა ადგილს... დიდი სურვილი ჰქონდა, ქალაქს ესწავლა უნივერსიტეტში ფილოლგიურ ფაკულტეტზე, დიდხანს ელოლია გებოდა ამ ოცნებას, მაგრამ წლები გადიოდა, ოცნება კი ოცნებად რჩებოდა, მერე კი ჩაიფერვლა, უმაგალოდ გაქრა – დაოჯახდა... გაბერიერდა!.. ფუი ეშმაქს, ამას თუ გაბერიერება ჰქია! ხოსროს კი მეტი მიზანსწრაფულობა, მეტი სიჯიუტე თუ სიკერპე აღმოაჩნდა – ქალაქს წავიდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოისურვა სწავლის გაგრძელება! პირველ წელს ვერ ჩაირიცხა; ქალაქის ერთ-ერთ სანერგეში მუშად გაფორმდა და მეორე წელს, დაუსწრებელ განყოფილებაზე, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოხვდა – ეს საოცრება მამამისის მიერ სოფლიან ჩამოტანილი “დიდი სურჯინის” წყალობაც იყო. უმაღლესი განათლების ტაბარში ცოდნის დაუფლებას, უფრო ზუსტად – სანუკგარი დიპლომის ხელში ჩაგდებას, ათ წელზე მეტი მოანდომა... ვინ იცის, რამდენი იცოდვილა, მამამისს რამდენი “სურჯინის” ჩატანა მოუწია ლექტორ-მასწავლებლებთან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხოსრომ საწადელ მიზანს მიაღწია – დაუსწრებული ფაქულტეტი ჭაპანწყვეტით დაამთავრა! მაშინვე მშობლიური რაიონის პარტიის რაიონში რიგით ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა, რამდენიმე წელიწადში კი – პო, საოცრებაგ! – სოფელ ჭადარდიდს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მოვლინა! და აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტია, ამშენებას ამ თანამდებობას... ბერს არ ემდურის: მშენებირი ცოლიც ჰყავს, შეიღებიც, კარგი გამართული სახლ-კარიც აქვს... ახლა ბიჭს, ბესას, უნდა მიხედოს – უკვე საცოლოა და იმხელა სახლი აუშენა, რამდენიმე ოჯახიც თავისუფლად დაეტევა... ხოსროს რომ პკითხო, გაიმარჯვა! კაცი გახდა! ხოსროსთვის არავის უსწავლებია “წარმატების” მოპოვების ხერხები, მათ მან თვითონ მიაგხო – მიზანმა აპოვნინა! მიზანი კი – სიმდიდრის, კეთილდღეობის მიღწევა – სიღუხეჭრეში გაზრდილი ხოსროსთვის უმთავრესი გახლდათ, ოცნების მწვერვალს წარმოადგენდა და ყოველგვარ ხერხსა თუ ილეთს იხმარდა მის მისაღწევად... და თავიდანვე მიხვდა: ამ მიზანის შესრულებას ვერ შესძლებ, თუ “ძლიერებითან”, ცხოვრების წესის დამდგენებობან არ იმეგობრებ, ბოლოს კი – ერთ-ერთი მათგანი არ გახდები! ამისთვის საკუთარი მეობის დათმობა იყო საჭირო, სხვათა ხელის ბიჭობა არ უნდა გეთაკილნა, რასაც ხოსრო იოლად შეეგუ... და “გაიმარჯვა”!.. მამუკას ადგილას რომ ყოვილიყო, ალბათ მხოლოდ ურნალებში კი არ გაშინაურდებოდა, რამდენიმე წიგნს გამოსცემდა კიდეც... მამუკა უბამოდ გაიზარდა და, შესაძლოა, ამის გამოც დიდად აკლია ხასიათის სიკერპე... თუმცა არა, მის ხასიათს ალბათ მირითადად მაინც განსაზღვრავს დაბადებიდან თანდაყოლილი ბუნება... ზოგიერთებს მასზე არანაკლებ ძნელი ბავშვობა გამოუვლიათ, მაგრამ ამ გარემოებას, პირიქით, მხოლოდ გაუკაუბია მათი ძლიერი ხასიათი...

მამუკა მიდის, თავჩაღუნული დასცეკრის გზას, ხანდახან რაღაც აბეზარი, უსიამოვნო აზრის მოსაცილებლად თავს გააქნევს...

კიდევ რა საფიქრალი აწუხებს? იქნება... იქნებ სადმე წასვლა უნდა, მარტოდ დარჩენა... მარტობა – თავისუფლებაა!.. მდინარის პირად ჩამოჯდომა ყველაფერს სჯობს, არც მდეღლოზე, მადალ ბალახებში წამოწოლა და უძირო ცისთვის თვალის გაშტერებაა ურიგო სულიერი სიწყნარის, ნეტარი უშფოთველობის მისაღწევად... თეთრქულა ღრუბლები მიცურავენ თავისი გზით და ნელ-ნელა შენი, ერთი ჭიანჭველის, ამ ცოდვილ მიწაზე ღოღვა-საწუხარი უკვე ნამცეცად გეჩვენება... მთლიანად ქრება... ან თუნდაც მთაში გასეირებას სჯობს რამე?.. “ჰაერში დაფრინავო”, – როგორ ზუსტად, შეუცდომლად გამოიცნო ამ რევენდა ხოსრომ მისი გულისწადილი! ბავშვობაში სიზმარში ვის არ უფრენია ლადად ფრთხებაშილს, მომავალი ცხოვრებაც ხომ ჯერ მხოლოდ გიღმითს და ვარდისფერ, მომხიბელებ ბურუსშია გასვეული... ის, მართალია, უკვე კარგა ხანია, ბავშვობის ასაგში აღარ არის, მისი შეიღები მოზრდილები არიან, უფროსი ქალიშვილი გაათხოვა კიდეც, მაგრამ თვითონ ვერა და ვერ დადინჯდა და ახლა სიზმარში უფრო ხშირად დაფრინავს, ვიდრე ბავშვობაში – ზეცას ვახლება და ზევიდან გადმოხედავს ცოდვილ ქვეყანას, თითქოს უნდა მოწყდეს იმ ტკივილებს, უსამართლობას, გაუტანლობას, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უმწარებენ ცხოვრებას... დაიკიწყოს დამცირება, შეურაცხყოა, ამაღლდებს სულიო და ფრენის სიამით განიქარგოს წევნაც და ბევრი ხელი გაუგებრობაც – ურთიერთ შედღილი, ბოგმა, შერი და გაუტანლობა... ზევიდან უკველაფერი ლამაზი მოჩანს, განწმენდილი, თვითონაც ბავშვივით მიმზობი და ხალისიანი ხდება, ავიწყდება ყველაფერი, რაც გულს უმძიმებს და დასავიწყებელია – არის ლალი, ფრთაგაშლილი, მაყრობელი ცისა და ხმელისა... და რომ გაიღვიებს, ვერ კი იხსენებს, რა დაინახა, რა განიცადა ისეთი, რამაც გაახარა, მაგრამ იმ განცდილი სულის თავისუფლების გრძნობას კი მთლიანად შეუპყრია და უნებურად იღიმება... იღიმება ხეგათათვის უაზროდ, გაუგებარი სიმშეიდე ეფინება მის სახეს და მიმწევებლობა იპყრობს – ამ დროს ადარაფერი ახსოვს ცუდი, უზომოდ ეკოლი და მიმზობი ყველასადმი... და უცებ ვიღაც დასჩაგლებს მის ფიქრებს, გარიბდებიდან გამოიყვანს და ტკბილ ბურანს წამიერად გაფანტავს: “ადე დროზე, უკვე ლამის შუადღეა, ათასი საქმეა გასაკეთებელი! ჯერ ლობიო დაადგი, მე მაღაზიაში მივდივარ და ჩემს მოსვლამდე მზად იყოს!” კარს გაიჯახუნებს მზევინარი, წავა და დაიკარგება – საღამომდე არ გამოჩნდება... ეს კარგიც არის და ცუდიც: კარგი იმიტომ, რომ მთელი დღე სახლში მყუდროება ისაღვურებს და მისი საფიქრალი ლადად მიედინება, შემატერხებელი, გამაღიზიანებლი ხმა ცოლისა ხელს არ უშლის, მაგრამ, მერივს მხრივ, მთელი საოჯახო საქმის დი-

დი ნაწილი მის მხრებს აწება და საღამოსთვის ისე იღლება, რომ გეღარაფერს წაიკითხავს, მით უმეტეს – ადარც რაიმეს დაწერის თავი აქვს...

რამდენ რამეზე უნდა იფიქრო ერთდროულად? დრო მდინარესავით შეუჩერებლად მივდინება, უფრო – გარბის თავქუდმოგლეჯილი... ის კი რას აკეთებს? რას ეძებს და რას პოულობს? რას დატოვებს მისი წასელის შემდეგ – ერთ, ხელით წერილად ნაწერ მსხვილ რეეულს, რომლის თავგურცელებული საგულდაგულოდ გამოყვანილია: “უიქრთა თოვა?” იქნება კი ეს მისი განწყობა–განწყობილების გადმომცემი ლირიკული დღიური სხვებისთვისაც საინტერესო და მნიშვნელოვანი, ხომ არ მოეჩერებათ, რომ წერილმან თემებზე ხურდავდებოდა? სხვათა მრავალთა თვალში ის უფერული კაცია, რომელიც უცნაურ ახირებას აუტანია და ცდილობს, რაღაც საცოდაობის უფრცლებული გადატანას და მით თავსაც იწონებს... და სულ აწვალებს მარად თანმდევი ფიქრი: თუ თვითონ მართლა უმნიშვნელო პიროვნებაა, როგორდა იქნება მისი ნაფიქრ-ნაზრევი სხვა–თათვის საინტერესო და დირებული? გულს იმით იმშვიდებს, რომ მისი უპრეტენზიო მცირე ჩანახატები თუ ლექსები არავისთვის არის ზიანის მომტანი, არავის არავერს უშავებს, მხოლოდ საკუთარ ჭიას ახარებს – სულ ეს არის; არც გამოვეყუნებისთვის იკლავს თავს, მეტწილად დამარცულია მისი ნაწერი, მხოლოდ გაბრიელი ეცნობა... თუმცა... მისმა შაირებმა ერთი-ორი კი გაანაწყენა და “ტურიკოს თინებმა” ხომ – განსაკუთრებით...

აქამდე მომცრო “ნადირს” დასდევდა, ახლა უნდა, მოხურდილი ფორმის ნაწარმოების შექმნა–შიც სცადოს ბედი, გინდაც იგი მარცხის მომტანი გამოდგეს... წარუმატებლობასაც თავისი ფასი აქვს, გამოცდილებას გმატებს, მომავალში შეცდომისგან უფრო ხარ დაზღვეული...

ერთი დიდი პოემა აქვს ჩაფიქრებული – “ცა და მიწა”; უკვე ღონივრად გრძნობს თავს ამგვარი ჩანაფიქრის დასაძლევად და თუ მოახერხსა მისი ხორცშესხმა, უზარმაზარი იქნება ზომით და უჩემდებულო ფორმითა და შინაარსით... იმდენად რთული რამ განიზრახა, რომ ხანგრძლივი დრო დასჭირდება მის დაწერას – ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდება მიზანს... მასში იქნება ლირიკული ფურცლებიც, მხიარულიც, დრამატულიცა და ტრაგიკულიც კი, – მრავალფეროვანი უნდა გამოვიდეს ფრიად, როგორიცა ეს ჩვენი ცხოვრებაც და დაერქმევა “წუთისოფელი”... რთული სიუჟეტური ქარგა, რთული ურთიერთობანი მრავალრიცხოვან პერსონაჟებს შორის... მისი დაწერა არ იქნება ადგილი – “ფესვები” მიწაში, ყოველდღიურობაში უნდა პქონდეს მყარად გაღვეული, ხოლო “ექნწერო” – ცაში ატყორცილი, ღრუბლებთან უნდა მეგობრობდეს, მზესთან ახლოს, რათა ფართო მზერით არწივივით ზევიდან დაცურებდეს არემიდამოს... ცხადია, დიდი ტვირთის აწევას ერთბაშად გერ მოერევა – ნაწილ-ნაწილ შეაკოწიებს; მთავარია, ბოლოში გავიდეს, მთლიანობაში დაინახოს, რა გამოუვიდა, შემდგომ კი ნელ-ნელა დახვეწის: ნაწილს ამოიღებს, ალბათ ბერ რასმე დაუმატებს, შეცვლის, გააღრმავებს, – “ჩონჩხს” ფერ-ხორცით “შემოსავს”... თუ, რასაკვირველია, ავადობამ ან უფრო უარესმა ხელი არ შეუშალა – კარგა ხანია, ყანაში ძევლებურად მარჯვედ გეღარ ირჯება და ხშირ-ხშირად ისევენებს, კედარც სიარულისას უჩქარებს ფეხს – მაშინევ მკერდის მარცხენა მხარეს მჩხვლებავი ტკივილი ეწყება, თითქოს ხანჯლის წევრს უსობენო... იგივე ემართება წვიმის დაწერის წინ ან ქარიან დღეს – გული ეუბნება, თავს გაუფრთხილდიო... ვგ არავერი, კოჭლობით ძაღლი არ მოკვდება, მთავარია, რომ გონებას ჯერ ვერ ამჩნევს სიძაბუებს, პირიქით – ახლა უფრო ძალუმად მოსდის თამამი სახევები და ამ ბოლო ხანს ძალიან გაახარა ახალმა თემაზ – “წუთისოფელმა”, ან იქნება სხვა სახელი შეურჩოს ბოემას – “ცა და მიწა”... გაბრიელს წაუკითხავს დაწერილ ნაწილებს – სხვა ვერავინ ნახა, რომელიც მას გაუგებდა. საკიორველი კია, სოფელში მრავლად არიან მესაფლავებზე ბევრად განათლებული, მაგალითად, სკოლის მასწავლებლები, მაგრამ... მათთან ურთიერთობისა ეშინია; არა, კი არ ეშინია, დაცინგას თუ არა, მისი ჩანაფიქრის სხვაგარად, უშნოდ გაგებასაც ძნელად ეგუება... ქალაქებს რედაქციებში რამდენჯერმე იწენია მსგავსი რამ: მისთვის სრულიად მოულოდნელად, მის ნაწერებში სულ სხვა რამ დაინახეს, რაც არც დასიზმრებია... მეტი აღარ მისულა, ფეხი ამოიკვეთა, – საგმარისი იყო, დაცინვა და დამცირება შინაც არ აკლდა!

ამ მხრივ არც შეილებმა გაუმართლეს... ყველაზე უფრო გოდერძის იმედი პქონდა, მაგრამ ვაგლაბ! გოდერძის ხელოვნების, პოეზიის მიმართ მიღრეკილება არ აქვს, რაც ძალიან საწყენია... ქალიშვილებული უფრო კი აინტერესებს თითქოს, მაგრამ ყველაზე უფრო ხსირებელებობა იზიდავს, სულ რაღაცას ჩირთიფირთობს, დაშლის-ააწყობს... მთელი სოფლიდან გაჩერებული მაღვიძარა საათები და სხვა რაღაცები გოდერძისთან მოაქვთ გასაკეთებლად. ელექტროწისქილი გაუმართა რობიზონას, ხოსროს ელექტროსაწველი აპარატებიც შეაძენია, მაგრამ ფერმაში მწველებმა ქალებმა სულ მაღა უარი თქვეს მათ გამოყენებაზე – ვერ შეეგებულ ამ ეშმაკის მოგონილ აპარატებს, ისევ ხელით მოწვევლა გვირჩევნია... მამის მსგავსად ისიც კოლექციონერობის სენიორ არის დააგადებული, ოღონდ მარკების, პეპლების, ღია ბარათების და წიგნების ნაცვლად, ხელსაწყო-იარაღების მოგროვების უინს არის აყოლილი. ყველგან დაეძებს სხვადასხვა ზომისა და ფორმის სახრახნისებს, გაზებს, ბურღებს, ქანებს, ბრტყელტუჩებს... ზოგს გაცვლით თუ თხოვებით შოულობს, უფრო კი – ყიდულობს და ამ მიზნით მაშინვე მიღის ქალაქს, როგორც კი მცირე თანხა მაინც გამოუჩნდება... მამუკა სთავაზობს, როცა ქალაქს წასასვლელია – შენოთვის საგანგებოდ შევიღლი სამეურნეო მაღაზიებში და რასაც დამაბარებ, ყველაფერს გიყიდიო, მაგრამ გოდერძი არასდროს თანხმდება – თვითონ ვერ მოიკლებს სიამოვნებას მაღაზიაში ერთბა-

შად ბეგრი საოცნებო ხელსაწყო-იარაღის ხილვისა... “რად გინდა ამდენი, მალაზიის გახსნას ხომ არ აპირებ?”, – ეჯიჯლინება შვილს მზევინარი, მამუკა კი ცდილობს, თვითონაც შეძლებისდაგვარად რამე შემატოს გოდერძის “კოლექციას”...

შეოლოდ შვილს კი არა, მამუკა უველას ეხმარება, რითაც შეუძლია და ის უველას უყვარს სოფელში, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან... გრძნობენ, რომ გამორჩეული ადამიანია, თუმცა თვითონ ცდილობს, იყოს “ჩვეულებრივი”, არავის აგრძნობინოს საკუთარი განათლებულობა თუ ნიჭიერება... და იმიტომ არა, რომ ძალიან მგრძნობიარება და გაურბის გართულებებს ურთიერთობებში, არა, ის გრძნობს, რომ მრავალი მისი თანასოფლელი ბეგრად აღემატება მას სხვა სანაქებო თვისებებით, მაგალითად, გულადობით; მას ხშირად არ ჰყოფნის გაუძაცობა, პირისპირ შეებას უსამართლობას... თაგს იმართლებს იმით, რომ რომელ ერთს უნდა შეერკინო, ამდენი ძალა არ აქვს, თუმცა ბეგრჯერ გამოუდივია თავი და არ შეშინებია, აშკარა ძალომრეობას წინ აღდგომოდა... მაგრამ ყოველგვის ჩახმახშემართული ვერ იქნები, მაშინ სოფლის მილიციონრად უნდა იმუშაო... მას კი შემოქმედებისთვისაც არ ჰყოფნის დრო. ისედაც გამოუჩნდა რამდენიმე მომდურებული, მაგრამ თითო-ორობდა მისი ავის მოსურნეც კი სოფლის “საზოგადოებრივ აზრს” ანგარიშს უწევს და მამუკას ვერ უბედავს დიად ავნოს რამე...

ხოსრო... ქურუხაშვილები... ქურუხაშვილებთან მართლაც დაძაბული ურთიერთობა აქვს: გოჯასთან იმის გამო, რომ ნადირ-ფრინველს და თევზს უმოწყალოდ ანადგურებს, მის შეილებთან კი, იმის გარდა, რომ ბავშვობიდანვე გოდერძის ჩაგრავდნენ, მთელი სოფელი აკლებული ჰყავთ და გამკითხავი არავინ არის, რადგან სოფლის “მთავრობასთან” შეხმატებილებული არიან... ხოსრო, მაგალითად, ძმებს გააღანენებს მისთვის არასასურველ პირებს, ზემოქმედების იარაღადაც იყენებს... ძმები რობიზონას “ედემში” მაგრად იქიფებენ, გაიტრიტებიან, მერე არც არაფერს გადაიხდიან, სამაგიეროდ, დალეწავენ ჭურჭელს, სკამებს, ფანჯრებსაც არ დაიხდობენ... მუშტარ-საც დაუფრთხობენ... მართალია, გოდერძის ამ ბოლო დროს უბატონოდ ხმას ვეღარ სცემენ – ცნობილმა ქალაქელმა ქურდმა “ულვაშამ”, ანუ ზაურ იგივე კოტე (ეს ახალი სახელი დაირქვა) ქურუხაძემ, მაყვალას თხოვნით ერთო-ორი ტკბილი სიტყვა უთხრა საკუთარ მებს...

პო, კიდევ – სოფლსაბჭოს თაგმჯდომარე იაკოფა ჩიტაფაფაშვილი: მამუკა მასზე გაცილებით განათლებულად მიაჩნია და რატომდაც ჰგონია, რომ “სეამს” ეცილება... მამუკა ვერაფრით იქნებოდა თანამდებობისთვის ბრძოლაში მისი მოქიშე – პარტიის წევრი არ არის და, რაც მთავარია, თუნდაც ყოფილიყო, მისთვის ეს თანამდებობა არ იყო მიმზიდველი, სხვათა – “ზემოღანა” – ნების ბრძან, უსიტყვოდ გატარებას ვერაფრით შეეგულებოდა, მით უმეტეს, თუ ეს “ნება” ითვალისწინებდა სოფლელთა შევიწროებას, დათრგუნვას, მათი ბუნებრივი უფლებების ხელყოფას ან შეზღუდვას. არა, თანამდებობა მისი საქმე არ არის, ვერაფრით აიძულებდა თავს, შემოქმედებას სხვა რაღაც საქმე შეფერხებინა – თუნდაც იოტისოდენად... ახლა კი მთელი მისი გონება იმ დიდი საქმისკენაა მიმართული და ამაზე ფიქრობს ყველგან და ყოველთვის – შინაც, გარეთაც, ყანაშიც, ჭამის დროსაც და სიზმარშიც კი... მისი პოემა უჩვეულო უნდა გამოვიდეს და ალბათ ბეგრი ერიტიკოსი გამოუჩნდება და მიწაში ჩამარხავს, რასაკვირველია, თუკი მისი დაბეჭდვა მოხერხდა.

არა, ჯერ ამაზე ოცნებაც კი ზედმეტია – ჯერ უნდა დაწეროს და იქნებ არც გამოუვიდეს ხეირიანი რამ...

ძალიან კი დაიღალა, მაგრამ დღესაც საღამოს გაბრიელთან ხომ არ გადავიდეს?.. თუ ჯობს, დღის განმავლობაში პოემისთვის “ცა და მიწა” თავში მოფრენილ რამდენიმე აზრს და კიდევ საიდანლაც უნდაურად, თავისთავად გამოტყვერენილ სხვა ჩანაფიქრსაც ჩაუჯდეს სადილის შემდეგ? თუმცა, საღილიც ეგ იქნება და ვახშამიც...

სანამ მამუკა ჭოჭმანობს, ჩვენ მის წიგნში ჩავიჭყიტოთ...

## სიტყვასთან თამაში (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

სიტყვა, სიტყვები უნდა აბურთავო, გაეთამაშო, წინადაღებაში თუ ლექსის სტრიქონში ჩასვა, წინადაღება კი უნდა მობილო შენს გემობე, როგორც კარგი დიასახლისი ამბადებს ხაჭაპურისთვის მაწვნით მობელილ ცომს; გემრიელად მობელს, კოხტად აგუნდავებს, ლამაზად გააბრტყელებს, ერთ მუჭა კვერცხგარეულ დაფხენილ ყველს შუაში ჩადებს, ცომს პირს მოუკრაგს, ისევ გააბრტყელებს და ცხელ ტაფაბე ფრთხილად დადებს, რომ მდუღარე ბეთის შეეფებმა ხელი არ დაუწვან (მე თუ მკითხავთ, კარაქი ჯობს ბეთს – საუცხოო სურნელი ექნება და გემოზე რაღაც ითქმის)... ასევე, მოფრენილ წინადაღებასაც რამდენჯერმე გონებაში “მოაგუნდავებ”, მერე – დაწერ, მერე – დაწერილს ამუშავებ: “აბრტყელებ”, გოგ სიტყვას ამომლი, გოგს – გადაადგილებ, გოგს – მარილივით ჩაამატებ გასამაფრებლად, აზრის გასაცხოველებლად, ალაგ მთელ პერიოდს დებ ყველივით გასაგემრიელებლად; გონების ცხელ ქურაში შემდგარი ამბავი გამოცხვება და, ნამდვილი ხაჭაპურისგან განსხვავებით, არასდროს გაცივდება, მარად გემრიელი დარჩება, თუკი ვინმე მას დააგემოვნებს... მაგრამ, ისევ ნამდვილი ხაჭაპურისგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის გემრიელია (თუკი ცხელია, რასაკვირველია), მწერლისგან

“გამომცხვარი” ამბავი, შესაძლოა, ულაზათო გამოვიდეს და მისი წაკითხვის მსურველს კმაყოფილება ვერ მიანიჭოს...

ახლა – ერთი ახალგამომცხვარი ჩანახაგი...

## მთების სიმღერა

ჰეი, მთებო!

რამდენჯერ აღტაცებით უმღერიათ თქვენთვის – თქვენი თვალის დამატყვევებელი სილამაზისთვის, თქვენი სიღიადისთვის, თქვენი ამაყი სწრაფვისთვის მაღლა, ციურ სილაგებრეში!..

ამაღლებულ გოლიათებთან შენც სულით მაღლდები, ხდები ამაყი, ნაგიფი ამრებით იტვირთები, წრფელი გრძნობებით იმუხტები – განიწმინდები ყოველგარი უკეთურებისგან...

დიახ, მთა მხოლოდ თვალისთვის კი არ არის ამო საცეკვი, ის სულსაც სიამით ავსებს – უსასრულოდ უცერ და განუწყვეტლივ მოედინება შენს სულში დედა-ბუნების სასწაულებრივი სიცურფე: მის მკერდზე დაბადებული ნაკადულები ბროლის ნაკადად მიისწრაფვიან ქვევით, ხევბიან ქვიდან ქვაბე, ხან ქაფად გადათეთრდებიან, ხან სარკისებრ ირეკლავენ ცის სილურჯეს და ღრუბელთა სისპეტაკეს; აღაგ დაბალი, აღაგ ფლატე ნაპირებიდან გაღმოხრილან მთის კაშკაშა მზით გაღაღებული ბალახ-ყვავილები, ხასხასებენ მწვანედ, იისფრად, ყვითელ-წითლად, ცისფრად და ნარინჯისფრად – ცისარტყელას ყველა ფერი მიმოფანტულა ფერდობზე შეფენილ ყვავილების ხავერდოვან ხალიჩაში; სიჩუმე დავანებულა ირგვლივ და მხოლოდ წყლიდან ამომხეფარ-ასხმარტალებული და შემდეგ წყალში ჩაბრუნებული კალმახის ტყლაშუნი და მაღლა-მაღლა, თვალისმომჭრელად გაცისკროვნებულ ზეცაში მოსრიალე მთის არწივის ყაშყაში თუ გაიხმიანებს... აქა-იქ მთის გულიდან ამოსხლეტილი კლდეები ამუქებენ კალთათა გულის-ირს, განსაკუთრებით კი იფაცებენ თვალს სულ მაღლა ასვეტილი მკაცრი, მოღუშული კლდეები...

სულში კი საგეომო სიმღერა გუგუნებს დიდებული საორდანო ქორალივით, იმუხტები უხილავი გრძნებული ძალით, და ამ მთებივით ძლიერი და ამაყი, გასცეკვი ქედთა მთაგრეხილებს და შენს სულშიც ჩაეწვნება მარადიული სილამაზის და უკვდავების გრძნობა... გოლია. რომ შენც სულ ასე მუღმივად იქნები ამქვეყნად, ვერადერს დაგაკლებს ცხოვრების ფალდების ცემა, ვერ დაგლდის, ვერ დაგამაბუნებს; გოლია, ამ მთების დამძრავი ძალ-ღონე გიღუდს ძარღვებში, მთად ხარ, დაეჭიდო ნებისმიერ სიძნელეს, დაძლიო ნებისმიერი წინადობა – შენ ანთების ხარ მთების გვერდით...

## კარი XIV. ფლორენცია და ვენეცია

მამუკა ხშირად დადიოდა ორ ოჯახში – ერთში ფლორენცია იზრდებოდა, მეორეში – ვენეცია; ერთ ქალიშვილსაც და მეორესაც უცხოეთიდან წერილები მოსდიოდა და მამუკას ლამაზ მარკებს უნახავდნენ.

ფლორენცია და ვენეცია დები იყვნენ: მამა საერთო ჰყავდათ, დედები კი – სხვადასხვა.

საიდან ჰქონდათ ეს უცნაური სახელები?

მამა ჰყავდათ მეზღვაური!

ეს მეზღვაური, ჰადარდიდელი ოთარ მეკოვზიშვილი, რობიზონ მეკოვზიშვილის ბიძაშვილი და მამუკას მეზოპელი, ახალგაზრდობიდანვე დიდი თაგმოუბმელი ვინმე იყო. ყველაფერი ეხერხებოდა, მრავალმხრივი ნიჭი დაბერტყა ბუნებამ, მაგრამ მისი გამოყენებისა კი – ნურას უკაცრად...

ოთარი ერთადერთი შეილი იყო, მშობლებს გვიან შეებინათ და უზომოდ ანებივრებდნენ. სკოლაში სულ იოლად, თამაშ-თამაშ სწავლობდა, გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა და ქლასში მასწავლებლის ახსნილი გაკვეთილი სიტყვა-სიტყვით ახსოვდა, ასე რომ, შინ წიგნის გადაშლა თითქმის არც სჭირდებოდა... მათემატიკაც ეხერხებოდა და ლექსებსაც წერდა, საოცარი მუსიკალობითაც ბაგზობიდანვე გამოიჩინდა – თავისით, დამოუკიდებლად ისწავლა გიტარაზე დაკრა, გადასარევად მდეროდა, საკუთარ სიმღერებსაც კი თხსავდა და სოფელში განთქმულ მოძღვალსა და გიტარაზე დამკვრელს – ოლიმპიადას – ტოლს არ უდებდა. მამუკა ემუდარებოდა: ბიჭი, იშვიათი სილამაზის ხმა გაქს, გამორჩეული მუსიკალობა – ყურადღებით მოეპყარ, ნიჭის მიწაში ნუ დამარხავ და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე გახდები. მამუკას დაუინებული მოთხოვნით ოთარი ჰალაქების ჩაიყანეს, ოლიმპიადას დას, სტეფანიას, სამუსიკო სასწავლებლის ცნობილ პედაგოგს, გაასინჯეს და სამუსიკო სასწავლებელში დაიწყო სწავლა. თავიდან წარმატებით ეცნობოდა და ადვილად ეუფლებოდა ჰანგების ჯადოსნური სამყაროს უთვალავ და აუწონავ სიმდიდრეს, შემდეგ კი რატომდაც გული აიყარა მუსიკაზე – ჩაჯდომა და გულდაბულ შრომა-გარჯიში უძნელდებოდა; ამჯერად სპორტმა გაიტაცა – ტანგარჯიშმა. იმის მაგივრად, რომ გამები და სხვა საგარჯიშოები დაეკრა, ფორტეპიანოს მრგალ სკამზე საოცარი ოსტატობით ყირას ჭიმავდა, თან ცირკის აკრობატივით იმ სკამს ატრიალებდა... იძულებული გახდნენ, სპორტულ სკოლაში გადაეყვანათ. მშვენივრად ეუფლებოდა ტანგარჯიშის ილეტებს, შეჯიბრებებშიც წარმატებით მონაწილეობდა, მაგრამ... უკვე 18 წლის იყო და გადაბმული ვარჯიშები მობეზრდა, უკვე

სიმაღლითაც ადარ შეეფერებოდა ტანგარჯიშს... ლამაზი, საშუალოზე მაღალი, მაგრამ საოცრად მოქნილი და დონიერი, მთელ დროს უკვე ცეკვებსა და ქალიშვილებთან პაქმანებს უთმობდა... მშვენიერი წაბლისფერი თმა ჰქონდა – ხშირი, დატალდული, ოდნავ გრძლად მოშვებული, – ძალიან უხდებოდა! შესანიშნავი ტიპაჟი იქნებოდა კინომსახიობად, არც მომხიბვლელობა აკლდა – სილადე, თავისუფლება!

ეტყობა, მეტისმეტად გატაცებული იყო სათავგადასავლო და მოგზაურთა წიგნების კითხვით, უცებ ყველაფერი მიატოვა, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი აიღო თუ არა, მარტოდ მარტომ ბათუმს მიაშურა, აატარა თვეზესაჭერ გემზე დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში დიდ გემზე მოეწყო და საზღვარგარეთის მრავალი ქავების პორტები მოინახულა...

ერთ ზაფხულს ოთარ მეკოვზიშვილი ჩამოვიდა სოფელში ოთხი თვით, – რამდენიმე წლის შვებულება ჰქონდა დაგროვებული, – მადალი, ბეჭებგანიერი, მზით გარუჯული სახით... ფული ბლომად ჩამოიტანა და რობიზონას სასადილოში არ დაიკლო დიმპიტაური-დამპიტაური; ყველანი მოაჯადოვა საუცხოო ხავერდოვანი ხმითა და გიტარაზე ბრწყინვალე დაკვრით... ვინ ეტყობა მომხიბლავ მამაკაცს უარს – ვითომ ითხოვა აქაური ქალი – გოგოლა, მერე წავიდა, ფეხმძიმე “ცოლი” კი დატოვა და მხოლოდ ის დაიბარა, თუ ქალიშვილი დაიბადოს, ვენეცია დაარქვით, თუ ბიჭი – მამაჩემის სახელი, კალენიკეო... სამი წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა, – მისი გემი ამჯერად ხანგრძლივ კაპიტალურ შეეთებას საჭიროებდა, თან შევებულებაც ჰქონდა გასანალებული. რობიზონას სასადილოში ქიფისა და დროსტარებაში გაატარა ნახევარი წელი; ახლა სხვა ქალი “ითხოვა” – ჩიორა, დააფეხმიმა და კელავ წავიდა; დაიბარა: ამჯერადაც თუ გოგო დაიბაროს, ფლორენცია დაარქვითო (თუმცა, ეს ქალაქი არ არის საპორტო და ნეტავ რატომ აირჩია?). მას მერე კელავ დაიკარგა, ამჯერად – საბოლოოდ; მხოლოდ წერილები მოდიოდათ მის “ცოლებს” მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და – ცოტა ფულიც. კონვერტებზე ლამაზი უცხოური მარკები იყო დაკრული და მათ ეს “ცოლები” მამუქას აძლევდნენ. სოფელში ამბობდნენ, აქაურ ვენეციასა და ფლორენციას მსოფლიოს მრავალ ქალაქში უამრავი და და მმა ჰყავთო; რა საბუთი ჰქონდათ ამისა, ვერაფერს მოგახსენებთ.

როცა მამუქამ მარკებით სამი მოზრდილი ალბომი გაავსო და მისი კოლექციით ნებისმიერი ფილატელისტი იამაყებდა, ვენეცია და ფლორენცია უკვე გასათხოვარი ქალიშვილები იყვნენ.

ვენეციამ სკოლის დამთავრების შემდგომ ქალაქს მიაშურა, როგორც ამას ჭადარდიდელ ახალგაზრდათა უმრავლესობა აკეთებდა, ლამაზი გოგო იყო და იქ მალევე გათხოვდა... ფლორენცია ძალიან დარღობდა: მოსტაცეს უახლოესი მეგობარი, გულის მესაიდუმლე... მაგარ განცემებში იყო, ეჭვინობდა – ახლა დას სხვა, უფრო ახლობელი ვიდაც გაუჩნდა.

ვენეციას ქმრის მშობლებთან უსიამოვნება მოუვიდა, ქმართანაც მაგრად იჩხუბა და სოფელში გამოიქცა, დედამისითან დაბრუნდა.

ცოტა ხანში ვენეციას ქმარი ჩამოვიდა ჭადარდიდში ცოლთან შესარიგებლად. ჭიშკარში შეხვდა ფლორენცია, რომელიც იმ დროს დასთან იყო მისული; სიძეს არ უშევებდა ეზოში, ვენეცია კი ქმარს დაემალა.

- გამარჯობა, ფლორენცია, შენი ლამაზი დაიკო გამოვიდეს, უნდა დაველაპარაკო!
- გაეთრიე აქედან, შე მათხოვარო! – მისალმების მაგივრად შეუტია ფლორენციამ.
- რატომ მლანძლავ, თუ მტყუანი გარ, ბოდიშს მოეუხდი...
- შენი ბოდიში შეიტენე, იცი, სად?.. ნაგავო!.. არაკაცო!..
- რა დაგემართა, ადამიანურად დამელაპარაკე... სალამზე არც მიპასუხე... მითხარი, შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია?.. მოდი, შევრიგდეთ, შეიძლება, გაკოცო?
- შე ნაბიჭვარო, წაბრძანდი და ქალაქის გახების აკოცე!
- მოიცა, შენთან საჩხუბრად კი არ მოვსულვარ... გეხვეწები, ვენეციას დაუძახე... ორ სიტყვას გეტყვი...

– ადარ დაგვენახო! იმედი ნუ გექნება, შენი დამპალი თვალებით ვენეციას ვეღარ იხილავ!..

ფლორენციამ მიუშვა ლანძღვის ნიაღვარი და სიძე ლაფში ამოსვარა – რა არ უწოდა, მისი მშობლებიც არ დაინდო.... სიძემ ვეღარ მოითმინა, ხელი მოჰკიდა, მიატრიალა და პანჩური უთავაზა:

– წადი, ქალო, შენს საქმეს მიხედე!

ფლორენციამ სიძეს სასამართლოში უჩივლა... შეურაცხყოფისთვის სიძეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა და საგმაოდ დიდი ჯარიმის გადახდაც დააკისრეს.

ფლორენცია დედამისმა ქალაქს გააგზავნა საკუთარ დასთან, ფლორენციას დეიდასთან. ქალიშვილმა რაღაც ტექნიკური სასწავლებელი დამთავრა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ ბრიგადირზე გათხოვდა, შვილიც ეყოლდა. ცოტა ხანში ქმარი გაეყარა აშარი ხასიათის გამო; ფლორენციამ საყვარელი გაიჩინა – ფულიანი ცოლშეილიანი საქმოსანი; საყვარელმა სამსახურს თავი დაანებებინა, ბინა უქირავა, კვირაში ორჯერ აკითხავდა და ყოველ მოსვლაზე უამრავი საჭმელ-სამელი მოქონდა, ბლომად ფულსაც უტოვებდა...

ვენეციაც ქალაქში გადაბარგდა, რკინიგზის სადგურის ბუფეტში ლადიძის წყლებს, ხაჭაპურსა და ღვეზელს ჰყილდა; კაცებს თვალებს უშუუნებდა, რამდენიმე ბუშიც გააჩინა; ზოგი “გააჩუქა”, ზოგი საბავშვო სახლში მიაბარა. დაიწყო რაღაც წამლების კეთება – ბუასილის, მაღალი

წნევის, საქალებო და სხვა, მკითხაობდა, ჯადოს უკეთებდა და ხსნიდა... მერე, როგორც ბოროტი ხმები ამბობდნენ, სწორედ ჯადოს მეშვეობით თვალები აუბა ერთ რუს სამხედროს, მასზე ახალ-გაზრდა ლეიტენანტს და გაჟყვა ცოლად. რამდენიმე წელიწადში მისი მეორე ქმარი სადღაც რუ-სეთში გადაიყვანეს; გენერიაც თან წაჟყვა, — ორი წლის ბიჭი ჰყავდათ, — და მისი ქვალი დაი-ძარგა, წავიდა და წავიდა... არც წერილს იწერებოდა, აღარც ჩამოდიოდა.

## პარი XV. ნათელა ბუთურაული და ნოდარ გარგალაძე

“ტურიკოს ოინების” ჩაფლავებიდან მოკლე სანში ჭადარდიდში ხმა გაგრდა, რომ დაიკარგა როკაპის როლის შემსრულებელი ნათელა ბუთურაული — 40 წლის ქმარშვილიანი ქალი.

ნათელა: თამამი, კეკლუცი, ასაკის მომატებასთან ერთად — ზომიერად ჩასუქებული, მოსუ-ლი, დონიერი ტან-ფეხით, ბრდებიალა თვალებით; რომ გაიცინებდა, ლამაზად ჩაწიქწიქებული კბილები გამოანათებდა ეშიან სახეზე... მოკლედ, ახლაც მოხდენილი ქალი გახლდათ, საკვირვე-ლია, საროგაპედ როგორ გაიმეტა მამუკამ.

მისი ქმარი, არსენა, მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი, უმეტეს დროს ცხვარში ატარებდა; შეუხედავი იყო, თან ცალი თვალი რომ სტამბოლისებნ იუსრებოდა, მეორე — ბალდადისებნ; გვერდზე მიღრეცილი ცხვირი ამშვენებდა, დიდი, შავი ულვაშები პქონდა მოშვებული... თვითო-ნაც სახედ შავი იყო არაბივით. კოხტაობა უყვარდა: როცა შინ იყო, ცოლი შეკლული პქავდა ხელში — შარვალ-ხალათს ყოველდღე იცვლიდა და ვაი მისი ბრალი, თუ კარგად გარეცხილსა და გაუთოებულს არ მიართმევდა დილით! მაგრამ რამდენიც უნდა ეპარსა პირი და ლამაზად გა-მოწყობილიყო, მაინც ჩანჩურა ჩანდა და გაუპარასვიც კი. არც საუბარი ეხერხებოდა, თანაც ისე ბურტყუნებდა, წესირად ვერ გაარჩევდი მის ნალაპარაკევს. ერთი ეს იყო, რომ ტანად მაღალი გახლდათ და ხშირი თმა პქონდა მართლაც მოსაწონი — კუპრივით შავი, ხუჭუჭა. კულას უკვირ-და: ამ დაბდურს როგორ გაჟყვა ცოლად ლამაზი და სხვა მხრივაც მშვენიერი ქალი, ნათელა, ცოლადო... ნათელა აღრე გათხოვდა და ჟევე საქორწილო ორი ვაჟი ჰყავდათ.

საოცრება: ბოლო დროს არსენამ გაიჩინა საყვარელი, კოლმეურნეობის ბუღალტერი ბებიკა: ორმოც წელს გადაცილებული შინაბერა, ტარანივით გამხმარ-დაჩამიჩებული და თითქმის უბი-ლო, ჩიფრიფით მოლაპარაკე — სამოც წელსაც თავისიუფლად მისცემდი. “ბებიკას ერთი ოქროს კბილი რომ აქეს შერჩენილი, იმან მოსჭრა არსენას თვალით”, — ხუმრობდნენ სოფელში. ბებიკა ქაიხოსრო ტურიკაშვილის მარჯვენა ხელი გახლდათ, ფული არ აკლდა და გამოპრანჯული დაი-არებოდა, ახალგაზრდულად ჭრელაჭრულას იცვამდა; რასაკვირველია, არც გემრიელად ჭამა-სმას იქლებდა, მაგრამ მის გასუქებას მაინც არაფერი ეშველა.

სრულიად მოულოდნელად არსენას შუალამისას ჩუმ-ჩუმად ძრომიალს მარტოხელა ბებიკას სახლში შედეგი მოჰყვა: ქალი დაფეხმილდა!

დაწესებულ დროს ბებიკას ეკოლა მშვენიერი ჯანმრთელი გოგონა, რომელსაც დედამისმა ფრიად უცნაური სახელი უწოდა — არბე, მშობლების, არსენასა და ბებიკას სახელების წინა ნა-წილების შეერთებით მიღებული. ენაგვიმატ სოფლელებს საბაბი მიეცათ და ბებიკას შეხედრი-სას არცოუ უწყინარად გაეცუმრებოდნენ ხოლმე. ბებიკას ამგვარი მოპყრობა არ სწყინდა, პირი-კით, თვითონაც დიმილში გამოაჩენდა ხოლმე იმ ერთადერთ მბრწყინავ ტარის კბილს და სხვე-ბის ხუმრობას თავისასაც დამატებდა საქუთარი და არსენას მისამართით.

სულ არ იყო ხუმრობის ხასიათზე არსენას ცოლი; ნათელა გარგა ხანს ხმას არ სცემდა ქმარს, მერე თითქოს შეეგუა მდგომარეობას...

ახლა კი, როცა ნათელა მოელი თვე ადარ გამოჩნდა, ხომ არ მოიტაცესო, ხუმრობდნენ მე-ზობლები.

— გათხოვებას რა უნდა? — ამბობდა ხოლმე დიმილით შინაბერების გასაგონად ნათელა. — რომ მოვინდომო, ათჯერაც გავთხოვდები!

მერე ქალაქიდან ამბავი მოვიდა, ნათელა იქ უნახავთ ნოდართან ერთადო. ახლადა გაუქვირ-დათ: ნოდარ გარგალაძეც ხომ ერთი თვეა, რაც არავის უნახავს სოფელში, ეს ორი ამბავი რო-გორ ვერ დავუკავშირეთ, ვერ გადავაბით ერთმანეთსო. ისიც გაიხსენეს, რომ მამუკას დადგმულ “ტურიკოს ოინებში” ორივენი მონაწილეობდნენ და ხუმრობა-ხუმრობაში ნოდარა ბეგრჯერ მიე-ტანა ნათელას მოსახევად და ერთი-ორჯერ, ვვონებ, აკოცა კიდეცო, მაგრამ მაშინ ამ ამბის-თვის დიდი კუდი არ გამოუტამო — სცენაზე ეგველაფერი ხდება! სინამდგომეში წარმოდგენის დროს ნათელა თვითონ გაეთამაშა ნოდარს — ხუმრობით ქიმუნჯი გაჟრა, რამდენჯერმე უპწინა კიდეც. ნოდარი მორცხვი ბიჭი იყო, თაქს იკავებდა, ქალის გამომწევი ქცევისთვის არ უპასუხი-ა...

— არტისტა, არტისტა!.. — რატომდაც “ტურიკოს ოინებში” მონაწილეთაგან მხოლოდ ყოვ-ლად უწყინარი, ბუნჩულა ნოდარი ამოიჩემა დასაცინად სოფლის ბიჭიუჭობამ და ამ შეძახილით დასდევდნენ კუდში, მოსვენებას არ აძლევდნენ.

— რა მაგრად თამაშობდი, ფეხები გებლანდებოდა!..

— როგაპს რომ ეკურქურებოდი, სამჯერ თითქმის წაიქეცი, კინაღამ სცენაზე ამოგვარდი შენს დასახმარებლად!..

მართლაც, ნოდარს სცენაზე ხელ-ფეხი ებორკებოდა, როგაპის როლის შემსრულებლის, ნათელას ახლოს ყოფნისას კი სახეზე ისე წამოენთებოდა ხოლმე, ეშინოდა, გრიმიც კი ვერ დაფარავს ჩემს წამოჭარხლებასო.

ნოდარი ნათელას მეზობელი იყო, მისი უფროსი ბიჭის, გამეხის, კბილა; მათ ეზოებს მხოლოდ საერთო ლობე ჰყოფდათ. რამდენიმე წელია, ნათელა რომ ერთოვად საკუთარ ეზოში მიღი-მოდიოდა ჯიშიანი თეორებისა და სავსე გულ-მკერდის რევეიტ, ჩასაფრებული ნოდარი ლობის იქიდან მონუსხულივით არ აცილებდა მზერას... წარმოდგენის შემდეგ საერთოდ გაურბოდა ნათელას ეზოსკენ გახედვასაც კი — სულ ახსნდებოდა, როგორ გამომწვევად გაეთამაშებოდა ხოლმე ქალი სცენაზე...

ნოდარი ერთი უთქმელი, ძალიან მორიდებული ყმაწვილი გახლდათ, მამუკამ ძლიგს დაიყოლია წარმოდგენაში სათამაშოდ, ისიც — ნათელას დახმარებით. რეპეტიციების დროს კი მოულონებდა მშვენიერი სამსახიობო მონაცემები გამოავლინა და ნელ-ნელა გამბედაობა და თავისუფლებაც დაეტყო მის მიერ კოპალას არცოუ მარტივი როლის შესრულებას. მხოლოდ, როცა უშუალოდ ნათელასთან პქნედა დიალოგი, როგორც მოგახსენეთ, შებოჭილად გრძნობდა თავს და რეპლიკებისას ხშირად ენა ებმოდა, განსაკუთრებით — თუ ქალთან ახლოს ყოფნა უწევდა.

ერთ საღამოს, წარმოდგენის ჩაფლავებიდან რამდენიმე დღეში, ნოდარას ნათელას ძახილი მოესმა:

— ნოდარა, ბიჭო!

ნოდარი სახლიდან გამოვიდა, ნათელა საზიარო ლობეს იყო მომდგარი:

— მოდი, ბიჭო, ძროხა გამიჭირებულდა და, შენ გენაცვალე, მომეხმარე ბოსელში შედენაში!

ნოდარა პირდაპირ ლობეს გადაევლო, სხარტად გადახტა ნათელას ეზოში...

წინიდან ნოდარი ექაჩებოდა ძროხას თოკით, უკანიდან ნათელა ერეგებოდა წაკეპლით. როცა ძროხა შეიყვანეს სადგომში და ბაგასთან დააბეს, ნათელამ ფეხი წამოპრა თბილი წყლით სავსე გედროს — მოწველის წინ ცური უნდა მოებანა ძროხისთვის — და წაფორხილდა. ნოდარმა ხელი შეაშველა და ქალის შიშველ სავსე მკლავში ხელის შევლებამ დენის მძლავრ დარტყმასავით დაუარა ტანში... ნახევრად სიბრუნვებიც შეამჩნია, ქალი მშიერი თვალებით შეაცეკერდა და ამან გააბედვინა — მეორე ხელი წელზე მოხვია და მიიზიდა...

მთელი კვირა საღამობით ყოველდღე ხედებოდნენ ერთმანეთს ბოსელში, მერე დაჟკრეს ფეხი და ქალაქს გაიპარნენ...

ერთ წელიწადში შეიღიც შეეძინათ — ბიჭი, მეორე წელიწადს — ისევ ბიჭი მიაყოლეს...

სოფელში ჩასვლას ერიდებოდნენ — ჭადარდიდიდან ფეხი ამოიკვეთეს...

არსენამ ბებიკა ცოლად არ მოიყვანა (არსენას უფროსი ბიჭი, ვამეხი, ამ დროს უკვე დაქორწილდა), ოღონდ ქალიშვილს კი, უცნაური სახელით — არბე, პატრონობდა და საბუთარი გგარიც მისცა — ბუთურაული.

## გარი XVI. დურმიშხან ქვატაძე, დომნა და ანუკა

იმ ზაფხულს, როცა ნათელა და ნოდარი ქალაქს გადასახლდნენ, მამუკასთვის რამდენიმე მოულოდნებლი ამბავი მოხდა: ერთი ის, რომ აღმოაჩინა — თურმე უმცროსი და ჰყოლია... მეორეც: მან მესაფლავე გაბრიელის შემდეგ მეორე ერთგული მეგობარიც შეიძინა — რძლის, დომნას, დის შეიღიშვილი, 10 წლის პატარა ანუკა.

ჯერ — პირველი ამბის შესახებ...

შამუკას მამინაცვალი განო გვატაძე ადრე გარდაიცვალა — ერთი უფერული, ჩუმი კაცი იყო. კარგა ხნის შემდეგ, როცა მამუკას მეხსიერებაში მამინაცვლის სახე იშვიათად, მაგრამ მაიც ამოტივტივდებოდა, მის ხმას ვერაფრით იხსენებდა, თითქოს ეს კაცი არც არსებობდა არას-დროს... არა, როგორ არ არსებობდა — ახსენდებოდა ბუნდოვნად, უფერხორცოდ, თამბაქოს სქელ ძგამლში გახევული... პირველი ოპერაციის შემდეგ (მარჯვენა ფეხის თითები წაჭრეს — განგრენა პქნედა დაწყებული), ექიმებმა გააფრთხილეს: თამბაქოს წევას თუ არ შეეშვები, გამოჯან-მრთელება გაგიჭირდებაო, მაგრამ შეგონებამ არ გაჭრა: ეტყობა, განოს ცხოვრებაში ეს პქნედა ყველაზე ფასეული და თამბაქოს ვერაფრით შეეღია... მეორედ ფეხის ტერფი მოაქვეთეს, მესამედ — მუხლამდე აპირებდნენ, მაგრამ ეს ბოლო ოპერაცია შუა გზაზე შეწყვიტეს: გული გაუჩერდა... მისი შეიღილი, მამუკას ნახევარმა დურმიშხან ქვატაძე, მაშინ მხოლოდ ხუთი წლისა იყო. ექვესი წლით უფროსი მამუკა პატრონობდა დურმიშხანს, სამხედრო გალდებულების მოხდის შემდეგ ჯერ მას ცალეკ აუშენა სახლი (საკუთარი სახლის დამთავრებას კი არ დააყენა საშველი), მმის დაქორწილების შემდგომ მის შეიღებსაც არ აკლებდა ყურადღებას...

მამუკას ეჭვი არასდროს ეპარებოდა, რომ მამა ფრონტზე დაედგეპა. ის კი აკვირებდა, რომ ოჯახში მისი ერთი ფოტოსურათიც არ იყო, როცა დედამისის — ვასასის — საკმარი მოიძევებო-

და: ბავშვობის და ქალიშვილობის დროინდელი, ასევე – გასასის დედ-მამისა და და-ძმებისაც, განოსიც... მაგრამ პირველ ქმართან გადაღებული ერთი სურათიც კი – არა!

გასასი უკვე ცოცხალი აღარ იყო, როცა საიდუმლოს ფარდა აეხადა...

მამუკა ქალაქს იყო, ერთ-ერთი სალიტერატურო უურნალის რედაქციის პოეზიის განყოფილებაში ლექსები ჰქონდა დატოვებული და სურდა, მათი ბედი გაეგო. რედაქციის მოსაცდელში განყოფილების გამგის მოსვლას ელოდა, როცა თანამშრომელმა შემთხვევით კალმახაურის გგარი ახსენა... მამუკა წამოხტა ტყავის დივანიდან, აქ გახლავარო, მაგრამ გაირკვა, რომ მასზე კი არა, რედაქციის კორექტორზე, ანა კალმახაურზე იყო საუბარი...

მამუკასთან თვითონ ანა – შუახნის შეუხედავი ქალი – მივიდა და დაინტერესდა, საიდან იყო ჩამოსული რედაქციის სტუმარი, მისი მოგარე: ეს გვარი საქმაოდ იშვიათია და, ალბათ რა-დაც ნათესაობაც გვაკავშირებსო. მამუკამ აუხსნა, ჭადარდიდიდან გახლავართ, სოფელში სულ რამდენიმე ოჯახია ამ გვარისა და სხვაგან თუ არიან საღმე, ეგ კი არ ვიციო; შემდეგ ანას ჰქითხა, მისი მშობლები ვინ იყვნენ, მამამისი სადაური იყო... გაირკვა, რომ ანას მამას გოდერძი რქმევია, ცოცხალი აღარ ყოფილა... საიდან იყო წარმოშობით? ანამ ზუსტად არ იცოდა, მამახემს რამდენჯერმე ვგითხე და ყოველთვის ერთსა და იმავეს მასაუხებდა – შიდა ქართლის მთიანე-თის ერთ-ერთი ხეობიდან ვარ წარმოშობითო... უფრო ზუსტად სოფლის სახელი არასდროს უთ-ქამსო...

მამუკას მამასაც გოდერძი ერქვა...

მერე, ჭადარდიდს დაბრუნებულმა მამუკამ გაიკითხ-გამოიკითხა, ვერაფერი გაარცვია და, ბო-ლოს, ყოველისმცოდნე თარს ტასოს მიადგა... ტასომ უთხრა, ეგ ამბავი ტარიელა მუხაიძეს ვცო-დინებაო; ტარიელამ: “მამაშენი მართლა წაგიდა ფრონტზე, ჩემს ნიკასთან და მიხასთან ერთად გაიწვიეს... გამიგონია, დედაშენთან ნაჩხუბარი იყო და უთხრა, თუ გადარჩენა მიწერია, შენთან მაინც აღარ დავბრუნდებიო... ისიც ვიცი, ომის დამთავრების შემდეგ ქალაქს დარჩა, იქ სხვა ქა-ლი ითხოვა...”

ქალაქს ჩასული მამუკა ყოველთვის მოინახულებდა ანას, რამდენჯერმე მის დარიბულ ბინა-შიც ეწვია – ანას ქმარი ერთი არცოუ ცნობილი პოეტი იყო, მამუკასთვის კი – თითქმის ღმერ-თის ტოლი: იძეჭდებოდა და, მწერალთა კაგშირის წევრს, რამდენიმე მომცრო პოეტური პრებუ-ლიც ჰქონდა გამოცემული.

ანა კალმახაურმა შესთავაზა მამუკას, საქმეს მოგიკვარახჭინებ, ხელს წაგიკრავ, რადგან შე-ნი ნაწერები მომწონს, დაბეჭდვის ლირსია, რამდენიმე მოთხოვნას გამოგაქვეყნებინებ ჩვენს უურ-ნალშიო, მაგრამ აღშფუოთებულმა მამუკამ უარი უთხრა და მას შემდეგ იმ რედაქციაში ფეხი აღარ შეუძგამს.

მამუკას განსაკუთრებით უკლავდა გულს ის გარემოება, რომ მის ცოლს ანას ამბის გაგების შემდეგ ახალი სალანძავი პიროვნება გაუჩნდა, თუმცა იგი თვალითაც არ ენახა. “ალბათ ში-შობს, სახლიდან და ქრებიდან წილი არ მომთხოვოსო”, – გარაუდობდა მამუკა და მწარედ ეღი-მებოდა – ძევდი სახლი ხომ მეწყერმა წაიღო, ამ ახლის დამთავრებასაც ბევრი უკლდა, ხოლო რაიმე ღირებულ ქონებაზე სასაცილოც იყო ლაპარაკი – ყველაზე ფასეული, მამუკას შეხედუ-ლებით, მისი “ფიტო თოვგას” წიგნად შექრული რევულები იყო, რომელიც მზევინარს ჩირადაც არ უდირდა...

ახლა სხვა, მნიშვნელოვანი ამბის შესახებ.

დომნა, მამუკას ნახევარმის, დურმიშხან კვატაბის მეუდლე, ოჯახში იყო ჩაკეტილი, მეზობ-ლებთან ურთიერთობას გაუბროდა; მახლა და მისი ოჯახის წევრებსაც კი თითქმის არ ელაპა-რაკებოდა, მხოლოდ შეხედრისას გამარჯობას თუ ეტყოდა (იქნებ გვერდით, საზიარო სახლის მეორე მხარეს, ცხოვრობდნენ; ერთ დროს საერთო დიდი ეზო დომნას მოსვლის შემდეგ მაგოუ-ლის ბადით ორად იყო გაყოფილი)...

ახლო მეზობლებს რატომდაც დომნასი ეშინოდათ, ავიაო, თუმცა მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაეგონა.

დურმიშხანის ოჯახში უცხო არასდროს სტუმრობდა, თვითონ დომნა სახლიდან თითქმის არ გადიოდა – მაღალაზიც კი, და თუ ეზოს გასცდებოდა, მხოლოდ წყლის მოსაზანად (შიოს წყა-რო მოშორებით იყო) და ისიც სისხამ დილით, რომ გზაში არავინ შეხედროდა.

გადაყოლილი იყო საგუთარ ოჯახს – მთელი დღე სულ შინ ტრიალებდა, ფუსფუსებდა, გაჩე-რებულს ვერ ნახავდი; არც მეზობლებში დადიოდა საჭორაოდ ან თუნდაც რაიმეს სათხოვნებულად თუ უბრალოდ სამეზობლოდ; არც ქორწილ-ქელებებს ესწრებოდა... დიდი ხნის წინათ თრი წლის პირმშო, ვაჟი, გარდაეცვალა და მას შემდეგ ასე ჩაიგეტა შინაგანად და გარეგნულადაც...

კუშტი, გაუცინარი სახე, მოკუმული ტუჩები, ენერგიული, მოუსევნარი სიარული – აი, ასეთი იყო მისი ჩვეულებრივი მდგომარეობა...

უზარმაზარი ნაგაზი ჰყავდათ, რომ ჭიშკარს იქიდან მათ ეზოში ვინმე არ შესულიყო, თუ-დაც შემთხვევით... ერთხელ გაჭირვებულმა ტურისტმა შეაღო მათი ჭიშკარი, ძალიან მოწყურებო-და და ნაგაზი კინაღამ მიაფრინდა – კიდევ კარგი, ტურისტი მკვირცხლი ახალგაზრდა იყო და მოასწრო უბან გადახტომა და კარის მოხურვა, თორებ სააგადმყოფოში წასაყინი გახდებოდა.

ქმარი – დურმიშებანი – ასაკით მასზე საგრძნობლად უმცროსი იყო. ქალს თმა ადრე გაუ-თეორდა, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას გამოაჩნდა პირველი ჭაღარა, და მუდამ თავწაკრული დადიოდა; არავის ახსოვს, რომ მისი თმა დაენახოს, ზაფხულის თავარაშიც კი.

ორი შვილი გაზარდა – თალიკო და რევაზი; კარგი ახალგაზრდები დადგნენ, ორივენი ნიჭი-ერებით გამოირჩეოდნენ და ქალაქს სწავლობდნენ უნივერსიტეტში. მათ წარმატებაში მნიშვნე-ლოგანი წარმოიდგინდა მათ ბიძას, მამუქა კალმახაურს – მამუქას შვილებთან ერთად გაი-ზარდნენ, ერთ ეზოში თამაშობდნენ, ოღონდ მამუქას შვილებისგან განსხვავებით, მალიან უყვარ-დათ კითხვა და ბიძის ბიბლიოთების ხშირი სტუმრები იყვნენ; მამუქაც, რა თქმა უნდა, გახარე-ბული და ქმაყოფილი იყო მმიშვილების მიერ გამორჩნილი ინტერესით წიგნებისადმი, რჩევა-და-რიგებას არ აქლებდა და სკოლის მასწავლებლებზე ბევრად მეტი ცოდნა შესძინა მათ. ერთი ეს იყო, რომ მამუქას გული სწყდებოდა საკუთარი შვილების, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულების გამო წიგნების მიმართ.

თალიკოსა და რევაზს რატომდაც არ მოსწონდათ მამის გვარი – პგატაძე – და, დიდი დავი-დარაბის შემდეგ, სკოლის დამთავრებისას გვარი გამოიცვალეს, კალმახაურებად დაეწერნენ. დურმიშებანი მამუქაზე ნაწყენი იყო – ეგონა, ბიძის წაქეზებით შეიცვალეს მისმა შვილებმა გვა-რი... მოულოდნელად მათ შესარიგებლად დომნამ გამოიდო თავი: ბლომად ხინკალი გააკეთა, ხა-ჭაპურები დააცხო და მამუქა დაპატიჟეს; როცა დურმიშებანმა უთხრა ცოდნს, მზევინარიც მოგიწ-ვიოთო, დღმნასგან ცივი უარი მიიღო, მხოლოდ გოდერი კი დამატებით მიიწევია...

ამ ზაფხულს თალიკომ და რევაზმა ქალაქიდან ჭადარდიდს დასასვენებლად ჩამოიყანეს დომნას უფროსი დის შვილიშვილი, 10 წლის ანცი გოგო – ანუკა, სულ რომ იცინოდა, ხტოდა, მღეროდა, ყოველგვარ საქმეს თამაშად აქცევდა. ამ მეტისმეტად გამოუსვლელ, კარჩაკეტილ ოჯახში, სადაც აქმდე სიწყნარე და უშფოთველობა სუფევდა, ამ დაუდეგარი, სიცოცხლით საგ-სე გოგოს გამოჩენამ დიდი შეფოთი გამოიწვია; ოჯახის წევრები ძნელად ეგუებოდნენ მის აქტი-ვობას, განსაკუთრებით – დომნა...

ანუკას ყველაზე დიდი მეგობარი მისი თანატოლებიდან ვინმე კი არა, ბიძია მამუქა გახდა, უფრო რომ პაპად ერგებოდა...

მამუქას სამი შვილი პყავს (ამჟამად უკვე დიდები), მათ შორის – ორი ქალიშვილი, მზექალა და მზია; მზევინარმა დაარქება ეს სახელები – აზემა: ჩემი ქალიშვილების სახელები აუცილებ-ლად მზია; მზესთან და ჩემს სახელთან უნდა იყოს დაგავშირებულიო. მამუქა არ იყო წინააღმდეგი, გაუიშვილს კი ომში დაღუპული მამის სახელი დაარქება – გოდერძი. ქალიშვილები დედას დაგმ-გვანენ: დაბლებია, ჩამრგვალებულები, ოღონდ არიგეს თვალების უერი გამოჰყა მამისა – თაფ-ლისფერი; გოდერძის თუმცა მტკიგანი უეხი დაცყა, მამაზე მაღალი გაიზარდა, ოღონდ მამუქასა-ვით გამხედარია, მზევინარს კი მომწვანო-დურჯი თვალებით პგავს... დიას, მამუქამ სამი შვილი გაზარდა, ორი შვილიშვილიც პყავს, უფროსი ქალიშვილის, მზექალას, შვილები – რაიონულ ცენტრში ცხოვრობენ და სიძეს, სეუანს, ზოგჯერ ჩამოჰყავს ისინი ჭადარდიდში, როცა კინოფილ-მი ჩამოაქმეს კლუბში საჩვენებლად. ბავშვები ვის არ უყვარს, განსაკუთრებით – საკუთარი შვი-ლები და შვილიშვილები, მაგრამ მამუქას არავისთან ასეთი სითბო და სიახლოვე არ პქონია, როგორც ანუკასთან.

ანუკა მაინც სულ სხვაა...

დილადარიან ანუკა უკვე მამუქას სახლის კარს უკაკუნებს. მამუქა ხუმრობით ეკითხება:

– გოგო, ხეზე ხომ არ გეძინა ჩიტებთან?

– ჟო, მათთან ვიყავი და დამაბარეს, ბიძია მამუქამ რომ ახალი ზღაპარი დაწერა, ჩვენც წაგ-გიპითხეთ!

ამ ბოლო დროს მამუქამ ანუკას წაქეზებით კი არა, პირდაპირი მოთხოვნით, ზღაპრების შეთხვა დაიწყო! და იმდენად გაიტაცა ამ ახალმა საქმემ, რომ გაკირვებული ეკითხებოდა სა-კუთარ თავს: “შვილებისთვის ზღაპარი არასდროს მიამბია – ჩემი შეთხული მაინც; ხალხურ ზღაპრების კი ვეკითხავდი, მაგრამ ის სულ სხვა რამ იყო... აქმდე რატომ არ მიგრძნია ზღაპრე-ბის შეთხვის მოთხოვნილება? საოცარია! ყველა სხვა შემოქმედებითი სამუშაო უცებ სულ გვერდზე გადავდე და მთლიანად ახალ მომხიბელები სფეროს მივენდე – სულ მიტაცებს, რა ფანტაზიურ სვლებს მოვიგონებ, რა ჩემთვისაც მოულოდნელ თემებს აღმოგაჩენ! განსაკუთრებით ის მგრის კმაყოფილებას და მოულოდნელი აღმოჩნის სიხალისით ვიგსები, ანუკას რომ გაგახ-რებ – არ ვიცოდი, თუ ასეთი ძალიან მგრძნობიარე და მაღლიერი მსმენელის ყოლა აგრერიგად აღაგზნებდა ჩემს წარმოსახვას!”

უცნაური პერსონაჟები, მათი უცნაური თავგადასავლები ჯერ ანუკასთან თხობისას იბადვ-ბოდნენ, შემდეგ ისინი ქალალდზე გადაპქონდა და ახლა იმას წაუქითხავდა ხოლმე ანუკას, თა-ნაც დროგამოშეებით – რამდენჯერმე. და თითოეული წაკითხვისას ახალი მოულოდნელი სვლე-ბი, ახალი დეტალები და სახეებიც კი იბადებოდნენ, ამიტომ კითხვის დროს მამუქას ყოველთვის ფანქარი უჭირა ხელში და დამატებები და შესწორებები შექონდა. და უნდა გენახათ, როგორ სარობდა ყოველ ჯერზე ანუკა, როცა ასე თანდათან გამდიდრებულ და დახვეწილ ზღაპარს უს-მენდა!

ერთი ასეთი იყო “დაუმთავრებელი სახლის ზღაპარი”. დაუმთავრებელი სახლი მდერის ნაღვლიან სიმღერას-ზღაპარს – როგორ სტკივა სახსრები, დაუმთავრებულობა როგორ მწვავე განცდებს იწვევს მასში – არასრულფასოვნების, ხინჯიანობის... უყვებოდა ანუკას და უცებ დადინჯებული გოგო საკუთარ ახალ-ახალ დეტალებს ამატებდა მამუკას მონაყოლში და აძლიდრებდა მას... “შენ ჩემი თანააგტორი ხარ!” – ეუბნებოდა ღიმილით მამუკა. “რას ნიშნავს თანააგტორი?” – ეკითხებოდა ანუკა. “აი, რამდენიმე კაცი რომ ერთ ლამაზ სახლს აშენებს და თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს მის აშენება-გამშვენირებაში – ეს არის თანააგტორობა! ჩვენ ერთად გთხავათ ზღაპარს და ამიტომ ვართ თანააგტორები!”

მზევინარიც კი მოაჯადოვა ანცმა და ცნობისმოყვარე ანუკამ და მამუკას გასაკეირად, მოხარულიც კი იყო, რომ ცელძი გოგო თითქმის მათ ოჯახში გაღმოსახლდა...

ანუკა მამუკას სულ კუდში დასდევდა, ერთად დადიოდნენ ტყე-ველშიც, მდინარის პირას მაყვალს კრეფლენენ, ყვავილების თაიგულს ერთად კრავდნენ, აკვირდებოდნენ ჩიტებსა თუ ცხოველებს, მცენარეებს და ცაში ღრუბელთა თამაშასაც, ათას კიდევ სხვას...

მამუკამ და ანუკამ მთა-ველში ხეტიალისას ნახული მრავალი ლამაზი მინდვრის ყვავილი გადმორგეს სახლის ეზოში, ვარდნარის გვერდით; თითქმის ყოველდღე გასეირნების შემდეგ ამ ყვავილნარს ემატებოდა ახალი ყვავილები და საოცარი ის იყო, რომ მზევინარს ამის გამო უკმაყოფილება არ გამოუთქმაშაბდა ანუკას კიდევ ეხმარებოდა გადმორგული მცენარეების მორწყებაში.

და ყველაფერი ეს მამუკას წარმოსახვაში ბადებდა ცხოველ ახალ ხატებს, ზღაპრების პერსონაჟებს, მათ ფათერაკებიან და ბრძოლებით თუ მხიარული თავგადასავლებით აღსავს ცხოვრებას... იქვე უამბობდა ანუკას ახალ ზღაპარს, პირდაპირ სიარულისას, მერე შეჩერდებოდა, ხელში დაბლუჯულ უბის წიგნაპს და ფანქარს მოიმარჯვებდა და თან მოყოლილს გაცხარებული მოკლედ წერდა, წერდა, წერდა... ამ დროს კი ანუკა თვალებგაფაციცებული უსმენდა, ათას კითხვას უსვამდა... და მამუკაც მადლიირი იყო: თითქოს თვალი აქეთილაო – უამრავი რამ სხვანაირად დაინახა, ახლებურად გაიაზრა, თემებისა და სახეების ისეთ მოზღვავებას გრძნობდა, რომ ეშინოდა, ნეტავ არაფერი გამომრჩეს ჩასაწერიო... დასამუშავებელი იმდენი მასალა დაუგროვდა, ისეთ სიხარულსა და კმაყოფილებას გრძნობდა, რომ მზევინარისადმი დამიერდებულებაშიც კი უფრო დამთმობი გახდა, ისე აღარ აღიზიანებდა ცოლის მოქმედება თუ ლაპარაკი – თითქოს რაღაც აგადობის წინააღმდეგ აცრეს, აღარ ბრაზდებოდა წინანდებურად. მერე მთელი დამე ამუშავებდა დღისით ნაჩქარევად ჩანიშნულს, რადგან იცოდა, – რამდენიმე დღეში მის მეხსიერებაში ყველაფერი გაფერმკრთალდებოდა, ამიტომ ჯობდა, ყველაფერი შავად მაინც, დაუმუშავებლად, გადაეტანა ქადაღდზე, სანამ სახეები მის წარმოსახვაში ჯერ ცინცხალი და ცოცხალი, ფერ-ხორცით და გრძნობით სავსე იყვნენ.

მამუკას უკეირდა: მისი საკუთარი შვილები რატომ არ გახდნენ ამგვარადვე მძლავრი ბიძგის მიმცემნი შემოქმედებითი წინასათვის? ანუკას გამოჩენამდე მამუკას ერთი ზღაპარიც კი არ დაუწერია, ახლა კი მთელი წიგნი შეიძლებოდა, გამოეცა! ერთ დროს ვაჟის, გოდერძის, იმედი პქონდა, პოეტური ნაპერწალი ადმოაჩნდება და ამით დიდად გავიხარებო, მაგრამ...

## კარი XVII. გოდერძი კალმახაური და ბაბო ბარისაშვილი

მამუკას გაქს, გოდერძის, ბაგშვობაში იმდენად წიგნების კითხვა კი არ უყვარდა, რამდენადაც ჩხირებელაბა, განსაკუთრებით ეხერხებოდა ხის ნაკეთობის დამზადება. მთელი ზემო უბის ბავშვებს ხისგან უჩორებიდა დედოფლალებსა და კაცუნებს, უკეთებდა თხილის ლამაზად დაჭრელებულ ჯოხებს, სათამაშო კალათებს, ურმებს, პატარა სახლებსაც კი...

ერთხელ დელეში ნაკადულზე გამართა სათამაშო წისქვილი, დილიდან საღამომდე გატაცუბით, თავაუღებლად შრომობდა; მეორე დღეს ნახა: ვიდაცას მოუშლია ეს წისქვილი – სულ ერთიანად დაუმტკრევია, ნატეხები აქეთ-იქით მიმოუფანტავს...

მერე შეიტყო – ძმებ ქურუხსაძეებს უგაუკაციათ...

რატომ, რისთვის?.. უკეირდა, ვერაფრით გაეგო: რა სიამოვნებას ნახულობდნენ სხვისი გაგრებულის ნერევა-გაფუშებით?

გოდერძიმ ძმებს არ უსაყვედურა – რა აზრი პქონდა? თანაც, ხუთი იყვნენ და ისედაც ყოველთვის მიზეზს ეძებდნენ საჩხუბრად... ბეგრჯერ უმიზეზოდაც შარი მოუდვიათ და დაუჩაგრიათ...

მეორე დღეს უკეთესი წისქვილი გააქეთა – უფრო დიდი და ლამაზი!

კიდევ და კიდევ ხევწდა წისქვილს და ამ დროს ძმები ქურუხსაძეები მიუხტნენ; ახლა მის თვალწინ აპირებდნენ წისქვილის დანგრევას და ალბათ გოდერძისაც ერთი-ორი ქიმუჯით გაუმასპინძლდებოდნენ.

შოთა აუხირდა:

– ბიჭო, რა გააჭირე საქმე, ჩვენს ადგილზე რატომ მოდიხარ, როგორ ბედავ აქ რაღაცის კუთხას?..

— თქვენ რას გიშავებთ? — შეეპასუხა გოდერძი. — ეს მდინარის შენაკადი ყველასია და ეს ადგილიც!

— მაგას ახლავე გაჩერებ, ეს ადგილი ვისიცაა! — დაემუქრა შოთა გოდერძის და ხელიც ჰქონა. — დიდი ხანია, არ მოგხევდრია?

ბედად შოთას ყვირილზე გოჯასპირმა მოუსწროთ შემთხვევით, შვილები გაჯორა და ვინც გასწრება გერ მოასწრო, წაუთაქა კიდეც:

— კიდევ რომ ვნახო, ამგვარად იქცეოდეთ, ცოცხალი არ გადამირჩებით, თქვე გაფუჭებულებო!..

შემდგომშიც ხშირად ჩაგრავდნენ გოდერძის ძმები ქურუხსაძეები; უფრო მაშინ, როდესაც ორნი, სამინი ან მეტნი იყვნენ. თუკი მხოლოდ ერთი შეხვედებოდა საღმე გოდერძის, ხმის გაცემას ვერ უბედავდა, არამცუ დაჩაგვრას: ძმები ბევრად ლონივრები კი იყვნენ გოდერძიზე, მაგრამ ვაგლახად თავს არავის დაჩაგვრინებდა და საკადოის ასეუს გასცემდა, თუნდაც მას მეტი მუშტი მოხვედროდა.

გოდერძი თუმცა კოჭლია, სოფელში ძნელად ვინმე აჯობებს სიხალისით, აზრიანობით, შრომისმოყვარეობით და მთაში სიარულითაც კი. ერთხელ ზაფხულში ჭადარდიდს ჩამოსული მისი ბიძაშვილი ასიკო ტყეში წაყვა შეშის ჩამოსატანად და ფრიად გააგვირვა, ისე მარჯვედ, დაუდალაგად მიძერებოდა ტყებუქერით და მაყვლიანით დაბურდულ ციცაბო აღმართში — ასიკოს საგრძნობლად სჯობდა; არადა, ასიკო სპორტსმენობდა, ნაგარჯიშევი იყო...

გოდერძის უიმედოდ შეუყვარდა ბაბო — გვერდით, მეზობელთან პქონდა ქალიშვილს ბინა ნაკირავები... ხშირად ხედავდა, მაგრამ ხმის გაცემასაც კი ვერ უბედავდა: ბუნებით ძალიან მორიდებული იყო, თან ცხადად ხედავდა — მშვენიერი ბაბოსთვის შეუჯერებელი იყო... დაუდარაჯდულდა ხოლმე და ვარდების თაიგულს მიართმევდა, — ყოველთვის სხვა ჯიშის, — და, აჭარხლებული, მაშინვე უსიტყვოდ გაეცლებოდა... ამაზე ბაბოს ეცინებოდა...

ეს ვარდები გოდერძის საკუთარი ბაბოდან მოპქონდა — დიდებული ვარდნარი იყო გაშენებული მამუქას მეცადინეობით. მიუხედავად იმისა, რომ მზევინარი სულ ეჯუჯუნებოდა ქმარს, — რა გეგარდება, შე უბედურო, კარტოფილის ადგილიც არ გაქს სამყოფი, შეხედე, სოფელში ვინ იქცევა შენებრ უგუნურადო, — მამუქა ქალაქს ყოველი ჩასვლისას, წიგნის მაღაზიების გარდა, ხშირად სტუმრობდა ბოტანიკურ ბაბს და იქიდან სხვადასხვა ჯიშის ვარდის ქალმები მოპქონდა.

როცა გოდერძი სასაფლაოდან ბაბოს ჩუმად უკან დაედევნა და შემდეგ სახლამდეც მიჟყვა, იმ დამეს გეგარ დაიძინა — სულ თვალწინ ედგა მომხდარი ამბის სხვადასხვა ეპიზოდი: ხან — მთვარით განათებული სასაფლაო, ხან — როგორ ჩუმად მისდევდა ბაბოს უკან, ხან — მდინარეში მუხლებამდე შესული ბაბო როგორ წვებოდა წყალში... ამაოდ ცდილობდა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი მხოლოდ მოელანდა...

შემდეგ დღეებში მოხარშულივით დადიოდა, მტანჯველ ფიქრებში იყო ჩამირული.

მამუქა ხედებოდა, რა განცდებს დაეპურო მისი გაჟის გრძნობა-გონება, ბაბოს და შოთას ამბავი ხომ მთელ სოფელს მოედო.

რა არის სიყვარული? საიდუმლო თუ აუსსნელი ძალა, სტიქიური, დამმონებელი რამ?

მამუქას უპარიდა: სიყვარულს რატომდაც უმნიშვნელო ადგილი ეპავა მის შემოქმედებაში.. რატომ? ნუთუ მას საერთოდ სიყვარულის ნიჭი არ დაჟყა? თუკი სიყვარულისადმი, ამ შეუცნობელი, გრძნეული გრძნობისადმი ბრძმადა და ყრუ, საერთოდ როგორდა შესძლებს, იყოს შემოქმედი? და მაშ რატომდა აირჩია მან ეს გზა? და მიჟყვება კი რამე გზას? თუ ნაფოტივით მისდევს დღეთა მდინარებას? ალბათ “ქალური” ხასიათი აქს, პასიურია, არ არის წინააღმდეგობათა გადამლახავი...

დიახ, ერთ დროს მასაც უყვარდა, მაგრამ... როცა სატრფო გაუთხოვდა და მერე გამოუთხოვდა, მან ვერ შეძლო სიყვარულისთვის ბრძოლა და მერე მთელი ცხოვრება ნანობს საკუთარ სულმოკლეობას...

მამუქას ძალიან მოსწონდა მისი კლასელი, მეზობლის, ქერივ მალხაზას ერთადერთი ქალიშვილი — იმ უბანში კი არა, მთელ სოფელში სილამაზით გამორჩეული ჩიტო.

მალხაზას ჩვევა პქონდა: თუ გაიგებდა, ვინმეს ფული გაუჩნდაო, მაშინვე სასესხებლად მიცუნულდებოდა — საოცარი ალდო პქონდა, როგორ იგებდა? მერე თვეობით კი არა, წლობით დასდევდნენ, რომ ჩასესხებული თანხა ნაწილობრივ მაინც დაებრუნებინათ. მტირალა იყო, ყველას თავს აცოდებდა, თავს ისაწყლებდა, ვითომ რამდენიმე დღე არაფერი უჭამოს — ფულის უქონლობას იმიზეზებდა...

მამუქა სკოლის შემდეგ თითქმის მთელ დღეს მეზობლად, ჩიტოსთან ატარებდა; ქალიშვილს უკითხავდა საკუთარ ლექსებს, ხშირად მათ ხეხილს რწყავდა, ბოსტანშიც საქმიანობდა — მალხაზა შრომისმოყვარეობით არ გამოირჩეოდა და უმეტეს დროს შინ ვერ ნახავდი, ძმაკაცებში ლაყბობასა და ნარდის თამაშს იყო გადაყოლილი... მამუქა გრძნობდა, ჩიტო თანაუგრძნობდა, მაგრამ ბიჭმა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა — ჯარს მოვივლი ჯერო. სამხედრო სამსახურში ყოფნისას ერთმანეთს ხშირად წერდნენ წერილებს, ერთი წლის შემდეგ კი უცებ შეწყდა ქალის საპასუხო წერილები... როცა სამხედრო მოგალეობის მოხდის შემდეგ მამუქა დაბრუნდა სოფელში, გაიგო ამის მიზეზი: თურმე მალხაზამ იღბლიანად გაათხოვა ჩიტო: მშვენიერი

ქმარი უშოგა – ლამაზი, წესიერი, ძლიერი ოჯახის ერთადერთი შეიძლი. გაუჩნდა შეიძლიშვილი, გოგო. მალხაზა ყველა გამოვლელ-გამომვლელს შესხიოდა: ჩემი სიძე მექალთანეა, ჩიტოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე დალატობსო; იმდენი ქნა, შვილი გააცილა ქმარს, ბავშვი დაიტოვა და მამა-შვილი ზრდიდნენ.

მამუკას ძველებურად გული მიუწევდა ჩიტოს კენ, მაგრამ რატომდაც მასთან მისვლას და დალაპარაკებას აჭიანურებდა...

ამასობაში მალხაზამ მეორედ გაათხოვა ქალიშვილი – ახლაც მდიდარს მისცა ცოლად (წინასწარ გაიგო: სასიძოს მარტოხელა შეძლებული მამიდა გარდაცვლიდა და ანდერძით დიდძალი ქონება და დიდი სახლი მიეღო). ცოტა ხანში, როცა მეორე შეიძლიშვილი შეეძინა, – ამჯერადაც გოგო, – ისევ გააცილა ჩიტო მეორე სიძეს, ბინა და ქონება კი გაუყო და თავისი წილი გაყიდა.

მესამედაც გაათხოვა – ისევ შეძლებულზე. შეიძლიშვილი ისევ შეეძინა, კელავ გააცილა ქალიშვილი ქმარს, ქონება გაუყო და შეიძლიშვილიც – ბიჭი – დაიტოვა...

– პატივცემულო მოსამართლეები, შეიძლი რომ გააჩინა, იმას რჩენა არ უნდა? ალიმენტები უნდა გადაიხადოს! – რეინის არგუმენტს იშველიებდა, მოსამართლის მოსაქრთამაგად უულსაც არ იშურებდა და, რა თქმა უნდა, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა... მხოლოდ საკითხავი იყო, ჩიტო თუ რჩებოდა გამარჯვებული?..

მამუკა კი რომ წაგებული დარჩა, ამაში გვიან დარწმუნდა... თუმცა, იქნებოდა კი იგი ბეჭიფრი ჩიტოსთან? ვინ იცის... ის კი, სულმოქალეობა რომ გამოიჩინა და უბრძოლებელად დათმო მისი საოცნებო ქალიშვილი, ცხადი იყო. ყველაფერი უნდა იღონოს, რომ გოდერძიმ მისი შეცდომა არ გაიმეოროს... თვალწინ მეორე მაგალითიც აქვს – მისი დეიდაშვილი გერვასი.

გერვასის და ბაიას მოსწონდათ ერთმანეთი, მაგრამ ბიჭი ვერაფრით ახერხებდა, ეთქვა გოგოსთვის, მიყვარებარო... ვერ გადაეწყიტა, ცოლად შეერთო თუ არა. ასე გადიოდა დრო, ბაიას მოლოდინი ნაყოფს ვერ იღებდა...

ერთი კაცი სტუმრად ქორწილში მოვიდა ჭადარდიდს, სუფრაზე ბაია მოეწონა და მაშინვე მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა. ეს კაცი არ იყო შესახედავად ურიგო, სხვა მხრივაც უქეს და უაგე რცდათ წელს მიღწეული ბაია დათანხმდა, გათხოვდა სხვა სოფელში...

გერვასი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, საკუთარ თავს ლანძღავდა მერყეობისთვის – საყვარელ ქალს საკუთარი სიბრიუგით შეელია, სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს... გერვასიმ მოსვერტბა და დაჟკარგა, ლამე გათვენებისას თუ ჩათვლებმდა და მაშინაც სიზმრად სულ სანატრელ ბაიას უვლებოდა თავს...

სამი თვის შემდეგ გერვასიმ ვეღარ გაუძლო სულის გვემას, წაგიდა ბაიას სანახავად... იქ დიდხანს ელაპარაკა და, ბოლოს, დაითანხმა ქალი და წამოიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ბაია უძვე დაფეხმიმებული იყო...

ბაიას ეყოლა ბიჭი, შემდეგ კი – უაგე გერვასისგან – კიდევ ოთხი შეიძლი...

თუმცა, ნაცნობების ამბავი რა მოსატანია, საკუთარი ქალიშვილის მაგალითი თვალწინ არ აქვს?

მამუკას უფროსი ქალიშვილი, ქალთამზე, მზევინარს ჰერგე გაჭრილი ვაშლივით – დედასავით დაბალია, ფუნთუშა, პირმრგვალი, ოღონდ თვალების ფერი მამისგან გამოჟყვა – თაფლისუერი – და თმაც მუქი აქვს.

დედისგან განსხვავებით, გათხოვება არ გასჭირვებია: საშუალო სკოლის დამთავრებისას, ბოლო გამოცდა რომ ჩაბარა, საღამოს მეგობრებთან ერთად კინოში წაგიდა ჭადარდიდის კლუბში და... დაიკარგა!

კინოფილმის ნახვის შემდეგ თანაკლასელები ერთ-ერთ ოჯახში შეიკრიბნენ, რათა საზეიმოდ აღენიშნათ დიდი მოვლენა, ახალი ეპოქის დაღგომა მათ ცხოვრებაში, მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, ქალთამზე მათთან ერთად არ ყოფილა! მაშინ ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არავის მოუქცევია, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა მზევინარმა და მამუკამ მთელი ჭადარდიდი დაიარეს უზომოდ დაგვიანებული ქალიშვილის ძებნაში, ყველამ დაიწყო ამბავის ჩხრეკა-ძელევა... ბოლოს, მათმა უმცროსმა ქალიშვილმა, მზიამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო: დაინახე, როგორ ჩაუჯდა მანქანის კაბინაში ბეჭანა კინომექანიკოსს, ალბათ რაიონულ ცენტრში წაჟყვარ...

მამუკა მაშინვე მის ნათლულთან, გიგა შოფერთან მივარდა შინ – უკვე თითქმის თენდებოდა – და სასწავლოდ რაიონულ ცენტრს მიაშურეს. იქ მიადგნენ ოლიმპიადას უფროს დას: აქაურ ხალხს შენ ალბათ ყველას იცნობ და ისიც გეცოდენება, საღ ცხოვრობს ის თაგხედი ბეჟანა კინომექანიკოსი, მაგრამ ამაღდ, ვერაფერი გაიგეს... შემდეგ გავარდნენ რაიაღმასკომში – კულტურის განვითარებაში გავიგებთ მისამართსო... მათ ვერც იქ უშველეს.

გამოსავალი ისევ გიგა შოფერმა იპოვა:

- რა ჰქეიდ იმ ჯიგიტსა?
- რა, დაჭმუჭმნას ხომ არ უპირება? ჯერ კარგად გავიგოთ, იქნებ ის კაცი არაფერ შუაშია...
- უპასუხა მამუკამ.
- კაცო, შენ მისი სახელი გამახსენე...
- ბეჭანა...
- ეგ ბეჟანა კინომექანიკოსიცაა და შოფერიც, ესე არ არის?

- ჰო, ესეა...
- მერე, ოჯახაშენებულო, აქაურ შოფტებს თითქმის ყველას ვიცნობ, გარაუში მივიდეთ, ისიც შოფტერი არ არი?

მართლაც, კითხვა-კითხვით მიაკვლიეს ბეჭანას – კინომექანიკოსისა და, შეთავსებით, შოფტის – საცხოვრისს...

ქალთამზესა და ბეჭანას ჯერ კიდევ ეძინათ, თუმცა უკვე შუადღეც დამდგარიყო. მამუკას ჯერ უნდოდა, აყალმაყალი აეტება, ბეჭანასთვის ცხვირ-პირი დაელევა – გიგა შოფტის დათვის ტორების იმედად თუ იყო! – და ქალიშვილი წამოევგანა, მაგრამ სწორებ გიგამ დააშოშმინა და ურჩია: ყველაზე ჭერიანური იქნება, ბერს შეურიგდე და ახლავე მივუსხდეთ სუფრას, ხომ ხედავ, გუშინდელი გაშლილია და ჩვენთვისაც საქმაოდ დარჩენილა სასმელ-საჭმელიო...

რა თქმა უნდა, მამუკამ ქალთამზეს უსაყვედურა, არ უნდა მოქცეულიყავი ამგვარად, მშობლებსა და და-ძმას გულები გაგვიხეთქეო; ქალიშვილმა უპასუხა: მომბეზრდა შინ ყოველდღიური ჩხუბი და დავიდარაბა, ახლა ცოტა დავისვენებო; კიდევ მზია მეცოდება ძალიან და თუ ისევ განაგრძეთ შენ და დედამ გაუთავებელი კინკლაობა, ჩემს დას აქ წამოვიყვან ჩემთანო...

აი, ეს მაგალითები დაუდგა მამუკას თვალწინ, როცა ვაჟიშვილის ქცევას აკვირდებოდა.

მამუკამ ერთხანს აცალა შვილს, რომ ცოტა დაწყნარებულ-დალაგებულიყო, შემდეგ, დაინახა რა, რომ გოდერი ისევ დანალვლიანებული რჩებოდა, გაბრაზებულმა უთხრა:

– რა თავში ჩარტყმულივით ხარ, ყველას შეუძლია შენი დაბრიყება და დაჩაგრა!..

– თავი დამანებე რა, ჩემი საქმისა მე ვიცი... – უხალისოდ უპასუხა გოდერიმ, ეტყობოდა, საერთოდ ისეთ მდგომარეობში იყო, მართლაც უჭირდა ლაპარაკი, განსაკუთრებით – ბაბოსთან მიმართებაში.

– შინ კი დიდი გული გაქეს, მარტო მე მიბედავ სიტყვის შებრუნებას... დედაშენი არ მყოფის და შენც მე მექამათები ყოველ წერილმანზე. მასთან კამათს, კარგა ხანია, თავი დაგანებე, არაფერს ვასუხეობ, რადგან აზრი არ აქვს, შენ კი ცოტა გაანძრიე ტვინი, ბიჭო, ბავშვი ადარ ხარ... მამაშენი რასაც გეტყვის, ზოგჯერ მაინც დაუჯერე, რჩევა გაითვალისწინე... მე ვარ დამნაშავე, რომ ვერ გრძნობ თავს ძლიერად, თავდაჯერებულად... დიახ, ჩემი ბრალია – ვერ გაგზარდე მებრძოლად... იქნებ ზედმეტიც არის ჩემგან რჩევა, ალბათ მაინც ვერაფერს გიშველი.

– რა უნდა მირჩიო, მე თვითონ გავარკვევ ყველაფერს.

– კეთილი, ბატონო... მე ჩემსას მაინც გეტყვი და დანარჩენი მერე თვითონ გადაწყვიტე... კი გიჭირს ამ თემაზე საუბარი...

– რა თემაზე? – ვითომ გაიკვირვა გოდერიმ.

– ბოდიშს ვიხდი, ვიცი, არ გითამოვნებს, რომ შენს ამბავში... საქმეში... არა, ნუ გეშინია, არაფერში ჩავერვე, თუმცა მე შენი მამა ვარ და ორ სიტყვას მაინც გეტყვი და გოხვა, მომისმინო... ბაბო შეცდა, ზოგი ქალი, ხომ იცი, ბუნებით სუსტია, მიმნდობი, მაგრამ გულით არ არის ცუდი გოგო... თუ მაინც გადაწყვეტ მის ცოლად მოყვანას, ცოტა გაინძრი, შინ არავინ მოგიყვანს... თვითონაც თავმოყვარეობა აქვს, უნდა გაითვალისწინო მისი მდგომარეობა... არ მოეშვა... თუ მართლა გიყვარს, ერთ შეცდომას აპატიებ... ოღონდ მერე ყველობა არასდროს დაუწყო, არ იქნება ვაჟებაცური... ერთსაც გეტყვი: დროზე მიხედვ საქმეს!.. და კიდევ: ცოლს რომ ითხოვ, აქ არ მოიყვანო, ცალქე იცხოვრეთ: მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ დაუმთავრებელ სახლში მისი მოყვანა სირცევილია, რაც მთავარია, მზევინარი ცოცხლად შეჭამს!..

\* \* \*

მოულოდნელად ბაბოს ციხისუბანში მიაკითხა თარსმა ტასომ, ჭიშკარიდანვე ყვირილი დაიწყო:

– გოგო, სასიხარულო ამბავი მომიტანია: ბედნიერება გეწვია – მამუკა კალმახაურს დიდ ხანია უყვარსარ და ცოლობას გოხვეს!. მომილოცახს!

– რას მილოცაგ, ტასო დეიდა, გოდერის როგორ გავყვე! – ციფი უარი სტკიცა ბაბომ.

– რას უწუნებ? ის მტკიფანი ფეხი არაფერს უშლის, სხვა მხრივ კი მაგის მჯობნი ბიჭი რომელია მთელ სოფელში!. – გაღიზანების გარეშე, რბილად განაგრძობდა საუბარს გამოცდილი მაჭანკალი. – სანამ შენამდე მოვალწევდი, წყურვილით მოვგვდი... ერთი ჭიქა წყალი მომირბენინე და ცოტა პურსა და ყველსაც თუ მოაყოლებ, მოლად კარგი გოგო იქნები...

ეზოში მაშინვე გაუწყვეს ტაბლა, ტასო ილუქმებოდა და თან საქმესაც არ ივიწყებდა:

– აბა, ბევრი ფიქრი ზედმეტია, დამიჯერე, არ წააგებ! ვითომ რატომ ვერ წაჟვები?

– არა, ტასო დეიდა, მე ჩემს გასაჭირს გგულისხმობდი: გოდერი კარგი ბიჭია, მაგრამ მე აქაც აღარ დამედგომება – ნაძრახი ქალი ვის რად უნდა... უპა ვემზადები ქალაქს წასასვლელად, საღმე საავადმყოფოში ან პოლიკლინიკაში მუშაობას დაგიწყება...

– მოიცა, გოგო, რა გეჩეარება, ბედი კარს მოგდომია და მისთვის ხელის კვრა შენგან დიდი სისულელე იქნება... – განაგრძობდა ბაბოს დაყოლიებას ტასო.

– არა, არა... არ გამოგა ეგ საქმე!

ბევრი სიტყვა დახარჯა ტასიკომ, ხან აქედან მოუარა, ხან მის მშობლებს ეჩურჩულა, მაგრამ ბაბო გერაფრით დაითანხმა. ტასო გემრიელად გამოძღვა, დაისვენა კიდეც და წასვლისას ბაბოს უთხრა:

— კარგი აბა, მე წავალ და შენ კარგად დაფიქრდი... ორ-სამ დღეში ისევ გამოვივლი და პასუხი დამახვედრე... კარგად აწონ-დაწონე, მერე სანახებელი არ გაგიხდეს ნაჩქარევი უარი... გოდერძის უყვარხარ, ხელს ნუ ჰქონავ... იფიქრე, იფიქრე, შეილო...

თარს ტასოს რამდენჯერმე კიდევ მოუწია ციხისუბანში სტუმრობა, ყოველ მისვლაზე წასვლას არ ჩქარობდა, კარგადაც მოილხენდა, მაგრამ მისი ყოველი ცდა, ბაბო გათხოვებაზე დაუყოლიებინა, მარცხით დამთავრდა.

ერთხელ გოდერძიმაც ააკითხა ბაბოს ციხისუბანში – ცხენით ფუჭად აჯირითდა, მის მიერ გაზრდილი თოვლათი. ეს თოვლა, ჯერ კიდევ კვიცი, მისამ ორი წლის წინათ აჩუქა გოდერძის, რომელიც მასთან მჟედლის შეგირდად მუშაობდა და მომავალში ალბათ მისას შეცვლიდა სამჭედლოში – მიაგნო საბუთარ მოწოდებას...

ბოლოს, გოდერძიმ, მამის დაუინებული თხოვნით, გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ეცადა ბედი და უკანასკნელად წვეოდა ბაბოს ოჯახს...

ამჯერად გიგა შოთა აიყვანა ციხისუბანში თეთრი ფერის “ვოლგით” (ხოსროს რომ ეს ამბავი გაეცო, არ ვიცი, გიგას თავს რას დააწევდა...).

ბაბო გაძვირებული იყო გოდერძის შეუპოვრობით და, თაგზადუნული, სულ იმას პასუხობდა, ნაძრახი ქალი რად გინდა, ქვეყანაზე ჩემს მეტი არავინააო? ბაბოს მშობლები მათ საუბარში არ ერეოდნენ, ყველაფერს შორიდან უკეროდნენ, მხოლოდ გიგა შოთერი შეიყვანეს შინ და იქ პატარა სუფრაც გაუშალეს...

ბოლოს, გოდერძიმ ყოყმანი შეატყო ქალს, ხელი მოხვია და, თაგზაქინდრული, თითქმის ძალათი გაიყვანა ეზოდან (ბაბომ ცხადად შეიგრძნო ბიჭის არა მხოლოდ ფიზიკური, – სამჭედლოში დილიდან სადამომდე ჩაქუჩის ქნევას და ხარ-ცხენების დაჭედვაში დახმარებას უგადოოდ არ ჩაუვლია! – არამედ სულიერი სიძლიერეც და ხმა არ ამოულია), მერე ჩასვა მანქანაში...

გახარებული გიგა ღვევა-ღვევით მაშინევ გამოვარდა სახლიდან, თან ბაბოს რაღაცით დამურთხალ მშობლებს მოდენიდა, თქვენც წამოდით ჩქარაო; აფორიაქებულმა ბაბოს მშობლებმა საჩქაროდ ჩაიცვეს საგარეო ტანისამოსი, ჩასხდნენ მანქანაში და ყველანი სულ სიგნალის გაბული ჭყვირილ-ჭყვირილით ჭადარდიდს გაეშურნენ...

მზევინარი ჯერ კოპებშეკრული იძლევირებოდა:

— არ მინდა, შერცხვენილი ქალი ჩემს წმინდა ოჯახში შემოვიდეს!.. მამუქას ცოლის თხოვის დრო კია, მაგრამ შენ სულ არ ფიქრობ შვილზე!.. სულ არ გადარდებს მისი მომავალი!.. მეც ფეხზე გიგიდივარ!..

შემდეგ, როცა მამუქამ გეერდზე გაიყვანა და, დიდი ძალისხმევით, როგორც იქნა, დააშოშმინა, ქალმა ახლა სხვა სიმღერა წამოიწყო:

— კარგი, ბატონო, მე ხელს არ შეგუშლი, ვინც მას გულით უნდა, ის ითხოვოს, მაგრამ აქ სად უნდა მოიყვანოს, ამ დანგრეულ სახლში? ამდენი ხანია, ერთი სახლის აშენებას ვერ მოაბითავი, კაცი ხარ შენ?..

კარგა ხანს ჯიჯლინებდა...

იმავე სადამოს მამუქას ოჯახში სახელდახელო სუფრას მიუსხდნენ ციხისუბნიდან ჩამოსულნი, გოდერძის ოჯახის წევრები და რამდენიმე მეგობარი, აგრეთვე – გაბრიელ ადგომელაძე, მისამუხაიე და ოლიმპიადა. როცა ოლიმპიადა გიტარაზე დამწვრის სიმღერებს არაკრაკებდა, მზევინარი მაშინაც სულ წარბშეკრული იყო...

მამუქა არ შემცდარა და არც გოდერძი – ბაბო კარგი მეოჯახე ქალი გამოდგა, შრომისმოყვარე და ზნეკეთილი, მზევინარიც კი მოიმადლიერა და იმდენად, რომ მამუქა აღარ ფიქრობდა გაჟიშვილის ცალკე დასახლებაზე. მამუქა გაკვირვებული იყო: ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ მზევინარი ვინგეს შეეგუებოდა; იქნებ ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ მზევინარს მამალი გრიპი შეეყარა, რომელიც შემდგომ ფილტვების ანთებაში გადაეზარდა და ბაბოს რომ პენიცილინის ნემსები არ გაეკეთებინა, იქნებ საიქიოსაც გამგზავრებულიყო. მამუქა გახარებული იყო: ამ ერთ რამეში მაინც გაუმართლა, მშვენიერი რძალი შეხვდა და არა მხოლოდ გარეგნობით – ბაბოსთან მშვიდად და ბედნიერად გრძნობდა თავს. ხშირად მას აკითხებდა ხოლმე ახალდაწერილს, გოდერძისაც კი არ ხდებდა ამგვარ პატივს...

შემოქმედების გარდა, კიდევ ერთი მარადი საფიქრალი პქონდა – სახლი! ასაშენებელი სახლი! დიდი ხნის წინ დაწყებული და აქამდე დაუმოავრებელი...

სოფელში ცნობილმა მშენებელმა გოგია ციხურაშვილმა შეიცოდა და დაპირდა – როგორც კი ქაიხოსროს გალს მოვიშორებ და სახლს გადავუხურავ, ჩემს საბუთარ სახლსაც კი საბოლოოდ არ დაგამოავრებ, მაშინვე შენს გერედით მიგულე, მოკლე ხანში შენს სახლს დაგამოავრებინებო.

მამუქა ძალიან გახარებული იყო, მაგრამ ვაგლახა!..

### ქარი XVIII. გოგია ციხურაშვილი და ნინიკა

ქაიხოსრო ტურიკაშვილისთვის უზარმაზარ, როგორც ჭადარდიდელებმა დაცინებით უწოდეს – “სათავადო”, სახლს მთელს იმ მხარეში ცნობილი და დაფასებული ოსტატი გოგია ციხურაშვილი აშენებდა.

გოგიას მეტსახელად მოცლილოს უძახიან: ერთ წუთს გაჩერებულს ვერ ნახავ, მარად დაძაბულია, საქმით მეტისმეტად დაგავავებული პაციის იერი აქვს, სულ რაღაცას ჩირთიფირთობს... სალაპარაკოდ ნაცნობ-მეგობართანაც კი არ გაჩერდება, მოკლედ მიუგდებს: “გამარჯობა!” – და ჩქარი ნაბიჯით გააგრძელებს გზას. თუ თხოვენ, ერთ წამს მოიცადე, ამოიქავანე, ორიოდე სიტყვა გავცელოთ ან აგერ რობიზონასთან სასადილოში შევიდეთ, ორი-სამი ჭიქს დვინო გადავკრათო, მაშინვე მიუგდებს: “ეჲ, მოცლილი ჩანსარ, გეტყობა, ბედნიერი კაცი ხარ!” და სასწრაფოდ გაცელება, თითქოს ჭირიანს გადაეყარაო. კი არ დადის, დარბის... ჭამის დროსაც კი წესიერად დაღეჭვისთვის ვერ იცლის და თითქმის მთელ-მთელ ლუქმებს ყლაპავს. წევრის მოსაპარსადაც კი დროს არ კარგავს და ხუჭუჭა შავი წევრით დაიარება, ბოშას ჰყავს. დაბალია, მაგრამ ისეთი ჯანიანი, რომ ხის მძიმე კოჭის ცალ მხარეს რომ თამაშ-თამაშ ასწევს, მეორე მხარის ასაწევად ორი-სამი კაცია საჭირო. მუშაობისას ზამთარ-ზაფხულ წელზევით მხოლოდ მაისური აცვია, სქელი მელავები ოფლისგან უბზინავს, მკერდსა და ზურგზე ოშივარი ასდის...

გოგიას ცოლი, ნინიკა, გამხდარი, კაფანდარა ქალი, პირიქით – მეტისმეტად დინჯად, აუზქარებლად ირჯება, შეიძლება ითქვას – ზანგია. ქმარი მარად ეჩხებება: გამოიღვიძე, ქალო, დროზე გაანძრიე ხელი, ხედავ, ცეცხლი მიკიდიაო და ხელიდან გამოგლეჯს ცოცხს, თუ ნინიკა პგვის, ან ჩამჩას, თუ კერძს უსხამს მათლაფაზე. ქალი არაფერს აპაულის, თდესდაც ლამაზ, ახლა ნაადრევებად მოძერებულ სახეზე საყვედურს მაინც ვერ ამოიკითხავ!

საკვირველია, როდის მოახერხსა ცოლის მოყვანა? ათ წელზე მეტია, ერთად ცხოვრობდნენ, შეიძლი არაფრით ეყოლათ, თუმცა არც ექიმები დაუკალია ცოლისთვის და არც ექიმბაშებში სიარული...

მოკლედ რომ მოგახსენოთ, გოგია დღესა და დამეს ასწორებდა, რათა საოჯახო ხარჯებსაც გაწვდენოდა, სახლის მშენებლობაც წინ წაეწია და, რაც მისთვის მთავარი გახლდათ... სანუკვარი ოცნება აესრულებინა – მანქანა ეყიდა!

ერთხელ, როცა მშობლიურ სოფელში უნდა დაბრუნებულიყო, საყიდლებით დატვირთული იდგა ავტობუსების სადგურზე და რაიმე ტრანსპორტს ელოდა – ხალხით გამეტგილ ჭადარდიდის ავტობუსში ცხვირიც ვერ შეყო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ბედმა გაუდიმა – ჩამოირა ავტომანქანა “ნივით” მისმა მეზობელმა და სახლამდე მიიყვანა. როცა სოფელში შევიდნენ, მანქანის მფლობელს შემხვედრი მოწიწებით ესალმებოდნენ... გოგია შურით აიგსო: მისი კეთილისმყოფელი მასზე ბევრად ახალგაზრდა იყო, არც განსაკუთრებული ცოდნა-განათლებითა და მუქაითობით გამოირჩეოდა და აგე – კარგა ხნია, მანქანით დანავარდობდა... მან კი მოტოციკლიც ვერ იყიდა, არადა, რამდენი წელია, ვირიგით შრომობს...

მას შემდეგ გულში ჩარჩა: გინდაც მოკვეთს, მანქანის შესაძენი ფული უნდა მოაქუჩოს! ეყო ამდენი წელი სამშენებლო მასალების თრევით წელის წყვეტა – ერთხელაც ჭადარდიდში საკუთარი მანქანით უნდა აგრიალდეს!

და როგორც იქნა, ერთი თვის წინათ შეიძინა ავტომანქანა “ნივა” – მართალია, ნახმარი, მაგრამ საქმარე კარგად შენახული...

ახლა კი გოგია კედება – საკუთარი დაუმთავრებელი სახლის ქვედა სართულზე, დიდ სამზარეულო ოთახში... მეორე სართულზე ოთხი ოთახი კი აქვს (წინ კიდევ – განიერი და გრძელი აიგანი), მაგრამ ახალგალესილებია, სინესტის სუნი ჯერ მძაფრად იგრძნობა და, რაც მთავარია, მაღლა ასასელელად მისადგმელ კიბეზე ვეღარ შეძლებდა აძრომას – თიაქარი სჭირდა. კაპიტალური კიბის ასაშენებელი ფული ახლა თითქმის შეაგროვა გოგიამ, მაგრამ ჩანაფიქრის ასრულება არ დასცალდა...

როგორც მოგახსენეთ, ქაიხოსრო ტურიკაშვილისთვის დიდ, “სათავადო” სახლს აშენებდა მეზობლად და გარდაცალებამდე რორი კვირით ადრე დაამთავრა მისი თუნუქით გადახურვა... ახლა იქიდან ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ლხინის ხმები ისმის, უფრო მართალი გიქნები, თუ ღრიანელს ვეწოდებ – ალბათ ქაიხოსრო ტურიკაშვილმა დანარჩენ მშენებლებს, გოგიას “ბრიგადის” წევრებს, სუფრა გაუშალა და წესითა და რიგით იქ უნდა მჯდარიყო საპატიო ადგილზე გოგია ციხურაშვილიც...

ამ სახლის მფლობელი გოგიას ახალი მეზობელი – თაგმჯდომარის ვაჟი, ბესა ტურიკაშვილი, გახლავთ; მოქეიფე, დარღიმანი ბიჭია, მაგრამ ცუდი გულის არ არის, ოღონდ ცოტა ფუქსავატი ჩანს და უნებისყოფო. ორი წლის წინ ცოლი ითხოვა, უფრო სწორედ, ქაიხოსრომ შერთო ქალაქელი ქალიშვილი შეძლებული ოჯახიდან. ერთი ჭირი ის იყო, რომ რძალმა თავი მოიკლა, არ მოინდომა დედამთილ-მამამთილთან და ტურფასთან ცხოვრება (ტურფას შესაფერისი საქმრო ვერაფრით მოუძებნა ქაიხოსრომ, არადა უფროსი იყო მმაზე)... ქაიხოსრო ტურიკაშვილი იძულებული გახდა, ეყიდა გოგიას გვერდით ქალაქს გადასახლებული ერთი ჭადარდიდელის კარ-მიდამო მშენებერი სახლით. სახლი ერთ თვეში დაანგრევინა, სამირკველიც კი მოშალა მირფესვია-

ნად და სრულიად ახალი, უზარმაზარი სახლის შენება დაიწყო. სულ რამდენიმე თვე იყო გასული მშენებლობის დაწყებიდან და უკვე გადახურეს კიდეც... ორ-სამ თვეში მთლიანად მოთავდება ამ სახლის მშენებლობა, ბეტონის მაღალი დობეც შემოველება დიდ ეზოს – ბატონ ქახოსროს რა დაუშლის? ფული ყოვლისშემძლეა... მერე ტურფასაც გაათხოვებს და ის და მისი ცოლი ტერზა ძეველ სახლში მარტონი დარჩებიან მოსვენებულად...

გოგია კი უკვე ათი წელია, ნელ-ნელა აკოწიწებდა საძუთარ სახლს და მის დამთავრებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდებოდა... ბევრჯერ ინანა, რომ უფრო მცირე სახლის აშენებით არ დაკმაყოფილდა, მაგრამ გვიანდა იყო თითზე კერანი: სიხარბით, უზომო შრომით თიაქარი გაუწნდა; არ მიხედა დროზე (“საქმე, საქმე”), გაუჭედა, ანთება დაემართა, გაუმიზეზდა და დაგვიანებულმა ოპერაციამ ველარ უშველა – მოკვდა...

იწვა, სასახლეში ჩასვენებული, გაჭიმული, პაპისეულ ტახტზე გაუნდრევლად, თითქოს ეშინოდა, ძველთაძველ ტახტს ჭრიალი არ დავაწყებინო და ხელი არ შემეშალოს მეზობელი სახლიან მოდენილი დოლ-გარმონის ჭყვიტინისა და აცაბაცა, არეული სიმღერის მოსმენაშიო...

გოგიას ქვრივი, ნინიკა უცებ, ორ თვეში გათხოვდა! ოცდახუთი წლით უფროსმა კაცმა, მიხას უფროსმა მმამ, თითქმის სამოც წელს მიღწეულმა ნიკა მუხაიძემ ითხოვა... და წლისთავზე ბიჭიც შეეძინათ – ბაგრატი!

ერთი თვის შემდეგ მათ მეზობლებსაც, ბესასა და მის მეუღლეს, შეეძინათ დიდი ხნის ნანატრი შეილი – გოგოს ნატრული დაბარევეს.

მთელი სოფელი დაეხმარა ნინიკასა და ნიკას და კიდევ ერთ წელიწადში სახლის დამთავრება შეძლეს.

## ქარი XIX. თარიელ მიხაი ზე და თამარ

ნიკა ტარიელ მუხაიძის უფროსი ვაჟი გახლდათ.

ტარიელა თოხმოც წელს კარგადაა გადაცილებული, ათი წელიც იქნება, სულ იძახის, ასი წლისა გარო.

ტარიელას პირველ ცოლს თამარი ერქვა; საწყალი, დიდხანს აგადმყოფობდა; გარდაიცვალა, როცა მისი სამიერ ვაჟი ფრონტზე იყო წასული და უმცროსი ბიჭის, მახარეს, დაღუპვის ცნობა მოუვიდათ – ამ ამბავს გადაყვა...

როცა მიხა ჩამოვიდა ჯარიდან, შინ უფრო ადრე დაბრუნებული უფროსი მმა ნიკა, დედინაცვალი, ისიც სახელად თამარი და... სამი თვის მმა დახვდა. პატარა მაზლი სანახევროდ მიხას ცოლმა, ოლიმპიადამ გაზარდა, სანახევროდ კი არა, თითქმის მთლიანად: მეორე ცოლი, თამარი და ტარიელა ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, თუმცა ერთ შენობაში.

ტარიელას პირველი ცოლისგან სამი ბიჭი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, როგორც მოგახსენეთ, ყველაზე უმცროსი ვაჟი – მახარე – ფრონტზე დაეღუპა, მან დაცოლშვილება ვერ მოასწორო; ტარიელა მის პენსიას იდებდა და სულ მახარეს ქებაში იყო, დანარჩენ შვილებს – ყველას აგინებდა. ქალიშვილი დიდი ხანია, სხვა სოფელში იყო გათხოვილი, მეორე ცოლისგან შეძენილი ბიჭიც დაოჯახდა და რაიონის ცენტრში მშენებლობაზე მუშაობდა; ტარიელასთან დიდ სახლში დარჩენ მისი მეორე მეუღლე, თამარი, მარტოხელა უფროსი ვაჟი, ნიკა, და მეორე ვაჟი, მიხა, ოჯახითურთ.

ნიკა მუხაიძე ჯარიდან ბრძოლებში მიღებული მრავალი ჯილდოთი დაბრუნდა და მოკლე ხანში დაუფასეს თავდადება – პარტიის რაიონულ კომიტეტში დაიბარეს და ბრიგადირად უნდოდათ დაენიშნათ. შემოთავაზებაზე ნიკამ მაშინვე უარი განაცხადა. როცა მიზეზი პეითხეს, ნიკამ ჩვეული პირდაპირიბით უპასუხა, რომ ჭადარდიდხევში, ამ მთის მცირემიწიან სოფელში, საერთოდ რა კოლმეურნებანას თამაშია საჭიროო... ნიკას სიტყვებმა ფრიადი გაკვირვება გამოიწვია თთაში მყოფ ბიუროს წევრთა შორის და როცა ცოტა გონს მოვიდნენ, ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა ცხარედ განუცხადა: შენ, პატიცებმულო მეგობარო, მეტისმეტად გრძელი ენა გქონია, კარგად არ გცოდნია, სად რა უნდა ილაპარაკოო... მომდევნო კეირაშივე ნიკა დაიჭირეს, სასწრაფოდ გაასამართლეს და შორს გადასახლეს – კიდევ მაღლობელი იყავი, რომ წინა დამსახურებამ გიშველა და გრძელმა ენამ მხოლოდ გზას გაგიყენა, თორემ ბევრად უარეს შედეგსაც მოიმედიო...

ციმბირის ჩრდილოეთში გადასახლებული ნიკა მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში; იქ დაოჯახებული იყო, მაგრამ ცოლმა რატომდაც არ ისურვა, ქმარს გამოყოფილოდა საქართველოში, ერთადერთი შვილიც, ვაჟი, რომელიც უკვე სკოლაში დადიოდა, თავისთან დაიტოვა. ნიკამ ჭადარდიდს დაბრუნებისთანავე მამაპაპისეულ სახლს ეზოს მხრიდან გაბრიელას დახმარებით ფიცრული საღვრომი მიუშენა და დროებით იქ დასახლდა, ერთი წლის შემდეგ კი გოგია ციხურაშვილმა იმ ფიცრულის ადგილზე მეგიდრად ნაგები ერთი ოთახი და სამზარეულო ჩაუდგა. იქ საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა ნიკა ნინიკას ცოლად შერთვამდე და და მასთან გადაბარებებამდე.

ტარიელა მარტო ცხოვრობს დიდი სახლის ნახევარსარდაფში, ცოლი – სხვა მხარეს, ცალკე ითახში... ცოლს არ ელაპარაკება, მიხას, რძალს და შვილიშვილებს სულ ეჯიჯდინება – მცირე რამეზეც კი. უფარს: მოხარშული ქომში, კანფეტები და ცაცხის ჩა. უფლაფერი ეს გამოულევა ლად აქეს; არავის ახსოვს, რომ რომელიმე შვილიშვილისთვის ერთი კანფეტი მაინც მიეწოდებინოს... რძალს, ოლიმპიადას, მაინც ეცოდება – ყოველ შუადგეს გარედან გააღებს მისი სენაკის ფანჯარას და ჯამით საჭმელს შემოუდგამს რაფაზე.

ბაღიც კი გაყოფილი აქვთ ტარიელასა და თამარს. ერთი დიდი კომშის ხე უდგათ ბაღში, საზღვარზე და ამ ხის ნახევარი პაპის მხარეს იწვდენს ტოტებს, ნახევარი – თამარისა. შემოდგომისთვის დიდი ჩეუბი აქვთ ხოლმე ცოლ-ქმარს – ერთმანეთს ადანაშაულებენ, ქომშის მპარავო.

მიუხედავად იმისა, რომ თამარისთვის მიხა გერია, მიხას შვილებს უპარ ეპურობა, ვიდრე ნაღდი პაპა – ტარიელა; თამარს ტარიელაზე ბევრად მცირე, მხელოდ მოხუცებულობის პენსია აქვს, რადგან არასდროს უმუშავია, – მიხას შვილებს ზოგჯერ კინოს ფულს მაინც აძლევს.

ერთხელ ერთი შვილიშვილი, უკვე ქალიშვილობაში შესული მაყვალა, პაპის ბაღში თუთაზე აძვრა – რატომდაც ძალიან მოუნდა.

მიუხერო ტარიელამ და გინგით აიკლო: ახლავე ჩამოეთრიე ხიდანო. თავმოყვარე ქალიშვილს ძალიან ეწყინა...

გამოვარდა ოთახიდან თამარი და ქმარს უყვირა: “შე ოხერო, არ იცი, რომ თუთა ბაგშეგისაა?”

ნაბოლარა მაყვალა განსაკუთრებით უყვარდა მიხას, შვილებში გამოარჩევდა და ყოველმხრივ ანებივრებდა. განსაკუთრებით სიამოვნებდა სხვათა მხრიდან ნაბოლარა შვილის შექება და ხშირ-ხშირად ტრაბახობდა, მაყვალასნაირი ჭეკიანი, ნიჭიერი, ლამაზი და ზნეკეთილი სხვა ვინ არის მთელ სოფელში. მაყვალას მამისგან ხმამაღალი სიტყვა არ ახსოვდა, ვინმე ოდნავ მაინც თუ აწყენინებდა, მაშინვე მიხასთან გარბოდა საჩივლელად და ვაი დამანაშავის ბრალი!

ახლაც, საღამოს, საჭკედლოდან დაბრუნებულ მიხას ჭიშკართან შეეგება მაყვალა, აზლუქუნდა და იმ დღის სასტიკი შეურაცხყოფა ამცხო – პაპამ თუთიდან ლამის ჯოხით ჩამომაგდოო...

მიხას მამას არაფერი უთხრა, ცოლს კი, ოლიმპიადას, უბრძანა – ამიერიდან არ გაბედო ტარიელასთვის კერძის მიცემაო. ოლიმპიადამ გამდგრინგარებულ მიხას თანხმობა განუცხადა, მაგრამ შემდგომ ჩუმ-ჩუმად ძველებურად განაგრძობდა მამამთილისთვის კერძის თევზით შემოგმას რაფაზე – მაინც ეცოდებოდა...

## გარი XX. მიხა მუხაიძე და ოლიმპიადა

მიხა მჭედელს მარად თეთრი ცხენი ჰყავდა, ყოველთვის – ძალიან ლამაზი, ყიდვისას საგანგებოდ არჩევდა ხოლმე და ამ საქმისთვის ფული არასდროს ენანებოდა; თვითონ ბრგე, მოსული ტანისა იყო, ვაჟკაცური შესახედახობისა და ახალგაზრდობისას, როცა სოფლის ერთადერთ გზაზე, ცხენზე ამხედრებული, ქერა ქოჩორაფშეკილი, გაივლიდა (უფრო – დილა-საღამოს, საჭკედლოში მიმავალი და იქიდან მომავალი), ქალებს მასზე თვალი რჩებოდათ, განსაკუთრებით – ოლიმპიადას, სოფლის ბიბლიოთეკის გამგეს. მაშინ ახალდამთავრებული პეტრი და საბიბლიოთეკო სასწავლებელი და სამუშაოდ ჭადარდიდში გაამწევეს.

თავის მხრივ, მიხასაც იზიდავდა ოლიმპიადა – ნასწავლი ქალიშვილი იყო, რაიონულ ცენტრში მცხოვრები კულტურული ოჯახიდან; მისი სახელი ისეთი ცცხო და უცნაური იყო, რომ სოფლებში მხოლოდ ამის გამოც შეეძლო, გამოეწია პატივისცემის გრძნობა. ტანად დაბალი, ჩამრგვალებული, შავგვრემანი გოგო იყო; სახის მარილიანობით გერ დაიკვენიდა, ოდნავ მოზრდილი ცხეირიც ამშენებდა, სამაგიეროდ, მკერდსაგე ქალებს დიდი, თაფლისფერი, ცოცხალი თვალები პეტრი და მხიარული სიცილი იცოდა, მშვენიერი სიტყვა-პასუხით, სანაქებო ზრდილობითა და ყოფაქცევითაც გამოიჩინდა; ერთ ქალად კი მარტო ის დირდა, გიტარაზე რომ სიმღერას ტანილად დაარაგრაკებდა... ამან ყველაზე უფრო მოხიბლა მიხა მჭედელი, სიმღერა უყვარდა.

მიხა ახალი ჩამოსული იყო ფრონტიდან – პრაღაში შეხვდა გამარჯვების დღესასწაულს; თან ჩამოიტანა სამი შეხორცებული ჭრილობა, ამოუღებელი ტყევია თავში და ისეთი მოხარშულ-დაშაშული ფეხები (სტალინგრადიდან პრაღამდე მთელი საბრძოლო გზა ფეხით გაიარა!), რომ მისი საოცრად დიდი და მაგარი კორების ცხელ წყალში დაბილებასა და შემდეგ ბასრი დანით ჩამოთლას მთელი კვირა მოუნდა... აუხდა ოცნება – თითქმის ხუთი წლის განმავლობაში ერთი ნატერა მარად სდევდა თან: ნეტავ ჩემი სახლის კარების წინ კიბეზე დამსვა და ცოტა ხანს მაურებინა ეზო-მიდამოსთვის და მერე თუნდაც მოგვდეო...

მიხამ ერთი თვე დაისვენა, შემდეგ სამჭედლოში დაიწყო მუშაობა, სადაც ომში წასვლამდეც საქმიანობდა. საქმე გამოულევი პეტრი, დასვენების დღე მისთვის არ არსებობდა; მთის სოფლებიდან მრავლად ჩამოჟავდათ მასთან დასაჭედად ხარები და ცხენები, ათასგარ საოჯახო საქმეში საჭირო ჩემის ნივთსაც ამზადებდა – ნაჯახს, თოსს და მისთანანს. თავისუფალი დრო მცირე რჩებოდა და იმასაც მიხა ბიბლიოთეკაში ატარებდა. მიჯდებოდა კუთხეში, აიფარებდა გა-

ზეთს და ჩუმად საათობით აკვირდებოდა ოლიმპიადას... ერთხელ ოლიმპიადა მივიღდა მასთან და გაზეთი გამოართვა, შემდეგ გაზეთი შეატრიალა და დაუბრუნა... მიხამ წერა-კითხვა თითქმის სულ არ იცოდა, მხოლოდ ოთხი კლასი ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო და სკოლაში სიარულისას მიღებული მცირე ცოდნაც სანახევროდ დაგიწყებული ჰქონდა. მიხას შერცხვა, შერცხვა კი არა, თითქმის დაიწვა სახეზე აგარდნილი ალმურისგა... მაგრამ ფრონტგამოვლილი ვაჟაპატი ნახევარ საათში გონს მოვიდა და მაშინვე დასახას სამოქმედო გეგმა. როცა ბიბლიოთეკამ მუშაობა დაამთავრა, მიხამ ოლიმპიადა დაგირავებულ ბინამდე მიაცილა და გზად ცოლობაც სოხოვა...

ერთ თვეში მოკრძალებული ქორწილი გადაიხადეს.

ოლიმპიადა გართობის მოვარული ქალი იყო, არც ერთ ლხინსა და ქორწილს არ დააკლდებოდა – ყველგან პატიუებდნენ, როგორც მშვენიერ მომდერალსა და გიტარაზე უბადლო დამაკერელს. მიხა უშლიდა ქორწილ-ქეიფებში წოწიალს, ბავშვებს ყურადღება არ მოაკლდესო. მერე დაკერა სულ აუკრძალა – სამი გიტარა დაუმტკრის.

მიხა ნამდვილი გლეხებაცი იყო, – უწინური, მაგრამ თვალში გამოხაგახსნილი, ნამუსიანი და შრომისმოვარე – დღედაღამ სამჭედლოში საქმიანობდა, სოფელიც დიდად აფასებდა. მას გლეხის ქალი უნდა შეხვედროდა, ბარისა და თოხის ხმარება, ცხვარ-ძროხის მოვლა, ბალ-ბოსტნის გაშეხება რომ ეხერხება... ოლიმპიადას კი, მართალი მოგახსენოთ, შრომა, ცოტა არ იყოს, არ უყვარდა. განათლებული, პატიოსანი ქალი კი იყო, მაგრამ უყაირათო, თავმოუბრელი; არც საქონელი გაიჩინა, არც – ქათამ-ინდაური... მხოლოდ დორები ჰყავდათ: სარდაფში ასუქებდნენ, სანამ კიბეზე ამოსვლას ვეღარ შეძლებდნენ, – ეს მოვლენა ჩვეულებრივ შემოღომის მიწურულს ემთხვეოდა, – დაკლავდნენ, დაამარილებდნენ და მოელი ზამთარი ჰყოფნიდათ. ოლიმპიადამ არც გეგმა იცოდა, არც ხეალინდებულ დღეზე ფიქრით იწუხებდა თავს. როცა მიხა მიუტანდა მთიდან ყველს, სულ უწუნებდა: “ფუი, სუნი აქვს!” სადილობის დრო რომ მოვიდოდა, მხოლოდ მაშინ გაახსნებდოდა კერძის გავთება... სამი შვილი როგორ გაზარდეს, საკვირველია. არც ჭრა-კერვა ეხერხებოდა, არც – ქსოვა ან ქარგვა. საოჯახო საქმიან მხოლოდ საჭმლის კუთხის უყვარდა. სამზარეულოს ქალიშვილებს არ გააკარებდა, არ მიაჩვია კერძის ეკოებას; სხვათა შორის, არც გიტარაზე დაკერა და სიმღერა ასწავლა შვილებს...

ელგუჯას უკვირდა, როგორ ცხოვრობდა ერთად ამდენ ხანს ერთად მისი დედ-მამა – ორი ასე განსხვავებული ადამიანი... განსხვავებული იყვნენ ყველაფრით: გარეგნობით, ხასიათით, განათლებით, მიღრეკილებებით თუ ჩვეულებებითა და ახირებებითაც. ამიტომ იყო მუხაიძეთა ოჯახში ყველდღიური ჩეუბი და აყალმაყალი, თუკი ცოლ-ქმარი ერთდროულად იმყოფებოდა შინ. ამის გამო მიხა უმეტესწილად სამჭედლოში მუშაობდა, კვირაში ერთი-ორჯერ კი რებიზონას სასადილოს სტუმარი იყო და შინ გატიალებული მთვრალი ბრუნდებოდა. ამ დროს ოლიმპიადა ცდილობდა, ქმრის თვალებს მორიდებოდა, რადგან თუ ფხიზელი მიხა უდრტვინველად, ხმა-ამოულებლად იტანდა ცოლის გაუთავებელ საყველურებსა და წყებლასაც კი, ნასვამ მჭედელს საქმარისი იყო, ერთი სიტყვა არ მოსწონებოდა ოლიმპიადასი, მაშინვე ცოლებოდა და ირგვლივ ლეწდა ყველაფერს... ჩასუქებულ-ჩამრგვალებული ოლიმპიადა ამ დროს საოცარ სიმკვირცხელეს იჩენდა, შურდულივით გაგარდებოდა კარში და კარგა ხნით გადაიკარგებოდა, სანამ მის ოჯახში ჭექა-ქესილი საბოლოოდ ჩაცხებოდა. ამ დროს მიხას დაწყნარება მხოლოდ მაყვალას ხეეწნა-მოფერებას შეეძლო.

ისე კი, საოცად კეთილი კაცი იყო მიხა მუხაიძე, გულებილი და მოსიყვარულე, მაგრამ გარეგნულად ამის გამუღავნება არ ეხერხებოდა.

ოლიმპიადაც უზომოდ გულებითილი იყო, ყველას “მამიდა”; ხალისიან ქალბატონს, გიტარაზე დამდერებისა და სამზარეულოში ტრიალის გარდა, უზომოდ იტაცებდა სტუმრად წოწიალი: ნათესავ-მოყვრების დიდი მოყვარული გახლდათ, ხშირ-ხშირად წავიდოდა ხოლმე მათ მოსანახულებლად; დაივლიდა, დაურიგებდა ვის რას და ვის რას... მის ნათესაობაში ბევრს აწუხებდა ფეხზე ვენების გაგანიერება, ეტყობა, ჯიში ჰქონდათ ასეთი, და ოლიმპიადა დაუზარლად აგროვებდა ხოლმე შემოდგომით მათთვის კორასუს – უბარაქოსა და მნელად საკრეფს: წვრილი ნაყოფი აქვს და ბუჩქი ფრიად ეკლიან-მჩხელეტავია. დიახ, ხალისით დადიოდა ხოლმე სტუმრად ყველასთან, ნათესავებს, შორეულსაც კი, არ ივიწყებდა...

მიხასა და ოლიმპიადას ქალიშვილები, კესანე და მაყვალა, სრულებით არ ჰგავდნენ ერთმანეთს – არც გარეგნულად და არც ხასიათით. კესანე დედასავით შავგვრემანი იყო, სკოლაში კარგად სწავლობდა, დინჯი იყო და დაკვირვებული; მაყვალა კი ფიცხი იყო, მამასავით ცისფერ-თვალა და ქერათმიანი... სწავლას მაინცდამაინც ვერ დაუდო გული, რის გამოც მშობლები ხშირად უჯავრდებოდნენ, კესანე კი ყოველთვის იცავდა საყვარელ უმცროს დას და ხშირად მის სხვა მცირე ცოლებსაც კი იბრალებდა. მაყვალა ისე შეეჩია დის ამგვარ მფარელობას, რომ ერთხელ სასაცილო მდგომარეობაშიც მოხვდა... მაყვალას მშობლებს ხშირად იბარებდნენ სკოლაში და ყოველთვის ოლიმპიადა მიდიოდა ხოლმე; ამჯერად კი ისე მოხდა, რომ მიხა წავიდა და იქიდან დაბრუნებულმა, გაბრაზებულმა დაუღრიალა: “ვინ დაწერა გეფხისტყაოსანი?” (ეტყობა, ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა დაიჩივდა მაყვალას მიმართ). შეშინებულმა მაყვალამ მაშინვე დაიყვირა: “არა, მე არ დამიწერია, მამიკო, კესანემ დაწერა!”

ოლიმპიადას ერთ-ერთი და, სტეფანია, მუსიკის მასწავლებელი (ოლიმპიადას დებს მშვენიერი მუსიკალობა გამოარჩევდა), ქალაქს იყო გათხოვილი, შეილი არ ჰყავდა და გაზარდა ნაშვილები გოგო – ჯულიეტა. ოლიმპიადამ მაყვალა, მიხას სასტიკი წინააღმდეგობის მუხედავად, სტეფანიას ჩაუყვანა ქალაქს – აქ ოჯახურ საქმეებში დაგეხმარება, თან რაიმე ხელობას ისწავლის ტექნიკუმში. მაყვალას დეიდა ცუდად ეპურობოდა: ბევრს ამუშავებდა, სტიპენდიას ართმევდა; სტეფანიას სახლში ყველა უჯრა და კარადა დაკეტილი ჰქონდა და გასაღებები თან დაპქონდა – წუწურაქი იყო, მაყვალას აშიმშილებდა... ნაშვილებს კი, ჯულიეტას, ყოველმხრივ ანებივრებდა – სულ შოკოლადებს ყიდულობდა მისთვის, ნაირ-ნაირ კაბებს აცმევდა. ჯულიეტა ბუნებით კეთილი იყო, დედისგან მაღულად შოკოლადს უნაწილებდა მაყვალას. ორცა საეჭვო მეგობრები მოდიოდნენ მასთან, არასდროს გაუცვნია მათოვის მაყვალა – დეიდაშვილს არ აკარებდა მათ...

ჯულიეტა ნიჭიერი ქალიშვილი გახლდათ, მშვენიერი მუსიკოსი დადგებოდა, – სტეფანია აღფრთოვანებული იყო მისი მონაცემებით, – მაგრამ ქუჩამ გაიტაცა: გაიგო შემთხვევით თუ ბოროტმა ადამიანებმა ჩააწეოს ყურში, რომ ნაშვილები იყო, გული აიყარა ოჯახზე და შინ ვერდარ ჩერდებოდა; გარე-გარე სიარულს მოუხშირა, მერე თექვსმეტი წლისა ქურდებს დაუკავშირდა... დაიჭირეს, ჩასვეს... ოლიმპიადამ ეს გაიგო, არ დაიზარა და დედაქალაქში სასამართლოს დაწყების წინ ინახულა... რა გინდა, რომ მოგიტანოო, – ჰკითხა დისშვილს; ჯულიეტამ თხოვა – ნიორწყალში ჩაწყობილი მოხარულელი კალმახი მომენატრა ძალიანო... ოლიმპიადამ არ დაიზარა, მაშინვე წავიდა ბაზარში, იქ რომ ვერ იშოგა, გაიკითხ-გამოიკითხა, რამდენიმე სასტუმროს რესტორანი მოიარა და, ბოლოს, შეკვეთილი კერძი ჯულიეტას მაინც მიუტანა...

აი, ასეთი ქალი იყო ოლიმპიადა.

რამდენჯერმე მოხვდა ჯულიეტა ციხეში, მაინც ვერ მოარჯულეს, ნირი ვერ შეაცელევინეს... გააჩინა ბუში – გოგო, ზრდიდა დედამისი. სტეფანიამ ეს გოგო ორი წლისა ჩუმად გააშვილა. ორცა ჯულიეტა გამოვიდა საპატიმროდან, მოიკითხა თავისი შვილი, დედამ არაფრით გაუმხილა, ვინ იშვილა; ისე მოკვდა, რომ შვილს არაფერი გააგებინა...

ამასობაში ამაყ მაყვალას უსიამოვნო ამბავი შემთხვა: ვერ აიტანა სტეფანიას დამოკიდებულება, სახლში ყოფნა უჭირდა და ხშირად ქუჩაში გადიოდა... სანამ დეიდაშვილი ისევ კოლონიაში იხდიდა მორიგ სასჯელს, მაყვალას დაუკალოვდა ჯულიეტას მეგობარი ქალიშვილი, ქსენია, რომელმაც რამდენჯერმე წაიყვანა მაყვალა აბანოში და ნელ-ნელა იქ ქურდობა დააწყებინა... ხშირად დადიოდნენ აბანოებში და ტანსაცმელს იპარავდნენ. ერთხელაც ორივე დაიჭირეს და ორი წლით თავისუფლების აღგეთა მიუსაჯეს..

მისამ რომ ეს ამბავი გაიგო, თითქმის გაგიყდა; რობიზონას სასადილოში დარდისგან მაგრად დათვრა, მერე, შინ მისულმა, კინადამ მოკლა ოლიმპიადა, შენ დაღუპე ჩემი შვილი, ხომ გეუბნებოდი, ქალაქს ნუ გაგზავნი შენს ტყლარჭია დასთან, სტეფანიასთანო... საცემადაც გაიწია, მაგრამ ოლიმპიადამ გარეთ გაასწრო და რამდენიმე ღამე მეზობელთან გაათია...

## კარი XXI. მაყვალა მუხაიძე და დემნა რაინაშვილი

და აი, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ჭადარდიდს დაბრუნდა მაყვალა მუხაიძე, თან მარტო არა...

მაყვალას ტრამგაიში შემთხვევით შეხვდა მაღალი, შავტუხა, მზისგან კიდევ უფრო გარუჯული, ჯარისკაცისფორმიანი ჭადარდიდელი ბიჭი, დემნა რაინაშვილი. სამხედრო სამსახური დაქმთავრებინა და სამწლიანი განშორების შემდეგ სოფელში ბრუნდებოდა. მაშინვე იცნო ქალიშვილი, ოღონდ დააფიქრა მის ხელზე გაკეთებულმა ლურჯმა სვირინგმა “მაყვალა”... ვერც იფიქრებდი, თუ მაყვალა შაგგრემანი, დაბალი ოლიმპიადას შვილი იყო, მამას, მიხას, კი პგავდა ძალიან... დემნაზე ოდნავ დაბალი იყო, ცისფერთვალა, ქერა; სახეზე ოქროსფერი ჭორფლი შეენოდა, მისი თეორი, ნაზი პირისკანი თითქოს ანათებდა... ახლა კიდევ უფრო მომხიბლავი მოეჩენა; მსუბუქი, უსახელო, ტანზე შემოტმასნილი ცისფერი კაბა ეცვა...

– გამარჯობა, მაყვალა!

მაყვალამ სვირინგიანი ხელი დამალა და შეუბლვირა:

– წადი, საქმე ნახე!

– ვერ მიცანი?

– თავი დამანებე, თორემ პატრონი ვერ გიცნობს! – და გოგომ საიდანლაც ბებუთი გამოაგრინა.

ბიჭს გაედიმა:

– მოიცა, შენ ოლიმპიადას გოგო არა ხარ?

– ნუ ახსენებ მის სახელს, დედაჩემმა დამღუპა...

– ვერ მიცანი? მე დემნა გარ, რაინაშვილი, ვერც ახლა მიცანი?.. შენზე რამდენიმე კლასით წინ ვსწავლობდი, შენს დასთან, კესანესთან, ერთ კლასში ვიყავი...

– პო, გიცანი, გიცანი, მერე რა?

– ძალიან კარგი გოგო იყავი, მერე სადღაც დაიკარგე...

გოგომ დაიმორცხვა და თვითონვე უკვირდა – თითქოს მორცხვობა უკვე კარგა ხანია, ადარ ახასიათებდა...

– ჰო, მერვე კლასიდან აქ გამომაგზავნა დედაჩემმა, ტექნიკუმში გსწავლობდი...

– ახლა რას აკეთებ?

– ჯერ არაფერს... ალბათ საღმე სამუშაოდ მოვეწყობი... ან იქნებ ტექნიკუმში მოვახერხო აღ-დგენა. შენ?

– ახლა ავტობუსების სადგურში მივდივარ, ჭადარდიდს გბრუნდები... თუ გინდა, წამომყევი, ერთად წაგიდეთ...

– სოფელში რა მინდა, მამაჩემმა რომ დამინახოს, მომკლავს...

– ასეთ მშენიერ ქალიშვილს? რა დააშავე ისეთი? წამოდი და ხმას უბატონოდ ვერავინ გაგცემს...

– რას მეუბნები?.. – დაცინვა გამოურია ხმაში მაყვალამ. – მე აქაც ვერავინ გამიბედავს ხმა-მაღალ სიტყვას!

– ჰო, ვიცი, ვიცი... შენნაირი ლამაზი გოგო მართლა ბებუთით უნდა დადიოდეს... ძალიან შეცვლილხარ... წამოხვალ?

– რატომ უნდა წამოვიდე? ხომ გითხარი...

– ცოლად გამომყევი!.. – პირდაპირ თოფიგით ესროლა დემნამ და პასუხის მოლოდინში სუნ-თქვა შეეკრა.

– ბიჭო, შენ აზრზე ხარ? შენ ხომ სრულებით არ მიცნობ...

– რა დიდი ცოდნა უნდა, ბავშვობიდან არ გიცნობ? სკოლას რომ ვამთავრებდი, კესანესთან ხშირად მოვდიოდი – ვითომ გამოცდებისთვის ერთად უნდა მოვმზადებულიყავით... მაშინაც მომ-წონდი... ახლა... ახლა რომ დაგინახე... წამომყევი!

– ხუმრობის ხასიათზე ხარ? იცი, მე კოლონიიდან ერთი კვირის გამოსული ვარ... თითქმის ორი წელი ვიჯექი...

– ჰო, ვეტყობა, მზეს ჯერ არ უნახიარ, ვერც კი წამოგაწითლა... ყოველთვის ასეთი თეორი იყავი... ლამაზი თვალები გაქსს, ცისფერი, კესანე შენ უნდა გრქეოდა, შენს დას კი – მაყვალა... გარეთ რომ დარჩენილიყავი, ვიღაც ნაღდად მოვიტაცებდა და დავიღუბებოდი!

მაყვალა წამოწითლდა, ვერაფერს პასუხობდა.

– ეგ სვირინგი იქ გაიკეთე?

– ჰო...

– რაზე იჯექი?

– სისულელეზე... მეორე სისულელეს ახლა ჩავიდენ, თუ მართლა წამოვალ... იქნებ უფრო დიდსაც!

– შენ მათემატიკაში რა ნიშანი გქონდა? – მოულოდნელად ჰქითხა დემნამ.

მაყვალამ, როგორც იქნა, თავი ასწია და დემნას შეხედა, გაიღიმა:

– ქარგი...

– ჰოდა, ხომ იცი, მინუსი და მინუსი პლიუსს გვაძლევს... ნურაფრის გეშინია!

– ხომ გითხარი, არაფრისაც არ მეშინია!

– მაშინ წამომყევი!

– ასე უცებ? ვის გაუგია... რამდენიმე დღე მაინც არ უნდა ვიფიქრო?

– რადა ბევრი გავაჯანჯლოთ, ერთ საათში ჩვენი ავტობუსი გადის, საბოლოოდ გადაწყვიტე – მომყვები თუ არა?.. – და როცა დემნამ გოგოს ყოფმანი შეატყო, რბილად განაგრძო: – ბოლიშს გიხდი, ასე ხმლით რომ დაგადექი თაგზე, მაგრამ... ჰო, ვიცი, საკმარისად არ ვიცნობთ ერთმანეთს... ერთ ამბავს გიამბობ, გინდა?.. ჯარში ერთი მეგობარი მყავდა, ქართველები მარტო მე და ის ვიყავით მოელ ნაწილში... გენერლის შვილი იყო და მამამ საგანგებოდ გაუშვა ჯარში, კაცად იქ იქცევით. ჰოდა, ის გენერლი ერთხელ მატარებლით მგზავრობდა, სოფელში მიდიოდა მოკლევადიანი შეებულებით, მაშინ ჯერ უბრალო ჯარისკაცი იყო, მეტი კი არაფერი... ერთი მგზავრი გოგო მოეწონა, შემთხვევით მის გვერდით იჯდა, გაუბა საუბარი. როცა მატარებელი მიუახლოვდა იმ ბაქანს, სადაც ჯარისკაცი უნდა ჩასულიყო, ქალიშვილს უთხრა, წამომყევი ცოლადო, მოსაფიქრებლად სულ ნახევარი წუთი მისცა... მე კი შენ უკვე ლამის ერთი საათია, გეხეწები...

– მერე, რა პქნა იმ გოგომ?

– შენსავით – რას მესუმრებიო, მარტო ეს უთხრა... როცა მატარებელმა სვლა შეანელა, ბიჭი წამოდგა წასასვლელად და გოგოს დაემშვიდობა, თან ბოდიშიც მოუხადა... გოგო კი უცებ წამოხტა... აი, ასე გახდა მომავალი გენერლის ცოლი.

– შენც გენერლობას ხომ არ აპირებ? – გაედიმა მაყვალას.

– მე – არა, სამხედრო სამსახური უკვე მოვიხადე და ეგ საქმე საჩემო არ არის... ისე, თუ მიბრძანებ, იქნებ მართლაც გავხდე გენერალი... ოდონდ ახლა წამომყევი, ავტობუსს კიდევ მივუსრებოთ... გადაწყვიტე!

მაყვალას არაფერი უპასუხია, გაურკვეველი ღიმილით გვერდზე იცქირებოდა, მაგრამ, როცა დემამამ ურთხილად მოჰკიდა ხელი მკლავში და წასასვლელად შეატრიალა, წინააღმდეგობა არ გაუწევია...

ორი კვირის შემდეგ მიხა როგორდაც შეარიგეს შვილს და, რა თქმა უნდა, ის და ოლიმპიადაც ისხდნენ საქორწილო სუფრაზე, ოლონდ ცალ-ცალკე – ოლიმპიადას ეშინოდა, მიხა დათვრება და სიმღერას რომ შემოვგახებ, ნათხოვარ გიტარას გადამამტკრევს თავზეო...

ორი თვის შემდეგ კი მიხასა და ოლიმპიადას ვაჟიც – ელგუჯა – გაბეჭირდა.

## კარი XXII. ელგუჯა მუხაიძე, ნაზი და ბიკო

ნაზის დედ-მამას, კერატა და ეთერ თუთაძეებს, ორი ქალიშვილი ჰყავდათ, ორივე – ლამაზი, განსაკუთრებით – უმცროსი, ნაზი. უფროსი ადრევე გაათხოვეს, უმცროსს ჰყავდა შეუგარებული – მიხა მუხაიძის ვაჟი, ელგუჯა.

ნაზის დედა ქალიშვილისთვის შეძლებულ საქმროს ეძგბდა და ხშირ-ხშირად იმეორებდა: “ჩემს გოგოს კინოში სურათს გადაუდებენ, ნატო ვაჩანაძეს შეცვლის, ენაცვალოს დედა!”

როცა მმები ქურუსაძეები მეტიმეტად აუხილდნენ ელგუჯას, შოთა კი აშეარად იმუქრებოდა – ნაზის საყვარლად გავიხდიო, მათ მაყვალა მუხაიძემ ქალაქიდან შემოუთვალა: გაფრთხილებით: ჰეგიანად იყავით, თქვე ნაბიჭერებო, და ჩემს მმას, ელგუჯას თავი დაანებეთ, ნაზისაც შეეშვით, თუ არ გინდათ, თქვენმა მმამ და ჩემმა მეგობარმა, ულვაშამ, სათითაოდ დაგაჭრათ ყველას თავებიო...

ელგუჯა ჯარში იყო გაწვეული და ერთხელ ნაზის მშობლებთან მივიღნენ მთხოვნელები რაიონული ცენტრიდან – მაღაზიის გამგე ჯანსულ ბართიაშვილი და მისი ცოლი თანუსია: გავიგოთ, მშეგნიერი გოგო გყოლიათ, ჩემ კი კარგი ბიჭი გვყავს, ერთადერთი შვილი, მოვრიგდეთო. მოიტანეს ბელგა: ოქროს საათი, ოქროს ბეჭედი, ოქროს გულქანდა; მშობლებს – ძირფასი საჩუქრები...

თუთაძეების ოჯახი მოკრძალებული შეძლების იყო და მშობლები დახარბდნენ სიმდიდრეს – შეუჩხრენენ ნაზის, ბედნიერება კარს მოგდომია, მუჯლუბუნს ნუ ჰკრავ, მერე ინანებო; იმდენს ეჩიჩინენ, რომ დაითანხმეს...

დიდი წვეულება გამამართა სარძლოს ოჯახში ბართიაშვილების ხარჯით, თითქმის ნახევარმა ჭადარდიდმა მოილხინა, მერე – რაიონულ ცენტრში, სიძის უზარმაზარ სახლში გადაიხადეს უზარმაზარი ქორწილი.

ელგუჯამ ნაზის მოულოდნელი გათხოვება რუსეთში, ჯარში ყოფნისას შეიტყო, ძალიან განიცადა... იქიდან შინ ადარ დაბრუნებულა: გოლოგდაში ვიდაც რუსის გოგო შეირთო და ბიჭი შეეძინა.

ნაზის ქმარი გამოდგა საკმაოდ ჭკუასუსტი, ფულს ძლიერს ცნობდა. მშობლებმა შოფრად მოაწევს აგტობუსზე, ყოველდღე, შინიდან სამუშაოდ წასვლის წინ, დაუწყობდნენ მაგიდაზე ფულის სხვადასხვა ნიშნებს: “უყურე, ბიკო (ბიკენტი ერქვა), აი ასეთი აიღე, ასეთიც, ასეთიც, სხვა არ აიღო, არ ვარგა. იცოდე, არ მოგატყუონ!” ბიკო თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, დღის ბოლოს კი არცოუ იშვიათად მოჰქონდა შემოტყუებული, ხმარებიდან ამოღებული ძველი ფულიც. ამის მიუხედავად, ფულს მაინც ბლომად შოულობდა. დიახ, თუმცა ბიკომ მხოლოდ ოთხი კლასის დამთავრება შეძლო, არცოუ ურიგო შოუერი დადგა; კარგად დაპყავდა მანქანა და იშვიათადაც უფუჭდებოდა – ხმაზე შეუცდომლად ცნობდა, თუ ძრავას რაიმე სჭირდა. სოფლებში დაკუგდა ხალხი და უყვარდა ერთ ადგილას შუა მდინარეში მანქანის გაჩერება – ფულის ასაკრევად. რატომ იქცეოდა ასე, დმერთმა უწყის, გზაზე რომ გაეჩერებინა, ვინმე გაექცეოდა ფულის გადაუხდელად თუ რა... ხშირად ატყუებდნენ, საწყალს, და მეფისდომინდელ ასიგნაციებსაც კი აჩეჩებდნენ, თან ხურდად ნაღდ ფულსაც ართმევდნენ... ბიკოს მშობლებს უკვირდათ: მაინც საიდან შემორჩა ხალხს ამდენი ყავლებასული ძველი ფული?

ნაზიმ ითმინა ერთი წელი, მერე კი გამოიქცა, დაბრუნდა დედ-მამასთან, თან ორი თვის პატარა გოგონაც თან წამოიყვანა...

რამდენიმე წლის შემდეგ ელგუჯა დაბრუნდა ჭადარდიდში – რუსეთში ყოფნა გაუჭირდა, უცხო გარემოში ვერ გაძლო; თან ორი წლის ბიჭიც ჩამოიყვანა – ცოლი არ გამოყვა, გაიყარნენ.

რამდენიმე თვეში კი ნაზი და ელგუჯა შეუდლდნენ. ეყოლათ ოთხი შვილი, სულ ოჯახში ეჭვი ბავშვი იზრდებოდა...

## კარი XXIII. მიხა მუხაიძე და რობიზონ მეკოვზიშვილი

– ე, სოფლელო! – დაცინვით ეუბნება მოტოციკლით დაწეული რობიზონა თეთრ ცხენზე ამ-სედრებულ მიხა მჭედელს. – რაღა დროს ჯაგლაგით ჯაყჯაყია, კაცი კოსმოსში გაფრინდა!

— ჯერ კარგი გამარჯობა უნდა გეთქვა, რობიზონა მამაძალლო, და მერე დაგეწყო ჩემი ცხენის ძაგება და ჭეუის სწავლება! — უპასუხა მისამ და ცხენს შოლტი დაკრა, თითქოს რობიზონას მიანიშნა, შეც ეგრე მოგიხდება.

— ვატყობ, შეეგარებული ხარ მაგ შენს დაფეხვილზე, არ მომყიდი? — ატრიზავებს რობიზონა. — კარგ ფასს მოგცემ!

— ვიცი, ვიცი, საითაც უმიზნებ! არ გემოფა ვითომ, რასაც შენს სასადილოში ასი წლის ძრონის ხინგალს გვაჭმევ, იმასაც ხორცისა კი არა, სულ ძარღვებისა და ნაწლავებისა!

— რა დროს ცხენია, თანაც — ბეხრები, მაგაზე რამ შეგაჯინა? — არ ეშვება რობიზონა, თან მოტოციკლს აბლუილებს, რომ მისას ფიცხი ცხენი დააფრთხოს. — თუმცა ბებერი კაცის შესაფურია — ფერი ფერსა...

მიხა სიმდიდრით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ თავმომწონე კაცია, ამაყი, თანაც მაგარი მთვრალია: ერთი ზემო სოფლიდან მოდის, სამჭედლო საქმეზე იყო; იქ კარგად აპურმარილეს, ბლომად შემლი და თაფლიც გამოატანეს... იუკადრისა დაცინვა:

— რობიზონა ლიპიანო, მანქანაში ვეღარ ეტევი? ეს ჩემი ცხენი თუ შენს მყრალ მოტოციკლს არა სჯობდეს!

— რითა სჯობს, შეეჯიბროთ!

— შეეჯიბროთ!

მიხამ მათრახი გამეტებით უთავაზა ერთგულ მეგობარს და ამგვარ მოპყრობას მიუწვეველი ცხენი გაგიჟებული გავარდა წინ, რობიზონამ მოტოციკლს გაზი მისცა და...

სანაც სულიერი და უსულო და მათი მხედრები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან ერთიმეორის გადასასწრებად, მე რობიზონ მეკოვზიშვილს გაგაცნობთ.

ამ ღარიბ სოფელში სულ რამდენიმე შეძლებული კაცია და ერთ-ერთად რობიზონა ითვლება: ორსართულიანი სახლი აიშენა, მოოუთიებული თუნიუქით გადახურა, ოთახები ქალაქურ ყაიდაზე უცხოური დგამ-ავეჯით გააწყო; ქვეყნის ფული ჩაყარა და ვაჟიშვილი უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე დაუსწრებელზე მოაწყო — თუ მარიფათი ვერ გამოიჩინა და რაიკომის მდივანი ან რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვერ გახდება, ავტონისტეტორობა ხომ განადლებული ექნება, ცხოვრებაში არ დაიჩაგრება, ფული და კაი პურისჭამაც არ მოაკლდებაო. ყველაფური კი მისი სასადილოს წყალობა იყო, რომლის გამგედაც რობიზონა აგერ უკვე ათი წელიწადია, მუშაობდა. მართლაც ალლოიანად უძღვებოდა საქმეს რობიზონ მეკოვზიშვილი, ყველა მისი ქმაყოფილი იყო; თუმცა, მართალი უნდა ითქვას, მის სასადილოში ხინკალს მთიულური კი ერქა, მაგრამ, როგორც მიხამაც უსაყველურა, მის გულში ხორცზე უმეტესი მართლაც ძარღვი და კანი იყო ხოლმე... თუ, რასაკირველია, ძეირფასი სტუმრები არ ეწეოდნენ — მაღალი სეამებისა და გავლენის მეპატრონენი! ასეთებს კი რობიზონას გამოცდილი თვალი მაშინვე შეუმცდარად ამოიცნობდა. მათოვის მაშინვე საგანგებოდ დაიკვლებოდა ნაპატივები ცხვარი და ისეთი გადასარევი გემრიელი, წენიანი ხინკალი ეკოდებოდა, სტუმრები სულ ქარგისფერქონიან თითებს ილოკავლენენ, შიგადაშიგ აყოლებდნენ ჭანჭურის სოფლურ არაყს (“არაყ კი არა, წამალია, წამალი!” — ბოთლებს დიმილით დგამდა მაგიდაზე რობიზონა) და ხინკლის ახალ ულუფას უგვეთავდნენ... არც სხვა კერძები იყო დასაწუნი, თუკი, რობიზონას აზრით, მათ “დამფასებელი” ჰყავდა.

რობიზონას სასადილო “ედემი” მოელს რაიონში იყო სახელგანთქმული და საქიფოდ უფრო შორი ადგილებიდანაც ხშირად აკითხავდნენ.

ამ მდგომარეობას რობიზონ მეკოვზიშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, ბეჯითი შრომითა და მიზანსწრაფულობით მიაღწია.

რობიზონ მეკოვზიშვილმა ჭადარდიდის საშუალო სკოლა დამთავრა, უმდეგ ქალაქს ისწავლა, — ეკონომიური განათლება მიიღო უნივერსიტეტში. დიპლომის მინიჭების შემდგომ თავიდან პურის საცხობში დაიწყო მუშაობა მომმარაგებლად; წელიწადნახევარში ამ საცხობის გამგე გახდა; შემდეგ გადავიდა საკონდიტრო საწარმოში დირექტორის მოადგილედ, სადაც დგეზლებს, ნამცხვრებს, ტორტებს და მისთანანებს აცხობდნენ.. მისი უგროსი დააწინაურეს, რობიზონა გახდა და დირექტორი, საქმე გააფართოვა. მაგრა მოგებას ნახულობდა: ბევრად მეტ პროდუქციას უშეგვებდა, ვიდრე გეგმით პქონდა გათვალისწინებული; ამისთვის დამატებით ყიდულობდა ფეხილს, შაქარს, მარგარინს; თან ნაწარმში აკლებდა ცხიმს, უმთავრესად — კარაქს, ასევე — შაქარს, ვანილს და სხვას... ზედმეტ პროდუქციას აბარებდა მაღაზიებს, გაიჩინა უამრავი საქმიანი მეგობარი, მათ შორის — საკონტროლო ორგანოებში, მილიციაში...

ერთხელ მოულოდნელი რევიზია ესტუმრა, ყველა ფანდი წვრილად აღუწერეს... რობიზონამ ჭეუა იხმარა, ქვეყნის ფული ჩაყარა, რათა თავი დაემვრინა და მიაღწია კიდევ მიზანს. მიხვდა: სჯობდა, გაცლოდა ქალაქს, რადგან მისი “მოწველის” მსურველები აღარ გამოილია; გეძისში, ახლად გაშენებულ უბანში, ორსართულიანი, ექსორთახიანი სახლი თავის ბოსტან-ბაღიანად სარუიანად გაყიდა და სასწრაფოდ ჭადარდიდს დაბრუნდა.

აქ რაიონულ ცენტრში საქმე გაჩარხა, არც ფული დაიშურა და არც მონდომება და ჭადარდიდში, სოფლის დასაწყისში, ხიდოთან, მდინარის პირას, სადაც ჭადარდიდხევს ორჩხომელასხევის შეერთების აღილებზე პატარა ნახევარ კინძულიერით იყო შექმნილი, ახალი სასადილო ააშენა და მოაწყო. საქმე კარგად წაუვიდა, ახალი მეგობარ-ამხანაგებიც შეიძინა და ბედით ყოველმხრივ

ქმაყოფილი იყო... ცოლიც შესაფერისი შეხვდა, ორ შვილს – მშვენიერ ქალ-ვაჟს – თავს ევლუბოდა: გოგო ჯერ სეოლაში დადიოდა, მუსიკაში და უცხო ენებში მასწავლებლებთან მეცადინებოდა; ბიჭი კი უკვე უნივერსიტეტში მეორე კურსზე სწავლობდა ეკონომიკურზე – ეტელი, მამის ნიჭი დაცევა; სკოლაშიც კარგად სწავლობდა, თუმცა მამას არ დაუკლია მეცადინეობა და სკოლის მასწავლებლები კიდევ დამატებით შინ აკითხავდნენ მოწაფეს; იქ კი ყოველთვის ხალისით მიდიოდნენ – გასამრჯელოს გარდა, მეცადინეობის შემდეგ ყოველთვის ელოდათ შესანიშნავად გაწყობილი სულო!

მარიფათიანში რობიზონამ ახალი სახლი აიშენა – იქვე, „ედემთან“ ახლოს – და სახლ-კარიც გამორჩეულად მოაწყო!

მიხასაც შეეძლო, რობიზონაზე არანაკლები სახლ-კარი პქონოდა, მაგრამ... ცოლის, ოლიმპიადას, ხელგაშლილობა და მიხას უყაირათობა – კვირაში ერთხელ ძმაკაცებს შეჰკრებდა და რობიზონასთან აქეთიფებდა!

ახლა კი რობიზონასა და მიხას შეჯიბრს დაგუბრუნდეთ.

გააქროლა რობიზონამ მოტოციკლი, მისღეს უკან მისი ბედაურით მიხა მჭედელი – რას და ეწვეა!..

გადავარდნენ მოსახვევში სადღაც ხევში თეთრონი ცხენიცა და მისი მთვრალი პატრონიც... რობიზონამ არც მოხედა – წაგიდა, დაიკარგა.

მიხა მაგრად დაიბეჭა; შინ ლოგინში გაშოტილი როცა კენესოდა, მისი ქალიშვილი, კესანე, სახლიდან მეზობლად, ხვანცალაურებთან გარბოდა, ვერ იტანდა მამის გმინგას.

ცოლი, ოლიმპიადა, მთელი დღეობით ჯუჯლუნებდა, წყევლიდა რობიზონასაც და, განსაკუთრებით, მიხას – ნეტა სული სულ არ ამოგოლოდა ხევიდან, იმ ყელსა და თაფლთან დარჩენილიყავით.

მიხა არ პასუხობდა, მხოლოდ ოხრავდა: ნები პქონდა გაბზარული და ლაპარაკის თავი სად პქონდა – ყოველი სიტყვის წარმოთქმა მაფრ ტაკილს იწვევდა. ოლიმპიადა კი სარგებლობდა ქმრის უმწეობით და, რასაც სხვა დროს ვერ უბედავდა, ახლა ასწილად ინაზღაურებდა:

– ხმა გაემინდე!.. შენ რანაირი ნაფრონტალი ხარ, მოსალოგინებელი დედაკაციებით კრუსუნებ ამხელა კაცი! ნეტა იმ საბრალო ცხენს მაიც რაღას ერჩოდი, შენზე მეტი ჭკუა იმასა აქვს!.. ერთი ჭირი მაკლდა და – აპა!..

რობიზონ მეკოგზიშვილს კი, მოკლე ხანში, მიხა მუხაიდე რომ ჯერ ისევ ლოგინს იყო მიჯაჭ-გული, ძალიან ცუდად წაუვიდა საქმე...

## კარი XXIV. პანლური

რობიზონ მეკოგზიშვილსა და მის სასადილოს, როგორც ადრე მოგახსენეთ, სახელი პქონდა განთქმული მთელს იმ მხარეში და იმის იქითაც. თუ ვინმე პატივსაცემი, გავლენიანი პიროვნება ესტუმრებოდა ამ და რამდენიმე მომიჯნავე რაიონსაც, მაშინვე გააქანებდნენ “რობიზონასთან”.

სასადილო „ედემი“ სოფლის თაგში, მშვენიერ აღგილას იღგა: ორი მდინარის – ჭადარდიდ-ხევისა და ორჩხომელასხევის – შეერთების აღგილზე წარმოქმნილ მცირე ნახევარკუნძულზე. ნახევარკუნძულის ზედ წვერზე რობიზონამ ჯერ ორი მდინარის მხრიდან ბეტონის მაღალი, კაპიტალური კედელი ააშენებინა, შემდეგ ზედ სასადილოს შენობაც დადგა. შუაზე ჯაყვასავით მოხრილი გრძელი და ფართო აიგანი, სადაც მაგილები ჩაემწურივებინათ, ორი მხრიდან მიუყებოდა შენობას და პირდაპირ ჭადარდიდხევზე და ორჩხომელასხევზე იყო გადამდგარი. შემდგომ რობიზონამ მიმდებარე უსწორმასწორო ყოფილ რიყნარზე სატვირთო მანქანებით ტყის მიწა მოზიდა, მშვენიერი ბოსტანი და ბაღი საკუთარი ხელით გააშენა; ავტომანქანების გასაჩერებელი აღილიც არ დავიწყებია – საგანგებოდ მოახერეშებინა.

რობიზონა საოცარი კაცი იყო, მარად ფუსფუსა, დაუდგომელი. შეიძლება ითქვას, რომ სასადილო ფაქტობრივად კოოპერატივისა კი არა, მისი საბუთება გახლდათ – მისი ნიჭის, აღდოს, მონდომებისა და ყოველდღიური რუდუნების ნაყოფი. სასადილოში მომუშავენი რობიზონას სანაქებოდ ჰყავდა გაწყვრთნილი და უმაღლეს დონეზე ემსახურებოდნენ „მაღალ“ სტუმრებს, აქედან განაწყენებული მათგან არავინ არასდროს წასულა. ამისთვის კი სხვა მხრივაც სანაქებო პირობები იყო შექმნილი: კახეთიდან ჩამოტანილი შინაური კარგი დვინო, ლიმონათი და “ბორჯომი” ულევად პქონდათ; ყოველ მეორე დღეს სხვოს კლავიზნენ და ახალი ხორცი არასდროს აკლდათ; იქვე, სასადილოს გვერდზე გაშენებულ ბოსტანში, სურვილისამებრ თვით სტუმარს შეეძლო, ამოერჩია და საქუთარი ხელით დაეკრიფა ქორფა კიტრი, ჯიშიანი პომიდორი, ფართო შემოლობილში გადაეხედა და მოეთხოვა: აი, ის ქათამი, ინდაური ან გოჭი დამიკალით, ან აი, იმ ღორის მწვადები მოგვართვითო – მაშინვე დასაკლავი დაკლული იყო და სულ მოკლე ხანში შეკვეთილი კერძი იდგა სუფრაზე, ცხელი ოხშივარი ასდიოდა და გამაბრუებელი სურნელებით ნერწყვით უგსებდა პირს მოუთმენელ მუშტარს. მშვენიერ კონიდრიან ეზოში წყვილი შეელი თავისუფლად იყო გაშეებული, დედალ-მამალი ფარშეგნები დაგოგმანობდა, ციცრებიც ბლომად მოაშენა – ლამაზები ხომ იყვნენ, მისი გარეული ფრინველის გემოს მქონე ხორციც ბევრს მოსწონდა; ჯაჭვზე

დაბმული მოშინაურებული დათვიც ჰყავდა... ერთხელ ვიღაცამ უთხრა: “კი, ნამდვილი ედემი გაქს, რობიზონ ბატონო, ოდონდ აუზი გაკლია თევზითო”. არ გასულა დიდი სანი და მიზეზიან სტუმარს უკვე შეეძლო, პირდაპირ დიდი აუზიდან ცოცხალი თევზი საკუთარი ხელით ბადით დაეჭირა და ამოევევანა – შესაწვავად თუ მოსახარშად, ვისაც როგორ მოესურვილებოდა. თუ რა-მე დააკლდებოდა სასადილოს ან, როგორც სოფელში მოიხსენიებდნენ, რობიზონას დუქანს, “ქ-დემის” პატრონი მაშინვე ჯდებოდა საკუთარ მანქანა “ვოლგაში”, გავარდებოდა რაიონული ცენტრის ბაზარში ან, უფრო ხშირად – ქალაქს, და რამდენიმე საათში სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა. რობიზონას საცხოვრებელი სახლი სასადილოს შორიახლო ჰქონდა აშენებული და მისი ეზო-ყურეც მშენივრად, განსაკუთრებულად იყო მოწყობილი. მარტო მისი სამზარეულოს შენობა ბევრს შეუტრდებოდა საცხოვრებლად. გოლგრძი კალმახაურის მიერ გამართული საკუთარი ელექტროწისევილიც ჰქონდა, თონეც, რომლის წინაც გადაფარებულში რცხილის შეშის ულევი მარაგი იყო დაწყობილი. თუკი სადმე რაიმე საინტერესოს ნახავდა, აუცილებლად მასაც უნდა ჰქონოდა. მაგალითად, საიდანდაც ჩამოიტანა ელექტრული ინკუბატორი (ინდაურის, ქათმებისა და ციცრების წიწილებს მასში ჩეკდა), ეზოში და ბაღში გააშენა უამრავი სხვადასხვა ჯიშის გაშლი, მსხალი, ქლიავი... გაზის დარგვაც სცადა, მაგრამ, იზაბელას გარდა, სხვა ჯიშებმა ვერ იხეირა სიმაღლის გამო.

რობიზონა სასადილოში სისხამ დილიდან გვიან ღამემდე ტრიალებდა, ოდონდ ლუქმას არ ჩაიდებდა პირში. თუ მიიპატიუებდნენ, მაშინაც არასდროს დაჯდებოდა, მხოლოდ დალოცავდა სუფრას და დგინოს დალევდა. შინ გვიან დაბრუნებული, მთელი დღის მშერი, გემოზე მოილენდა და ერთ ბოთლ დგინოსაც დალევდა. ალბათ ამის მიზეზი თუ იყო, რომ ორმოციოდე წლის კაცს უკვე საკმაო დიპიორც წამოეპარა, თუმცა ხეეულ წაბლისფერ თმაში ჯერ ერთი თეთრი ღერი არ ჰქონდა გარეული.

ერთი მშენივრი, მზიანი დილით სასადილოსთან ავტომანქანა “ვოლგა” გაჩერდა; გადმოვიდა თვით პატრონი, სასადილოს გამგე რობიზონა – დაბალი, მაგრამ ძვალმსხვილი, ჩასუქებული, ღვინისფერი.

იქვე მეგობარ-ნაცნობები იდგნენ, ერთ-ერთმა ჰერთხა:

– როგორ იყო გუშინა, პა, დილით ძლიგს აგწიე თავი... ბახვა სად არის?

რობიზონამ აგდებულად აიქნია ხელი:

– ერთი მაგის... ისა, კაცო, ალბათ დგინოს ინელებს, მაგრად შევუბერეთ...

ამ დროს მას დაუშახეს:

– რობიზონ!

რობიზონა მოტრიალდა და დაინახა მისკენ მიმავალი ბახვა, – დაბალი, გამხდარი, მაგრამ მარცვიანი; ხელში ორლულიანი თოფი ეჭირა.

რობიზონამ ალბათ რამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ახლოს მისულმა ბახვამ დაახალა ორივე ლულიდან და გაიქცა.

იქ მყოფი დაინენ, შემდეგ სასადილოს მიმტანი ქალი, მზარეული და დამხმარე ბიჭი, რომელიც იმ დროს შეშას ჩეხავდა, მიგარდნენ წაქცეულ რობიზონასთან, სხვები ბახვას გამოუდგნენ. ბახვა თავისი სახლისეკენ გარბოდა – იქვე ახლოს ცხოვრობდა, მაგრამ ვერ მიაღწია იქამდე; რომ დაინახა, მეწერიანო, შეგარდა ერთ-ერთი მოსახლის ეზოში და ჩარაზა ჭიშრის კარი. სანამ მომხდეული კარს ეჯაჯგურებოდნენ, ბახვამ თოფი გადატენა, მიიღო ლულების ბოლო მკერდზე, დაიყვირა: “ეს ცოდვა იმას წაეკიდოს, ვინც რობიზონა და მე ერთმანეთს წაგვიდა!” და გამოპკრა თითო ჩახმახეს...

მაშინევ, იქვე გათავდა.

რობიზონა მისი მანქანითვე გააქანეს რაიცენტრის საავადმყოფოსქენ. იქ რობიზონა ქირურგს ეხევწებოდა:

– ოღონდ გადამარჩინე და მე გალში არ დაგრჩები! მხოლოდ იმიტომ მინდა გადავრჩე, რომ ბახვას სამაგიერო ვუზღო!

უთხრეს:

– მაგაზე ნუ დარდობ, ბახვა უკვე წასულია... გაგასწრო, ვედარ დაეწევი...

მაინც დაეწია – მალე მის გზას გაუყვა, მთელი გულ-მუცელი გაფატრული ჰქონდა.

გაკვეთეს – აღმოაჩნდა შორს წასული ღვიძლის ციროზი. ექიმმა თქვა, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც აღარ ეწერაო. არც არის გასაკირი: ყოველდღე სვამდა, შინ შუაღამეს გადაცილებულზე ბრუნდებოდა.

ბოლო დროს მარჯვენა ფერდექვეშ ძლიერ ტკივილებს უჩიოდა, ამბოდა, სმას თავს დავანებეო.

წინა დღეს იქეიფეს მმაბიჭებმა სასადილოში.

ბახვას სადღეგრძელო იყო.

როცა რობიზონას რიგი მოვიდა, მან ბახვა ადღეგრძელა, თან დაამატა:

– კი, კაი ბიჭი ხარ, მაგრამ ამ ბოლო დროს შენი ამხანაგები ცოტა ალმაცერად გიყურებენ, რაღაცას გაბრალებენ... ხოსროსთან საქმე დაგიჭერია... თუ აქამდე იყავი ჩენითან, აწიც დარჩი, ნუ იკადრებ ცუდ საქმეს...

იმხანად საქმე “გაიხსნა” – რაღაც კომბინციები ტარდებოდა ტყის ხილ-კენკრის დამზადებაში და ბახვაზე პერნებათ ეჭვი, იმან “გაგვიდალ”. რობიზონას ბახვას უფროსი შვილი ჰყავდა მონათლული და ნათლიმამას უთხრეს მმაბიჭებმა – შენ უფრო დაგიჯერებს, დაარიგე ჭირაო, იმიტომაც შეიძრიბნენ იმ დღეს რობიზონასთან, რომ “საქმე” გაერჩიათ. რობიზონას ცალკე სალაპარაკოც პერნებათ ბახვასთან: მასთან ხმამ მოაღწია, რომ ჭადარდიდის კოლმეურნეობის “გზა ნათელი მომავლისეკენ” თავმჯდომარეს ხოსრო ტურიკაშვილს თვალში მოუვიდა “ედემი”, მისი ხელში ჩაგდება უნდაო; რაიონულ ცენტრში უკვე “ჩაწყო საქმე”, რობიზონას რევიზია დაეცემა და საფინანსო დარღვევებისთვის, კერძოდ, ოეგზის აუზის, წისქვილის, დიდი ვერანდის და სხვათა უნგბართვო მშენებლობისთვის, დვინის, ხორცისა და სხვა სურსათის კერძო პირთაგან შეძენის-თვის, სასამართლოს გადასცემენ და კარგა ხნით ჩააყუდებენ, მის ადგილზე კი ხოსრო ბახვას დასვამს, სწორედ ამიტომ მონათლა ამას წინათ ხოსრომ ბახვას უმცროსი ვაჟიო...

ბახვა გაბრაზებული წამოხტა:

– მე არავის ჭეუის სწავლება ამ მჭირდება!

– მე რასაც გეუბნები, დამიჯერე! – გაწიწმატდა რობიზონაც. – ხოსროს ეს სასადილო შენ-თვის კი არა, თავისი შეილისთვის, ბესასთვის უნდა, შე შტერო! შოთა ქურუხაძეც ამიტომ მომიქსია...

– შენ საკუთარ თავს და საკუთარ საქმეს მიხედვ, ის გირჩევნია! – არ დაუთმო ბახვამ.

– შენ რა ღირსი ხან ამ სუფრაზე ჯდომის! – წამოხტა რობიზონა, ტანმორჩილ ბახვას ქეჩოში სტაცა ხელი, წამოაქენა და გასასვლელისეკენ უბიძგა, თან პანდურიც ამოჟერა.

– შენ, შეიძლება, ჩემზე მეტი სიგრძე-სიგანე გქონდეს, მაგრამ მიყურე, თუ სამაგიერო არ გადაგიხადო! – ბოლმით უთხრა ბახვამ რობიზონას, მიტრიალდა და წაგიდა.

მეორე დღეს, დილით, ბახვამ როლულიანი თოფი დატენა, გაზეუთში გაახვია და გაემართა სასადილოსეკენ, სადაც რობიზონა უნდა გამოჩენილიყო, მივიდა და თოფი იქვე ბუჩქებში დამალა...

მერე ეს სამწუხარო ამბავი მოხდა...

ამბობენ, იმ დილით ბახვამ სახლიდან წამოსვლისას წერილიც დაწერა, ის ახლა მილიციაში ინახებაო, მაგრამ მისი შინაარსი არავინ იცის.

ბოლო დროს რობიზონა ხშირად იმეორებდა:

– სახლ-ქრი უნდა გავყიდო, ქალაქს გადავიდე, აღარ დირს აქ გაჩერება!

ქალაქში სახლიც უვაჭრია შესაძენად.

მოხუცი დედ-მამა და ცოლი წინააღმდეგნი იყვნენ. მამამ უთხრა:

– ბიჭო, შენნაირი კაცი არსად დაიკარგება, მაგრამ, ხის ძირში რომ ჩამოჯდები და დაისვე-ნებ, იმ ადგილის დატოვება დაგენანება და სადაც დაიბადე და გაიზარდე, იმაზე რადა უნდა თქვა... სანამ მე ცოცხალი ვარ, აქ ვიქნები და მერე, რაც გინდა, ის ქნი!

რობიზონა რასაც ჩაიფიქრებდა, უქმებულად შეასრულებდა; ამჯერად კი არ დასცალდა – ერთმა პანტურმა შეიწირა ორი კაცის სიცოცხლე...

## მიწის სიმღერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

**მიწა...**

ტყუილად კი არ ითქმის:

დედა-მიწა, დედამიწა – ყველას სახლია და ყველას დამპურებელი...

მიწის ყივილი ხომ გაგიგონიათ?

მიწა-წყალი;

მიწიერი და ბეციერი;

მიწაზე მკვიდრად დგას;

ჯობდა, მიწა გარღვეოდა უცებ და თან ჩაეტანა;

მიწა – ყველაზრის დასაწყისი და ყველაფრის ბოლო;

მიწამ გშვა და მიწავე მიგიღებს – მიწა იყავ და მიწად იქეც...

## ქარი XXV. შოთა ქურუხაძე

ჭადარდიდელთა აზრით, შოთა ქურუხაძე უბედური ვიდაცა იყო.

მას შემდეგ, რაც ბაბო ბარისაშვილი სასაფლაოზე გაასეირნა და საქმებოდ თავი მოჭრა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, შოთა კი დაუსჯელობამ უფრო და უფრო გაათამამა... მამამისი გოჯა და დედამისი დილავარდისა ბეგრს ეჩიჩინებოდნენ, გონს მოდი, უკვე ბაგშვი აღარ ხარ, ცოლი ითხოვე და რამე საქმეს ეწიეო, მაგრამ – შეაურე ეპერელს ცერცევი...

მთის მიყრუებული ხოფლიდან ქურუხაძეებს ვარდოს შორეული ნათესავი გოგო ესტუმრათ ერთი დღით, დამის გასათევად – ქალაქს მიღიოდა ტექნიკუმში გამოცდების ჩასაბარებლად. შო-

თამ ძალა იხმარა და გააუპატიურა; საწყალი გოგო ჭადარდიდხევში გადახტა მაღალი ფლატი-დან და მხოლოდ მესამე დღეს იპოვეს მისი ცხედარი – დინებას რამდენიმე კილომეტრით ქვევით წავდო და ნაპირზე გამოერიყა...»

შოთა ციხეში მოხვდა, უკვე მეორედ. გარდომ ჩარია ნათესავები, ირბინა, გოჯასაც, რაც კი ფული ჰქონდათ გადანახული, დაახარჯვინა და შოთას რბილი სასჯელი აქმარეს, ვითომ მხოლოდ ცდა ჰქონდა ძალადობისა...»

რამდენიმე წელიწადში შოთა დაბრუნდა სოფელში და ერთ კვირაში ახალი გმირობა ჩაიდინა: აგვისტოში მეზობლებთან სოფლად სტუმრად ჩამოსული ქალიშვილი, ციური, – მოსული ტანის, ჯიქივით მოქნილი და თამამი გოგო, – ტყეში გაიტყუა და გააუპატიურა. გოგოს ნათესავები შოთას მოსაქლავად დასხვევდნენ, მაგრამ გერ დაიჭირეს: ჯერ ტყეში იმალებოდა, მერე, შემოდგომის ბოლოს, მეცხვარეებს გაჟყვა და ყალმუხეთში გადავიდა. იქ ვითომ მწყემსად მუშაობდა მეცხვარეებთან ზამთრის საძოვრებზე, მაგრამ იქაც რაღაც იმამაძაღლა, გამოაგდეს და იძულებული გახდა, გაზაფხულზე ჭადარდიდში დაბრუნებულიყო... ცოდვა მოინანია და ციური ცოდადი ითხოვა...»

შეეძინათ ქალ-ვაჟი. ეგონათ, შოთა ჩადგა, როგორც იქნა, კალაპოტშიო, მაგრამ ისევ ვერ მოისვენა.

ერთხელ, სექტემბრის დასაწყისში, მდინარის პირად მაყვლის საკრეფად მისულ თარს ტასოს გადაეყარა და... ეცა, წამოაქცია... ტასომ ეს ამბავი მთელ ქეყანას მოსდო – ეამაყებოდა კიდეც, აი, ასეთი ლამაზი ახალგაზრდა მეტრფისო, მაგრამ არ უჩივლია და ეს ამბავიც შერჩა შოთას სახვივით.

მეორეჯერ, მწყემსობისას (სხვა საქმე არ ეხერხებოდა), მინდორში მოიხელთა 55 წლის თანასოფლელი ქალი, ქერივი გოგუცა, – სამი მოწიფული ვაჟკაცისა და უკვე რამდენიმე შვილიშვილის პატრონი, – და ძალა იხმარა...»

ქალმა ეს ამბავი არ დაფარა და შინ ყველაფერს მოყვა...»

გოგუცას ვაჟებმა – რუბენამ, ხოსიტამ და ვარლამმა (მათგან უმცროსი – შოთას ხნისა იყო)

– შესვეღრისას უთხრეს მოძალადეს:

– შენ ჩეგი დედა რად შეაშინე?!

შოთამ აინუნშიც არ ჩააგდო მების გაცხარება:

– შევაშინე კი არა, წამოვიცვი და, თუ ხოში მექნება, კიდევ ბევრჯერ ვიხმარ! აი, ახლა მე აქა ვარ, თქვენ – ჩემს წინა, აბა ერთი, რას მიზამთ, რა ფეხებს მომჭამთ!..

ძმებმა ჩაყლაპეს შეურაცხყოფა, რაღაცის ლუდლულს მოჰყვნენ...

ჩაიფარცხა ეს ამბავიც.

მერე, ყველას გასაკირად, შოთასა და გოგუცას შვილებს შორის ძმაბიჭური ურთიერთობა დამყარდა; ხშირად ერთად მოილხენდნენ რობიზონას სასადილოში.

ელაციცებოდნენ, უფერებოდნენ შოთას სოფლის თავებიც... მისი ძმებიც ლალად გრძნობდნენ თავს და ხან ვის წაპგლეჯდნენ რაიმეს, ხან – ვის, მათი ხმის გამცემი კი, ერთი შეხედვით, არავინ ჩანდა მთელ სოფელში...

საოცარია, მაგრამ მხოლოდ ჭადარდიდის ყველაზე უბადრუკი ადამიანის, – პამპულიას, – ქოხში სტუმრობამ მკვეთრი გავლენა იქონია ქურუხაშვილების ოჯახის ბედზე...

## კარი XXVI. პამპულია და ულვაშა

პამპულია – მათხოვარი ქალი, კარგა ხნიერი, ბეჭებში ძლიერ მოხრილი, – მარად ძონბებში გახეეული დადიოდა. ცხოვრობდა სოფლის განაპირას, პატარა, სიძველისა და მოუვლელობისგან გვერდზე წაფერდებულ ქოხში.

მისი ნამდვილი სახელი ადარავის ახსოვდა, ყველა პამპულიას ეძახდა. დიდ-პატარა დასცინოდა, მას კი არ სწყინდა; ყველას უდიმოდა, მაგრამ ირონიული თვალმოჭუტვით; მარად რაღაცას ლოგნიდა უბილო პირით...

თუ დარი იყო, ადრე დილას შინიდან გასული, ჯერ სოფელში დამათხოვრობდა, შუადლის შემდეგ კი ამოჩემებულ ადგილზე, – ხიდთან, რობიზონას სასადილოს წინ, – მზის ჩასვლამდე იჯდა, ფეხს არ მოიცვლიდა; წინ, მიწაზე, კიდეჩამომტვრეული თეფში ედო, გვერდზე – ბოთლით წყალი...

როგორ გახდა ერთ დროს თავმოწონე, ამაყი, ლამაზი ქალი – მათხოვარი?

დაეხოცა ქმარ-შვილი... აგადობა... მარტოობა... ნელ-ნელა ქმევით-ქვევით მიდის...

გრძელი და ნაღვლიანი ამბავია, ახლა აქ ვერ მოვყვები, ძალზე შორს წაგვიყვანს...

ჭადარდიდელთაგან მასთან შინ სტუმრად არავინ დადიოდა. ხანდახან მანქანით ქალაქიდან ამოსული ცნობილი ქალაქელი ქურდი, მეტსახელად ულვაშა, გააჩერებდა ხოლმე მანქანას, თეთრ „ვოლგას“, სასადილო „ედემთან“, ჩაისგამდა პამპულიას მანქანაში და გასწევდენენ მათხოვრის ქოხში... რაბომ, რისთვის, რას აგეთებდნენ იქ, რა ჰქონდათ მათ საერთო? დიდი არისტო-რატივით გამოპრანჭული ქურდი და ძონბებში გახვეული მათხოვარი...

მერე ულვაშა მოკლე ხანში გამოვიდოდა პამპულიას ქოხიდან და მანქანით მიაღებოდა ჭა-დარდიდელი თერძის, როსტია ზანდუქიშვილის, ეზოს შავად შედებილ რეინის ჭიშეარს. მანქანა ჯერ გაჩერებული არც იყო – თითქოს მოელი დღე მანქანის გამოჩენას ელოდა, მაშინვე გაიღვ-ბოდა ფანჯარა ორსართულიანი სახლის ზედა სართულზე და იქიდან გამოიხედავდა დიდი, ცისფერი, ფოფინა თვალებით ქალიშვილი, – ნატულია, – დიმილში ბროლივით გამოაშუქებდა ქათქათა ქალებს სიხარულით გაბრწყინებულ სახეზე; მერე შეიმაღლებოდა ოთახში, ერთ წუთში ჩამოირბენდა კიბეზე და სირბილით გაეშურებოდა ჭიშერის გასაღებად...

ეს ჭადარდიდის ერთ-ერთი გამორჩეულად ტურფა გოგო ულვაშას ცოლად ითვლებოდა, თუმცა – არაოფიციალურად, ხელი არ ჰქონდათ მოწერილი – “განონიერ ქურდს” ოჯახის ყოლის უფლება არ ჰქონდა...

ახლა დროა, ეს ულვაშა უფრო ახლოს გაგაცნოთ... უფრო ახლოს კი იმიტომ, რომ გაკვრით მას შეგვე იცნობს მკითხელელი: რამდენჯერმე გვიხსენებია – კოტე ქურუხაძე გახლავთ, გოჯას უმცროსი შვილი! კი მაგრამ, იკითხავთ, იმ შვილს ხომ ზაური ერქვა? დიახ, ერქვა და ახლა კი, უკვე კარგა ხანია, ნაბოლარა ქურუხაძემ სახელი შეიცვალა და ამჟამად კოტედ იწოდება... ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რამ განაპირობა ზაურის ქალაქს გადაბარგება და ნაწილობრივ – ალბათ სახელის შეცვლაც...

ზაური ქალაქს კი არ წავიდა – გაიტცა! უკვე სკოლას ამთავრებდა, როცა მამამისმა სასტოკად სცემა, სოფლელთაგან არავინ იცოდა – რისთვის (აქვე ფრჩხილებში შეგნიშნავ, რომ ალბათ ამის საძმაო კერძო საბაბიც ჰქონდა გოჯასაირს ესოდენ სასტიკი მოპყობისთვის, მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ თუ შვილის სწორ გზაზე დაყენება უნდოდა, ბევრად ადრე უნდა ეზრუნა ამაზე!). იმასაც ამბობდნენ, რომ პასუხად შეურაცხყოფილ ბიჭს მამისთვის დახა დაურტყიარ... სად დაარტყა და როგორ, ვერც ამას ადასტურებს გინმე, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ ზაურის ძმები მამას გამოესარჩნენ (თუმცა მისგან მათაც უარესადაც მოხვედრიათ – ჯოხიცა და ქამარიცი), ზაურს ცემა კიდევ დაუმატეს, თანაც ისე, რომ კინალამ მიასიველიეს, მერე ლობის იქით ცოცხალ-მკვდარი გადააგდეს და უთხრეს: წაეთორიე, ჩქარა დაიკარგე აქედან, თორემ კიდევ რომ დაგინახოთ, ცოცხალი ვეღარ გადაგვირჩებიო... ჩქარა ვერა, მაგრამ, როგორც კი ზაურმა შეძლო მოძრაობა, იქაურობას გაეცალა და აღარც სოფელში გაჩერებულა – პირველსავე ავტობუსს ქალაქს გასყვა.

მრავალი წლის შემდეგ ზაური ისევ გამოჩნდა ჭადარდიდს, აწ უკვე როგორც კოტე ან, როგორც უკეთანი უწინდებდნენ, ულვაშა – მშეგნიერი შესახედავი: მაღალი, ტანთხელი, მაგრამ მის მოძრაობაში იგრძნობოდა სიძლიერე და მოწნილობა... სოფლელებმა პირი დაადგეს: უმაღლესი ხარისხის მუქ ლურჯ შარვალ-ქოსტუმში გამოწევილი (ქალაქის ყველაზე ძვირ თერძს შეაკერინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მინისტრებს, დეპუტატებს, რაიკომის მდივნებს, ქარხანათა დირექტორებს, არტელების თაგმჯდომარეებს და სხვა ჯიბესქელებს ემსახურებოდა!), ქათქათა თეთრი ხალათი, ძვირფასი უცხოური პალსტუხი, თაგზე – რბილი შავი შლაპა... ხელზე – ძვირფასი შვეიცარული საათი, მარცხენა ხელის არათითზე – რაღაც უცნაური ბეჭედი: სპილოს ძვლისგან თავის ქალა იყო გამოქანდაკებული... ფეხზე – მბრწყინვავი შავი ფეხსაცმელი, მეიდანში საგანგაბოდ შეკერილი სახელგანთქმული იაშა მეწარესთან... ყოველთვის – სუფთად გაპარსული, შავი ულვაშები – კოხტად შეკრეჭილი... თითქმის ყოველთვის ფრიად სერიოზული იყო – გაღიმებულს იშვიათად ნახავდი, მაგრამ არც კუშტი გამოხედვა ჰქონდა; დინჯად დადიოდა, დინჯად ლაპარა-კობდა, ყველას ხაზგასმული პატივისცემითა და თავაზიანობით ესალმებოდა (რომელშიც დაკვირვებული კაცისთვის ძნელი არ იყო დაცინებისა თუ ამპარტაგნობის დანახვაც...)

– პროფესორია? – კითხულობდნენ, ვინც არ იცნობდა (ასეთი კი სოფელში იშვიათად გამოეროდა).

– ჰო, მაგარი ქურდია! ქურდებში პროფესორიცაა და მეფეც!

დედ-მამასთან ულვაშას ურთიერთობა არ ჰქონდა, ერთხელაც არ უნახავს ისინი, მმები ხომ თვითონ ერიდებოდნენ – სათოვეზე არ ეკარებოდნენ.

ულვაშა ხელგაშლილი იყო – ნატულიასა და მისი ოჯახის წევრებს ბლომად ფულს და საჩუქრებს ჩამოუტანდა... მეორე დილით, როცა ულვაშა მიდიოდა ქალაქს, მას მთელი ოჯახი – ცოლ-ქმარი და მათი ოთხი ქალიშვილი – დიდი პატივით აცილებდა...

არც იყო გასაკვირი. ეს სახლი რამდენიმე წლის წინათ ულვაშას ფულით იყო ნაყიდი სწორედ მისი სატრფოსთვის, ნაბოლარა ქალიშვილისთვის – ნატულიასთვის... როსტიას ოთხი ქალიშვილი ჰყავდა – ბიჭი არა და არ შეეძინა! ქარგი გოგოები იყენენ, ვერცერთი ვერ გაათხოვა... მშებლები ჯერ ათვალწუნებით უურუებდნენ ულვაშას გამიჯნურებას ნატულიასთან, არც დებს მოსდიოდათ თვალში მაინცდამაინც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ულვაშამ გოგია ციხურაშვილს ააშენებინა მათოვის ახალი სახლი და ახალი დგამ-ავეჯითაც გაუწყო, დატებნენ...

ერთხელ პამპულია რამდენიმე დღე არ გამოჩნდა სასაღილოსთან. მისი ამბავი არავის აღელ-ვებდა, არავის მოუეითხავს. შუაღლებზე ამოიარა ულვაშას თეთრმა მანქანა „ვოლგაბზ“; იქ რომ პამპულია არ დახვდა, არავისთვის არაფერი უგითხავს და მაშინვე გიუივით გააქროლა მანქანა მათხოვრის ქონისგენ; შეგარდა შიგ და ნახევრი საათში უპანგე გაბრუნდა, ისევ გაჩნდა სასაღილოსთან. ხანგრძლივად დააპიპინა, სასაღილოდან გამოსულ რობიზონას „მემკვიდრეს“, ბესა ტუ-

რიკაშვილს, მანქანიდან გადმოუსვლელად უთხრა, პამპულია მომკვდარა, მიხედეთო, თან ხელში ფულის დასტა ჩაუდო – 500 მანეთი; მანქანის ძრავა არ გაუჩერებია და მაშინვე ქალაქს მოუსვა, სატროფოსთან ადარ მისულა.

ბესამ მაშინვე პამპულიას რამდენიმე მეზობელს მოუყარა თავი და ჯგროდ მიადგნენ მის წაუერდებულ, დარიბულ ქოხს...

შეაღეს კარი, აუტანელი სუნის გამო ცხვირზე მიიჭირეს თითები და, არა მხოლოდ ამის გამო, პირებიც დააღეს – ქოხი ანტიგვარული ძვირფასი ავეჯით იყო გაწყობილი, თვით პამპულია მდიდრულ საწოლში იწვა...

სოფელში ხმა გავარდა: გარდაცვლილ პამპულიას აურაცხელი სიმდიდრე დარჩა; იხუვდა სალხმა და გინ რა წაიღო, გინ – რა: სქამები, მაგიდა, კარადები (რატომდაც სულ კაცის მდიდრული სამოსით იყო გამოტენილი); ორი სკივრი სავსე იყო რადაც უცხო ნაკეთობებით (ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები, ძვირფასი ზარდახშები, ძველებური ბრინჯაოს ქანდაკებიანი საათები და კიდევ მრავალი სხვა ნივთი, რომელთა დანიშნულება სოფლელებისთვის უცნობი დარჩა, თუმცა, მათი გარეგნული სილამაზით, იმას კი მიხედნენ, რა დიდი ფასიც ექნებოდათ.

ოთხი მმანი ქურუხაშვილებიც ერივნენ იმათში, ვინც დაესივნენ საგანმურს და, თუმცა მოგვიანებით მივიდნენ, მოახერხეს სხვებზე მეტი ნივთების ხელში ჩაგდება. მაინც უქმაყოფილონი იყვნენ და ნანობდნენ: ზაურთან ურთიერთობა რომ აღგამდგინა, ლიდად მოგებული დაგრჩებოდით ან ამ გადაყრუუბულ დედაბერს ქოხი რატომ ქქონდა სოფლის მათგან მოშორებულ კიდეზე – უფრო ახლოს რომ ყოფილიყო, ადრე მივიღოდით და მეტი ნადავლი შეგგსვდებოდაო... ძმებმა დიდი საწოლი არავის დაანებეს, უმავ ეზოში გამოტანილი წაართვეს პამპულიას მეზობლებს...

ერთ-ერთი მეზობლის, ლალისა და გიგა შორტის, ხუთი წლის გოგონა ამ ორომტრიალის ღროს მივიდა და ცნობისმოყარეობით უყურებდა, როგორ იტაცებდნენ პამპულიას ქოხებას; გადაგდებულ ოქროსვარავიან პატარა ჩარჩოზე წასცდა ხელი – ძალიან მოეწონა – და შინ გააცუნცულა; ანახა დედას, როგორი ლამაზი რამ მაქსო. ლალიმ რომ გაიგო, საიდანაც წამოიღო ეს ჩარჩო, გამოდლიტა ხელიდან და ხელუკულმა ისროლა ხევში – ნაქურდალი და ნაოხრალი არ დამანახო აქაო.

\* \* \*

რამდენიმე თვეში ჭადარდიდს ამბავი მოვიდა: ქალაქში ულვაშა მოუკლავთ რაღაც საქმეზე... რა...

ვერავინ გაარევია – რა მოხდა? თუმცა, სოფელში ბურუსით მოცული მევლელობით დიდად არავინ დაინტერესებულა, საკუთარი საფიქრალ-სატკივარიც ჰყოფნიდათ...

ნატულია სულ რამდენიმე თვეში გათხოვდა – შორეულ სოფელში.

## კარი XXVII. ჭადარდიდს ბოშებმა დასცეს კარავი...

შუა ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ჭადარდიდში გამოჩნდნენ ბოშები – რამდენიმე ჩარდახიანი ფურგონითა და ერთი მოტოციკლით.

ბანაკად დაგნენ მდინარისპირა ჭალაში: დასცეს უღლოსფერი სპორტული კარვები სწორედ იმ მინდორზე, გოჯასპირის სახლს რომ სოფლისგან ჰყოფდა – სხვა თავისუფალი აღგილი ერ იპოვეს, თანაც მდინარე იქვე იყო. კოცონებიდან აგარდა კვამლი; მდინარეში იბანავეს, იგახშეს... ხალხის ურიაშული, ცხენია ჭიხვინი...

მთელი ჭადარდიდი მოაწყდა “გოჯას მინდორს” უცხო ხალხის სანახავად.

უკვირდათ, როგორ მოურიდებოდა, იქმე, ბანაკიდან ათიოდე ნაბიჯში, მოისაქმებდნენ ქალუბიცა და კაცებიც.

მეორე დილას კი, საუზმის შემდეგ, ნაწილი ბოშა ქალებისა სოფელს მოედო – გიმკითხავებოთ, მეორე ნაწილმა კი სარეცხი ჩაიტანა მდინარის პირას, რამდენიმე ქალმა კი კოცონი გააჩალა და დიდ ქაბში ძერძის აკოება დაიწყო.

– დაგიჭედავთ ცხენებს, ხარებს, ჯორებს... – ეზო-ეზო დადიოდნენ შლაპიანი, შავწერა, თმა-სუჭუჭა, მზისგან ზანგებივით სახეგარუჯული ბოშა კაცები.

– ჩვენს სოფელს თვითონ ჰყავს ისეთი მჭედელი, რომ სხვა სოფლებიდანაც აკითხავენ – მთელი ხეობიდან! – ყველგან უარით ისტუმრებდნენ.

ბოშა ქალებს უფრო გაუმართლათ: ჭადარდიდელ მანდილოსნებში მკითხაობით ცოტა ფული მაინც იშოვეს. ყველა მკითხავი აიღებდა ქალიშვილის ხელს, გადმოტრიალებულ ხელისგულს დააკვირდებოდა და ერთნაირად იწყებდა:

– შენ ორ ბიჭს მოსწონსარ: ერთი ქერაა, მეორე – შავგვრემანი...

როცა ბოშებმა გაიგეს, მიყრუებულ ხეობაში მოგხდითო, – ზევით გზა მხოლოდ მცირე სოფლებისქნ მიღიოდა და თვით ჭადარდიდიც დარიბი დასახლება აღმოჩნდა, – გამოჩენიდან მესამე დღეს, დილაადრიან, ისაუზმეს, ქალებმა გამურული ქვაბები მდინარის ქვიშა-სილით გახ-

ხეს, აიყარნენ და გზას გაუდგნენ. მიამტვერებდნენ შარას და გზა-გზა ბავშვები და მოწიფულებიც მარჯვედ გადახტებოდნენ ღობეზე და ბაზს შეესეოდნენ – ჯერ უმწიფარი, მეუკე გაშლით ივსებდნენ უბებს; წევგლა-კრულებით გამოდევნებულ, ჯოხომარჯვებულ მეპატრონეს მარჯვედ უსხლტებოდნენ და დაციხით ენასაც უყოფდნენ.

მათი წასვლის შემდეგ დარჩა შავი ნაცეცხლური, ცარიელი კონსერვის ქილები, ცხენთა ნაჩლიქარისგან აზელილ მიწაზე ბლომად ჩონჩორიე და ოდნავ მოშორებით – აქოთებული აღგილები. ბლომად მონასაჭმი ქურუხებით ღორებმა მაშინვე შეთქლიუეს, როგორც კი ისინი პატრონმა საჩეხს იქით გამოუშვა – საწყალი ღორები რამდენიმე დღით დამწყვდეული იყნენ, რადგან ბოშები ნაკერჩხალზე შემწვარ ხორცზე უარს ნამდვილად არ იტყოდნენ.

ამ დროს გოჯასპირი ციხეში იჯდა, ვარდო ქალაქს სააგადმყოფოში ავადმყოფი დის სანახავად გაემგზავრა წინა დღეს, შოთა ტყეში იყო წასული; მისი ცოლი, ციური, დილით, ბოშათა წასვლის წინ, “ერთი წუთით” მეზობელთან გადავიდა საჭორაოდ, შინ დატოვა ეზოში მოთამაშენი – 8 წლის ქალიშვილი და 2 წლის ვაჟი; როცა დაბრუნდა, შინ მარტო ქალიშვილი დაუხვდა...

ქურუხებინი სოფელთან პირშავად იყნენ, მაგრამ როცა ციურის კივილზე მოგარდნენ და პატარა ბიჭის დაკარგვის ამბავი შეიტყვეს, ჭადარდიდელი მაშინვე რამდენიმე მანქანით დაედევნენ ბოშებს; უკვე ხეობის იქით დაეწიგნენ, მაგრამ მათთან ბიჭი დიდი ჩხრეგის შემდეგაც გერა აღმოაჩინეს...

### ვარი XXVIII. შემოდგომა

საყვარელო, აჲა, მოგოგმანდა შემოდგომა – ძალგულოვანი, “მრავალუამიერის” ომახიანად მომღერალი, ეშხიანი ვაჟებაცი!

ფერადოვნად მოიკაზმა მთაბარი...

ჯერ ჭადარდიდხეებს გაღმა, მთის ფერდობზე შეფენილ ხუჭუჭა ტყეში, აქა-იქ სანთელივით გამოერია ქლდიანზე წამოყელყელაგებული არყის ხეები, მათ თანდათან მიბაძეს წითელ-ყვითლად დაფერგაში ნეკერჩხალმა, რცხილამ, წიფელმა...

თვალგასასახარად თბილად დაიფერა ბაღებში გაშლისა და შსხლის ლოყები, დაყვითლდა კომში, დამუქდა-დაშაქრდა ჭანჭური და ქლიავი,

უმეტესად დარი დგას – დაღლილი მზის ალერსიანი სხივები ეფინება გაყუჩებულ გარემოს, დამტკბარ ჰაერში მიფრინავს აბლაბუდა, ადარ ისმის ჰაერში მერცხლების ხალისიანი უღურტული; ხანდახან წამოუშენს წვიმა და მალევე გადავა ჩუმ, ხანგრძლივ სიმღერაზე – ცრის და ცრის...

ზაფხულში ველ-მინდგრად გამოხუნებულ-გადამხმარი ბალახი კვლავ ამოიწვერა ზურმუხტის-ფრად და გახალისებული ნახირი არად დაგიდევს გულის გამაწვრილებულ წვიმას...

მერე ისევ გამოიდარებს და ერთიმეორეს მისდევს თბილი, ჩატგბილებული დღეები, ხალხი შეესევა ყანა-ბაღებს, ეშურება ჭირნახულის დროულად მოწევას და დაბინავებას.

ახმაურდა სკოლა, ახმაურდა ჭადარდიდხეებიც – შემოდგომის წვიმების შემდეგ მიჭენაობს დაღმა წყალამლერეული და ტალღებუფაფარაშლილი...

### ქარი XXIX. წყალდიდობა

ამ შემოდგომაზე ჯერ ადრიანად აცივდა და უდროოდ დიდი თოვლი დადო, მერე უცებ დათბა; გადაულებელმა ხანგრძლივმა წვიმამ ჭადარდიდხეები ისე საშინლად აადიდა, რომ პირდაპირ გადარია; ზათქითა და ღრიალით მოაქანებდა მლერიე ზვირთებში ათამაშებულ ძირფესიანად მოთხოვილ უზარმაზარ ხეებს, თამაშ-თამაშით მოაგორებდა სახლის ხელა კლდეებს... გაცოფებულს, გალაპოტში რა დაატევდა; რიყე ამოავსო, იმდლაბუდა, გოჯას მინდვრის მაღალ, მაგრამ საბმაოდ რბილ ფლატეს მიაღდა, რეცხა, რეცხა და, ბოლოს, გოჯასპირის სახლი წაიღო და ნახევარი ეზოც წარეცხა; დარჩა მხოლოდ ძეგვით შემოღობილი ეზოს მეორე ნახევარი და ახლად-გაჩენილი ფლატის კიდევე – მამალი თუთის ხე... ეს დაუდევრობის ბრალი არ იყო – როცა გოჯა სახლს აშენებდა, იმ ადგილიდან მდინარე საკმაოდ შორს მიედინებოდა, ასე როგორ შეჭამა ეს ზოლი დროთა მდინარებამ? ან ამ ოჯახმა რა დააშავა ისეთი, რომ მისმა ბურჯმა – გარდომ, დილაგარდისამ – ვერ გასასწრო მდინარის გამდგინვარებას?.. პამპულიას ქოხიდან წალებული საწლო დიდებულად მიცურავდა მდინარის შუაგულში, აზვირთებულ ტალღებს მიარღვევდა და მასში მწოლიარე ვარდო კი აღარსად ჩანდა...

გამდვინებული მდინარე მამუკას სახლსაც დაემუქრა, მაგრამ დაინდო, ბოლომდე არ გაწირა, მხოლოდ სანახევროდ დაანგრია და წარიტაცა... თითქოს გააფრთხილა: ახლა მხოლოდ ტალღებით მოგეალერსე, შემდგომ კი მიფრთხილდი გახდა, სახლის დარჩენილი ნაწილი დაერღვია და სხვაგან დაეწიო ახალი სახლის მშენებლობა, მაგრამ აჩემებულ აზრს

არც ამჯერად უდალატა – უეჭველად მდინარის პირას უნდა დაგლიოთ სული, მანამდე კი ყოველ-დღე მისი ხმაურის ქვეშ უნდა დავიძინო და გავიდგინო...»

მამუკამ სტიქიონის ამ საოცარ გალადებას ლირიკული ჩანახატიც მიუძღვნა, ვითარცა განსა-გუთორებულ, სულის შემძღველ მოვლენას... მისი ცოლი, მზევინარი, კინალამ გაცოფდა: ცალკერდ იმით, რა უბედურებაც დაატყდათ თავს, უფრო კი – მამუკა რომ დაიგრეულ სახლზე მეტად და-კარგულ დროს მისტიროდა – წერისთვის იმდენს ვედარ მოვიცლიო...

მამუკა იხტიბარს არ იტეხდა:

– კიდევ კარგი, მეორე სართულის გაწყობა ვერ მოვასწარი! უული აღარ მეყო, კიბეც კი ვერ გაგაპეოვ, რომ მეორე სართულზე აესულიყავი! მაინც მადლობელი გარ მდინარისა – ბევრი სი-სარული მოუტანია ჩემთვის, ბევრი ლამაზი მოვონება დამიტოვა და მრავალი ქებაც დამაწერინა! ჩვენ წავალთ, ყველაზე მაგარი სახლები დაძველდება და დაინგრევა, ნაწერი კი დარჩება! დანარ-ჩენი – გინდა ქარს წაუდია, გინდა – წყალს!

ცოლი ბრაზობდა:

– რა გიხარია, შე უბედურო, ნალი გიჟი ხარ! – ის მიხარია, რომ ცხოვრება ახალი ფურცლიდან იწყება – განახლება აუცილებელია და სიბრძნე ის არის, ცუდშიც რაღაც კარგი აღმოაჩინო!.. ახალი საქმე გამიჩნდა, ახალი საზრუნავი – თითქოს თავიდან ვიწყებ სიცოცხლეს!

– ვაკ, ამ უსაქმურს ვის გადავეკიდე, როცა გახურებული სამუშაო გამოჩნდება ან უბედურება დაგვატყდება თავს, მაინდამაინც მაშინ მოუნდება ამ ჰქუიდან გადაცდენილს სისულელების წე-რა! გამომივიდა ესეც გაუა-ფუშაველა!

– ყოჩად, ქალო, თურმე ვაუას სახელი გაგიგონია! აბა ერთ მის ლექსსაც თუ ჩამიბულბუ-ლებ, ერთ წელიწადს რაიმეს თხზებაზე ხელს ვიღებ, მეტი რაღა გინდა!

– ჰო, სხვა რა საქმე გაქვს, აპამულე და დასცინე სხვას, მასხარა თავი გაბია! შვილიშვილე-ბის მაინც არ გრცეხვნია?

– ჰო, მრცხვენია, რომ ისეთი ცოლი მყავს, ხუმრობა არ ესმის...

ჰადარდიდში სხვა ეზო-მიდამოები დიდად არ დააზიანა, ჰალაში გაშენებული პატარ-პატარა შემორაგული ბოსტნების გარდა – ძევლთაძეველი სოფელი იყო და წინაპრებმა იცოდნენ, რომ მთის გიუმაჟ მდინარესთან მეტისმეტად ახლო დასახლება არ შეიძლებოდა... სასადილო “ედემი” კი დიდად დააზარალა – წყალი მაღალ აიგანს მისწვდა და დარბაზშიც შეაღწია, მაგრამ მკვიდ-რად აშენებულმა ნაგებობამ სტიქიონის შემოტევას მაინც გაუძლო, წაღებას გადაურჩა; სამაგიუ-როდ, მიმდებარე არე მოვარდილმა წყალმა მთლიანად მოსრა – საქათმე, საღორე და სხვა დამ-ხმარე ნაგებობები ხომ მოლოკა და წაიღო, დაშოშინებისა და უკან დახევის შემდეგ, ბაღ-ბოს-ტანში ბლოომად ქვიშა-სილა დატოვა. რობიზონასდოროინდელისგან განსხვავებით, აქ არც ფარშე-განგები ჰყავდათ, აღარც – ციცრები, ქათმები და ლორები, დათვიც ქარგა ხნის წინ მოკვდა, თო-რებ ყველას წყალი წაიღებდა...

\* \* \*

როცა მდინარე კალაპოტში ჩადგა, როგორც უკეე მოგახსენეთ, “გოჯასპირის მინდორზე” მხოლოდ ძეგვის მაღალი დობის ნახევარი იყო შემორჩენილი... შემდგომ მდინარისპირა საქმაოდ გაფართოებულ რიეტზე იალღუნმა, ფშავმა, ქაცვმა და სხვა მცენარეულობამ მოიკიდეს ფეხი, ფლატის ძირს მაყვლიანი გაუყვა და რამდენიმე წლის შემდეგ იმ ადგილას, საღაც გოჯასპირის სახლი იდგა, ჰადარდიდელნი შემოდგომით მსხვილ, გემრიელ მაყვალს ჰერეფდნენ...

### პარი XXX. ოთარ მექოგზიშვილი დაბრუნდა...

უცნობი ახალგაზრდა ქალბატონი, – გამხდარი, სანდომიანი, მაგრამ დარიბულად ჩაცმული, – მრავალი წლის წინ ჰადარდიდში უცნაური გარემოების გამო გამოჩნდა.

როგორც თვითონ ყვებოდა, ხეობის შორეულ, მთის პატარა სოფელში ცხოვრობდა, ჰყავდა ქმარი და ორი შვილი – ვაჟი და ქალი.

ერთხელ სიზმარში უნახავს: დიდ სოფელში ერთი კაცი ყოფილა – მაღალი, ლამაზი... მაშინ-ებ შეუყვარდა და გადაწყვიტა: ეს მისი საბედოა, აუცილებლად მასთან უნდა იყოს, მისი ცოლი გახდეს!..

დილით ადგა, საუზმეც არ უჭამია, ისე გაუდგა გზას, შინ არავისთვის არაფერი უთქვამს.

მთელი დღე შეუსევნებლად იარა და სადამოსპირს ჰადარდიდს მიაღწია. დაღლილი სახე ოფ-ლისგან უბრწყინავდა, უქსესაცმლის ფერს ვერ გამოიცნობდი დაფენილი მტერის სქელი ფენის გამო. ჰადარდიდხევში ტანი დაიბანა, შემდეგ სოფელში გაიარ-გამოიარა, ყველა შემხევდრს უ-რადდებით აკვირდებოდა და, ბოლოს, სოფელში დროებით მივლინებული ერთი შუასნის საგზაო ინჟინერი იყო, დავითი, იმას დაადგა თვალი – სიზმარში გნახე, შენ გეტრფი, უეჭველად ერთად

უნდა ვიყოთო. კაცს დიდად არ უყოფმანია: შეხედა, მოეწონა და მაშინვე თავისთან წაიყვანა – დაქირავებულ ოთახში...

ინუინერთან ერთი თვე დაჭყო. იმან მაღე შეატყო, ეს ქალი ცოტა ვერ არის სრულ ჰყუაზეო, ბედს მადლობა შესწირა, რომ მივლინების ვადა დაუმთავრდა და დროებით საყვარელს სასწრავოდ გაეცალა.

სოფელმა ქალი მაინც შეიფარა, კეპლუცა შეარქევს. ერთი უპატრონოდ დარჩენილი სახლი იდგა, იქ მცხოვრები ოთარ მეკოვზიშვილის მოხუცი მშობლები დაიხოცნენ (თვითონ ითარი – მეზღვაური – კარგა ხნის გადაკარგული იყო); კეპლუცა იქ დაბინავდა, შეძლებისდაგვარად ეზო-კარს უვლიდა. მეზობლებში დადიოდა კეპლუცა, მსურველთ სარეცხს ურცხავდა, უუთოვებდა და სხვა წვრილმან საოჯახო საქმეშიც ეხმარებოდა, – ამით ჭამდა პურს. იმ გარემოებას, რომ უცნაურობა სჭირდა, – თავისთვის ბურტყუნებდა რადაცას, ხანდახან კი მოულოდნელად უმიზ-ზოდ გადაიხარხარებდა, – შემწყნარებლურად უყურებდნენ, რადგან სხვა მხრივ არავის ერზოდა.

კეპლუცა უველას პირში აჩრიდა სიმართლეს, ამიტომ ზოგიერთები ერიდებოდნენ მასთან ურ-თიერთობას; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მის “მოქრთამვას” ცდილობდნენ; კეპლუცა ძლვენს კი იდებდა, მაგრამ ნირს კი არ იცვლიდა!

წელი წელს მისდევდა...

და აი, მრავალი წლის შემდეგ, ოთარ მეკოვზიშვილი კელავ გამოჩნდა ჭადარდიდში, ამჯუ-რად – ხანში შესული, დაავადმყოფებული... როგორც მოგახსენეთ, მისი მშობლები კარგა ხნის გარდაცვლილი იყვნენ, ადარც დეიდაშვილ-ბიძაშვილებიდან იყო ვინმე ცოცხლად დარჩენილი; მათ შორის რობიზონა პირველი გავიდა გაღმა მხარეს – დიდი, დიდი ხნის წინათ! ოთარის ქ-ლიშვილებიდან უფროსი, ექნეცია, ოფიცერ ქმარს გაჰყეა რუსეთში და გადაიკარგა, კაციშვილმა არ იცოდა მისი ასაგაღ-დასავალი; უმცროსი ქალიშვილი, ქმარგაყრილი ფლორენცია, ქალაქს ცხოვრობდა, თითქმის ორი ათეული წლის გამამავლობაში ერთი ცოლშვილიანი კაცის ქმაყრუ-ზე ცხოვრობდა, რომელიც კვირაში ერთხელ ჩუმად აკითხავდა; ფლორენციას ვაჟიშვილი, აწ უპ-ვე სტუდენტი, ამ კაცს მამას ეძახდა...

ოთარ მეკოვზიშვილს კეპლუცა სახლიდან არ გაუგდია. ქალი დილით საუზმეს უმზადებდა, ურეცხავდა, გვიდა თუ წმინდა – სახლს ავად თუ კარგად უვლიდა-პატრონობდა.

ოთარი ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა ჭადარდიდს, თან ჩამოჟყვა მხოლოდ ძველი გიტარა და ერთი ტყავის, მეტისმეტად გაცვეთილი, ფერდაკარგული საგზაო ჩემოდანი, – სოფელში დაბეჯი-თებით ამტკიცებდნენ, ფულით არის გატენილი. ამის საფუძველს ის იძლეოდა, რომ უოველდელე იმ საქმაოდ დიდი ჩემოდნის პატრონი დილიდან სადამომდე სასაღილო “ედემში” იჯდა. უოვილ მეზღვაურს მიმართვისას და სადღეგრძელებშიც ყველანი მოწიწებით “კაპიტანს” უწოდებდნენ; რა საბუთი პქონდათ ამისა, უცნობი იყო, მაგრამ თვით ოთარს რომ ძალზე ეამებოდა ამგვარად მისი მოხსენიება, ცხადზე უცხადესად ეხატა სახეზე და სუფრის წევრები გულუხვ მასპინძელს რატომ არ ასიამოგნებდნენ! იფერებდა ოთარ მეკოვზიშვილი აზგარ მიმართვას სუფრის გარე-შეც... ჭადარდიდისთვის “უცხო ფრინველი” გახლდათ – გზააბნეული, სოფელში თითქმის შემ-თხევევით შემოფრენილი და ყველასთვის დიდად პატივსაცემი... ყოველთვის სუფთად პირგაპარსუ-ლი, კეპლუცას მიერ საგულდაგულოდ გაწმებდილ-დაუთოებულ საზღვაო ფორმაში გამოწყობი-ლი დაიარებოდა; ხაზგასმული პატივისცემით, ქუდთან გაჭიმული ხელის მტევნის მიტანით, ესალმებოდა შემხვედრ დიდ-პატარას... და არავის უკვირდა, რომ ჩამოსვლის დღიდანვე სასაღილო “ედემის” “კაპიტონა” ითავა, – შესანიშნავი თამადა იყო! – მხოლოდ დასაძინებლად ბრუნ-დებოდა შინ... გაჯგიმული, ამაყად იჯდა ხოლმე სუფრის თავში – სრულიად გამელოტებული (სადღად პქონდა მშეგნიერი დატალლული ხშირი თმა! ამიტომ ერთობად მეზღვაურის საუცხო ქუიდ ეხურა), მჩვარიევით გამომშრალი და სახედანაოჭებული, ოღონდ – შავად ულვაშებშეღები-ლი, ძველებურად ბოხხმიანი... ამ თავდაჯერებული, ხავერდოვანი ხმით, რომელიც ერთ დროს მომნუსხველად მოქმედებდა ქალებზე, ახლა, არავისა და თამბაქოსგან ხრინწევაპარულით, მაგრამ პელავაც მედიდურით, სადღეგრძელებს შორის დაუსრულებდლად ხან ჩახლებილი ხმით დაამდგ-რებდა გიტარაზე ნაცნობ და, უმეტეს წილად, სრულიად უცნობ ცხოვრუ სიმღერებს, ხან რიხით უამბობდა პირში მიჩერებულ გულუხბრყვილ მსმენელთ ათასგვარ ტყუილ-მართალს, უფრო – საკუთარი თავგადასავალების შესახებ... იცოდა უამრავი მხიარული, თავშესაქცევი ამბავიც, ხა-ლისით პყებოდა საკმაოდ უწმატურ ანეკოტებსაც, მაგრამ ყველაზე სასაცილო შემთხვევის შე-სახებ თხრობის დროსაც კი არ გაიღიმებდა, სახის ხაზგასმულად გულგრილი, განურჩევლი გა-მომეტყველება არ შეცვლებოდა, მხოლოდ უკავე ჭადარაშერთულ, მსხვილ წარბებს არტისტუ-ლად ათამაშებდა და დროდადრო სოფლელთათვის უცხო ხილს, სურნელოვან სიგარას, არტის-ტულადვე გააფულილებდა. სიმღერაც უყვარდა და, შემთვრალი, ისეთ სახუმარო სიმღერებს აბუ-სუნებდა, გარშემო მყოფი სიცილით გადაფიჩინდებოდნენ... და რაც უფრო მხიარულდებოდა სა-ზოგადოება, მით უფრო დინჯდებოდა ბატონი ოთარი, მომრგვალებული ტუჩებიდან გამოტყო-ცნილი სიგარის რგოლებს ერთმანეთში ოსტატურად აძვრენდა, ხოლო მისი ჯიშიანი წარბები ცელქობას არ იშლიდნენ...

და ბატონი ოთარი ერთი წუთითაც არ ნადვლობდა, რომ, როგორც ეს ლამაზი რგოლები ნელ-ნელა ფორმას ჰქარგავდნენ და იფანტებოდნენ ჰაერში, ასევე იფანტებოდა მისი დანაზოგი ფულიც – „კაპიტანი“ სრული სვლით მიექანებოდა გაკოტრების მწერისეკენ!

შემდგომ მოვლენები ისე წარიმართა, რომ კარგ მწერალს ფსიქოლოგიურ რომანს დაწერინებდა, მე კი მოკლედ მოგახსენები.

ერთ ლამეს ოთარის ბინას დაეცა ნიღბიანი ყაჩადი, გაქოჭა სახლის პატრონი, გადააქოთა ყველაფერი, წასაღები კი ბევრი ვერაფერი იპოვა: ყოფილი მეზღვაურის სახელგანთქმულ ჩემოდანში მხოლოდ სამიოდე თუმანი, რაღაც გაყვითლებული საბუთები, ქალთა უამრავი ფოტოსურათი, გაცემითლ-გამოხუნებული საცვლები, დახეული წინდები და ერთი ცარიელი, მეორე კი სანახევროდ დაცარიელებული სიგარის ყუთი იღო... მბარცველმა მთელი სახლი გადააქოთა, გიტარაც კი გატეხსა და შიგ ვერაფერი აღმოაჩინა; იმედგაცრუებით გაბრაზებულმა, ცხელ გულზე ოთარი მაგრად მიბეგვა, სიგვალილის პირამდე მიიყვანა მოხუცი, შემდეგ დაახრჩო, მაგრამ ვერაფრით ათქმევინა, სად პქონდა გადამალული ფული...

ჩოჩქლზე კეკლუცამ გაიღვიძა, მის ოთახშიც შეიჭრა მმარცველი; ქალს დაუღრიალა, ხმა-კრინტი არ დაძრა, თორემ გაგათავებო... აქაც ჯერ ყველაფერი ამოაქოთა-ამოაბრუნა – სულ ტყუილად, შემდეგ საბანქვეშ თავიანად შემძვრალ, გაოცებისგან ენაჩავარდნილ ქალს ლოგინში შეუწვა...

ოთარ მეკოვზიშვილის მეკლელი მალევე დააკავეს – შოთა ქურუხაშვილი გამოდგა... პეპლუცამ იცნო – ხმით!

შოთა მტკიცე უარზე იყო: მე უბრალო ვარ, მთელმა სოფელმა იცის – ეგ ქალი უშტვენს, ვინ დაუჯერებს, მაგის ჩვენებას ძალა არ აქვსო.

ნივთმტკიცება წარუდგინეს – მის სახლში ჩხრეკისას აღმოჩენილი სიგარის კოლოფი (სხვათა შორის, კოლოფი უავე ცარიელი იყო – შოთამ და მისმა მძებმა და მძაბიჭებმა სიგარებს ხელად მოუდეს ბოლო, თანაც შოთა დაგავებამდე დაუფარავად დადიოდა სოფელში პირში გარჭობილი სიგარით და კიდეც ამაყობდა ამით!), მაგრამ ვექილმა დაასაბუთა, რომ ეს შოთას მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ სამხილად არ გამოდგებოდა, რადგან ვერ მტკიცდებოდა, რომ სიგარის კოლოფი ნამდვილად მოკლულს ეკუთვნოდა – იქნებ ოთარ მეკოვზიშვილმა ვინმეს აჩუქა?

მაგრამ აქ საქმეში ჩაერია გავლენიანი, ერთი შეხედვით გარეშე პირი – კოლმეურნეობის „გზა ნათელი მომავლისები“ „მუდმივი“ თავმჯდომარე ქაიხოსრო ტურიკაშვილი! (მარადი ამქეშ ნად არაფერია და სხენებული მოვლენებიდან რამდენიმე თვეში ხოსრო თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლეს და კინადამ დაიჭირეს – ეს ცალკე ამბავია).

კარგა ხანია, ბატონ ხოსროს შოთა ქურუხაძე ადარ მოსდიოდა თვალში. მართალია, იგი ხშირად იყენებდა შოთას საკუთარი საქმების, უნდა ითქვას – არცოუ წმინდა წყლისა, მოსაკვარახ-ჭინებლად, მაგრამ ამ ბოლო დროს ქაიხოსროს შვილმა, ბესა ტურიკაშვილმა, სასალილო „ეღმის“ გამგემ, ფაქტობრივად კი – მისმა მფლობელმა, მამას არაერთხელ შესჩივლა: მმები ქურუხაძენი ნამეტანი თავს გავიდნენ... „ეღმის“ კვირაში ორ-სამჯერ მაინც მოეთრევიან, თანაც მარტონი კი არა, თავისი ამფსონებით; ჭამენ-სვამენ და დანახარჯის გასტუმრებით ხომ არცოუ ხშირად იწუხებენ თავს – ეს ერთი უბედურებად და უარესი კი ის არის, რომ უზომოდ დათვრებიან, მერე ხეუბის იშტაზე მოვლენ, დაერევიან იქ მყოფო, ყველაფერს დალეწავენ და წაბილწავენ... ზარალს ზარალი ემატება – მუშტარი გაურბის „ეღმის“, სადაც თითქმის ყოველდღე ჩხუბი და ცემატყება იმართებაო...

კარგა ხნის წინათ ხოსროს მიერ „დაკვალიანებული“ მძების ქმედება, რობიზონასთვის სასადილოს წასართმევად მიმართული, ახლა თვით ტურიკაშვილებს მიუბრუნდა!

ოთარ მეკოვზიშვილის მეკლელობამდე ბატონი ქაიხოსრო ტურიკაშვილი ერთი მისთვის ფრიად უსიამოვნო არჩევნის წინაშე დადგა: მოულოდნებულად შოთამ ხოსროს განუცხადა – მომწყინდა საქონელთან ერთად ტყე-ღლრეში წანწალი, გიგა შოფერი გააგდე და მის მაგივრად მე დამსვი მანქანაზეო!.. ხოსრო ორ ცეცხლს შუა მოექცა: ერთი მხრივ – შოთას ბევრი რამ პქონდა გაკეთებული მისთვის, თუმცა საქმაო გასამრჯელოს ფასად, მაგრამ თუ პირად შოფრად აიყვანს, იქნებ „ეღმის“ დაანებოს თავი? მეორე მხრივ კი – გიგა როგორ გააგდოს? ამდენი წელია, ერთგულად ემსახურება და მისი მრავალი ცოდვაც მშეგნივრად მოეხსებება... თუნდაც ის, რომ ჭადარდიდში არა, ამ მხრივ ხოსრო ძალიან ფრთხილობდა, და ციხისუბანში კი ახლახან გაიჩინა ახალი საჭვარელი – მასზე თცი წლით ახალგაზრდა ქერივი, მეორე კი, უპვე საქმაოდ დიდი ხანია, ქალაქს პყავდა – ფლორენცია, ოთარ მეკოვზიშვილის ქალიშვილი... შოთას მექალთანეობის ამბავი მთელმა ჭადარდიდმა იცოდა და ხოსროს იმ საყვარელებს ისიც უეჭველად თვალს დაადგამდა – თავხედობა არ ეყოფოდა თუ ხოსროზე ბევრად და შესახედავად მოსაწონი არ იყო?

იმავე დროს შოთასა და გიგა შოფრის დაპირისპირება სხვა რამის გამო მოხდა (გიგამ ჯერ-ხანებით არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ შოთა შოფრის ადგილის წართმევას უპირებდა) – შოთას გიგა დაბად დობედ მოეჩენა თუ უავე ყოველგბარ ზღვარს გადაჭარბა მისმა უტიფრობამ, ძნელი სათქმელია...

შოთა ორლობეში წყლის მოსატანად მიმავალ გიგა შოფრის ცოლს, ლალის, უპე სამი შეი-ლის დედას, უშნოდ გაედლაბუცა; ქალი გაუსხლტა და გაიქცა. სადამოს შინ დაბრუნებულ ქმარს ყველაფერი უამბო, ის დალურჯებული მკლავიც აჩვენა, რომელზეც შოთა წაეტანა...

გიგა კინაღამ გაგიუდა, გახშმისკენ არც გაუხედავს, ისე გავარდა შოთას მოსაძებნად...

შოთას “ედემში” მიაკვლია — შეა ლხინში იყო!

გიგა მივარდა მის მაგიდასთან...

სულ ოთხი ისხდნენ: შოთას გარდა, მისი მეგობრები — რუბენა, ხოსიტა და ვარლამი, — სწორედ მის მიერ გაუპატიურებული იმ ორმოცდათ წელს გადაცილებული ქვრივის, გოგუცას, ვაჟები, რომლებსაც შემდგომ დაუმმაპაცდნენ შოთას...

— შე ვირიშვილო, აღარ გეჭო მძ...რის ჭამა? — დაუღრიალა ბრაზისგან აცახცახებულმა გიგამ.

შოთა არყისგან შემდვრეული თვლებით უტიფრად მიაჩერდა, გადაიხარხარა:

— კაი ლუკმა, გემრიელი!.. — მერე თავისი ჭიქა მიაწოდა: — დაჯე, კაცო, მოგრიგდებით, ჯერ ეს ერთი დაგვილიე...

გამძვინვარებულმა გიგამ გამოწვდილ სავსე ჭიქას იდაყვი აუკრა, ბოთლს წამოავლო ხელი და შოთას თავში გამეტებით დაუშვა... კიდევ კარგი, შოთამ მოასწორ ოდნავ გვერდზე გაწევა და ბოთლი თავში ირიბად მოხვდა, თორემ, შესაძლოა, სულიც გაეფრთხობინა. დარტყმა მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ შოთა წაიქცა, უკიდურესად გააფთრებულმა გიგამ მუცელში წიხლი ჩაზიდა, შემდეგ ორივე ხელით ზევით წიწილასავით აიტაცა-ააფრინა და აიგნიდან ჭადარდიდ-სევში გადააგდო...

რუბენა, ხოსიტა და ვარლამ, გაოგნებულნი, პირდაფჩენილნი, გიგას უსიტყვოდ მისჩერებოდნენ...

გიგამ მაგიდა ხრიალით ამოატრიალა, ყველას ერთიანად ხმამაღლა შეუკურთხა და, ჯერ კი-დევ მუშტებშეაუშული, კარებისეკნ გაეშურა.

ალბათ გადაუხდიდა სამაგიეროს გიგას შოთა, არ აპატიებდა სოფლის პირგელი “ყოჩის” ასე არნახულად დამცირებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ორ კვირაში შოთა უპე დაპატიმრებული იყო.

ხოსრო კარგა ხანია, აპირებდა, როგორმე მოეთოეა გალაღებული ძმები ქურუხაძენი, უპირვე-ლესად კი მათგან ყველაზე საშიში — შოთა, რომელიც თვითონვე გაალადა, გაათავებედა და ახ-ლა კი იგი მისოვისაც სახიფათო გამხდარიყო... ამიტომ (საკუთარი რაიონის ფარგლებში საქმა-ოდ დიდი გავლენა ჰქონდა) შოთას საკადრისად დასასჯელად ანუ კარგა ხნით სოფლიდან მოსა-ცილებლად ყოველგვარი მისოვის ხელმისაწვდომი ხერხი გამოიყენა...

შოთას ბედის ჩარხი უპელმა დატრიალდა და მას ამჯერად ციხიდან თითქოს ველარაფერი იხსინდა, მაგრამ...

შოთას დანაშაული მამამისმა, უპე მოხუცებულმა გოჯამ დაიბრალა... სასამართლოში გა-ნაცხადა: მოწმე შეცდა, უდანაშაულო კაცს დაადო ხელი, ოთარ მექოვზიშვილი მე დაგაყაჩადე. ცოტაოდენი შემონახული უულიც დახარჯა გოჯასპირმა და შეძლო, მოსამართლები დაერ-წმუნებინა”, მოხუცმა კაცმა ასეთი ცოდვა ნამდვილად ჩავიდინეო... ქაიხოსრო ტურიკაშვილი ამ დროს უპე “გაფუჭებული”, თაგმადომარებობიდან განთავისუფლებული იყო და თვითონ საცი-ხოდ ჰქონდა საქმე — შოთასოვის აღარ ეცაბლა.

გოჯა შვილის მაგივრად ჩაჯდა ციხეში.

\* \* \*

ერთ დღეს ოთარის სახლის ქარს მოადგა ახალგაზრდა კაცი — ახოგანი, ლამაზი.

კეკლუცას უთხრა: მე შენი შვილი ვარ, დიდხანს გეძებე, ძლივს მოგაგენიო; რა გინდა, აქ რომ მარტო დაფარფატებ, უკვე ხანში ხარ შესული, წამოდი ჩემთან, შვილები მყავს, მათ გაზ-რდაში მომებარეო...

მას შემდეგ ქეპლუცა სოფელში აღარ უნახავთ.

### გზის სიმდერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

გზა — ფილოსოფიურ კატეგორიად შეიძლება ჩავთვალთ.

გზა — უსასრულობის სიმბოლო, დასაწყისისა და ბოლოს გარეშე.

ადამიანისთვის — გზის დასაწყისი და გზის ბოლოც არსებობს.

გზა — სიცოცხლის სიმბოლო... ცხოვრების გზის დასაწყისი, განვლილი ცხოვრების გზა...

სწორი გზა, მრუდე გზა.

სწორი თუ მრუდე გზით სიარული.

გზას აცდენილი.

უგბო-უკელოდ ხეტიალი.  
 გბის მანათობელი ვარსკელავი.  
 გბის გამკვალავი.  
 გბიაბნეული, გბადაქარგული.  
 გები და გბა.  
 მგბავრო.  
 მგბავრული სიმღერა.  
 დაკარგული გბა-ევალი.  
 მომავალი გბის მოლოდინით სულის აფორიაქება.  
 მიხეულ-მოხვეული გბის პოეზია.  
 სწორი გბის პოეზია!  
 აღმართის პოეზია!  
 მთის გბის პოეზია – უმაღლესი!..  
 მთის გბა: გბები – სარტყელები მთის კალთებშე.  
 გბა – ქამარი ველზე.  
 ხეობის გბა.  
 გბა, რომელიც მდინარის პირს მიუყვება.  
 მინდერის კილებე გამავალი გბა.  
 სასაფლაოსკენ მიმავალი გბა...

### კარი XXXI. ზამთარი

საყვარელო, გვესტუმრა ზამთარი – ოეთრწვერა, დარბაისელი, ტკბილმოუბარი, თბილი მოხუ-

ცი!

თბილიო? ეგ როგორ წამოგცდა?! – იკითხავს გაკეირვებით მავანი.

თბილია გრძნობებით, სიხარულის მოზღვავებით, როცა ხვავრიელ თოვას უცქერი ფანჯრი-დან ან, მთლად უკეთესი – გარეთ ხარ, ზეცით მოვლენილ უთვალავ თეთრ პეპლებს-ფანტელებს სიხარულით და სიამით შესცემი; სხევს, ასევე აღტაცებით სახეგანათებულო, სტყორცნი გუნდას, პასუხსაც იღებ – თუ გუნდით არა, წაჭიდავებით, ფეხის გამოღებით და თოვლში გადაკოტ-რიალებით... თუ განსაკუთრებით აღგზნებული მეტოქე გამოგეპიდა და სახლაურის სამაგად გა-დახდა მოიწადინა, მოხვეტილ თოვლს კისერში გჩურთავს, სახეში გაყრის... შენც ცდილობ, გალ-ში არ დარჩე, უკანიდან მიეპარები “დამჩაგვრელს” და...

ცივა, ცივა, შენ კი, გახურებულს, ოფლი ჩამოგდის სახეზე, ღრმად ამოსუნთქული ჰაერი ორ-თქლის ქულებად იფრქვევა...

მერე კარგია შინ შებრუნება, თბილ ოთახში აგუზგუზებულ ბუხართან ან გავარვარებულ ღუმელთან შიშველი, გათოშილი ხელისა და ფეხისგულების მიშვერა, ტაბლაზე გაწყობილი პურ-ლვინოს ნება-ნება დაგემოვნება... რა გემრიელია ამ დროს ცხელ-ცხელი ლობიო, მჭადის ნა-ჭერს რომ ამოუსვამ და პირისკენ გააქანებ, ხახეს ჩაკერ, ერთ-ორს წაუქნევ ყბებს, შემდეგ თლილ ჭიქაში ან თუნდაც თიხის ჯამში – მამაპაპურად! – ჩამოსხმულ სურნელოგან ღვინოს და-ეწაფები...

გახვალ, გახურებული, ეზოში შეშის დასაჩეხად, ღონივრად იქნევ ნაჯახს და საკუთარი ჯა-ნით გახალისებული, არად აგდებ მოძალებულ სუსხს – მალე გაიხდი წელზევით და ერთ საათ-ში მთელი კეირის სამყოფ შეშას დაახვავებ ზვინივით...

დაბრუნდები ოთახში, ისევ მიეფიცხები ბუხარს, ან იქვე ტახტზე წამოწვები; უყურებ ცეცხლის ალის აღვირასხნილ ცეკვა-თმაშს და უსმენ შეშის ალერსიან ტკაცატკუცს...

მამუქას ორი უსათაურო ლექსი მისი წიგნიდან “ფიქრთა თოვგა”:

მიყვარს ცეცხლის ყურება –  
 და ალის დალალების  
 ცეცხლოვანი თამაში,  
 ხელ-ფეხის გახურება...

ბუხრის მომსახურება:  
 როცა ღონე ეცლება,  
 ალის წითელ ხახაში  
 შეშის ჩაჩუჩურება!

და კიდევ:

გამთარო, თეთრო ყვავილო,

გადაპენგილო მთა-ბარო,  
ციფი სინათლით ავსილო, –  
მანაგრებ გაფხულს მარად!

გაფხულო, ფუნჯით ხატულო,  
მწვანედ, ყვითლად და წითლად,  
ცისარგყელაო, მაცდურო,  
გამთარს მანაგრებ თბილად!

სანამ ამ წიგნის დასასრულისკენ მივღრეჯდე ამბის მდინარების საჭეს, ამჯერად მამუკას პროზას დაგესესხები.

**დრუბლიანი ცის მუსიკა**  
(მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

ღრუბლიანი ცა...

უყურებ, უყურებ...

რამდენი ფიქრი გეწვევა – მოულოდნელი, უცნაური, სწორედ რომ შესაფერისი დრუბლთა ცვალებადი და უცხო ფორმებისა...

ზღაპრული მუსიკა გვესმის ღრუბლიანი ცის ყურებისას...

რაღაც უმომოდ ღრმა და ნათელ სივრცეში იძირები, მაღლდები, დაფრინავ, თითქოს ფრთები გამოგესხა და თავისუფლად დანავარდობ წარმოსახვის მოულოდნელი, დახლართული გზა-ბილიკებით... ლადი ხარ, ლამაზი, ხალისით და სიხარულით ავსილი: როგორც თბილი ჰაერის ნაკადით გაგსებული ბურთი – აიჭრები სილადისა და სიამის აღმავალ ნაკადში მაღლა, მაღლა... ციური მუსიკა... ლეთიური მუსიკა... ნაბი, გამჭვირვალე მუსიკა... ამაყი არწივის მძლავრი ფრთების ფართქუნი... ხალისიანი წკრიალი ტოროლისა...

და უცებ – მჩერას დახრი, უბრუნდები მიწას:

დიდი ჭადარი დასცექერის ხეობის კალთაზე შებუდებულ სოფელს, ქუჩაბანდებში დაღოლავენ ადამიანები, ყანა-ბაღებში მიწას ებრძვიან, სახლებში საქმიანობენ – ჰურს აცხობენ, კერძს ამზადებენ, კარაქს დღვებავენ, გაცელქებულ ბავშვებს უწყრებიან, ჩვილს აკვანში აძინებენ, ეზოში – ღილით სარეცხს ფენენ, შეშას ჩეხავენ,, ქათმებს აპურებენ, ბოგჯერ ცას ახედავენ – რას გვიქადის მიმღოღავი ღრუბლები?

დგანან მიწაზე და შესცექერიან ცას...

**კარი XXXII. შესანდობარი**

იანგრის მზიანი, ყინვიანი, მშეგიდი დღე გათენდა.

მამუკა კალმახაურს დილიდანვე გული შინ არ გაუჩერდა; არც უსაუზმია, ისე ადრიანად გამოვიდა სახლიდან. “ედემში” გაიარა, ერთი ბოთლი არაყი და ოცდაათი ხინკალი წამოიღო და სასაფლაოსკენ გაემართა – გაბრიელა მესაფლავე უნდა მოენახულებინა; თან ფურცელზე დაწერილი ახალი ლექსიც მიჰქონდა, უნდოდა, მისოვის წაეკითხა; კარგა ხანი იყო, საერთოდ კალმისთვის ხელი არ მოუკიდებია.

შორიდანვე ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა – ბუდრუგანის საკვამურიდან ბოლი არ გამოდიოდა. ფეხს აუჩქარა, შეაღო კარი და გული შეეპუშშა – გაბრიელ აღგომელაძე ამ დროს არას-დროს დახვედრია საწოლში; უკვე გაცივებული იყო...

მამუკა მეგობრის საწოლზე ჩამოჯდა და ბოთლში არაყი სულმოუთქმელად გაანახევრა...

პანაშვიდების გადახდა და ჭირის სუფრის გაშლა ჯერ მამუკასთან უნდოდათ, მაგრამ დაუმოგრებელ სახლში ამის ჩატარება უხერხეულად მიიჩნიებ; ხანმოკლე ბჭობის შემდეგ სოფლის კლუბში დაასვენეს – ასეთი პატივი ჭადარდიდელთაგან გაბრიელს პირველს მიეგო...

გაბრიელისოფეს საფლავის გამჭრელი კი ვერავინ ნახეს – გაყინულ მიწასთან ჭიდილის მსურველი არავინ გამოჩნდა.

მაშინ თვითონ მამუკა წავიდა სასაფლაოზე და მარტომ გაუთხარა მეგობარს საფლავი...

მოელი დღე მოუნდა ბარით, უფრო კი – წერაქვით, გაქვავებულ მიწასთან და ქვასთან ჭიდილს.

საღამოსპირს მიაკითხეს შვილმა გოდერმიმ და ელგუჯა მუხაიძემ – ოლიმპიადას მიერ გაგეთებული ცხელი ხაჭაპურები და ბოთლით არაყი მიუტანეს (მამუკა უკვე ამთავრებდა სამუშაოს).

ამ დროს სასაფლაოს ჭიშკარს მოადგა შავი “ვოლგა” – წინა დღით ქალაქიდან ჭადარდიდს ჩამოსულმა გაბრიელის შვილმა კაკომ იქნა, გაზეთის ფურცელზე გაშლილ სუფრას “ედემიდან” წამოღებული ბლომად ცხელ-ცხელი ხინგალი და ორი ბოთლი კონიაკი მიუმატა.

გაყინულ მიწაზე დასხდომას მოერიდნენ – სუფრის გარშემო ზოგი ჩაცუცქდა, ზოგიც ფეხზე იდგა; მათთანვე იყო კაკოს, ფაბრიკის დირექტორის, პერსონალური მანქანის მძღოლიც – და პირველი ჭიქით მამუკამ გაბრიელის შესახდობარი დალია...

– ნახევარ საუკუნეზე მეტიცაა, ჩემი მეგობარი იყო, აბა, მეტი რაღა უნდა გითხრათ... კიდეც მიგვირს: ამდენ ტკივილს, ამდენ უბედურებას, ბედის უსამართლობას როგორ გაუძლო აქამდე-რა ვიცი, სიკეთის მეტი ამქეუნად არაფერი დაუთესია და თუკი ჩენგან შენდობას მოელის, შე-გუნდოთ... იმ ფიცრულში საცოდავს უნდა ამოხდომოდა სული? არა, ნამდვილად არ და-უსახურებია, რომ ასეთი ბოლო ჰქონდა... თავს იმითდა ვინუგეშებ, რომ კეთილი სახელი დასტოვა, ეს კი, მე მგონი, ყველაზე დიდი სიმძიდევა, რაც კი ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. უფალ-მა გაანათლოს გაბრიელის სული იქა, საცა არის...

– ბიძაჩემო, – მიმართა კაკომ მამუკას, – მე, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის უმამოდ გავი-ზარდე... ამას თავისი მიზეზი თუ მიზეზი ჰქონდა; რას იზამ: ზოგჯერ ისე აეწყობა ცხოვრება, რომ თავს ზევით ძალა არ გგაქვს, როგორც ამბობენ ხოლმე. როგორც ახლა ვხვდები, სამწუხა-როდ, მეტისმეტად გვიან, მე უფრო მეტი დანაშაული მიმიღვის – ძალიან მწყდება გული, რომ ვერ გაქცევდი სათანადო უურადღებას... ახლა გვიანდა თითზე კბენანი, სინაულის მეტი რაღა დამრჩენია... დმერთმა ნათელში ამყოფოს...

ელგუჯამ, გოდერძიმ და მძღოლმაც მოკლედ თქვეს სათქმელი და სასმელი გადაკრეს, ხინ-კალი თუ ხაჭაპური მიაყოლეს...

რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ ითქვა: კაკოსი და მისი ოჯახისა, გაბრიელის მეგობრებისა (ერთადერთი მეგობარი კი ჰყავდა – მამუკა) და სხვა...

მამუკა მათ მოუკვა: ძალიან ხშირად მოდიოდა გაბრიელას ბუდრუგანაში დამის გასათევად – ცოლისგან შეწუხებული... აქ, სასაფლაოზე, ბევრი რამეც აქვს შეთხზული... კარგი კაცი იყო გაბ-რიელა, დაუზარელი, უანგარო, კეთილი... მაგრამ ცხოვრებამ არ გაახარა – სრულიად დაუმსახუ-რებლად... წუთისოფლის ულმობელ წესში მოჰყვა და ვეღარ ამოისუნოთქა... რამდენი კაცისთვის, ცოცხლებისთვისაც და იმ ქეყნად სამარადუამოდ გადასახლებულთათვისაც პატივი უცია და უმადური, მაგრამ აუცილებელი საქმისთვის არასდროს უდალატია, ახლა კი მთელ სოფელში არავინ აღმოჩნდა, მისთვის რომ პატივი მიეგო, ამაგი დაეფასებინა...

თანდათან შეურდნენ და სხვა ამბებსაც გადასწენენ, ზოგიერთს – სახალისოსაც და შიგა-დაშიგ ხემრობა-სიცილიც გაისმა.

ასეა: სიკვდილ-სიცოცხლე მარად ებრძვიან ერთმანეთს და სიცოცხლე ყოველთვის იმარ-ჯვებს – ისეთ ადგილასაც კი, სადაც საუკუნოდ განსასევენებლად მიაბრძანებენ ხოლმე გარდაც-გლილოთ...

\* \* \*

აბრიელ აღგომელაშვილის დასაფლავების დღეს, – კვირადღე იყო, – ქალაქიდან უამრავი ადამიანი ჩამოვიდა – კაკოს ფაბრიკის თანამშრომლები...

### დღეთა ნადირობა ადამიანზე (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

გარბიან დღენი –  
სულსწრაფნი,  
მაღნი,  
ჩასაფრებულნი –  
ადამიანზე მონადირენი...  
ჩემი ლექსი-ფიქრი  
ავაბასავით გაიზმორება,  
ალეგორიების ცეცხლოვან თვალებს დააკვესებს,  
სადი აბრისადმი ჯანყის ბალანი აეშლება,  
ბანალობის მიწას ბრჭყალით მოფხოჭნის...  
ერთი აიმართება,  
დარდის ხის ხორკლიან ტანს ფიცხლად აირბენს  
და ოცნების მოქანავე კენწერობე მოექცევა!..  
იქ ბრაზიან გორს გაიწევეს –  
ცარიელ ჰაერშია გამოკიდებული თურმე...  
სულ ტყეილი ყოფილა შენი მაღისხმევა!

ფიქრი –  
 გაუხედნავი კვიცი,  
 ისევ აწყდება აქეთ-იქით...  
 ვიცი –  
 ხან უსასოობის ხრამს გადაახტება,  
 და ხდება –  
 გოგჯერ იმედის ხიდზე წაიფორხილებს...  
 ხანაც –  
 აიყრის პირობითობის ბორკილებს,  
 სიხარულის გუნდად დაგორდება  
 და მერე –  
 აღმაფრენის მწვერვალზე ავარდება,  
 მერე –  
 სიძულვილის ცეცხლით ვარვარდება,  
 ხან –  
 სიყვარულის მდინარეში ატივტივდება,  
 დაგრიალდება  
 და  
 თავ-ბრუ-დახ-ვე-უ-ლი,  
 გარშემო ველარაფერს ამჩნევს –  
 ფერად-ფერადი ლამაზი ბუშტების გარდა,  
 საყვარელი სახეების გარდა,  
 ყვავილების  
 და  
 გარსკვლავების გარდა...  
 და,  
 ბოლოს,  
 დაეშვება ფარდა –  
 ფიქრი წამიერად  
 ერთ წერტილში თავმოიყრება,  
 აფეთქდება,  
 ჩაქრება –  
 გაქრება...  
 თითქოს გამორთესო ტელევიზორი....  
 გარბიან დღენი –  
 სულსწრაფნი,  
 მაღნი,  
 ჩასაფრებულნი,  
 ადამიანზე მონადირენი.  
 დიახ, გამოცდილი მონადირენი ფრიად, –  
 მათ ვერავინ გადაურჩება!  
 ხან სიხარულის ნაჭერს გადმოუგდებენ  
 ადამიანს მისაგყუებლად,  
 ხან,  
 გულგრილობით შენიდბულნი,  
 განურჩევლობის ფარქევეშ  
 მაღავენ მომაკვდინებელ ცელს –  
 კარგად წამახულს, მჭრელს,  
 სიბნელეშიც რომ კაშკაშად ელავს  
 და  
 ხდება ხოლმე –  
 სამუდამოდ უშავებენ შჩეს ბოგიერთს...  
 ამ განწირულთა სიაში –  
 დრო გიწევს და დღე მოვა  
 (თუ დამე – სულერთი არ არის?)  
 და შენც აუცილებლად შეგიტანენ...  
 ამით დასრულდება დღეთა ნადირობა,  
 დიახ, დასრულდება,  
 მაგრამ შხოლოდ შენბე,  
 რადგან კვლავ მრავალნი რჩებიან

შენნაირნი,  
რომელთა რიგიც  
მოდის  
ან  
მოვა –  
აუცილებლად...  
უსასრულოდ გრძელდება დღეთა ნადირობა ადამიანზე,  
ადამიანზე – თოვლის ფიფქზე...

### კარი XXXIII. გემშვიდობები, მამუკავ!

შემდეგ წელს კი, ადრეულ გაზაფხულზე, ორცა ადიდებული ჭადარდიდხევი ჩვეულებისამებრ ზათქითა და ზრიალით მიაქანებდა თაგქეე მღვრიე ტალღებს და გაბრიელ ადგომელაშვილის საფლავზეც ზურმუხხისფრად პირველად ამოიწვერა ბალახი, მამუკა კალმახაური გავიდა გაღმა მხარეს, საიდანაც ჯერ არაფინ დაბრუნებულად...

კარგა ხანია, მამუკას დროდადრო გულის არეში ჩევლეტები აწუხებდა, უფრო – ავდრის წინ ან ქარიან დღეს, განსაკუთრებით კი – ცოლთან უსიამოვნო ლაპარაკის შემდეგ... რძალმა, ბაბომ, მაღალი არტერიული წნევა დაუდგინა და, მისი დაუინებული მოთხოვნის შემდგომ, მამუკა ექიმთანაც მიიყვანა გასასინჯად. მას სტენოკარდიის წამლები გამოუწერეს და დაბეჯითებით ურჩიეს მშვიდი ცხოვრება, ასევე – გადაღლისთვის თავის არიდება, მაგრამ...

საწყალი, იმ დღეს თურმე ტყეში ყოფილა დილიდან წასული, შეშა ჩამოუტანია ცხენით; გზაში წვიმამ მოუსწრო, მაგრადაც დაღლილა და იმის მაგივრად, რომ, შინ მისულს, გათოშილს, ერთი ჭიქა არაყი ეგრევე გადაეხუსა, მერე ცხელი კერძით გამომდარიყო მთელი დღის ნაშიმშილარი, ფეხები ცხელ წყალში ჩაეყარა, ბოლოს კი ტკბილად დაეძინა, – ცოლმა არც საჭმელი დაახვედრა გაპეტებული, არყიანი ბოთლიც გადაუმალა, ფეხების დათბილგაზე ხომ ზედმეტი იყო საუბარი... მამუკას საყვედურზე, ჯერ გაუთათხავს ქმარი, მერე სულაც კარი გაუჯახუნებია და მეზობელთან გადასულა საჭორაოდ... მამუკა ჯერ ერთხანს დამჯდარა მაგიდასთან, ტყეში მუშაობისას მოფრენილი ახალი ჩანაფიქრი გადაუტანია რევულში – “ფიქრთა თოვას” ერთი “ფანტულიც” მიუმატა – და მხოლოდ შემდეგ წასულა “ედემში”. იქ მაგრად დამთვრალა და შინ აღარ მოპრუნებულა – მზეგინარის წყევლა-ერულგას გარიდებია და გაბრიელის მიტოვებული ქოხისენ წასულა დამის გასათევად, მაგრამ იქამდე არ მიუღწევია – ეტყობა, გზაზე წაქცეულა და იქვე გათავებულა...

გულმა უმტყუნა.

როცა დილით მწყემსმა ჩაიარა ნახირით, წააწყდა მის უკვე გაცივებულ სხეულს.

პირადმა ეგდო, თაფლისფრი თვალები დია დარჩენოდა, თითქოს გერაფრით გამდარიყო ამ წუთისოფლის ხილვით, უნდოდა, დაუსრულებლად კიდევ და კიდევ ეცქირა გარემო სილამაზის-თვის: გაღმა-გამოლმა ფერდობებზე შეფენილი ჯერაც შიშველი, წვიმით დაბურუსებული ტყის-თვის, მწვანედ ამოუშუნებული ლორთქო ბალახისთვის, მოესმინა ადიდებული დაუდეგარი ჭადარდიდხევის ომახიანი ბუბუნისთვის, რომელსაც განსხვავებულად ეხმიანებოდა ორჩხომელასხევები...

დაკრძალვის დღეს მშვენიერი მზიანი დილა გათენდა.

შუადღის შემდეგ მამუკას საცხოვრისთან მის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად უამრავი ადამიანი შეიკრიბა: ნათესავები, მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები... ქალაქიდანაც ჩამოვიდნენ – მისი კაცობისა და ნიჭის დამფასებელნი და პატივისმცემელნი. რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი ქაიხოსრო ტურიკაშვილიც მობრძანდა: იქნებ – ძველი წყენის გამო გულის მოსაფხანად, იქნებ – მართლა დასწერა გული, მან ხომ მშვენივრად იცოდა მამუკას ფასი... წესით არც ის უნდა დაგიწყებოდა, ყმაწევლობისას მამუკას ოჯახში რომ თავისიანივით მიიღეს და დარიბულ სუფრაზე მისთვის ყოველთვის იყო სხვების თანაბარი ადგილი...

სოფელს ძალიან დაეცეო მამუკა კალმახაურის მოულოდნელი, ნაადრევი წასვლა: თითქოს გაუფერულდა სოფლის ცხოვრება – მარილი დაკლდა, ძველი გემო დაჟკარგა...

გასულ წელს მამუკამ თავისი არ დაიშალა: მზეგინარის მბაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, მდინარის მიერ წააღებული სახლისა და მორღვეული ეზო-მიდამოს სანაცვლოდ, ახალი სახლის მშენებლობა ისევ და ისევ დინინარის პირას წამოიწყო – “ეგ არის ჩემი უპირველესი მეგობარი!” – და ახლა, ამ დაუმოავრებელი და გაუწყობელი სახლის პირველ სართულზე დასვენებული; თავდახურული, ცუდად გაშალაშინებული ფიცრებით შეკრული კუბო სახელდახელოდ შეკოწიწებულ, ფარდაგბადაფარებულ საღგარზე დევს (ეტყობა, გაბრიელ ადგომელაშვილის სადარი დურგალი სოფელს აღარ ჰყავს)...

ეზოში ირევა თალხი ხალხი; დედაბრები შავი ყორნებივით ჩამომსხდარან დაწყობილ მორებზე და ფიცრებზე; უზრუნველად დაბრბიან, მხიარულად დასდევენ ერთმანეთს ბაგშვე-

ბი, მათ შორის ყველაზე უფრო ცელქობენ მამუკას შვილიშვილები; დაბორიალობენ და ყველას ფეხებში ებლანდებიან მოთუხთუები ქაბებიდან აგარდნილი სუნით მიზიდული მთელი სოფლის ძაღლები... ფართო ეზოში ღობის გასწვრივ მამუკას მიერ შარშან დარგული ნორჩი ტყემლები უკვე თეთრად აფეთქებულან და ნიაგი ყვავილების თეთრ ფურცლებს აფრქვევს იქ მყოფი თავებსა და მხრებზე, სახეს ააწევინებს და ჯერ ტყემლებს შეახედებს, მერე მზერას კიდევ უფრო შორს მიაპყრობინებს – პაერში უკვე ტრიალებს გაზაფხულის სურნელი და ფუტკრების საქმიანი ბზულიც ისმის; თითო-ოროლა თეთრი პეპლაც დაფარფატებს უკვე ეზოში, მაგრამ მთების წვეროებზე თოვლი ჯერ კიდევ თეთრად ხასხასებს...

მწუხარების საერთო ფონზე ერთგვარი სიხალისეც იგრძნობა: გადიმებული სახეები – რამდენი ქაცი ხვდება ორისამი ათეული წლის უნახავ ბაგშვობის მეგობრებს... ნახვის სიხარულს ერევა კაეშანიც – როგორ მოტეხილან, ზოგს გაჭირვებით ან სულაც ვედარ სცნობენ... გარევიათ ჭაღარა, ცხოვრებამ დაღალა მათი სულები, დაღარა სახეები; თვალებში შეხვედრის სიხარული კი ბრწყინავს, მაგრამ ნაღველგარეული – სევდიანი გამოხედვის მშვიდი შუქიც გამოსჭივის... რამოდენა შვილები პყოლიათ, ზოგიერთებს – მოზრდილი შვილიშვილები და შვილთაშვილებიც კი...

მიედინება კითხვა-პასუხის ნაკადულები... განუწყვეტლი ყაყანი ერთიან ზუზუნად აღიქმება. ცოლები წინდაწინ უკიჯღინებიან ქმრებს – ბერს ნუ დაღლეთო... რატომ სეამს ხალხი? ერთის შვილი ასცდა სწორ გზას, მეორეს – კაპარჩხანა რძალი ან უსაქმური სიძე შეხვდა, მესამეს – ეს “სიმდიდრეული” არ არგუნა დმერთმა – ბერბიჭაა ან გაუთხოვარი დარჩა...

საკვირველია: დაჩამიჩებული, წელში მოხრილი, დაჩაჩანაკებული მოხუცები ყველაზე მხიარულებად ჩანან, თითქოს სამწუხარო გარემოებამ არ მოიყანა აქ ისინი... ჩიფჩიფით ოხუნჯობენ და უდარდელად ილიმებიან უკბილო პირებით. ნუთუ ამისთვის საქმარისია იმის განცდა, რომ ვიდაც კი მიიცვალა, მაგრამ აი, ის კი ჯერ მაგრადაა!.. თუ ყველაფრისადმი გულგრილები გახდნენ და არამცუუ ჟველოაძველი მეზობელ-მეგობრის დაკარგვის, არამედ საკუთარი ამ ქვეწიერებასთან ჩქარი განშორება-დამშვიდობების მიმართაც?

ქალები დაგემოვნებით, თვალების კარკვლითა და ტუჩების პრუწვით საუბრობენ ნაცნობ-მუზობლების ავ-კარგის შესახებ – ვის არ გაუმართლა ცხოვრებაში, ვინ გაიმარჯვა და სიამტებილობით ცხოვრობს... მათ კაცებიც არ ჩამორჩებიან, თან არც სახუმარო ამბებს ივიწყებენ და, პირზე ხელისგულის მიფარებით, ჩუმად ჩაიხითხითებენ... მრავალჯერ მამუკას გამოთქმულ შაორებსაც გაიხსენებნ და დიმილს თან ოხვრას დააყოლებენ...

აგერ სამძიმრის სათქმელად მოსული ერთი მშვენიერი ქალიშვილი გამოჩნდა: მქვეთრად გამოირჩევა ქათქათა თეთრ კაბაში გამოწყობილი, თითქოს ირგვლივ მოფარფატე თეთრონა პეპლებს ეჯიბრებაო სინატიფით; ხელში ხასხასა წითელი ვარდების თაიგული უჭირავს... მთელი პოემის დაწერა შეიძლება, როგორ აფრქვევენ სილამაზეს გარემოს შავ-რუს ხალხის მასაში ანუ ას და თაიგული!..

მე თვითონ ბერი რომ ადარ ვილაპარაკო (მგონი, ჩემი ყბედობით ისედაც თავი მოვაბეზრე მკითხველს), თან ზოგიერთი ამბის კვანძიც გავხსნა, პირდაპირ მოგახსენებო, ჩემი ფიქრით, საინტერესო ნაწყვეტებს ქალაქიდან თუ სხვა ადგილებიდან ჩამოსულთა და სოფელში მუდმივად მცხოვრებ ჭადარდიდელთა შორის საუბრებისა...

– შეხედე ერთი, მზევინარი როგორ გაშტერებული ზის, მერე უცებ თავ-პირში წაიშენს ხელებს... ახლა მოთქმა-ვაება რადას უშველის.

- ალბათ უფრო იმას ნაღვლობს, აწი ვისთან მოვიფხან გულსო.
- რად იცი ეგეთი მრუდე ლაპარაკი...
- რათა, კაცო და... აგე, მისი გოგოები ჩუმად ზლუქუნებენ, სულ არ ჭირდებათ თამაში.
- მე თუ მკითხავ, ბაბოც ჩუმად არი, მაგრამ მაგას უფრო აეწვა ჯიგარი.
- რამ დატენა ბოლმით მზევინარი, იმან ხომ არა, რომ ქალიშვილი გაეპარა და ჩუმად გაუთხოვდა?

– ქალთამზე? რა დააშავა ამითა, ახლა არი მშვენიერათა, სამი შვილი პყავ, აგე, ხომ ხედავ, მეოთხესაც ელოდება... ინდურ კინოებზე იყო გაგიუბებული და ბეჟანა კინომექანიკოსს გაჰყავა, შვილებსაც ინდური სახელები დაარქვა: ამრიტა, ინდირა და რაჯი. მამუკა გაგიუბებული იყო, ქართული სახელები გამოგველიაო?

– სულ დედას დამსგავსებია, კაცო, ისეთივე ფაშფაშაა... მზიაც გასუქებულა, ოღონდ დასთან ვერ მიგა... გათხოვდა ეგეცა?

– არა, დარჩა გაუთხოვარი. სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე ქალაქს გაიქცა, იქ ისწავლა და ახლა ქარხნის ლაბორატორიაშია ქიმიკოსად. უფროს დაზე ლამაზი იყო, მაგრამა... ბედია შემელაუერი.

– ეს გამხდარი შაოსანი ქალი არ მეცნობა... ქალაქელი უნდა იყოს, ჭირისუფლებში რათა ზის? მამუკას დიდი ნათესაობა არა პყავ, ყველას ვიცნობ...

– ეგა მაგისი და ყოფილა, ნახევარი დაი, ანა რქმევია, არც მე ვიცოდი. იქით კაცებში მისი ქმარი დგა, არ ვიცი, ცნობილი პოეტია, რამდენიმე მწერალი ქალაქიდანა, მამუ

კას პატივი სცეს; ის ერთი დიდი გვირგვინი როა დასვენებული მამუკას თავთან, მაგათ მოუტანიათ.

- ჰო, საწყალ მამუკას ბედმა გაუდიმა – დღეს მაინც გამოიდარა; რა იყო, კაცო, ორი კვირა რომ გადაუღებლად წვიმდა!
- ამაში გაუმართლა... მართლა საწყალი იყო – ისე წავიდა, მთავარი ოცნება ვერ აისრულა
- გამოცემული საკუთარი წიგნი უნდოდა ქილა, ხელში დაეჭირა.
- დმიერთო შემინდე და არ იყო მთლად დალაგებული... მაშ გიუს მეტი ვინ შევარდებოდა უკეთ მდინარისგან დაძრულ სახლში რაღაც რვეულის გამოსატანად...
- გიუ უძახე შენა და მთელი სოფელი დაესია მისი ახალი სახლის მშენებლობას, ერთ-ორ თვეში დამთავრდება კიდეცა. ბევრი მაღლი დათესა, სიკეთეს ხალხი არ ივიწყებს.
- მა წინა სახლის მოცოდვილებას ოცი წელიწადი რო მოანდომა, კინადამ გადაყვა და მაინც ვერ მოათავა, მაშინ რატომ არავინ შეიწუხა თავი?
- ამაყი კაცი იყო ცხონებული, თვითონ უყელა გაჭირვებულს მხარში დაუდგებოდა, მაგრამ სხვას დახმარებას არასდროს სთხოვდა... ბევრი მაღლიერი კი ჰყავდა.
- გავიგე, მამუკას მეგობარი, გაბრიელა მესაფლავეც მომკვდარა...
- კი, კაცო, ამ ზამთარსა, ლოთობას გადაჟყვა...
- უფრორე კი – ალბათ ლოთობასაც და დარღსაც...
- სამი პირი ცოლ-შვილი გამოიცვალა და სიბერეში მთლად მარტო იყო ეგ უბედური, დალევდა, მა რას იზამდა. ერთი ბიჭი კი დარჩა მაგისი, კაპო... აქ არი, დაგანახვებ თუ გინდა... ეგმ ჟველაზე მაღალია, მაგის თავი როგორ ანათებს!
- რა სულ გათეთრებულა!
- ჰო, მამის ჯიში დაჟყვა... გაბრიელის უილბლობა კი არ დაებედა; მამიდამ გაზარდა და დაუფასდა კიდეცა ამაგი: ფაბრიკის დირექტორი ყოვილა, ეგრე ნუკი უყურებ, ნასწავლი კაცია! ჭიშართან რო შავი “ვოლგა” დგა, მაგისია, პირადად მაგას ემსახურება; თავისი შოფერიცა ჰყავ, იმან ამაიყვანა.
- გაბრიელას ბიჭი – დირექტორი!.. მაგარია!
- ამბობენ, სამინისტროში გადაჟყვავთ მინისტრის მოადგილედო.
- შვილები ჰყავ?
- როგორ არა... ჭადარდიდს ახალი სახლის აშენებას აპირებს – ნაზიბროლა ცოცხიაშვილის დამწერა სახლის ადგილზე, ზაფხულობით აქ ჩამოიყვანს ოჯახს... აფსუს, გაბრიელი ვერ მოესწრო, გეღარაფერს ვეღარ მოესწრება... რა მშრომელი კაცი იყო, რა დაუზარელი, ქეთილი...
- გაბრიელისთვის ნაზიბროლა ცოცხიაშვილი რომ არ გაერიგებინა ტასოსა, იმ სასაფლაოს გვერდზე, ბუღრუგანაში არ დალევდა სულს. ბევრი ცოდვა აწევს კისერზე საწყალ ტასოსა, ცოცხიალია?
- თარსი ტასო? რა უგავ საწყალსა, უგავ გერა ხედავ, როგორ დაძრება გირთხასაგითა? უგავ ეგე მაგისი წითური თავი! ამ მილეთის ხალხში არ დაიკარგება, როგორც ცეცხლი – თივის ბუღლულში!
- ჰო, დავინახე, თვითონ ერთი ბეწოა, ძეველებურად მარდია!.. თავზედაც და გულ-ღვიძლში-დაც ცეცხლი უკიდია! უყურე ერთი, როგორ ცეციტად დაკანჭილაობს!
- დაბალი კია, მაგრამა, შეხედე, როგორ გასუქებულია, შემოღვიმის მწერესა ჰგავ! ყოველთვის ეგეთი იყო, გაჩერებულს ვერა ნახავ და რა ასუქებს? ჩემს ქალსა საჭმელ-სასმელს არ გაძლებ, არც საქმის კეთებით იკლავს თავსა და მაინც ჩხირივით არი, კაცს გული არ მიგიგ!
- ერა ფინთი ენა გაქს, ჭორიკანა ქალებს გაეჯიბრე, აი!..
- შენ არა გცოდნია, ეგა, შვილოსა, შაქრის ავადმყოფობისგან არი გასუქებული, თვალსაც ძალიან დააკლდა, დაბრმავდა თითქმისა...
- ცოდვამ უწია... თავისას მაინც არ იშლის, ძეველებურად დაძრება.
- რა ცოდვამ? ისე, ბევრი უგემური ოჯახი კი შექმნა ტასომა...
- ვითომ არ იცი! ეგა ძეველი შპილნია... პენსია რო მისცეს, რატო არ იკითხავ – რისთვის? რა დამსახურებისთვის? ერთი დღე არსად უმუშავია!
- არა, კაცო, ტყუილია, ჭორი დაუგდეს, ტასიკო არ არი მაგის ქალი...
- შენც კაი შეფერთხილი ჩანხარ, ავადობას ხომ არ უჩივი?
- რას ამბობ, კაცო, ჩერი მთავრობის გადამკიდე ტარანივით კი გაგხდი, მაგრამა, ეგრე ნუკი მიუყურებ, ჯირკივითა ვარ! სამოცდახუთი წლისა მოვიყარე და ე ცოდვილი თვალი კი სულ მარწყვივით გოგონებისკენ გამირბის...
- ჯელობაშიც ეგეთი ოხერი იყავ?
- სიტყვას მოყვა, თორემა... აი, საწყალი შოთა, იმაზე ითქმოდა, საკუთარი თავის უბედურიაო... იფიქრებდი, მაგის მომრევი დევი ჯერ არ დაბადებულაო და ეგე...
- ჰო, გავიგე, ბოძიდან ჩამოვარდაო... იქ რა უნდოდა, კაცო?..
- რა უნდოდა და მისმა ბედმა საკუთარი ფეხით აიყვანა იქა... ხო იცი, გოჯას მის დღეში დენის ფული არ გადაუხდია, ინკასატორები ეერაფრით მოერიგნებ: ზოგი შეაშინა, დაიფრინა, მურედ არ დაგინახო აქა, თორემ მოგაჭრი თავსაო, ზოგიც, თუ ცხრათავიანი დევი იყო, მივიღოდა

მილიციონერის თანხლებითა და გადაუქრიდა ხოლმე ხაზსა... გოჯა დახელოვნებული იყო ბო-ძებზე აძრომაში და იმავე სადამოს ხაზი აღდგენილი პერნება. იმ დღეს ხაზის გამართვა შოთას მოუწია, გოჯა ხო ციხეში გამამწყვდიეს მაგის ვაჟგაცობის გულითვინა... წვიმიანი დღე იყო თუ რა იყო, დენძა დაარტყა ბოძზე ამძვრალსა და მოადინა კიდეცა ძირს ზღართანი, მიწამდე სული არ დაჰყოლია... ისიც გაიგე ალბათა, ცოტა ადრე ძველმა ცოდვებმა უწია: მაგის ბიჭი, პატარა გოჯა, დაიკარგა...

— რას ამბობ, კაცო!..

— მა-აშ!. პამპულიას საწოლი დანაგსული გამოდგა, ვინც კი შიგ პამპულიას შემდეგ ჩაწვა, შეელა უბედურად მოეკვდა. ჯერ შოთას მმა თუ გახსოვს, ანზორა, უბედურის ერთი...

— როგორ არ მახსოვს, რაც მაგან ჩვენი ბალის ამოჩემება იცოდა! პო, მესმის, ბალი ხარ და ხელი წაგიცდება გინდაც მწიფე ალუბალზე; მერე, შე კაი დედმამიშვილის შვილო, ჭამე, რამდგნიც გინდა, მაგრამა პატრონსაც დაუტოვე ცოტა მაინცა... პირწმინდად გაკრეცდნენ ეგ შობელ-ძალები, ხეზე გემოს გასასინჯალაც არაფერს დატოვებდნენ ხოლმე!

— შარშანწინ ციხისუბანში დაიჭირეს და დაყვერეს...

— ანზორა? რას ამბობ, კაცო!.. რათა, რა დააშავა ისეთი?

— რა და, პატარა გოგოს დასტაკებია ჭალაში, იმას კიდე კივილი აუტეხია; ახლოს კაცები მოზევრს კოდავდნენ თურმე და მიგარდნილან სისხლიანი დანითა... მთელი სოფელი მოგროვილა... ჯერ ანზორას ჩაქოლვა უნდოდათ, მემრე გადაიფიქრეს და დაყვერეს, აწი ირბინე ზევით-ქვევით რამდენიც გაგისარდებაო... მაგის დრიალი თურმე ლამის ჭადარდიდს გაიგონეს.

— გადარჩა?

— გადარჩა, მაგას თუ გადარჩენა ჰქეია... მართლაც გაიქცა და ისე შორს გაუტია, რო დღემდე გარბის ალბათა, არავინ იცის მისი ასაგალ-დასაგალი... მემრე ბარნაბა...

— ეგ რომელია, ქათმებს მელაზე უქეთ რომ იპარავდა?

— პო, ქათმები არ იქმარა და მოყვა კიდეცა ხაფანგში... მეზობლის სახლი გაქურდა, ჩასვეს ხეთი წლითა; კოლონიიდან გაიქცა, დადესტანში გადავიდა და იქ ჩაძალლდა, ღმერთო შემინდე, რაღაცაზე ხანჯალი გაურქეს... ალბათ ვერც იქ მოიშალა მამაბალლობა. მემრე ბიძინა წავიდა მარილზე... მდინარეში დაიხრჩო ეგ უბედური, დამთვრალიყო და თევზის დასაჭერად მარტო წასულიყო. წერა რო აგიტანს კაცსა ეგ არი — იქ რა მოხდა, არავინ იცის, ალბათ ფეხი დაუსხლტა სლიპინა ქვაზე და თავი დაარტყა, მუხლამდე წყალში დაიხრჩო... ნაბოლარა ზაურა კი...

— პო, ვიცი, ულვაშა...

— მაგარი ქურდი იყო, სუ ფულში ბანაობდა, გადაჰყვა კიდეცა მაგ საქმესა... ძმებს ბედი არა ჰქონიათ.

— ბედი კი არა, ჭკუა...

— ჭკუაც და ბედიცა... მათი დედა, ვარდო, ლოგინად იყო ჩაგარდნილი, ახლა ის იწვა პამპულიას საწოლში — წნევამ დაარტყა და ცალ მხარეს სულ გედარ ამოძრავებდა. დდებუ-ხევალ მაგის ქელებიც გველოდა, მაგრამ... ციურიმ და მისმა გოგომ გამოასწრეს ადიდებულ მდინარეს, ვარდო კი წყალმა წაიღო საწოლთან ერთად — აგვცდა პურ-მარილი!

— რათ იცი ეგეთი ლაპარაკი...

— ეგრეა და...

— ვარდო მაგარი ჰანიანი ქალი იყო, ვინ იფიქრებდა მის ავადმყოფობასა... ალბათ შვილების უბედურებამ მოდრიგა.

— უფრორე მისმა რძალმა, ციურიმ, მოსპო. გოჯასპირი ამბობდა, თუ დედამიწის ზურგზე გარდოს მომრევი გველებაში გამოჩნდებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ისეთი მამალი მგელი იყოო, მაგრამ, ხომ გაგიგონია, მოვიდა სეტეგა და დახედა ქაო. ციური ისეთი ქერქეტი კაპალი გამოდგა, ვარდოს ერთ სიტყვას არ შეარჩენდა, ავი ძალლივით ულრენდა, თან შოთაც გადაბირგ-ბული ჰყავდა... მაზელებიც კი ყველა იფრინა, სახლში არ დაგინახოთ მოსულიო. სუ ლანძლვა-გინება ისმოდა მაგათვანა. იმ საწყალმა გოჯასპირმა ამ სიბერის ჟამს ციხეში ჯდომა არჩია რძალთან ერთად ცხოვრებასა...

— რას იზამ, ყველას ჩვენ-ჩვენი საპუთარი ჩიტები გვყავ; გცდილობთ თავსეკავებასა, მაგრამა სიბერეში კიდევა, შინაგანი მუხლუჭები მოგვეშვება და უფრო ხშირად ვაფრენო ხოლმე... კაცო, რა დროს გოჯას ციხე იყო, ჰა?

— შოთას არც ყმაწყილებაცობაში უვარგოდა მუხლუჭები, კიდე დიდხანს იბაირამა.

— მისი ცოლ-შვილი სადღა არი?

— სადღაც გადაიგარგნენ, აქ სახლი არ დარჩათ და კარი. ისედაც წასვლას აპირებდნენ, შოთას ქალიშვილს აქ ვინდა ითხოვდა, გოდერძის ბიჭმა, ძერამ, შეაცდინა.

— კარგად გადაუხდია გოდერძის შოთასთვისა ბაბოს თავის მოჭრითვინა!..

— ჰო, ქურუხები გადაშენდნენ...

— კიდევ იტყვი, ღმერთი არ არსებობსო?

— კარგი ერთი და! ღმერთი რომ არსებობდეს, მაგათნაირებს გააჩენდა?

— გოდერძი ახლა როგორ არი?

— გოდერძი? კარგათა... ცუდად რად იქნება, მშრომელი ბიჭია, ბაბოცა... ცხოვრობენ სიამტკბილობითა. სამი ბიჭი ჰყავთ, სამივე ქალაქს არიან, უმაღლესში სწავლობენ: მამუქა, ტარიელი და ძერა; საწყალი მამუქას ნიჭი დაჟყვათ... ახლა აქ იქნებიან, პაპის დაკრძალვაზე.

— მაინც ბედნიერი კაცი იყო მამუქა, მშვენიერი ცოლი შეხვდა.  
— შესახედავად ახლაც მოვარესა ჸეგავ მაგ ხნის ქალი, ოდონდ კბილები სულ ჩამოსცვიგნია.  
— პო, ლაპარაკში სუ ჩიფზიფებს, ახლა კი, დახე, როგორ გაჟივის, თავს იკლავს, საწყალი...  
მამუქას მისტირის... ე-ე-ე...

— მამუქამ კარგი შვილები გაზარდა... განათლებული კაცი იყო ცხონებული.  
— ამბობენ, ერთი სკივრი ნაწერები დარჩაო, ვინ უპატრონებს?  
— რა ვი, მაგისტროსაც მოიცლიან ალბათა...  
— ე-ე-ე, „მოლამ შიმშილით ფეხები გაჭიმა და ფლავი სამარეს დააყარესო”, ასეა მისი საქმე-ცა... აწი გამოსცემენ მის წიგნსა თუ არა, მისთვის უკვე სულერთია...  
— გოდერძი არ მოუვლის? უდროოდ კი წავიდა, მაგრამ ის ნაწერები მაინც დატოვა, ჩვენ რომ წაგალთ, ჩვენ, ჩვენ რასდა დაგტოვებთ?

— გოდერძი ჯერ ამ სახლის დამთავრებას აპირებს – ქაიხოსროს სასახლეს აჯობებს! – სა-მივე ძმა დაეტევა. მამუქა კი ვეღარ მოესწრება და... მაინცდამაინც აქ უნდოდა, მდინარის ხმაური უნდა მესმოღესო.

— ქაიხოსრო? ჩვენი “თავადი” როგო არი?  
— დაბერდა, არი თავისთვინა... ცოლი უცებ მოუკვდა კიბოთი, თვითონ მარტოებინა დარჩა ძველ სახლში... ხომ გახსოვს, ყვირილი უყვარდა ძალიანა და ახლა არა, აღარ ყვირის, არც არა-გის ემუქრება, ვის უყვიროს? მარტო შინ იაქესავით: ქალიშვილი, ტურფა, რაც ის უბედურება შეემთხვა, მას მერე ქალაქს არი, გაუი კიდევა, ბესა – ცალება, მამის აშენებულ უზარმაზარ “სა-თავადო” სახლში, “ედემს” უფროსობს... ისევ “რობიზონას სასადილოს” უწოდებს ხალხი, მაგრა-მა ადრინდელს ვერ შეადარებ, გატიალდა, მხოლოდ სახელი კი შერჩა ძველი. მამამისივით მარი-ფათიანი ვერ გამოდგა, თუმცა, რას ერჩი – მაინც უფროსია, პურის ფულიც არ აკლია...

— აგე, ხედავ, ისიც მოსულა, ბესას აქ რადა უნდა?  
— რატომაც არა, მთელი სოფელი აქ არი და... ეგეც დაძგრება ვირთხასავითა, ახლა ეგ არი მთავარი ჯაშუში, თარს ტასოს ყავლი გაუვიდა. ტელეფონიც ალბათ იმიტომ დაუდგეს შინა... აბა, მამამისითან სალაპარაკოდ კი არა! მისი ცოლი ვითომ კარგი ქალია, მეზობლებთან უველას-თან კარგად არი, სიამტკბილობითა, საკუთარ მამამთილს კიდევა, ხოსროს, ერთს არ მიხედავს, ერთ ჯამ ტყუილ შეჭამანდს არ მიაწვდის... არ იკითხავს, იქნება ფეხები გაჭიმა კაცმა, მაგარი შაქარი აღმოაჩნდა სისხლში. მამუქას რძალი, ბაბო, რომ არ პატრონობდეს, რადა ეშველებოდა, ის უკეთებს ნემსებსა. ეგრე უხდიან სიკეთითა: რაც ხოსრომ მამუქას უმტრო...

— ეხლა აქ არი?  
— ხოსრო? მაშ სად იქნება...  
— რატო თვალი ვერ მოვგარი, ტანსრული კაცია, გამოსაჩენი.  
— რა ვიცი... ალბათ კარგა ხანია, არ გინახავს და ვერ იცანი: ულვაშებში ჭაღარა გაერია და მოიპარსა, აღარ უშეგებს... სხვა მხრივაც ძაან შეიცვალა – რაც ის ავადობა დაეტაკა, კიდევ უფ-რო გაფუველა, დიეტაზე კი ზის...

— მაგასაც ცოდვამ უწია.  
— იქნება მისი მცირე ბრალი მაინც არი, ჩვენ რო ახლა აქა ვართ, მამუქას დასაფლავებას ვესწრებით... მართლა ცოდვამ უწია, არც შვილები გამოადგა და არც რძალი განსაუთრებითა... გდია იმ უზარმაზარ სასახლეში მთელი დღე მორტო, ხმის გამცემი მაინც არ მოენატრება?

— მარტო რათა? შინ ქალიშვილი ხომ ჰყავდა, შვილიშვილიცა – ნატრული? არც ის მიხედავს ხოლმე ხოსროსა?

— ბესას ქალიშვილი სადღარა აქა: ნიკა მუხაიძის გაუთან, ბაგრატიან, ერთად გაიპარა ქა-ლაქს, ჯვარი ჩუმათ დაიწერეს...

— ყოჩად, ნატრული! ეგ ერთი კარგი ამბავი თქვი, დანარჩენები სულ სატირალ-თაგსაცემია... ყველაზე უფრო ქურუხებს არ გაუმართდათ, მთელი გვარი მოისპო...

— სხევბსაც, ვინც კი აპატულიას ქოხიდან ნივთები შინ წაიღო, ყველას რაღაცა უბედურება დაემართა: თვალისა ჭკუიდან შეიშალა, კვახაბერს – ქალიშვილი გაუბოზდა, ქაიხოსროს ქალიშ-ვილს კიდევა – იმას რადა აკლდა, რა მიარბენინებდა ნეტა პამჟულიას ქოხში – მდუღარე წყალი გადაესხა და სახე დაეფუფქა, სახე დაუმახინჯდა...

— ტურფასა, კაცო? დედამისივით – ტერეზასავით – რა ლამაზი გოგო იყო, აფსუს! რამდენი ბიჭი დასდევდა!

— მგონი შენც თვალი ზედა გრჩებოდა, დაგავიწყდა, ბებერო?  
— მეცა და შენცა, ჰა-ჰა-ჰა!  
— პო... არჩია-არჩია საქმროები და... მერე ეგ ამბავი შეემთხვა.  
— ეხლა რასა შვრება ის საწყალი?  
— აქ რა გამოერებდა, ქალაქს წავიდა – იქ ქალთა საპყრობილებში ზედამხედვებელად მუშაობ-და... წარმოგიდგენია? ქაიხოსროს ქალიშვილი!.. გათხოვდა, ხომ იცი!

- რას ამბობ, კაცო!
- მაშ! სკოლის მასწავლებელს წაჲყვა! ისიც საწყალია – დაბალია, პუზიანი, სხვა მხრივ არ დაიწუნება... ბავშვიც ეყოლათ, გოგო; უკვე სკოლაშიც დადის, ზაფხულში ბესასთან ჩამოდიან. ეგეთი ლამაზი ბავშვი მე ჯერ არ მინახავს – ნამდვილი უფრო ანგელოზია!
- ხომ ხედავ, პამპულიას სახლში სტუმრობა ტურფასთვის ბოლოს მაინც მოლად საუბედურო არ გამოდგა.
- პო, კიდევა, რობიზონას შვილიშვილმა, სხვას რომ ვერაფერს მიუსწრო, პამპულიას სახლიდან კიბე წამოიღო...
- კიბე რა წასადები იყო?
- რა ვი, სახლს აშენებდა... იმ კიბიდან ჩამოვარდა და დამტკრა; კი გადარჩა, მაგრამ ხერხემალი დაუზიანდა და ლოგინად არი ჩავარდნილი...
- რა სულ ცუდ ამბებს ვართ გადაყოლილი... კარგი არაფერი მომხდარა?
- კარგი მეტია, მაგრამ ჩვენ ძნელად ვამჩნევთ... აგერა, ამდენი ბავშვი რომ დარბის, ცელქობენ, უველას ფეხებში ებლანდებიან, რა უნდათ აქა?.. რის თქმა მინდოდა?.. ე ლხერი, თავი ხშირად მიბრუის, მეხსიერებაც მდალატობს ხოლმე... პო, უველა იძახის, ჩვენი სოფელი თითქმის დაიცალა, ახალგაზრდები ქალაქს გარბიანო, მა ეს ამდენი ბავშვი ვისია? შენც ხომ შეამჩნიე, რამდენი ახალი სახლი აშენდა და ბევრი კიდევა შენდება, თანაც ისეთები, ტურიელს სახლს რომ არაფრით ჩამოუგარდებიან... შეხედე აქ ხალხსა: წინათ ნახავდი ამდენ გამოპრანჭულ ადამიანსა? ნახე, რამდენი ლამაზი გოგოა...
- ისევ ძველებურ პანგზე ჭიკჭიკებ, ადარ ისვენებ?
- ერთი შემხედვე, რით არა ვარ საცოლე ბიჭი, ჰა?
- ერთი შენმა ცოლმა გაიგონოს შენი გალობა, ბებერო!.. ჰაჰა-ჰა..
- ბებერი თავი გაბია!.. რა ხანია, ორმოცდაათისა გახდა ჩემი ცოლი, უნდა გამოვცვალო!
- პო, ეგ ადგილი საქმეა, ორ გოგოს მაგცემენ სანაცვლოდა, თითოს ოცდახუთ-ოცდახუთ წლიანსა!
- არა, ჯობს, კიდევ ათი წელი მოიცადო, შენი ცოლი სამოცისა ხო გახდება, სამ გოგოში გაგიცვლიან ოც-ოც წლიანში!
- ეჲ, მე ისეთი ბედი მაქვს, ნახევარ ასოციალიან ბებრუსანას შემომატყუებენ!...
- აგე, ერთი ჩვენი ძმაგაცი კიდე მოჩლახუნობს... ბიჭი!.. ბიჭო!.. მობრძანდი აქა!
- შენი ბიჭი ვარ მე-ე?
- მაშ ვინა ბრძანდები! შენა ჩემთვისა ყოველთვის ბიჭად დარჩები, ხო იცი! ჯერ გამარჯვება და მემრე ერთი კარგი ამბავიც გვითხარ, თორებ სულ დაგიზაფრეთ, ეს თბილი მზეც შავად გვეჩვენება...
- კაი გამარჯობა თქეენა! ერთი კარგი ამბავი ისაა, რომა რომელი რომელს გავასწრებო გაღმა ნაპირზე, ჯერ არ ვიციო!

#### კარი XXXIV. დიახ, ჭადარდიდს ისევ გაზაფხულია...

მოსადამოვდა და მამუქას ეზოში გაშლილ ჭირის სუფრას ჩამავალი დადლილი მზე ალერსიან ოქროსფერ სხივებს ალმაცერად აფრქვევს.

მალე ბინდი მოეფინება ირგვლივ ყოველივეს – ფერადოვანი დასალიერი მიინავლება, გაიციცება და ჩაქრება.

ჭადარდიდში მზის სხივებს ყველაზე ბოლოს დიდი ჭადრის კენწერო ემშვიდობება.

დიდი ჭადარის ჯერაც შიშველ ტოტებსაც უკვე დასტყობია ფერისცვალება – კვირტები დაბერებია, დასკდომაზე აქვს, რომ, მარადიული წრებრუნვის კანონს დამორჩილებულმა, ისევ გამოჩემოს ლორთქო ფოთლები, გაალადოს მწვანე რტოები, შეუშვიროს ისინი მზის მაცოცხლებელ სხივებს, შრიალით შეეგებოს ქარ-ნიავის ალერსიან ნაკადებს, ჩაიხუტოს უბეში წვიმის გრილი წვეთები... ხალისიანად და მედიდურად გადახედოს ირგვლივ გარემოს: დღისით – ქვევით უმზიროს ადამიანთა ფუსფუსს, უსმინოს ჭადარდიდხევის მოუღლელ შხეილს; დამით – მაღლა მიადგენოს თვალი ცაში ღრუბელთა მოგზაურობას მუქ ცაზე ან ვარსკვლავთა თვალმოჭუტვით ცივ ქანკალს... თუ მთვარე ინებებს გამობრძანებას – გაუშტეროს მზერა მის მომნუსხეველ სახეს...

დედამიწა კი ბრუნავს და ბრუნავს, მიჟერის დაუსაბამოდ, მასთან ერთად – მთლიანად ქვეყანაც, ჩვენი ხეობაც და სოფელი ჭადარდიდიცა...პ

სადღაც კი, დედამიწის საწინააღმდეგო მხარეს, მზის ამოსვლას ელიან, რათა შეეგებონ ახალი დღის დაბადებას, კვლავ და კვლავ გაგრძელდეს ცხოვრების ჯარის ტრიალი.

მიჟერის დედამიწა სიერცეში...

აპა, საყვარელო, დასრულდა ესე ამბავი ანუ გავედი ტყუილ-მართლის ძეწევის ბოლოში ანუ ჩამოვმარცვლე მოგონილ-გაგონილის ქრიალოსანი...

კიდევ შეიძლებოდა გაგრძელება, ცხოვრების დაუცხრომელი მდინარე ხომ დაუსრულებლად მიედინება, მაგრამ, ყველაფერს ხომ ვერ მოყები და მეითხველსაც უნდა მისცე საშუალება, თვო-თონ, საკუთარი წარმოსახვის ფრთხილით გაინაგარდოს...

და მაინც – არ მინდა, მეითხველი დაღვრემილი დავტოვო... მხიარულს რასმე ახლა ვედარ ვუამბობ და ისევ ჩვეულ ხერსს მივმართავ – ლირიგული წიაღსვლით დაგემაყოფილდები მამუკას წიგნიდან.....

## დროის სიმღერა (მამუკა კალმახაურის წიგნიდან “ფიქრთა თოვა”)

ადამიანი სულ ფიქრობს: რა არის ცხოვრება? რისთვის გაეჩნდი ამ ქვეყანაზე? ამას თავისთავად მიებმება შემდეგი კითხვები: მე ვარსებობ დროსა და სივრცეში, რა არის დრო და რა არის სივრცე? მეცნიერთა (განსაკუთრებით – ფილოსოფოსთა და ფიზიკოსთა, რამდენი დრმააბროვანი გამოკვლევა დაუწერიათ!) თაობები ცდილობდნენ, პასუხი ეპოვათ ამ კითხვებზე და, მე მგონი, ამაოდ დაშვრნენ... ამ კითხვებს პასუხი არ აქვთ, განსაბღვრებას ვერ მოუძები ვერც დროსა და ვერც სივრცეს, ეს ცნებები სიცყვებით მოუხელთებელია; მხოლოდ პოეტები თუ მიგვანიშნებენ მათ სულს... ვერც მათ ბომა-წონაზე იცყვი რაიმეს: რომელი სივრცეა უჯრო დიდი სხვამე და რომელი დრო – სხვა დროგე?

დრო და სივრცე უერთმანეთოდ არ არსებობენ, მათი რაობა თუ სიდიდე ურთიერთ განპირობებულია; სიჩქარის ცნებაში გადაჯაჭველია მათი რაობა და სიდიდე.

ქარის სიმღერა, წვიმის სიმღერა, გაბაფხულის სიმღერა და მრავალი კიდევ სხვა – ამო არის, სალ-ბუნი გულისა, მაგრამ დროებითი: აქვთ დასაწყისი და დასასრულიც, თუმცა შემდგომ, გარკვეულ გარე-მოებათა გამო, ისევ მეორდებიან, – სხვაგვარად, სხვა ფერ-გემოთი, – და სიმღერა მათი უკვე განსხვავებულია...

დრო კი მარად მღერის – უწყვეტად, დღე და დამე, წელიწადის ოთხივე დროს, ერთი წამით არ წყდება მისი მდინარება, მხოლოდ ჩვენ თვითონ თუ გამოვეთიშებით ხოლმე: დროდადრო – ძილის დროს, ან სამარადებამო – როცა მივიცვლებით... დიახ, დრო მარადია: ერთი იბადებიან, გადაშვებიან მის ხან – მშოთვარე, ხან – მონოგონურ, მომაბებრებელ, ძილის მომგრელ ტალღებში; იცურავებენ, იყურყუმალავებენ, – იცვლებიან, როგორც მცენარე: ჯერ კოკორი ჩაისახება (კვირცი) – ბავშვობა, შემ-დეგ ყვავილად გამლა-გაფურჩქნა – სიყმაწვილე, მსხმოიარობა – ტყბილი ან მუავე ნაყოფი... და ჭინო-ბა – სიბერე... ბოლოს – ბრძოლისგან დაღლილი სხეულის გაუზინარება: ხელ-ფეხს ვეღარ იქნევ, ვე-დარც კი აფოკებ და იძირები მარადიულობის წყვდიადში, უჩინარდები...

დრო ხომ ვითომ თანაბარი ჩორთით მიჭინაობს, მის ფართო ტურგე მსხდომნი, უთვალავნი, ჩაეჭი-დებივართ სივრცის ფაფარს და იგი ხან – მიპქრის და ჩვენ კი, აღტაცებული ყვირილით უბანგებზე წა-მომდგარნი, წელგამართულნი, ამაყად თავაწეულნი, სახე-გულმკერდს ვეშვერთ ქარს, სასიამოვნოდ რომ გველამუნება, ყიჯინით ვამხნევებით და მათობას ვაფიცებით ამ დროს ანუ “ცხენს”... ხან კი – მიჩქ-ჩაქებს, მიჩაქჩაქებს, გულს გვიწვრილებს ერთფეროვნებით; ესხედვართ თაგრაქიდრულნი, ყურებამოყ-რილნი, გარშემო არც ვიხედვით... ვთვლემთ... ფიქრობ: დირს კი ასე ცხოვრება?.. დირს თუ არ დირს, მაინც უნდა შეეგუო, დაპყვებ მის ნებას, ვინაიდან იგი ყოვლისმძლეველია, მისი ურჩობა შეუძლებელია... ვერც მოატყუებ, ვერც მოისყიდი. რამდენ ამაყს, გადიღებულებს მოუგრიხა კისერი, რამდენ უზომ-ბაქიაობასა და ბრიყველ თავგასულობას დაუსვა წერგილი... ვერავინ გადაურჩა. რამდენი ბრძნული ან-დაბა შეთხბა ხალხმა და მავანნი კი ჭკეუას მაინც ვერ სწავლობენ და ყოვლისშემძლეობას იჩემებენ...

დროის შეჩერება – მრავალი ადამიანის სანუკვარი ოცნება!

მარადი ახალგაბრძობა – აუხდენელი ოცნებაა!

მაგრამ, ფილოსოფოსთათვის და ბრძენთათვის ცნობილია, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს გამო-ნაკლისი – პოეტ!

მხოლოდ სულით პოეტს შეუძლია, იყოს მარად ახალგაბრძო – მარად შეყვარებული ქვეყნიერების სიცურეფებე!.. ყოველდღიურობის წვრილმანებში დაინახოს მიმზიდველი მხარეც, ერთი შეხედვით ამკა-რად ცუდ ადამიანში – მცირედი ნაპერწერი მაინც სიკეთისა...

დრო... უცნაური რამ არის – გონებით შესძლებელია, წარსულ დროში გასეირნო და ხან სინანუ-ლი განიცადო, ხან მონაგრება გაგინათებდეს სულს, ხან ახლებურად დაგანახოვებს ბევრ გარდასულ ამბავისაცა და ახლანდელსაც... ზოგჯერ, თუ გონების თვალით შეხედავ და გაიაზრებ, სამომავლოდ სა-სიარული სწორ გზასაც დაგანახვებს... უფრო ხშირად წარსულის გახსენება ცუდის წახნაგებს შლის, აფერმკრთალებს, მხოლოდ კარგად გვახსენდება გაჭირვების წლები, ადამიანთა უგვანი ქმედება... დი-ახ, დრო ბრძენია: ცუდს შლის და კარგს ინახავს, რათა ჩვენი მახსოვრობის სალაროში მარად დარჩეს მხოლოდ სიკეთისა და სითბოს ოქრო და უკვალოდ გაქრეს ტკივილისა და დვარძლის ჭუჭყი...

## წუთისოფელი

გავახილე თვალი ფრთხილად –  
თეთრად ბოლავს ნისლის ფთილა...  
და ავფრინდი კვიცზე ცქვიტად –  
დილა.

შების ტარზე აელვარდა  
შექურა – მზე, რომ მიყვარდა...  
შერდულივით მივქრით მარდად –  
შეადღე.

შენელდა რბოლა საამო,  
დაეშვი, ჩემო ალამო...  
ნაცრისფერია გარემო –  
საღამო.

ხმა აღარ აქვს დაღლილ გარებს,  
აღარც ნაპერწკალი – ნალებს...  
მალე გავიხურავ კარებს –  
დამე...

### კარი XXXV. საკართანო

საყვარელო, აპა, ბოლო კარსაც მივადეჭი...  
დასრულდა ჩემი ნაჯახირევი!  
ჩვენი განშორების უამიც დადგა!

საკვირველია: წელთა სიმრავლით დატვირთულმა, შევბედე დიდი სიმბიმის აწევას – კარგა ხნის წინ ჩაფიქრებული რომან “წუთისოფელის” წერა წამოგიწყვ (შემდგომ ვარჩიე, მისთვის “ჭადარდიდი” დამერქმია)... ერთი საერთო რევული მაქს, რომელშიც დასამუშავებელ თემებს ჩაითვარის წერ ხოლმე და ამ ბოლო რომანის ჩანაფიქრის დრო შემდგანაირად მაქს აღნუსხული: “№ 909. წუთისოფელი (რომანი). 2002 წლის 21 სექტემბერი”. მას შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, დროდადრო რომანისთვის მოსამზადებელ ჩანაწერებს ვაკეთებდი, წერას კი საფუძვლიანად 2006 წლის დასაწყისიდანავე ჩავუჯექი (მანამდე სხვა სამუშაოებით ვიყავი დაკავებული) და ჩანაფიქრიდან ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, 70 წლისამ, დაგასრულე კიდევც!.. თუმცა, მოვერიე კი? მაგრამ: ცდა ბედის მონახევრება! ამგვარ გაბედულებას რომ ვიჩენ, ესე იგი, ჯერაც ჯეელად ვგრძნობ თავს! ესეც საქმეა!..

ერთგულ მკითხველს, რომელმაც წიგნის ამ გვერდამდე მოაღწია და არ ჩასთვლიმა ან, კიდევ უკეთესი, ეს წიგნი ფანჯარაში არ გააფრინა, ავტორი ჯილდოდ სთაგაზობს ბებრული ლაქლაქის მოზრდილ ულუფას (ნეტავ რა დანაშაულისთვის?). ამ გაფრთხილების შემდგომ, მკითხველს შეუძლია, აღარ გააგრძელოს კითხვა, ისედაც საქმაოდ მოვაძეზე თავი...

ვიცი, მავანი მკითხველი – და ზოგი კრიტიკოსიც – მისაყვედულებს: ეს რანაირი რომანია, სად დაგარგე მთავარი გმირი, რატომ ამოგიჩემებია მოზაიკურად, ნაწევეტ-ნაწევეტ თხრობა, პატარ-პატარა ჩანახატები ადამიანთა ბედისა, სოფლისა და მისი სანახებისა სხვადასხვა გარემოებაში და დროის მდინარებაში; ანდა, რანაირად უცნაურად, ახირებულად ჰყვები ამბავსა, ბიჭო, პა? ერთი ამბავი მეორეს არ აგრძელებს – ერთი თავი რომ ალთასას, შემდეგი – ბალთასათ... წიგნი მთლიანობას მოკლებულია, აღსაქმელადაც ძნელია... მაგრამ განა თვით ცხოვრება – წუთისოფელი – ამგვარად არ არის მოწყობილი, ასე არ მიეღინება? რა თქმა უნდა, ჩემო მმავ და მეგობარო, ასეა ცხოვრებაშიცა; ჩემო განათლებულო შვილო და ცნობის წადილით აღვსილო შვილიშვილო, იმასაც მოგახსენებ დიდის კრძალვითა და მორიდებითა, რომ ცხოვრება, ჩემის შესედულებით, კინო არ არის და არც თეატრი, როგორც ადრე ბრძანებდნენ ჩემზე ჭკვიანნი, რომ მასში უკელაფერი კონტად დალაგებულ-განგარიშებული იყოს და არც სიზმარია და არც მოჩენება ანუ წარმოდგენილი რამ... ცხოვრება – ცხოვრებაა, სოფელი ჭრელია... მასში ბევრი რამ სწორად მიდის, ნაწილიც – ბრუნდად, გაუთვალისწინებლად და ზოგჯერ ახირებულად (როგორიც ეს რომანია) და სასტიკადაც კი... მავანი წინ მიაგორებს საერთო ურემს, საზოგადო საქმესა, ზოგიც თავის კერძო ინტერესებს ჩაჰკირების, აქეთ-იქით არ გაიხედავს, – ასეც ხდება და ისეც. საყვარელო, მე რომ მკითხო, კერძო საქმე საზოგადოს გარეშე, თუ მასთან შეხმატებილე-

ბული არ არის – ვერ იხეირებს და საზოგადო საქმეც, რომელიც კერძოს ხელს შეუშლის – უძვე საზოგადო ადარაა, მავნეა. იმ დალოცვილ მაღალ დმერთსა (რომლის არსებობაც, მართალი მოგახსენო, ძალიან მაჟვეებს), უგრე დაუდგენია: ამქვეყნად გიურც უნდა იყოს და ჭკვიანიცო, ხარბიც და ხელგაშლილიცო, ბოროტიც და ქეთილიცო... დღეც და დამეცო... კარგიც და ცუდიცო... ჰოდა, მეც ალბათ მეპატიება, თუკი ცუდი რომანი გამომივიდა – დმერთიც ცდება და მე მასთან შედარებით ვინ ვარ? იშვიათ რჩეულთაგან განსხვავებით, მე სუსტი რომანის დაწერა მრგებია. მკითხველისთვის ერთი შედაგათი ისაა, რომ ეს ჩემი მეცხრე რომანი – “ჭადარდიდი” – ალბათ ბოლო იქნება, როგორც ბოლო გამოდგა მეცხრე სიმფონიები ლუდვიგ ფან ბეთოვენის-თვის, ანტონ ბრუნერისთვის, გუსტავ მალერისთვის, ანტონინ დვორაჟაკისთვის... დმერთმა დამიუროს, ამ გენიოსებს ვადარებდე თაგს, არამც და არამც! მაშინ მავნე იკითხავს: მაშ, ოჯახაშენებულო, რა ამბავია, ცხრა რომანი დაგიწერია, რამდენი ქაღალდი გაგიფუჭებია ტყუილუბრალოდ, საქმე დალეული გქონდა? კა, დრო რომ მქონდა სამყოფი, ვინ იცის, კიდევ რამდენს დავწერდი! მე ხომ ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს გეოლოგის ცხოვრებით ვცხოვრებდი: გაზაფხულზე რომ გავიდოდით საველე სამუშაოებზე, ხშირად გვიან შემოღომით ვამთავრებდით საველე სეზონს, შემდეგ, ზამთარში, მოცოვებულ მასალებს ვამუშავებდით, ანგარიშს ვწერდით, ვაფორმებდით და ვიცავდით... ამასობაში ვაზაფხულიც დგებოდა და – ისევ იწყებოდა საველე სამუშაოები! ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე. წერისთვის დრო თითქმის არ მრჩებოდა, თორემ (არ შეგეზინდეთ!) ალბათ ორჯერ, სამჯერ მეტსაც დავწერდი... ნუ გვგონია, რომ 20-30 რომანის დაწერა ერთი მწერლისთვის – ძალიან ბევრია. ქართველი მწერლების უბედურება ისაა, რომ ლუგმა-პურის შოვნისთვის, იძულებულია, იმსახუროს, რაც პროფესიული მოღვაწეობისთვის დროს მცირეს უტოვებს... საქართველოში წლიურად რამდენი რომანი იწერება? ალბათ ათიოდე... ინგლისში? რამდენიმე ათასი! იქ, საქართველოსგან განსხვავებით, მწერალი პროფესიონალია ანუ წერა მისი ერთადერთი თუ არა, ძირითადი საქმიანობა მაიც არის... თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისში საქართველოსთან შედარებით ათჯერ მეტი მოსახლეობაა, საქართველოში, რომანისტთა პროფესიული მიღგომის პირობებში, წლიურად რამდენიმე ასეული ასალი რომანი უნდა ქვეყნდებოდეს ანუ ოცდათვერ მეტიც ინგლისში პროფესიონალი რომანისტი, წესისამებრ, წლიურად ერთ რომანს წერს, ზოგჯერ – ორსაც; ამიტომ აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობის განმაფლობაში ჩვეულებრივ რამდენიმე ათეულ რომანს აქვეწებს, ეს იქ არავის აკვირვებს. მაგალითად, ჩარლზ დიკენსის თხზულებანი (არა მხოლოდ რომანები) გამოცემულია 30 ტომად, ბულგერ-ლიტონისა – 40 ტომად, ჯონ გოლზეორთისა – 30 ტომად... ფრანგებიდან: ბალზაკის თხზულებანი გამოცემულია 40 ტომად, უზულ ვერნისა – 65 ტომად, ვოლტერისა – 72 ტომად, პიუგოსი (მისი გვარი უპრიანია იწერებოდეს: “უგო”) – 48 ტომად, ემილ ბოლასი – 50 ტომად... ფენომენებიც არსებობს, მაგალითად, პოლონელმა იგნაცი კრაშევსკიმ 250-ზე მეტი მხოლოდ რომანი დაწერა, ფრანგი ალექსანდრე დიუმა-მამას თხზულებანი დაიბჭდა 301 ტომად!... ქართველ რომანისტებს თითოს რამდენი რომანი აქვთ დაწერილი? უმრავლესობას – ერთი-ორი, ხოლო ხუთი-ექვსი რომანის დამწერი საქმაოდ იშვიათია, სულ თხუთმეტამდე თუ იქნება: აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გურამ გეგეშიძე, ნოდარ დუმბაძე, დავით კვიცარიძე, პარმენ ლორია, გრიგოლ რობაქიძე, გურამ ფანჯიკიძე, დემა შენგელაია, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯაგახიშვილი, ოთარ ჭილაძე და რამდენიმე კიდევ სხვა, რომლებსაც ახლა ვერ გიხესხებ; ათამდე რომანი დაწერა გასილ ბარნოვმა, რაც ნამდვილად გამორჩეული მოვლენაა, ხოლო ათ რომანზე მეტი, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ჩვენმა ცოცხალმა კლასიკოსმა, ბატონმა ოთარ ჩხეიძემ შექმნა – ოცხე მეტიც! ახლა მოთხოვები, პიესები, წერილები! ბარაქალა! აი, ეს არის ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი!..

თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ბევრმა მწერალმა ერთადერთი რომანის დაწერით გაითქვა სახელი: ბენეამენ კონსტანტია (“ადოლფი”), ფრანსუა რაბლემ (“გარგანტუა და პანტაგრუელი”), მატეო ალემანმა (“გუსმან დე ალფარაქ”), ლუის ველეს დე გევარამ (“კოჭლი ეშმაკი”), ჯოვანი ტომაზო დი ლამპედუზამ (“ლეოპარდი”) და მრავალმა სხვამ... რასაკვირველია, მთვარია დონე, ხარისხი და არა – რაოდენობა; იმისი არ იყოს, ერეკლე მეფემ რომ ერთ მრავალ შვილიან გლეხს უთხრა: ყოჩად, რამდენი შვილი გყოლია, რაზეც გლეხმა უპასუხა: ნეტავ ერთი მყავდეს და შენისთანა!

ალბათ მთავარია – წერო თუ გეწერება და არასდროს განმეორდე... “ჭადარდიდიც” ასე იწერებოდა – დაუძაბავად, დინჯად, მაგრამ არა ცივი გულით!.. და არც ჩემს სხვა წიგნებს ჰგავს. რაც შეეხება მის არქიტექტონიკურ ამორფულობას, უმოტივაციო სიუსტეურ ნახტომებს, ნაწილთა ურთიერთობისტურასტულობას: დღეებიც ხომ კალეიდოსკოპურად იცვლება, ერთიმეორეს არ ჰგავს, ადამიანთა სახეებიც ხომ ჩვენს მზერას ხან ახარებენ თუ დაამწუხერებენ, შემდეგ დროებით დაიკარგებიან, რომ, შესაძლოა, რადაც ხანის განლევის შემდეგ, დღეთა კალეიდოსკოპი შეტრიალებისას, ისევ გამოჩდენენ – სხვა სახით, განსხვავებულ გარემოებაში... მე საგანგებოდ არ მიძებია ასეთი ფორმა, – სრულებით მივენდე შინაგან ხმას, – ფორმა, არქიტექტონიკა რომანისა თავისთავად ჩამოყალიბდა თვით წერის პროცესში და, ეტყობა, ბუნებრივივად მიიღო ამგვარი სახე – ჩემთვის! (აღრინდელი რომანების ნაწილი – “მნიარული ოთახი”, “ია ანუ ერთგულება”, “ნიკო ფიროსმანაშვილი” – ასევე, ამგვარი აგებულებისა გამომიგიდა). განა მე კი ვერ ვხედავ სა-

გუთარ ნაკლს, – არა ერთსა და ორს! – მაგრამ უდიდესმა მხატვარმა პაბლო რუის პიკასომ, იციო, რა ბრძანა? „დახვეწე, რასაც გსაყველურობენ – ეს შენ ხარ?“ ამ გამონათქვამის მოშველიება, შესაძლოა, თავის მართლებადაც ჩამომართვათ, მე მაინც არაფერს დავუმატებ... თუმცა არა, იქნებ უპრიანი იყოს იმის აღნიშვნაც, რომ ამგვარი მიდგომა არახალია, ძალიან ძველია, თუნდაც ერთი მაგალითი: XVIII საუკუნის გენიოსი ინგლისელი მწერლის ლორენს სტერნის ცხრატომიან რომანში “ტრისტრამ შანდის, ჯენტლმანის, ცხოვრება და შეხედულებები” ერთმანეთს მისდევს უარული სცენები, პაროდიები, მონოლოგები, ლირიკული ლექსები პროზად, ამონაწერები შუასაუკუნებრივი შრომებიდან, ჩართული ნოველები და ასე შემდეგ.

“ჭადარდილისთვის” შეიძლებოდა, რომანი კი არა, მეტი საბუთით, “ბებიის ჭრელი საბანიც” გვეწოდებინა, მაგრამ თუ მე ვერ გამოვდექი ხეირიანი ოსტატი-მექრავი, ძალიანაც ნუ გამკიცხავთ – განზრახვა კეთილი მქონდა... რაც შემეძლო, გავისარჯე და როგორ შევძელი – სხვამ განსაჯოს.

სინანული კი მაინც მიპყრობს – მეწვია სიბერე... ნალვლიანი სიმღერა მოსალოდნელი განშორებისა... მარადიული განშორებისა... განშორება ყველაფერთან, რაც ამდენი ხნის განმავლობაში სულ თვალწინ გედგა, შენს გულში ბუდობდა, შენს სულს მასაზრდობებელ გამჭვირვალე ნაკადულად ავსებდა... დამშვიდობება ოჯახთან... ნათესავ-მეგობრებთან... თუნდაც – კეთილ ნაცნობებთან და უცნობებთანაც... წიგნებთან... მუსიკასთან... მხატვრობასთან... განშორება საყვარელ აღილებთან: ბათუმი, მწვანე კონცხი, ხიდისთავი, მეწიეთი, ქუთაისი, გორი, ანანური, თელავი, სიღნაღი... გრემი, ომალო, ჩარგალი, შატილი, შიომღვიმე, სამშვილდე, სამთავისი... და კიდევ უამრავზე უამრავი ადგილ-კუნძული – ნუთუ მათ ვეღარასოდეს ვისილავ? ბზიფის, კოდორის, გეგის ხეობები – მსგავსი სილამაზე არსად მინახავს... ნუთუ ვეღარასდროს გადავხედავ ალაზნის ველს? ელდარის ოქროსფერ ტრამალს? ჯვრიდან – მტკერისა და არაგის ჩახუტებას მცხეთაში? ვეღარ გავისეირნებ ბაკურიანის ტექში სოქოს მოსაკრეფად? ვეღარ დაველოდები გულის ფანცქალით, როდის გადიგდებს დოუბელ-ნისლის პირბადეს ხევის უმშვენიერები პატარძალი – მყინვარწვერი?

ახალგაზრდობისას – სკოლაში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას – მიყვარდა ტრამვაიში ჩაჯდომა და აგჭალაში, ვაკეში, ნავთლულში მარტოს გასეირნება, ახალმუხნებლობების დათვალიერება; შემდგომ, მრავალი წლის განმავლობაში, სამსახურიდან საღამოს ფეხით რამდენჯერ წავსულვარ გმირთა მოედნიდან მეიდნამდე, იქიდან – აყლაბარში... ახლა კი მაგდენის მესამედსაც ვეღარ შევძლებ... ამას აღარ ვჩივი, ნუთუ მეათე სართულის ფანჯრიდან ვეღარ გადავხედავ ეზოს, ქუჩას, უბანს, თაბორის ზმორებით გაწოლილ ქედს, იაღლუჯის დაღარულ ფერდობებს, რუსთავის მბოლავ მილებს... ნუთუ აღარ განმეორდება ისევ და ისევ: როცა წერით დავიღლებოდი, უფრო სწორედ, შთაგონების ცეცხლი მიინავლებოდა, წამოვდგებოდი ტახტიდან ან ლოგინიდან (წამოწოლილს მიყვარს წერა), გავიღოდი ლოჯიაში, ავიღებდი ფუნჯს და დაწებულ სურათზე, გუაშით დაწყებულ პეიზაჟზე (მხოლოდ პეიზაჟებს გხატავ), ნახევარ-ერთ საათს წაგიმუშშავებდი... ან, ციფი ლურის წრუპვით, ვეღარ გუმურებ ფეხბურთის მატჩებს ტელევიზორში? აღარ მომიწევს სიბანელეში წამოდგომა ზამთრის ცივ დამეს და საჩქაროდ წაჯდაბნა ქადალდის სახელდახელოდ მოძებნილ ნაგლეჯზე ძილბურანში უცებ მოფრენილი რაღაც ფრაზისა, შედარებისა თუ თემისა?

განშორება კალამთან და საწერ ქადალდთან... არადა, რამდენი რამ მსურდა, კიდევ მომესწორ... მხიარული საფეხბურთო რომანი “მრგვალი ბურთის თილისმა”, ფანტაზიურ-ირონიული რომანი საპლანეტათაშორისო მოგზაურობის შესახებ, სუპერრომანი “სიზმრების ესტაფეტა” – XX საუკუნის სატირულ-ირონიული პანორამა, სუპერრომანი “სპირიტული სეანსი” – მსოფლიო ისტორიული სატირულ-ირონიული პანორამა (იმაზე ადარას ვამბობ, რომ დაუსტამბავი მიღევს კარგა ხნის წინ გამზადებული, აწყობილ-დაკაბადონებული: ოთხი სალალობო რომანი, ზღაპრების ახალი წიგნი, სამი მოზრდილი მოთხოვის, ტომი წერილებისა მხატვრებისა და მხატვრობის შესახებ)... კიდევ რამდენიმე ათეული ზღაპრის და მრავალი მოთხოვის ჩანაფიქრი ჩაწერილი მაქს და ჩაჯდომას ელის... შესაძლოა, ახალ რომანს ვეღარ მოვერიო, ხოლო რაც შეეხება “ხოცვას ნადირთა მცირეთა” (შოთა), მოთხოვებებსა და ზღაპრებს მაინც დაგწერ და ბოლო კრებულს ადბათ დავარქმევ: “გამარჯობა, XXI საუკუნევი!”

ერთი შედავათი ისაა, რომ შენზე უკეთეს ჩანაფიქრებს სხვები შეასხამენ ხორცს – უთვალავნი, უთვალავჯერ... ალბათ შენზე მეტს ნახავენ, იგრძნობენ, გაიაზრებენ... შენზე უკეთეს დაწერენ... რამდენი საინტერესო წიგნი შეიქმნება, რომელსაც შენ ვეღარ წაიკითხავ... რამდენ ლამაზ გამოფენასაც ვეღარ ნახავ, მშვენიერ მუსიკას ვეღარ მოუსმენ...

ყველზე უფრო კი გაწუხებს ფიქრი: როგორი იქნება შენი ლამაზი სამშობლო შენს შემდეგ? როგორ იცხოვებს შენი კეთილი, გამრჯე ხალხი? ნუთუ ბოლო აღარ მოეღება მის სულში ჩაურთხების, გახრწინის, გადაგვარების მიზანმიმართულ თუ გაუაზრებელ მცდელობებს? როდის მოვა ქვეყნის სათავეში ნარცისიზმისა თუ ანგარების ბაცილებით შეპურობილი “თავგაცი” კი არა, არამედ ეროვნული განწყობით გულანთებული ბრძენი და მუხლჩაუხერელი მოღვაწე? კიდევ უკეთესი იქნება, თუმ ჰეშმარიტ მამულიშვილთა მთელი ჯგუფი მოევლინება ქვეყნის ბედ-იღბლის წარმმართველობა...

“ოჯახაშენებულო, აღარ ამთავრებ?” – იკითხავს მკითხველი და არცთუ უსაფუძვლოდ. მოგეხსენებათ, არსებობს წერის (და ხატვის) ორგვარი, პირობითად – ევროპული და აღმოსავლური, ხერხი თუ მეოთხი. ჩინეთსა თუ იაპონიაში ტრადიციულად წერდნენ “ერთი ამოსუნთქვით”, ტექსტს ტოვებდნენ ისე, ოოგორაც გადმოიღვრებოდა მათი სულიდან; ხოლო ევროპელ ოსტატებს დაწერილში შემდგომ უთვალავი შესწორება შეაქვთ, თანდათან ხვეწენ ნაწარმოებს, რამდენჯერმე გადაწერენ... ამგვარად, მცირე მოთხოვობაც კი შეიძლება, სულ ასწორო-აუმჯობესო, პოდა, რადა ითქმის რომანზე... ამიტომ იძულებული გავხდი, რაღაც მიჯნასთან შევჩერებულიყავი, რათა ჩემი შრომა უსასრულოდ არ გაწელილიყო. ასეთ ზღვრად “ჭადარდიდის” სწორება-ფერებისა ის დღე დაგნიშნე, როცა, 70 წლისა შეგსრულდებოდი და აჲა, ამასაც მოვესწარ! და წიგნის დასრულების თარიღადაც მას მივაწერ!

დღეს, 2006 წლის 19 სექტემბერს, თბილი, ტკბილი დღე დადგა – მზიანი, წყნარი... თუმცადა მთლად წყნარიც არ ეთქმის ჩემთვის – დილიდანვე ბინაში ფანჯრიდან მანქანების გუგუნი იჭრება – მეათე სართულიდან ხშირ-ხშირად დავცერი, როგორ აშანდაკებენ ჩემს ქუჩას, აგებენ ბორდიურებს, მალე ალბათ ასფალტის დაგებასაც დაიწყებენ... მიყვარს მუშათა საქმიანი ფუსფუსის ყურება – როგორ შრომობენ და ნელ-ნელა იცვლება უკეთესობისკენ ყველაფერი...

პოდა, საყვარელო, ისლა დამრჩენია, საგართოანო ანუ კარის ზღურბლთან წარმოსათქმელი იმუდიანი სადღეგრძელოთი გამოგემშვიდობო:

აბა, ვიყოთ კარგად,  
არკი დავიგარგოთ!  
ერთურთს კიდევ შევხვდეთ –  
გულით გავიხაროთ!..

2002 წლის 21 სექტემბერი –  
2006 წლის 19 სექტემბერი,  
თბილისი.